


გზა

N4(137) 23/1.-29/1.2003. ჟანი 60 თ.

F 1224
2003



გაგოსავლიანი ბიზნესი — საქსი ტელეფონით

უსნაური სიასლე თბილისში
— მსაგე, მატკინე, დამაბი...

თვითმკვლელობა — არამინიერ სიყვარულს უენირული ბიჭი



რას აწვება
ნიკო გოგელაური
რქვებით



რუსა მორჩილაძეს
„ხუდსავები“
არ მოსწონს



გოგი ქავთარაძე:

**..... ჩემი აირველი მეუღლე ამ ფაქტს ადვილად
შეეგუნა, მეორეს კი, ჯერ ჩემი მეუღლეობის
ქალიან პატარა სტაჟი აქვს... "**

გვ. 30

მინიატურები	
პირს სორცმატები! ანუ ქომაგი	3
ერთი კითხვა	4
მოუპიზნავი	
„ჩემგე უკეთ არავინ იცის, „რას იგაბს“ ჩემი სიმღერა...“	6
კულისკი	
როცა აქტიორი სცენის გღუბლს უახლოვდება...	8
ტესტი	
ერთგული მკითხველი	9
ტრაგედია	
ავიანგე ბავილა და სული უფალს მიაბარა...	10
დედაქალაქი	
გიორგი კარბელაშვილი: „გეპირად ვინც, რომელ ტერიტორიაში რა თანხაა გადახდილი...“	12
კრიმინალი	
სადისტური მკვლელობა ნიკოლეიშვილების ოჯახში	13
დეკლარაციები	
ბიბი წერეთელი: „საწუნუნოდ ნამღვივალ არ მაქვს საქმე - არც ცოლის მხრივ და არც მშობლების მხრივ“	17
ანტიდეკლარაცია	
ინფორმაციულ-შედეგებითი კოლაჟი გოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან	20
გვზავრული	
მეფხეური	20
ტკივილი	
შიშა და სიკვდილზე გამარჯვებული...	22
სასარგებლო აზრები	
აფორიზმების ენციკლოპედია	23
მოღა	
ქსოვის ოსტატი, რომელიც არაპროფესიონალად ახსნაღვას თავს	24
სანი	
სექსი ტელეფონით შემოსავლიანი ბიზნესია, მაგრამ...	25
ფსიქიკი	
„მეშინია, რომ ქურდობის მიგეგმი ალარ მქმნება...“	28
მსახიობი	
„კალიან ლამაზი ქალის ბულისთვის მათოვდა ახალი წლის ლამაზ“	30
სოჯახო ფსიქოლოგია	
როგორ ვიპოვოთ ექიმი „დასწავლებული ოჯახისთვის“?	32
ავტობიოგრაფია	
თუ კრიზისს განიცდით, რეაბილიტაციის მოკლე კურსი ქალებისათვის	33

„ჩემს ნემსს არავის შევარჩენ!“



დიმა ჯაიანი, პარლამენტარი:
- ჩემს ცემას არავის შევარჩენ!
მე გამოძიებლებამდე საქმეს არ მივიყვან. ჩემივე წრის დახმარებით გავიგებ, ვინ არის დამკვეთი და მერე ვნახოთ, ვინ დაიმარხება. ის „მერსედესი“, რომლითაც დავდივარ, კანონიერმა ქურდებმა მიყიდეს.

5

როცა აქტიორი სცენის ზღუბლს უახლოვდება...

ნიკო გომელაური:
- იმ როლებს შორის, რაც ამ ბოლო დროს მითამაშია, „კომედიანტების“ პერსონაჟი უსაყვარლესია. გარდა იმისა, რომ თთარიც მსახიობია, ვფიქრობ, მეც ცოტა სენტიმენტალური ადამიანი ვარ, ისევე, როგორც ის.



8

სადისტური მკვლელობა ნიკოლეიშვილების ოჯახში



ვალერი საძინებელ ოთახში საეჭვო ხმაურზე შესულ ოჯახის წევრებს, თავისივე საწოლზე უგონოდ და მთლად დასისხლიანებული დახვდა. იმავე წუთს, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მკვლელობაში ოჯახის წევრი იყო გარეული. მოგვიანებით, ის თავად მოკვლის ცოლი - ფატიმა აღმოჩნდა...

13

ვის დარჩება გეიტსის მილიარდები?

პლანეტის უმდიდრეს ადამიანს მოსვენება აქვს დაკარგული თავისი ქონების გამო: მიუხედავად იმისა, რომ ის სრულიად ჯანმრთელია და არც ასაკის გამო ემუქრება რაიმე, საზოგადოება ხშირად სვამს კითხვას: რა წერია მის ანღერძში?



54

საბარტოველოს
ეროვნული

ტაქარი

რაბომ უნდა ყყავდეს
ალამიანს სულიერი მოკვარი? 34

საფეხურით მიწვარება

ეროვნულ ნაკრებთა
შეღები შვილები 36

ვარსკვლავი

როზინ რაიმბ-ენს ვარსკვლავის
იმიჯი არ სიბლავს 39

გიორგაფია

საღაურსა საღ წაიყვან 41

რობანი

რუსულან ბერიძე.
ქალური ინტუიცი ანუ
ჟიამიანს შრომები (გაბრძელება) 42

აღაშიანი-ლეკენა

ქალი, რომელიც
სიყვარულის მნახე წერდა 46

ეკრან ვიდეა

მექალთაინისა და ხულიზნის
რეპუტაციის მქონე
ჯორჯ კლუნი პოლიტიკაში
მოსვლაზე უარს ამბობს 49

სპორტული მოზაიკა

50

ავტო

51

აპკლუ

„ჩვენი თაყვანისმცემლები
პატარა ზოგონები არიან“ 52

გომონი

54

ჯანვრთალოცა

56

● კვების ანბანი 56

● როგორ გამოვიყენოთ ასკილი
სხვადასხვა დაავადების დროს 57

● შეტყვის თავიდან ასაბრუნებლად 57

● მოქმედებს თუ არა სიმთვრალე
ჩანასახის სიჯანსაღზე 57

● „საყვანვილო სენი“ 58

● თუ სლოკინგა შეგაწუხათ 58

● რეკომენდაციები 59

● ვეღისინის სიხალეები 59

ვარჯიში

60

გურთიფა ამხედრებული ალამიანი
ანუ უბრალოდ შიბროლი 61

სანვროლი

62

პოროსკოვი

63

კვირის (27 იანვარი - 2 თებერვალი)
ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

63

როგორი ღელა ხართ? 63

კალენდოსკოვი

35, 64

გარეკანზე: გიორგი შურაღლიანს კოლაში

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურაღლიანი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, სუთზაბათობით
გაზეთი „კვირის კალიტრის“ დამატება

შურაღლიანი ხელმძღვანელობს თვისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი

მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
შურაღლიანი იბეჭდება გამოცემლობა „კოლორში“

**ექსკლუზიური ინტერვიუ სოხუმში
მხსრობებს ქართველ ქალგაბონთან**




აუცილებლად უნდა დაბრუნდეთ!
იქ დარჩენილი ქართველები მოუთ-
მენლად ელიან ამ დღეს, გესმით?
მე კი გაირდებით, რომ მათ ჯანმ-
რთელობას არაფერს გავუჭირებ,
ვივლი გასაცოდავებული სოხუმის
ქუჩებში, შიშა და სიკვდილზე გამ-
არჯვებული ქართველი ქალი.

22

**„მეშინია, რომ ქურდობის
მიზეზი აღარ მექნება...“**

ჩემი გოგონა ხუთი წლის არის.
სევდიანი ბავშვია. უდებობა მნე-
ლია, სულ ვენატრები. მეუბნება:
სიმბარში გნახულობო... ახალი
წლის შემდეგ, ისევ ავსტრიაში
ვაპირებ დაბრუნებას. მეშინია, რომ
მიზეზი აღარ მექნება, მიზეზი, რომ-
ლის გამოც უნდა მოვიპარო...



28

**მოქმედებს თუ არა სიმთვრალე
ჩანასახის სიჯანსაღზე**



დღემდე არსებული აზრი, რომ
ჩანასახის მომენგში მიღებული სპირ-
ტიანი სასმელი ცუდად მოქმედებს
შთამომავლობაზე, მთლად არ შეე-
საბამება სინამდვილეს. მამაკაცის
სპერმა 2 თვის განმავლობაში მწი-
ფდება, ამიგომ ვთქვათ, ახალწლის
დამეს მიღებული სასმელი მხოლოდ
8 მარტისათვის პოვებს გამოძახილს

57


**ქალური იმსყიკვა
ახუ ჟიამიანს თრთიღბი**

ნინიმ ამ თჯახურ ვაი-ვიშს ცოგა
ხანს კიდეე უქქირა, ფანჯრის რა-
ფას მოსცილდა და პალაგის კარი
ისე უხმადუროდ მიიხურა, რომ მგონი,
ორიოდე წუთის წინ ვრიგალიფ-
ით შემოტყრილ ქალებს არც მისი
იქ ყოფნა და არც წასვლა არ შე-
უმჩნევიათ...



42

ძირს ხორცმეცენი! ახე ჟიმაჯი



სულ აირია ქვეყანა, გართულდა ცხოვრება, გაგვიზარმაცდა და გაგვიფერისტლა ხალხი! ვინ რას გატყუებს და ვინ საღ გიგებს მახეს, ვერ გაიგებ. ამ პროვოკატორებით ხომ გაივსო ქვეყანა (ყველა მე როგორ მეცილება?) – ვინ აღარ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და არად დაგიღვეს – აქვს თუ არა შესაბამისი სერტიფიკატი თუ ლიცენზია. არადა, პროვოკატორობა რომ კარგი იყოს, მე ვინ დამავალბდა? მაგრამ მთლად ცუდიც რომ იყოს, მე რას დავივალებდი? ასეა – როგორც ყველა სხვა პროფესიას, პროვოკატორობასაც კარგი მხარეც ბევრი აქვს და ცუდიც. ამაზე, ცნობილი გამონათქვამი გამახსენდა: ადამიანი ფრესკა არ არის, რომ ერთ სიბრტყეზე კარგად დაინახო, მას ქანდაკებასავით, ყველა მხრიდან უნდა დააკვირდეთ. „მაშინ, ჩვენი პრეზიდენტი სვეტო ყოფილა: 30 წელია, ვაკვირდები და ყველა მხრიდან ერთნაირია...“ ეს ჩემი ნათქვამი არ გეგონოთ! „პროვოკატორი“ კი ვარ, მაგრამ ასეთ რამეს როგორ ვიკადრებდი? სხვა პროვოკატორის ნათქვამია და მისთანების წინააღმდეგ ვილაშქრებ. ჰოდა, აი, რას გეტყვით: 30 წელიწადი განა საკმარისია დაკვირვებისათვის? თუ კარგის დანახვა გინდა, ახალი კუთხიდან ვერ შეხედავ?! ან კი, რა დანახვა უნდა, თუ შარზე არ ხარ კაცი? რომელი ერთი დავისახელით? ავილოთ თუნდაც აფხაზეთის პრობლემა.



დავკარგეთ, რომ ამბობ, – აბა, გაიხსენე: გულაუთა, გაგრა, სოხუმი, „მელიცინსკი პლაჟი“, „მაიაკი“... ხომ გადაჭედელი იყო ყველაფერი ეროვნებით არაქართველი და ყოფაქცევით მსუბუქი ქალებით! მთელი საქართველოდან ჩავდიოდით ბიჭები და მოჭიხვინე კვიციბივით გაქაფულები დავდედვით უკან და რაც „გულავში“ გვეხარჯებოდა, ორი იმდენი მერე, მკურნალობაზე გვეჭირდებოდა. ძლივს არ მოვისვენეთ? – მოგვეხსნა ერთი პრობლემა! და მეორეც: რაც უფრო ნაკლები ტერიტორია დავგროჩება, მით უფრო მეტი არ გამოვჩნდებით? მოვა დრო და ამისთვის მაღლობასაც ვეტყვით ჩვენს პრეზიდენტს.

ახლა მეორე „ჩემნაირს“ მივმართავ – კარგად მომიხმინე! რომ ამბობ – ეკონომიკა დაანერიაო, – არ გახსოვს, უამრავი ადამიანი ფაბრიკებსა და ქარხნებში რომ მუშაობდა, რამდენი მსხვილი მილიდან ამოდიოდა მავნე კვამლი? კი, მართალია, საქმეც კეთდებოდა და ხელფასებიც იყო, მაგრამ ჯანმრთელობა დაგავიწყდა?! რომელი სვობს: მადარზე ავადმყოფობა, თუ შშიერზე ჯანმრთელობა?.. ბატონო? გინდა, შიმშილს მოუკლავხარ და გინდა, ავადმყოფობას, არა?.. მაგაზეც ვიპასუხებ: შიმშილით დღეს კაცი არ მოკვდება. თუ ზარმაცი არ არის, ბოლო-ბოლო, ან ცოლს გაყიდის, ან ნამუსსა და კაცობას და თავს მაინც გაიტანს. თუ არა და, რით ხარ სხვაზე მეტი? – ელიტარების ნაგავშიც ბლომად პოულობს ხალხი საკვებს... აბა, ვერე სადაა – სინდის-ნამუსიც გინდა და ნაგავში ჩიჩქასაც არ კადრულობ? მაშინ პრეზიდენტის გაკიცხვას თავი დაანებე და საერთოდ, მის ხსენებაზე ჯერ ოდესმე გამოივლე პირში!.. არ გაქვს ოდესმე?.. მაშინ კბილის პასტით გამოიხეხე ეგ შენი კარიესიანი კბილები!.. არც კბილის პასტის ფული გაქვს, შე მათხოვარი?! დიხლოფოსი მაინც ხომ გაქვს, ტარაქებს რომ „უყვართ“? შეისხი, ხომ?.. აბა, ხსოვნა იყოს!..

არ მიფვარს უმაღური ხალხი!.. ახლა პარლამენტარები ვნახოთ – ასე ხშირად რომ გაჰკრავ ხოლმე კბილს. მაშინ ხომ იყვნენ კაცი კაცები, ყველა უბანში უფასო კონცერტებს რომ ვიტარებდნენ? ანდა,

ორი კილო სპილენძისათვის გაძარცვული ლიფტების გარემონტებასა და დამპალი სახურავების გამოცვლას რომ გაბრდებოდნენ?.. მერე რა, რომ არ შეგისრულეს? ლაპარაკი შენ ადვილი საქმე გვინია? აბა, ერთი დაუყენე ენაზე მრიცხველი, რამდენს დაწვავს! რატომ ხარ ასეთი მეშინი და მარტო მატერიალურზე რატომ ფიქრობ? ის ერთი თბილი სიტყვა და დაპირება ხომ მთელ სიცოცხლედ ღირდა?! ან კიდევ – ვინ გკითხავს შენ, ვის რამდენსართულიანი აგარაკი აქვს და ვინ რამდენ ასლილარიანს იხდის თავისი ძაღლის მოვლაში?! ან ვინ რა გრანტი შეგება?! შეგებას, აბა, რას იზამს – რაღაც ოთხი წლით უზის ფორტუნა ჯობებში! მერე შეიძლება, აღარც კი შეასუნინონ იმ დარბაზში, სადაც ახლა, მუშტებს იქნევს „საყვარელი“ კოლეგის ცხვირის მიმართულებით. რაო? ნერვები გემლება? ტელევიზორი ჩართე, დალოცვილო, ისიამოვნე... ა, ღენი გამოირთო? ჰო-ო, ცუდია... აბა, გამოდღლიზე შტეფსელიდან მაგ „ვილკა“! ა, შტეფსელი არ მუშაობს? ჩაიხედე, აბა – ორ შიშველ მათუულს ხომ ხედავ? ჰოდა, ორივე ხელი მოჰკიდე და ნახე, თუ გაქვს შუქი... ეჰ, ხსოვნა იყოს!

...არ მიფვარს მოწუწუნე ხალხი!.. კი, ბატონო, ახლა, მინისტრებსაც გადავხედოთ. გენბავს, სახელმწიფო მინისტრით დაიწყოთ. რა გაქვს მასთან საპრეტენზიო? კარგი ჯანდაცვის მინისტრი იყო და ამას შენ თვითონ ადასტურებ – ცოცხალი და ჯანმრთელი რომ ხარ. ე.ი. ჯანდაცვა ზრუნავს შენზე, იმასაც გახსენებდა და გახსენებს სულ, რომ თამბაქოს მოწევა მავნებელია შენი ჯანმრთელობისათვის! დებილი რომ დებილია, ისიც გაიგებდა, მაგრამ შენ მაინც ექაჩები და არ უჯერებ. ხომ იყავი ღირსი, რომ მიეტოვებინე და აღარ ეზრუნა შენთვის? არ მიგატოვებ, მაინც იზრუნა და ამიტომაც დაწინაურეს და სახელმწიფო მინისტრობა ჩააბარეს, რომ უფრო მეტად იზრუნოს შენზე და ეკოლოგიურად დაბინძურებული და არაჯანსაღი ხორცი, ქიაში, ყველი და პურიც კი, ნაკლებად ხელმისაწვდომი იყოს შენთვის, რომ რაც შეიძლება იშვიათად ჩახეთქო! მაგრამ ტვინავს მაგდენს შენი გოგრა?! მეტი არაა ჩემი მტერი...

სხვა მინისტრებზეც გეტყვოდა, მაგრამ ღირს კი, შენნაირებთან ლაპარაკი? წამოგორებულხარ მხარ-თეძოზე და „სამამულო ომის“ ვეტერანივით გინდა, ყველაფერი უფასოდ და ურიგოდ გქონდეს. რაო? დაძინებისაც კი გეშინია?! ჰოდა, ყლაპე ძილის აბები... კარგია! რამდენ ცაღს ყლაპავ?.. ერთი, რას გეყოფა? – მაინც გაგაღვიძებს მეზობლის ხმაური, გაღვიძილი ქმარი რომ მოუვა სახლში და დედაბუდიანად, ყველას ამოუტრიალებს. ასე რომ, 6-7 აბი მაინც დაგჭირდება. დალიე, ხომ?.. აბა, ძილი ნებისა...

ეჰ, ხსოვნა იყოს!.. არ მიფვარს მოღუნებული ხალხი!.. ესეც ასე! – რამდენიმე ხორცმეტი პროვოკატორი ჩამოვაშორე ჩემს საყვარელ ხელისუფლებას და საკუთარი კონკურენტების რიგებიც შევათხელე... ამრიგად, ბატონო პრეზიდენტო, პატივცემული მინისტრებო და ძვირფასო დეპუტატებო! ოღონდ თქვენ იყავით ისევ ისე, როგორც ახლა ხართ, ისევ არღვივით და კერეთ ეგ ბიუჯეტი, ატარეთ „ქვეყნისათვის საჭირო“ ღონისძიებები – ისეთი, მე რომ არ გამომაცლის პურს პირიდან – და თქვენი პატივისცემა ჩემზე იყოს!..

„ის, რაც აფხაზეთში ხდება, არის ანექსია და სხვა არაფერი!“

— ის, რაც დღეს აფხაზეთში ხდება, მიგაჩნიათ თუ არა რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ფაქტობრივ ანექსიად და რაში ხედავთ გამოსავალს?

თამაზ ნადარეიშვილი, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე:

— მე კვლავ აფხაზეთის, ომით დაბრუნების მომხრედ ვრჩები. ის, რაც დღეს იქ ხდება, არის სრული ანექსია და სხვა არაფერი ანექსიის გარდა. ამას პრეზიდენტთან საუბრის დროსაც ვამბობ და უშიშროების საბჭოს სხდომაზეც. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ საერთაშორისო ნორმების შესაბამისად. საქართველოს ჯარი არ ეყოლება, რადგან ქართველ პოლიტიკოსებს ჯარისკაცი მხოლოდ არჩევნების წინ ახსენებდათ. ჩვენი რეზერვებით აფხაზეთის დაბრუნების იმედი არ მაქვს. ამიტომ, უნდა მივმართოთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიო ხელახლა გადაინაწილეს. ნატოში საქართველოს გაწევრების საკითხს რუსე-



თი ეწინააღმდეგება და ზეწოლის ბერკეტად, სამაჩაბლოსა და აფხაზეთს იყენებს. ჩვენ უნდა მივმართოთ გაეროს თხოვნით, შეცვალოს აფხაზეთში მიმდინარე პროცესების ფორმატი და მანდატი. გამოდის უშიშროების საბჭოზე გაეროს გენერალური მდივანი და ამბობს: აფხაზეთში დევნილთა დაბრუნება წარმატებით მიმდინარეობს და ქართველებსა და აფხაზებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები აღდგაო. ამ დროს იქ ზის საქართველოს წარმომადგენელი და ხმას არ იღებს. ასეთი პოლიტიკით აფხაზეთის პრობლემას ვერ მოვაგვარებთ.

ამთანდილ იოსელიანი, დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი:

— როდესაც აფხაზეთზე ვსაუბრობთ, რატომღაც აქცენტს ყოველთვის რუსეთთან ჩვენს ურთიერთობაზე გადადის და უკანა პლანზე რჩება თვითონ აფხაზეთთან ურთიერთობა. ვფიქრობ, პრობლემის მოსაგვარებლად, აფხაზეთთან უნდა ვიმუშაოთ,



თუნდაც — პასპორტიზაციისა და სამშვიდობო მანდატის გაგრძელების თაობაზე. ეს მუშაობა განსაკუთრებით აქტიური უნდა იყოს დღეს. არ არის გამორიცხული, რომ იანვრის ბოლოს, აფხაზეთში მოვლენები ისე დაიძაბოს, რომ საომარ მოქმედებებშიც კი გადაიზარდოს. ეს მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის სამშვიდობო ჯარების საქართველოდან გაყვანას კატეგორიულად მოვითხოვთ. მოსალოდნელია საფრთხისათვის მზად უნდა ვიყოთ. კოდორის ხეობაში პროვოკაცია რუსებმა და აფხაზებმა ერთად დაგვემეს და ეს ინფორმაცია აფხაზმა მაღალჩინოსანმა მომწოდა, თან მთხოვა: ქართველებმა რაიმე მოიძიქმედეთ, ჩვენ სვანების სახლებში არავითარ შემთხვევაში არ შევალთო... აფხაზებმა კარგად იციან სვანების ხასიათი. ისინი აფხაზებს მიწასთან გაასწორებდნენ... ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია და არ შეიძლება, გულხელდაკრეფილებმა ვუყუროთ იმას, რაც ხდება. ■

„აკონტროლური საქმიანობა ჩვენში კრიმინალურ სტაბილურობაზე დაფუძნებული...“

— რაც უფრო მეტს საუბრობენ ბიუჯეტზე, მით უფრო მყარდება აზრი, რომ ჩვენში თითქმის შეუძლებელია საბიუჯეტო კრიზისის დაძლევა. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

რომან გოცირიძე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი:

— სანამ ხელისუფლებაში რადიკალური ცვლილებები არ განხორციელდება, მანამდე შეუძლებელი იქნება ქვეყანაში სტრუქტურული და ინსტიტუციონალური ცვლილებების გატარება. საკმაოდ დიდი დრო სჭირდება იმ მახინჯი მმართველობითი სტრუქტურის შეცვლას, რომელიც განვლილი 10 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. კარგად დავინახეთ, რომ სხვადასხვა თანამდებობაზე აღამიანების გადაადგილებამ არაფერი შეცვალა. ახალს არაფერს მოიტანს არც სამინისტროების შერწყმა და არც დაშლა. პირიქით, კომიკური სიტუაციაა შექმნილი: უწყება, რომელიც ქვეყნის



სტრატეგიულ განვითარებაზე უნდა ზრუნავდეს და არეგულირებდეს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებას, ახლა „სამინისტროს სამინისტროს“ როლში გვევლინება. კომიკური იყო საბაჟო და სავადასახლო სამსახურების ფინანსთა სამინისტროსგან განცალკევება და მერე, კვლავ შერწყმა. საბიუჯეტო კრიზისი არ დაიყვანება სავადასახლო დეპარტამენტის, საბაჟო დეპარტამენტის ან ფინანსთა სამინისტროს დონეზე. როგორ

უნდა აკრიფოს საგადასახლო სამსახურმა შემოსავლები, როცა ქვეყანა ვერ აკონტროლებს საზღვრებს, როცა აჭარამ არ ჩარიცხა 59 მილიონი ლარი?! საგადასახლო დეპარტამენტის მიერ უკონტროლო ტერიტორიაზე კონტრაბანდული საქონლის გადაადგილებისათვის ნოყიერი ნიადაგია შექმნილი. ავილოთ თუნდაც, ბაზრობების საქმიანობა. მათ რატომღაც არავინ სთხოვს პასუხს. როგორც კი გარე ვაჭრობის აკრძალვაზე იწყება საუბარი, ადამიანები ქუჩაში გამოდიან და ხშირად, მათი გამოვლა ორგანიზებულია იმ ხალხის მიერ, ვინც მათგან ფულს იღებს. ესენი არიან პოლიციისა და სავადასახლო სამსახურის წარმომადგენლები, რომლებსაც აღნიშნული ბიზნესიდან წილი მისდით. როცა ქუჩაში ათეულმეტილიონობით ლარი იკრიბება, ამ სისტემის დაშლა ძალიან დიდ გაბედულებას მოითხოვს. ამ რეალობის გათვალისწინებით, ეკონომიკური საქმიანობა ქვეყანაში კრიმინალურ და კორუფციულ სტაბილურობაზეა დაფუძნებული. ■

ჩრდილოეთი იმერული მხარის უმცროსი

— გავრცელებული ინფორმაციით, იერუსალიმში მიწის ყიდვას აპირებთ. საპატრონო ამ ფაქტის კომენტარისგან კვლავ თავს იკავებს. თქვენ რას გვეტყვი?

მანანა ჩრდილოეთი,

სოციალისტური პარტიის ლიდერი:

— ეს იდეა გაჩნდა მას შემდეგ, რაც უწმიდესი და უნეტარესი რაჭაში გვესტუმრა. საუბარი გვქონდა იმის შესახებ, რომ წმინდა მიწაზე მართლმადიდებლური მისიის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იერუსალიმის საცავებში დაცულ ქართულ ხელნაწერებზე მუშაობის განახლებას. მართალია, ვერ ადრეა საუბარი ქართული ეკლესიებისა და განსაკუთრებით, ვერის მონასტრის გამოხატვაზე, მაგრამ ქართველები იერუსალიმში აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ. პატრიარქთან საუბრის შემდეგ, თავი ვალდებულად ჩავთვალე, ამ იდეის ხორცშესხმისათვის მთელი ჩემი ძალისხმევა გამომეყენებინა. წავედი ისრაელში და დავთვალიერე ის ტერიტორია, რომელიც ოდესღაც, ქართული ეკლესიის მფლობელობაში იყო. ისრაელში კიდევ ერთხელ მომიწევს ჩასვლა მას შემდეგ, რაც შესაფერისი ტერიტორია გამოჩნდება. მისი შესყიდვისთვის საჭირო თანხა კი პრობლემას არ წარმოადგენს. იერუსალიმიდან 20 კილომეტრის დაშორებით ვნახეთ ერთი ნაკვეთი, სახელად ეშუა, სადაც ბევრი მისია არის განთავსებული. ეს ადგილი ყველაზე მეტად მომეწონა, რადგან ეს არის ბიბლიური ადგილი, რომელიც დაკავშირებულია მაცხოვრის მოგზაურობასთან ლუკასთან და კლეოპასთან ერთად. ეშუას შემდეგ, ანტიგონით დავინტერესდი. დღეს იქ აფხაზეთიდან ლტოლვილები ცხოვრობენ, რომლებიც საქართველოდან XVII-XVIII საუკუნეებში წავიდნენ და იერუსალიმში დასახლდნენ. აფხაზთა ეს შთამომავლები მუსლიმანები არიან. საერთოდ, ისრაელში მიწის გაყიდვის საკითხს ძალზედ ფაქიზად ეკიდებიან. ორი თვის მანძილზე, თითხმეტი სახელმწიფო ინსტიტუტი იკვლევდა იმას, თუ ვინ ვართ და რატომ ჩავედით ისრაელში. ამჟამად კვლავ ადვოკატების გადაწყვეტილებას, რომლებიც შეგვიპირდნენ, რომ საუკეთესო ვარიანტს შეგვიჩვენებ.

„ჩემს ხეობას არავის შეგარჩენ!“

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ დიმა ჯაიანის საქმესთან დაკავშირებით გამოძიება მუშაობს ვერსიაზე, რომელიც ბადრი პატარკაციშვილისა და ბიძინა ივანიშვილის სახელებს უკავშირდება. ჯერჯერობდა გოგიტიძე კატეგორიულად უარყოფს ამ საქმეში რაიმე ფორმით თავის მონაწილეობას. მაშ, ვინ დაესხა თავს ჯაიანს? ბატონო დიმა, თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ ან რას აპირებთ გამოჯანმრთელების შემდეგ?

დიმა ჯაიანი, პარლამენტარი:

— ჩემს ცემას არავის შეგარჩენ! მე გამოძიებლებამდე საქმეს არ მივიყვან. ჩემივე წრის დახმარებით გავიგებ, ვინ არის დამკვეთი და მერე ვნახოთ, ვინ დაიმარხება. ის „მერსედესი“, რომლითაც დავდივარ, კანონიერმა ქურდებმა მიყიდეს. ეს ასე არ იქნებოდა, კაცურად რომ არ მეცხოვრა. თავდამსხმელთაგან ერთს, რომელიც ნიღბის გარეშე იყო, ათას კაცში ამოვიცნობ. როდესაც გამაჩერეს, მანქანის დათმობა მომთხოვეს, მაგრამ ეს შემოგდებული მოთხოვნა იყო — მოგონილი იმისთვის, რომ გამოძიებას მცდარ ვერსიაზე ეშუშავა. გოგიტიძესა და კაკუბაბაზე ეჭვს ვერ მივითან. ეს



ხალხი არ არის ამ საქმის გამკეთებელი. ისე, გოგიტიძე კიდევ სჯობია კაკუბაბას... ის, რაც მოხდა, ვილაცის შეკვეთილი იყო — ისე, არა მგონია, საქართველოში ვინმეს ჩემზე ხელი აეწია. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს და ბადრი პატარკაციშვილს — რა კავშირში არიან ისინი ამ საქმესთან?! ამ „უნიჭო“ ვერსიებით და იმითაც, რაც მოხდა, სამუდამოდ გამიფუჭეს ურთიერთობა ამ ადამიანებთან.

„ჩვენი და „ალორძინების“ გზები გაიყარა“

— რატომ შეიცვალეს „ტრადიციონალისტებმა“ კიდევ ერთხელ მოკავშირე და დატოვა თუ არა პარტიამ ოფიციალურად „ალორძინების ბლოკი“?

მანანა ნაღრიძე, პარლამენტარი:

— დავაზუსტებ: „ტრადიციონალ-



ისტები“ კი არ იცვლიან მოკავშირეებს, არამედ მოკავშირეები იცვლიან პოზიციებს და ამის შესაბამისად, ისეთ ძალებთან ვიწყებთ თანამშრომლობას, რომელიც შედარებით მეტად ახერხებს ხელისუფლებასთან დისტანციის შენარჩუნებას. ჩვენი და „ალორძინების“ გზები გაიყარა. მათ მიანაირთ, რომ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობით უნდა მოხდეს, ჩვენ კი მივიყვანია, რომ დიდი ხანია, რაც რუსეთი ჩვენი მეგობარი აღარ არის. ამიტომ „ტრადიციონალისტები“ და „ალორძინები“ საპარლამენტო არჩევნებისას ერთ საარჩევნო ბლოკში აღარ იქნებიან. ჩვენი და ასლან აბაშიძის შეუთავსებლობა განსაკუთრებით, მაშინ გახდა შესაძლებელი, როდესაც ბატონმა ასლანმა დააფიქსირა, რომ საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის წინააღმდეგი იყო.

2003 წლის დამდეგს, რესპუბლიკის მოედანზე გამართულ საახალწლო კონცერტზე, კომპოზიტორ რუსა მორჩილაძის კიდევ ერთი ახალი სიმღერა აუღერდა, რომელსაც პოპულარული მომღერლების გარდა, პარლამენტარები და სპორტსმენებიც ასრულებდნენ. როგორ ამღერა რუსა მორჩილაძემ პოლიტიკოსები? რატომ იცნოვრა კომპოზიტორმა 2 კვირა ხმის ჩამწერ სტუდიაში და საერთოდ, როგორ წერს მუსიკას ტელევიზორის თანხლებით? — ამ და სხვა თემებზე სასაუბროდ, არაერთი ლამაზი სიმღერის ავტორს, შინ ვესტუმრეთ.



**ჩემზე უკეთ
ანაზინ დის,**

„რუს დზაშს“ ჩემი სიმღერა...

ნიმე მკვლევარი

— რუსა, თქვენს ახალ სიმღერას ბევრი მსმენელის მონონება ხვდა წილადა. როგორ შეიქმნა ეს კომპოზიცია?

— მოგეხსენებათ, ეს „რუსთავი-2“-ის პროექტი იყო. დამიკავშირდა დათო ლიაშვილი. ამისთანა ყველაფერი — სად უნდა ჩატარებულიყო კონცერტი, ვის უნდა ემღერა ეს სიმღერა და ის, რომ მუსიკა იმ საღამოსვე, მზად უნდა მქონოდა...

— ეი. ერთ დღეში დაწერეთ?

— დომი საერთოდ ასე იცის — „დაპროგრამებს“ და შენც უნდა „დაპროგრამდე“. 5 საათი იყო. მითხრა: ირინა სანიკიძესთან ვიკრიბებითო, — და 8 საათისთვის მუსიკა მივიტანე. ტექსტიც იქვე შეიქმნა — ირინამ დაწერა.

— არ გაგიჭირდათ პოლიტიკოსებისა და სპორტსმენების ამღერება? რამდენად ადვილად აითვისეს სიმღერა?

— იცი რა, მართალია, აბსოლუტური სმენა არც ერთს არ ჰქონდა, მაგრამ იმდენად ნიჭიერი ხალხია, ზუსტად იგებდნენ იმას, რასაც ვუსწნიდი და უშუალოდ მღეროდნენ. როცა ურთიერთობა მყარდება, იქ სიმღერა ძალიან ადვილია.

— თუ გვერდით მდგომი არ გიყვარს, კარგად ვერ იმღერებო, — ნათქვამია. ასეა?

— ზუსტად ასე იყო. ჩვენ ისეთი ანთებულები ვიყავით, ისეთი მეგობრული ურთიერთობა დამყარდა სტუდიაში და

ისეთი საზეიმო განწყობილება სუფევდა, რომ არ შეიძლებოდა, იქ რაღაც არ გამოგვევლოდა... დიდი გრძობით ვეფერები და მადლობას ვუხდის ყველას, ვინც იმ კლიპში მიიღო მონაწილეობა. განსაკუთრებით მათ, ვინც მომღერლები არ არიან.

— საერთოდ, როგორ წერთ სიმღერებს? აუცილებელია, მუზა მოგივიდეთ თუ დაკვეთითაც შეგიძლიათ დაწეროთ?

— მე კი არა — მოცარტი წერდა დაკვეთით! მაგრამ ეს სიტყვა „დაკვეთა“ მთლად სწორი არ არის. საერთოდ, რაც წლები ვადის, ვხვდები, რომ თუ „მუზებს“ და „ხასიათებს“ უცადე, არაფერი გამოვივა. როგორ უნდა მოგივიდეს ეს მუზა, როცა ახალი წლის წინა ღამეს, არა გაქვს შუქი, გაზი, წყალი და ნერვები გაქვს აშლილი?! ჩვენს ქვეყანაში, მე ვფიქრობ, მუზები აღარც არსებობენ...

— რამდენიმე წლის წინ, ზოგიერთი მუსიკოსი ამტკიცებდა, რომ ქართული სიმღერა ვერ უტოლდება უცხოურს. დღეს რა დონეზეა ქართული შოუბიზნისი?

— იცი რა, ქართული სიმღერა ისეთი ფენომენია, არც უნდა გაუტოლდე უცხოურ მელოდიას. რატომ უნდა იყოს ქართული, ამერიკული ან ინგლისური სიმღერის მსგავსი? მაშინ, ჩვენც ინგლისელებს უნდა ვვადეთ, მათსავით უნდა ვცხოვრობდეთ, იქაურ ჰაერს უნდა ვსუნთქავდეთ...

— მაგრამ რამდენიმე წლის

წინ, რუსული სიმღერების ბუმი იყო საქართველოში. ქართულ სიმღერას ცოტა თუ უსმენდა.

— ეს დიდი შეცდომა იყო. რატომ ვუსმენდით რუსულ სიმღერას, ჩემამდე არ დავის, — მაშინ, როცა გვყავდა ლალიძე, ცაბაძე და მილიონი მაგარი კომპოზიტორი?! ტინიფერი ვიყავი, მაგრამ ვგიჟდებოდი გოგი ცაბაძის სიმღერებზე.

— თქვენ თვითონ, იშვიათად მღერით. არ გქონიათ სურვილი, მომღერალი გამხდარიყავით, თუ ბავშვობიდან კომპოზიტორობა გინდოდათ?

— ბავშვობაში მომღერლობაზე და მსახიობობაზე ვოცნებობდი, მაგრამ დღეს, მაკმაყოფილებს ეს პროფესია. თუმცა ახლახან ჩავწერე დუეტი ბათუმის ოპერის თეატრის მომღერალთან — ნათია გოგიტიძესთან ერთად. კლიპიც გადავიღე.

— თქვენ თვითონ გაგიჩნდათ სურვილი, დუეტი რომ ჩაგწერათ თუ ნათიამ შემოგთავაზათ?

— სხვათა შორის, ჩემი ინიციატივა იყო, ნათიას ნამდვილად ვერ დავაპრალებ — აზრადაც არ მოსვლია, ჩემთან ერთად ემღერა. სიმღერა რომ დავწერე და არანაფირება გაკეთდა, მივხვდი — დუეტი უნდა ყოფილიყო. „ნუ შეგაშინებს დრო“ — ასე ჰქვია სიმღერას.

— ხშირად, კომპოზიტორები თავიანთ სიმღერებს სხვისთვის ვერ იმეტებენ და ბოლო მომენტში, უარს ამბობენ მის

**გაყიდვასა ან გაჩუქებაზე-
თქვენს შემთხვევაში როგორ
ხდება ხოლმე?**

— ხშირია ასეთი შემთხვევა. ძალიან მინდა, რომ თითოეული ჩემი სიმღერა მე შეეკასრულო, მაგრამ ვინაიდან მე კონცერტებზე არ გამოვალ და არ ვიმღერებ, მხოლოდ რადიოსთვის სიმღერა არ შემეტება...

— რატომ არ გინდათ, კონცერტებზე იმღეროთ? ეს დამამცირებელია?

— არა. უბრალოდ, მინდა, ვიყო ავტორი და არა მომღერალი.

— მაგრამ ბავშვობიდან ხომ ოცნებობდით მომღერლობაზე?

— ეს ოცნება მე ახდენილი მაქვს. ერთადერთი — არ დავბადებულვარ, თორემ გავიზარდე სცენაზე, რაც თავი მახსოვს, სულ ვმღერი, მაგრამ მაშინ არ იყო ამდენი ტელევიზია, არც პრესა წერდა ამდენს შოუბიზნესზე. დღესაც, სულ სტუდიებში ვარ, მუსიკოსებში ვტრიალებ. ყველა ჩემი სიმღერა „ბექებში“ მაინც მაქვს ნამღერი და ეს მაკმაყოფილებს. არა მაქვს სურვილი, კონცერტებზე ვიმღერო, ავფორიაქდე.

— მომღერალს რომ მეტი

თაყვანისმცემელი ჰყავს, ვიდრე სიმღერის ავტორს?..

— მერე რა? ეგ პრობლემა ჩემთვის არ არსებობს. მაგ ასაკიდან უკვე გამოვედი.

— ხშირად თუ გექმნებათ პრობლემები მომღერლებთან, როცა ვერ მღერიან ისე, როგორც თქვენ გინდათ?

— რამდენიმე მომღერალია, რომელსაც კარგად ესმის ჩემი. მაგრამ ზოგჯერ, ხდება ისე, რომ ჩემი სიმღერა არ სრულდება ისე, როგორც მე ჩავიფიქრე. მაშინ იწყება სტუდიაში „ჭიდაობა“, ნერვების წყვეტა, წივილი-კივილი, ვალიდოლები და ნოშპები (იცინის)... ბოლომდე ვზივარ სტუდიაში, მანამ, სანამ სიმღერა არ მიიღებს იმ ფორმას, რომელიც ცოტათი მაინც იქნება მისაღები ჩემთვის.

— ზოგიერთი მომღერალი, რომელიც თქვენს სიმღერებს ასრულებს, „არტ-იმედი“ გაერთიანდა. შეიცვალა თუ არა ამით რაიმე თქვენთვის?

— ძირითადად არაფერი — თუ არ ჩავთვლით იმ ფორმალურ მომენტებს, რომელიც მე არ მომწონს.

— კერძოდ?

— კერძოდ, ის, რომ იკრიბება ე.წ.

„ხუდსავეტი“ (სამხატვრო საბჭო), ისმენს ჩემს სიმღერას და უნდა შეაფასოს — კარგია თუ არა. ეს ძალიან არ მომწონს, რადგან ჩემზე უკეთ არავინ იცის, „რას იზამს“ ჩემი სიმღერა. ეს დამტკიცებელიც მაქვს წლების მანძილზე — მაშინ, როცა არ იყო არც „არტ-იმედი“ და არც სხვა ამგვარი კომპანიები. მე ყველაზე უკეთ ვიცი, რომელ მომღერალს რა სიმღერა უნდა დაუწერო. მე ვარ ამ საქმის პროფესიონალი. გუშინ ხომ არ დამიწვია კომპოზიტორობა?

— ფინანსური მხარით მაინც თუ ხართ დაინტერესებული?

— არანაირად.

შეიძლება ითქვას, უარეს მდგომარეობაში ვარ ამ მხრივ. თუ მომღერალი ჩემს სიმღერას იმღერებს, „არტ-იმედი“ ყილულობს და შემდეგ, მე ამ სიმღერას ჩემს ალბომში ვეღარ შევიტან...

— ახლა, ცოტა რამ თქვენს ოჯახზეც მიაბნეთ.

— მეავს მეუღლე — აჩიკო ახვლედიანი და შვილი — 5 წლის გეგი. აჩიკომ პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, მაგრამ პროფესიით არ მუშაობს, საკუთარი ბიზნესი აქვს.

— შოუბიზნესთან ხომ არა აქვს შეხება? როგორ აფასებს თქვენს შემოქმედებას?

— სხვათა შორის, კრიტიკულად აფასებს ყველა ჩემს სიმღერას. შოუბიზნესის მცირე ნაწილთან აქვს ურთიერთობა: ე.ი. იმ ხალხთან, ვინც ჩემთან მეგობრობს და ჩემს ოჯახში ტრიალებს. ძალიან მეხმარება, ხელს მიწყობს შეძლებისდაგვარად.

— გჭირდებათ თუ არა განმარტობა სიმღერის დასაწერად?

— შენ წარმოიდგინე, რომ არა. ხშირად, ტელევიზორი ჩართულია, ჩემი ქმარი უყურებს და თუ დაინახა, რომ უცბად მივვარდი როიალთან და დაკვრა დავიწყე, იმწუთასვე ჩაუწვევს ხმას და მელოდება, როდის დავამთავრებ.

— მახსოვს, მითხარით — ჩემი სიმღერების უმეტესი ნაწილი, მეუღლესთან ჩხუბის მერე იწერებოდა. რატომ ჩხუბობდით ხოლმე?

— მაშინ შეყვარებულები ვიყავით. რაზე ჩხუბობენ ხოლმე შეყვარებულები? — ახალს ვერაფერს ვიტყვი, უმეტესად — ეჭვიანობის ნიადაგზე. ახლა, ამ თემაზე აღარ ვჩხუბობთ, ღმერთმა დაგვიფაროს, რა სისულელეა!..

— მაგრამ ეჭვიანი მაინც ხართ, ხომ?

— კი. ეჭვიანი მე უფრო ვარ, ვიდრე ჩემი მეუღლე. აჩიკო უბრალოდ, ძველი ქართული ტრადიციების მიმდევარი ადამიანია. „ძალიან ქართველია“, ყველა ქართული, მამაკაცური ღირსებით... რაც შემეხება მე — მხოლოდ ქმარზე კი არ ვეჭვიანობ, ასეთი ვარ მეგობრებთან, დედასთან, შვილთან ურთიერთობაშიც, მაგალითად — მამამისს ჩემზე მეტს ხომ არ ეფერება-მეთქი, — ვფიქრობ ხოლმე (იცინის)...

— როგორი დიასახლისი ხართ?



5 წლის გეგისთან ერთად

— იცი, რა... არსებობენ ბევრად უფრო კარგი დიასახლისები (იცინის)...

— დაუნანებლად რაში ხარ-ჯავთ ფულს?

— სუპერმარკეტებში — გემრიელ საჭმელებსა და ფესსაცემელში.

— მაგნე ჩვევა თუ გაქვთ?

— მაქვს, მაგრამ რა — არ გეტყვი.

— მაშინ, დადებით თვისებებზე მითხარით..

— მგონია, რომ ერთგული, უღალატო აღამიანი ვარ.

— უახლოეს გეგმებზე რას მეტყვიო?

— ახლა ვისვენებ. წინასახალწლო პერიოდმა ძალიან დამალა. ორი კვირა, ფაქტობრივად, სტუდიაში ვცხოვრობდი. ყველას საახალწლოდ უნდოდა სიმღერის ჩაწერა. ახალბედა მომღერლებმაც ჩაწერეს ჩემი სიმღერები, რომლებიც ჯერ არ აუღერებულა. ვიმუშავე მერაბ სეფაშვილთან, ლელა წურჭუჭყაძისთან. ახლა, აჩიო მეფარიძისთან ვმუშაობ.

P.S. 2002 წელი რუსა მორჩილადისთვის, არცთუ ისე სახარბიელო უნდა ყოფილიყო. ამ უკანასკნელმა მიწისძვრამ, ბევრი თბილისელი უსახლკაროდ რომ დატოვა, არც მას აუარა გვერდი: იმ დამით, ქალბატონი რუსა, მისაღები ოთახის შუაგულში, ჭალის ქვეშ მჯდარა. ბიძგების დროს, ლატუნის 50-კილოგრამიანი ჭალი ჩამოვარდნილა და თავზე დასცემია. სწორედაც რომ ღვთის მადლით გადარჩენილა პოპულარული კომპოზიტორი...



როსა მორჩილადის ზუსტად — ახსოვდება...

ჩვენს საყვარელ მსახიობებს ვხედავთ სცენაზე, ერთი, კონკრეტული გმირის როლში. ზოგჯერ მათი ხილვა ქუჩაში, კაფესა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებშიც შეგვიძლია. მაგრამ არსებობს ადგილები, სადაც მაყურებელი ვერ აღწევს, სადაც ხდება მსახიობის გარდასახვა იმ გმირად, რომელსაც სცენაზე ვხედავთ. ეს კულისები და საგრიმიოროა. „კულისები“ ამ პროცესისთვის თვალის შეფლებას ეცდება...

ნათია თენიშვილი

ამჯერად ვხახავთ, თუ როგორ ემზადება მსახიობი ნიკო გომელაური იმ როლის სათამაშოდ, რომლისთვისაც სულ ცოტა ხნის წინ, კოტე მარჯანიშვილის პრემიით დაჯილდოვდა.

ფართობით მცირე, „თავისუფალ თეატრს“, ძალიან პატარა საგრიმიოროები და კულისები აქვს. ერთ ოთახში გრიმს ნიკო გომელაური, რამაზ იოსელიანი და სლავა ნათენაძე იკეთებენ, ისინი სპექტაკლისთვის — „კომედიანტები“ ემზადებიან. ეზო უკვე სავსეა მაყურებლით. სპექტაკლის დაწყებამდე 15 წუთია დარჩენილი. ნიკო სახეზე ტონს იღებს. ამ როლისთვის მას ბევრი გრიმი და განსაკუთრებული ტანსაცმელი არ ესაჭიროება.

თავდაპირველად, ნიკოს მარჯანიშვილის პრემია მივულოცე, რაზეც მიპასუხა:

— სამწუხაროდ, შარშან, ახალ სპექტაკლში თამაში ვერ მოვასწარი, მაგრამ ძველი სპექტაკლები ისევ ანშლავით მიღის. იყო პოეზიის საღამოები, გამოცეცი რუსული ლექსების კრებული — Прорвёмся და აი, ის წელი მარჯანიშვილის პრემიით დაგვირგვინდა. ეს ჩემთვის პირველი, ოფიციალური ჯილდოა. ბოლო წამამდე მეგონა, რომ რაღაც, სხვანაირად იქნებოდა...

— ნიკო, ზოგი ამას როლში



შესვლას ეძახის, ზოგი — გარდასახვას. როდის ხდება ეს ყველაფერი — ახლა, როცა საგრიმიოროში ზიხარ და როლისთვის ემზადები თუ მაშინ, როცა სცენის ზღურბლს გადააბიჯებ?

— ეს ყველაფერი ხდება რეპეტიციების დროს. მე პირადად, არ მივეკუთვნები იმ არტისტების რიგს, რომლებიც ორი საათით ადრე მოდიან და როლისთვის ემზადებიან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ცუდი მსახიობები არიან და მე — კარგი. ყველას, თამაშის საკუთარი ხერხი აქვს. მე თეატრში მოვდივარ ზუსტად იმდენი ხნით ადრე, რომ თუ გრიმი გასაკეთებელი — გავიკეთო, ცოტა — მეტყველების აპარატი გავავარჯიშო, ტანსაცმელი გამოვიცვალო და სცენაზე გავიდე. რაც შენ მკითხე, იმ მარცვლის პოვნა რეპეტიციაზე ხდება. როცა იპოვი, მერე სულ შენთან არის. გადისარ სცენაზე, თამაშობ. გამოდიხარ და ისევ ის აღამიანი ხარ, რაც — ცხოვრებაში.

— როგორ გუნებაზე ხარ ახლა და თუ მოქმედებს შენი გუნება-განწყობა იმაზე, თუ როგორ ითამაშებ?

ერთგული პიტიხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგივირდ-
ებათ პასუხის გაცემა...

**1. პურის ცხობა ადამიანე-
ბმა ჩვ.წ.აღ-მდე V-IV საუკუნე-
ში დაიწყეს. ვინ ითვლებიან
ამ საქმის პიონერებად?**



- ა) ქართველები;
- ბ) რომაელები;
- გ) ეგვიპტელები.

**2. რამდენი წლისაა მოახ-
ერსა თავენი პირველი ფილმ-
ის გადაღება სტივენ
სპილბერგმა?**



- ა) 22;
- ბ) 16;
- გ) 31.

**3. რომელია ყველაზე
თხილი ზღვა მსოფლიოში?**



- ა) წითელი;
- ბ) შავი;
- გ) ყვითელი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

— როგორ ცუდ გუნებაზეც არ უნდა
ვიყო და რა პრობლემაც არ უნდა მო-
მყვებოდეს სახლიდან, თეატრში შემოსე-
ლისთანავე, ეს ყველაფერი მაგიწყდება.
თუ რაიმე პრობლემა თეატრში და რაიმე
აქ არ გამოძდის, ის შინაც მიმყვება, პირი-
ქით კი — არა. არა გაქვს უფლება, მაყ-
ურებელს შენი გუნება-განწყობა მოახვიო
თავს.

**— მესმის, რომ დღეს პრე-
მიერა არ არის და ეს სპექტაკლი
ძალიან ბევრჯერ გაქვს ნათა-
მაშები, მაგრამ მაინც — საერ-
თოდ, არ გეშინია?**

— რა თქმა უნდა, ისე არ ნერვიულობ
მეასე სპექტაკლზე, როგორც პირველზე.
დღესაც ვგრძნობ გარკვეულ მღელვარე-
ბას, ეს უფრო, პასუხისმგებლობის გრძობაა
იმ მაყურებლის წინაშე, რომელიც შენს
სანახავად მოვიდა.

**— რა გაქვს საერთო ოთარ-
თან — იმ გამირთან, რომელიც
დღეს უნდა ითამაშო?**

— იმ როლებს შორის, რაც ამ ბოლო
დროს მითამაშია, „კომედიანტების“ პერ-
სონაჟი უსაყვარლესია. გარდა იმისა, რომ
ოთარიც მსახიობია, ვფიქრობ, მეც ცოტა
სენტიმენტალური ადამიანი ვარ, ისევე,
როგორც ის. საერთო მეტი არაფერია.
უბრალოდ, ამ როლიდან დიდი იმპულსე-
ბი მოდის და ამიტომ მიყვარს ძალიან.

**— თუ გქონა ისეთი შემთ-
ვევა, როცა ან ტექსტი დაგა-
ვინყდა, ან რაიმე გაუთვალ-
ისწინებელი რამ მოხდა სცენაზე?
ამ დროს როგორ იქცევი
ხოლმე?**

— შეიძლება, რაღაც ამოგივარდეს
თავიდან, ან რაიმე მოხდეს, მაგრამ ამას
დიდი მნიშვნელობა არა აქვს. შენ ხომ

იცი — რას აკეთებ და რა ჩარჩოებში
უნდა იმოქმედო. ყველა შემთხვევაში, პარტ-
ნიორებთან ერთად პოულობ რაღაც გა-
მოსავალს. როგორც წესი, მაყურებელი
ამას ვერ ამჩნევს.

**— მაყურებლის სწორ რეაქ-
ციას რა მნიშვნელობა აქვს
შენთვის, როცა სცენაზე დგახ-
არ?**

— ყველაზე დიდი მნიშვნელობა
სწორედ ამას აქვს. თუ ორივე მხარე —
პარტერი და სცენა არ არის მჭიდროდ
დაკავშირებული და მაყურებლისგან მუხტი
არ მოდის — ე.ი. ან შენ ვერ თამაშობ, ან
რაღაც სხვა ხდება. მსახიობები ხშირად
ვამბობთ ხოლმე: დღეს, რაღაც ცუდი მაყ-
ურებელი მოვიდაო, — მაგრამ უფრო
ხშირად, ალბათ, ჩვენში ხდება რაღაც. ამ
დროს ბრძოლა მიმდინარეობს — რქებით
აწევები რაღაცას, ცდილობ ჩაავლო, ქაჩავ
და, ბოლოს და ბოლოს, რაღაცნაირად
ახერხებ იმას, რომ მაყურებელიც აგყვეს.
ზოგჯერ, შენ სხვაგან ხარ, მაყურებელი —
სხვაგან. თუ ასეა, მაშინ ცუდი სპექტაკ-
ლი გამოდის...

— პარტნიორებზე რას იტყვი?

— ბედნიერებაა ისეთ პარტნიორთან
მუშაობა, როგორც რამაზ იოსელიანია;
ასევე — ირინა მელვინეთუხუცესი, სლავა
ნათენაძე, მაიკო დობორჯგინიძე და სხვე-
ბი, ვინც ამ სპექტაკლში მონაწილეობენ.
მე მგონი, ძალიან კარგი გუნდია. ყველა
ნიუანსი თამაშდება. არც ერთი პარტ-
ნიორის „პაღაჩა“ არ რჩება უპასუხოდ.
როცა ასეთი ურთიერთობაა სცენაზე, მა-
შინ სპექტაკლი კარგი გამოდის.

ნიკო სპექტაკლისთვის უკვე მზად
იყო. დარბაზში ზარის ხმა გაისმა და
ჩვენც საკრიმიორო დავტოვეთ...



aivanze gavida da suli ufals miabara...

13 იანვრის ღამეს, მაშინ, როცა მთელ ქალაქში საახალწლო შუშუნებს ისროდნენ, ვაზისუბანში შემზარავი ამბავი მოხდა. 22 წლის ნიკო (ნიკუშა) ნიკოლაძემ სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაასრულა... განათლებულმა, ნიჭიერმა, პერსპექტიულმა ახალგაზრდა კაცმა, როგორც

ამბობენ, სიყვარულის გამო მოიკლა თავი... განუსაზღვრელია იმ ადამიანების მწუნარება, ვინც მას იცნობდა. ყვავილების ზღვა და სიმწრის ცრემლი მიაცილებს ამ ქვეყნიდან მას, ვინც ყველანი გოცნებულები დატოვა დიდი, გულწრფელი და არამინიერი სიყვარულის გამო.

ლეკა ჭანკოტაძე

ბატონი **მანო ნიკოლაძე**, ნიკუშას მამა:

— ბავშვობიდან ჭიდაობდა, ბევრ შეჯიბრში აქვს მონაწილეობა მიღებული, აგრეთვე ბევრ ქვეყანაშია ნამყოფი. ჯერ აქ, ვაზისუბნის საშუალო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ ოლიმპიური სკოლა დაამთავრა. მისი მწვრთნელი გია გალდავა იყო. მის ხელში გაიზარდა. სპორტს არ გაჰყოლია, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარება არჩია. უცხო ენები იტაცებდა, კომპიუტერთან მუშაობა უყვარდა. უცნაური და დაუდგრომელი ბავშვი იყო. უამრავი მეგობარი ჰყავდა, თანაც — ყველა ასაკის. სამსახურში 10 და 20 წლით უფროს ადამიანებთან მეგობრობდა. უცნაური ბიჭი უცნაურადაც წავიდა ამ ქვეყნიდან. მისი სიცოცხლე გაელვებასავით იყო, ძალიან მალე დამთავრდა...

— სად მუშაობდა ნიკო?

— ჭიდაობის ფედერაციაში ძალიან საპასუხისმგებლო საქმე ებარა. მე თვითონ მთელი ცხოვრება სპორტს მივუძღვენი. ჩემ გარშემო სულ სპორტსმენები ტრიალებდნენ. უამრავი ცნობილი ადამიანი ჩემი გაზრდილია. ნიკუშას სამსახურის შოვნა არ გაუჭირდებოდა. ერთ კვირაში, სპორტის დეპარტამენტში, ირაკლი მემმარიაშვილთან უნდა გადასულიყო სამუშაოდ...

— თქვენ თვითონ თუ ავარჯიშებდით ნიკუშას?

— საერთოდ, მშობელი მწვრთნელად არ გამოდგება, თუმცა, მაინც ხშირად ვავარჯიშებდი. ჩემი დიდი ხათრი ჰქონდა. ბუნებრივია, არ მიყვარს, სიგარეტს რომ ეწევიან, მაგრამ ვხვდებოდი, ნიკუშა რომ ეწეოდა. სურათი გადაუღია სიგარეტით ხელში და ბებიასთვის უთქვამს: ეს სურათი დანიე — მამამ არ ნახოსო... რამდენიმე ხნის შემდეგ, ვუ-

თხარი: ვიცი, რომ ეწევი და ნულარ დაიმალება, თავისუფლად მოსწიემეთქი. მაინც არ მოუწევია ჩემს დასანახავად... ბოლო დღეს, როცა ეს უბედურება მოხდა, ვთხოვე: იყიდე სიგარეტი და მოსწიემეთქი... აღარ დასცალდა. ასეთი უცნაური ბიჭი იყო...

— გიზიარებდათ ხოლმე გულიანადებს თუ ზედმეტად გულჩათხრობილი იყო?


— გულჩათხრობილი გახდა ცხოვრებამ. რა დღესაც ის გოგო ცოლად შეირთო, ერთი წლის შემდეგ, ზუსტად იმ დღეს მოიკლა თავი. ძალიან უყვარდა. ერთმანეთი უნივერსიტეტში გაიცნეს, ერთად სწავლობდნენ. ერთმანეთზე გიჟდებოდნენ, ტელეფონით ღამის სამ საათამდე ლაპარაკობდნენ ხოლმე. მერე, დედამისმა, რომ დაეშორებინა, ნინო ორი წლით ინგლისში გაგზავნა. იქიდანაც სულ გვირეკავდა. მეხვეწებოდა: ვანო ძია, ნიკო გამოაგზავნეთო. ასე იოლი იყო ინგლისში გაგზავნა?! შარშან, ძველით ახალ


წელს, ნიკუშა და ნინო დედაჩემთან, სოფელში გაიპარნენ. ნინოს დედა გადაირია... ნინოს დააძალა: დაწერე, რომ დედა არ გინდა და ეს (ნიკუშა) გინდაო. ნინომ დაწერა. ეს წერილი შენახული მაქვს. სამი დღის შემდეგ, ნინოს დედამ ვიდაც ქალი გამოგზავნა და ნოტარიუსით დამოწმებული საბუთი გამოატანა, სადაც წერდა — ჩემს შვილზე უარს ვამბობო...

— რატომ არ უნდოდა ნიკუშა სიძედ?

— ყველა მაგას კითხულობს. პასუხი არ გვაქვს... ნინომ ჩვენს ოჯახში მხოლოდ სამი თვე იცხოვრა. ერთხელ, ძმამ დაურეკა და სთხოვა: მოდი, დედა უნდა შეგირიგდესო. ნინო წავიდა. გალანა თურმე და ოთახში ჩაკეტა, მაგრამ ძმას შეეცოდა, გამოაპარა და ნინო ისევ მოვიდა... ცხადია, დედის ასეთი პოზიციის გამო, არჩევანის წინაშე დადგა — ქმარი თუ დედა... ერთ დღესაც, წავიდა დედამისთან. ნიკუშამ გააცილა. ხვევნა-კოცნით დასცილდნენ ერთმანეთს. არ ვიცით, მერე რა მოხდა. ფაქტია, რომ აღარ მოვიდა. ნიკუშა განიცდიდა. დრო რომ გავიდა, მეგონა, რომ დაივიწყა, მაგრამ თურმე მასთან დაკავშირებას ცდილობდა. როგორც იქნა, ტელეფონით დაელაპარაკა. ნინომ თვითონ დაურეკა და უთხრა: დედაჩემი გერმანიაში მაგზავნისო... თუ ასეთი კარგი იყო ჩემი ბიჭი და თუ მთელი ქალაქი იცნობდა, არ ვიცოდი... აი, ასე ძლიერ შეუყვარდა. ხდება მსგავსი ამბები... პირადად მინახავს და გამოგონია... დედაჩემი მეუბნებოდა: ისე ეფერებოდნენ ერთმანეთს, ვუთხარი — სირცხვილია საზოგადოებაში კოცნაო... რა ვქნა, ძალიან მიყვარსო, — უპასუხია ნიკუშას. ნინოს კი ნიკუშასთვის უთქვამს: მე ათჯერ მეტად მიყვარხარო...

— ნინო არასრულწლოვანი





ნიკუშა თანაკლასელთან ერთად

იყო, როცა ნიკუშამ ცოლად შეირთო?

— არა. ნინო და ნიკუშა ტოლები არიან... ნინოსგან ცული არაფერი მახსოვს. ცული ბავშვი არ იყო. ტყუილს ხომ არ ვიტყვი!..

— თქვენ ატყობდით ნიკოს, ძალიან რომ განიცდიდა ნინოსთან განშორებას?

— ადრე, როცა ნინო წავიდა, ჩემმა შვილმა მითხრა: თავი უნდა მოვიკლაო. რატომ უნდა მოიკლა თავი-მეთქი? — ვკითხე. — იმიტომ, რომ ნინოც მოიკლავს თავს, ისე გვიყვარს ერთმანეთი და საიქიოში შევხვდებითო... სულ ახლახან უთქვამს: არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი წელი გავა — ერთი, ორი თუ ათი, — მაინც ჩემი ცოლი იქნება, ისე მიყვარსო... მორწმუნეც იყო ნიკუშა. მაინც ვერ გადალახა ეს ტკივილი. როგორც ჩანს, ამ დღისთვის ემზადებოდა. იარაღი მას არ ჰქონდა. ბოლოს, ფეხსაცმლის ფული გამომართვა. რომ არ იყიდა, ვკითხე — ფული სად არის-მეთქი? მიჩვენა.

— ფიქრობთ, რომ იმ თანხით იარაღი იყიდა?

— ალბათ. ეს ჩემი ვერსიაა. ოჯახში დანაც კი არ გვაქვს. მე მქონდა იარაღის კოლექცია, მაგრამ ნიკუშა რომ წამოიზარდა, ჩემმა მეუღლემ გადაყარა. სულ კუდში დაკვევდით, ვაკონტროლებდით... დმერთის წყალობით, არაფერი აკლდა. ჩემი შრომით ვინახავ ოჯახს... ცხრა იანვარს, ნინო გერმანიაში რომ წავიდა, ნიკუშა სახლში არ მოსუ-

ლა. ორი ღამე თავის დასთან გაათენა. მერე, ჯარჯისთან დარჩა, შემდეგ პაპუნასთან (მეგობრები. — ავტ.). ცამეტ იანვარს მოვიდა შინ... ვისაუბრეთ. შემდეგ, დედამისმა დაინახა, რომ ხელში იარაღი ეჭირა, იკვირა: რად გინდა? საიდან გაქვსო? — ახალ წელს, უნდა გავისროლოო, — უპასუხა. თორმეტს რომ ათი წუთი დააკლდა, აივანზე გავიდა და ისროლა... ნეტავ, ჩემი შვილი იყოს უკანასკნელი, ვისაც ასეთი რამ შემთხვა, ნეტავ, ყველას შვილი გადარჩეს!.. აქვე,

ჩემი შვილის სახელზე კლუბი უნდა გავხსნა. ბიჭები, იმის მაგივრად, რომ ქუჩაში იდგნენ, იქ შეიკრიბებიან ხოლმე...

მიხ ბაღდავა, ნიკოს მწვრთნელი:

— კარგი ბიჭი იყო. ყველას ძალიან შეგვაყვარა თავი. მშობლებს უზომოდ პატივს სცემდა. რამდენიმე წლის წინ, აშშ-ში ვიყავით. მოჭიდავეებს სხვადასხვა ოჯახში უწევდათ ცხოვრება. ერთმანეთს დაკეშვიდობეთ: მე რამდენიმე სპორტსმენთან ერთად მეორე დღეს, თბილისში მოვფრინავდი, ნიკუშა კი, კიდევ ორი თვე უნდა დარჩენილიყო... ინათა თუ არა, სანამ ბარგს შევკრავდით, ნიკუშა თავზე დაგვაღება. რა გჭირს-მეთქი? — შეშინებულმა ვკითხე. — ორი თვე მამაჩემის უნახავად ვერ გავძლებ — მეც თქვენთან ერთად მოვდივარო... წელს გაზაფხულზე ისევ გვიწევს აშშ-ში რამდენიმე თვით წასვლა. ნიკუშას წინასწარ ვაფრთხილებდი: იცოდე, იმ პირობით წამოხვალ, თუ იქ დარჩები და უკან არ გამოგვეკიდები-მეთქი... ასეთი ბიჭი იყო. ყველა უყვარდა. დიდი გული ჰქონდა. ინგლისური ისე კარგად იცოდა, რომ ფედერაციაში, ნიკუშას გარდა, ტექსტს ვის ვათარგმნინებდით?!. იმ საბედისწერო ღამეს, თურმე მეგობრებს დაურეკა: ჩემთან მოდიოთ... ოჯახში საზეიმო სუფრა გაშალეს. მან კი, თავისი ოთახის კარი გააღო, აივანზე გავიდა და... სული უფალს მიაბარა...

უბედური შემთხვევა „იტალიურ“ ეზოში

თბილისში, 20 იანვარს, დღის 4 საათზე, იტალიური ტიპის ეზოში კიდევ ერთი ხანძარი გაჩნდა. ამჯერად მსხვერპლი 27 წლის კახა ფოცხვერაშვილი აღმოჩნდა. შეგახსენებთ, რომ მსგავსი ფაქტი ახალი წლის დღეებშიც დაფიქსირდა და ხანძარს ოჯახის სამი წევრი ემსხვერპლა.

მარჯანიშვილის ქუჩის №43-ში მდებარე იტალიურ ეზოში ცეცხლი ორსართულიანი სახლის მანსარდას გაუჩნდა. როგორც გაირკვა, ფოცხვერაშვილი იქ მდგმურად ცხოვრობდა. ხანძრის შედეგად ის ადგილზევე გარდაიცვალა. აღნიშნულ ფაქტზე მოკვლევას დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურა აწარმოებს, თუმცა ხანძრის მიზეზს ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებენ.

ნადირობისას ტყვია შემთხვევით ბიძაშვილს ესროლა

2003 წლის 19 იანვარს, თეთრიწყაროს რაიონში, ტრაგიკული შემთხვევა მოხდა: ავთანდილ წითლაურს ნადირობისას საკუთარი ბიძაშვილი შემოაკვდა. მოკლული, თბილისის ტელეანძის ღირექტორი — ნუგზარ ბეკარიშვილი გახლავთ.

სანადიროდ წასული ნუგზარ ბეკარიშვილი და ავთანდილ წითლაური დროებით ერთმანეთს დაშორებიან და ნადირის საპოვნელად, სხვადასხვა მიმართულებით აუღიათ გეზი. მოულოდნელად, წითლაურს ბუჩქებიდან თურმე ხმა შემოესმა, ნადირი ეგონა და ტყვია იქითკენ ისროლა. აღმოჩნდა, რომ იმ ტყვიით მან საკუთარი ბიძაშვილი დაჭრა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა, ნუგზარ ბეკარიშვილს ტყვია თავის არეში მოხვდა.

ავთანდილ წითლაურმა „სასწრაფო დახმარება“ მამინვე გამოიძახა. დაჭრილი, საავადმყოფოში ვერტმფრენით გადაიყვანეს, დახმარებაც მამინვე გაუწიეს, მაგრამ ამაოდ. რამდენიმე წუთში ის გარდაიცვალა.

მომხდართან დაკავშირებით, თეთრიწყაროს რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობის მუხლით აღიძრა. პროკურატურა გამოძიებას აწარმოებს. ბრალის დადასტურებას შემთხვევაში, წითლაურს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის.

«სეპირალ ვისი, როგორ გერიტორიაში რა თანხაა გარასლილი...»

გიორგი კარაბელაშვილი
თბილისის ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ, თათბირს თათბირზე ატარებს და გვაიმედებს, რომ დაახლოებით ორ კვირაში, უკვე რეალურ შედეგებზე იქნება შესაძლებელი ლაპარაკი... საკრებულოს ახლანდელი თავმჯდომარის — მისეილ სააკაშვილის მინისტრობის დროინდელი — უკანონო მშენებლობების თემა, არაერთ სხვა პრობლემასთან ერთად, კვლავ აქტუალური გახდა...



ნინო ჯავახიშვილი

— კატასტროფული მდგომარეობაა — თუ შეიძლება, ორი სიტყვით შევფასოთ ის, რაც თბილისში ხდება. ბევრს უნდა, რომ ჩვენს ბრძოლას უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ, სხვა სარჩული დაუდოს და თქვას: აი, ხედავთ? ამათ, ქვეყნის ამენება კი არა — დანგრევა უნდათ... ნეტავ, ვინმემ რაიმე ააშენოს... მაგრამ არ დავუშვებთ იმას, რომ ამით სხვა — იქ მცხოვრები დაინაგროს, ქალაქის იერსახე დამახინჯდეს და ა.შ. ელემენტარულად, დანაშაული არ არის, ფიჭვნარს რომ გაჩეხ და იქ საჩოგბურთო კორტებს ან რაღაც ნაგებობას ააშენებ? სუნთქვა ხომ გვინდა! განუკითხოთ და უკანონობა ყველგან. ყველაფერი უკვე გაყიდულია! პირდაპირ გამწვანების ზოლში იწყებენ მშენებლობებს. რიგით ადამიანებს ხომ არ შეუძლიათ ამის გაკეთება?

— თქვენ როგორ ფიქრობთ — ვის მიუძღვის ლომის წილი უკანონო მშენებლობების დაკანონებაში? ქალაქის მთავარ არქიტექტორზე იყო გარკვეული მინიშნება...

— თავისთავად! არც მინდა ვილაპარაკო ამ ადამიანებზე, რომლებიც წლების მანძილზე ამ სფეროში მუშაობდნენ. გამორიცხულია, რომ მათი ხელმოწერის გარეშე რაიმე აშენებულიყო. დღეს გაირკვა, რომ ბაგების სტუდენტების მიმდებარე ტერიტორია — 4 ჰექტარი, 1997 წელს ვიღაცამ შეისყიდა, მაგრამ საბუთებს ჯერ ვერ მივაკვლიეთ. რამდენიმე თვის წინ, იქ ხანძარი გაჩნდა (ცეცხლი განზრახ წაუკიდეს თუ მართლა, შემთხვევით გაჩნდა — ესეც გასარკვევია) და 500-მდე ძირი ნაძვი დაიწვა. ბაგების მოსახლეობა

ძალიან შემფოთებულია; ასახელებენ კონკრეტულ გვარებს და იმუქრებიან, რომ რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, ფიჭვნარის გაჩეხის და იქ მშენებლობის უფლებას არავის მისცემენ.

— იმ ტერიტორიის მფლობელად მართლაც, ბევრი ცნობილი ადამიანი დასახელდა: ზურაბ შვანია, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე და სხვები. თქვენც განაცხადდეთ, რომ არ შეგეშინდებათ და კონკრეტულ გვარებს დაასახელებთ...

— შეშინებით არ შეშინებია, მაგრამ ძალიან ძნელია, ჭორებზე დაყრდნობით სერიოზული განცხადებების გაკეთება. ჯერჯერობით, იმის თქმა, თუ ვისია ესა თუ ის ტერიტორია, ძნელია. მე თქვენი ინფორმაციისგან სრულიად განსხვავებული ცნობები მაქვს. ერთი რამ კი შემიძლია, დანამდვილებით გითხრათ: თბილისი პატარა ქალაქია და აქ არაფერი იმალება — დღეს, ვიღაც ქრთამს რომ აიღებს, ხვალ ყველას ეცოდინება... ზეპირად ვიცი, რომელ ტერიტორიაში რა თანხაა გადახდილი, ასობით ათასებზეა ლაპარაკი!.. კარგად ვიცი, 9 აპრილის ბაღშიც დიდი ფული რომ არის გადახდილი, თუმცა ამჟამად, მშენებლობა შეჩერებულია და საფრანგეთის საელჩოსთან მიმდინარეობს მოლაპარაკება... ერთი სიტყვით, მალე გავარკვევთ, ვინ რატომ აწერდა ხელს დოკუ-

მენტებს. „უნებლიე“ შეცდომა ძალიან ბევრია, რაც სერიოზულ ეჭვს ჰბადებს.

— მაინც, რის გაკეთებას აპირებთ? თქვენი აზრით, რეალური გამოსავალი არსებობს?

— სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან ძნელია იმის უკან დაბრუნება, რაც გაყიდულია. რა გგონიათ — მერიის იურიდიული სამსახური მოუგებს ვიღაც მილიონერს თუ მილიონერ ფირმას?! ვერ მოუგებს! ერთ ფაქტს მოგიყვანთ ამის დასადასტურებლად: ვერაზე, ამ ძირძველ უბანში, სვანიძის ქუჩაზე, რომელიღაც ფირმამ სამი 13-სართულიანი კორპუსი ისე წამოჭიმა, რომ დღესაც არსადაა გაფორმებული. ამ ფირმის განცხადებაც არ არსებობს. სასამართლო კი, ჩვენ გვავალებს — იქ მცხოვრებთ ბინები გაუფორმეთო. მოსამართლე ყაჭვიშვილმა ქალაქის „აღმშენისსპექციის“ სარჩელის საფუძველზე დაადგინა, რომ არ დაკმაყოფილდეს „აღმშენისსპექციის“ სარჩელი, წინასწარი უზრუნველყოფის მიზნით, სვანიძის ქუჩის №10-ში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შეჩერების თაობაზე. განჩინება არ გასაჩივრდება! მხოლოდ 3.000 ლარით დააჯარიმეს ფირმა, რომელმაც უპრობლემოდ გადაიხადა ეს თანხა და მშენებლობა გააგრძელა. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია! მაგრამ ასეთი ქაოსი და განუკითხოლობა მაინც არ გვაშინებს. ამაზე უარეს დღეში მყოფი ქვეყნებაც დამდგარა ფეხზე. მთავარია, სახელმწიფოებრივი ნება არსებობდეს. ბოლოს და ბოლოს, ჯაჭვი სადღაც ხომ უნდა გაწყდეს?

— რაც შეეხება ნაგავსაყრელების თემას — ამბობენ, იქ დიდი ფული კეთდება და ეს ფული მერიამდეც მიდისო...

— ნაგავსაყრელებზე ათასობით ღორი ჰყავთ გაშვებული „საბალახოდ“ და ფულიც კეთდება, მაგრამ სად მიდის ის ფული — რა გითხრათ? ჩემთან და ვანო ზოდელავასთან ნამდვილად რომ არ მოდის, ამის თქმა შემიძლია. სადღაც ილექება და ალბათ არა მარტო მერიაში. თქვენ როგორ ფიქრობთ — საიდან მარაგდება რესტორნები, სად მიდის ამდენი ზორცი? აწყობილ სისტემასთან გვაქვს საქმე... არსებობს ნაგავსაყრელის აშენების რამდენიმე პროექტი და ალბათ მალე ამ პრობლემასაც მოეწვება. მოკლედ, ბევრი საქმეა გასაკეთებელი: უნდა მივხედოთ არქიტექტურას, ვიზუალური გზების კეთილმოწყობაზე, ავგადგინოთ ლიფტები, ავაშენოთ სტადიონები, მივხედოთ ბაზრობებს. გაბრდებით, რომ სულ რაღაც ორ-სამ კვირაში, უკვე გარკვეულ შედეგებზე ვისაუბრებთ.

სადისკური ეკვლეობა ნიკოლეიშვილის ოჯახში

„ვალერის სისხლში საკუთარ ცოლს აქვს ხელეზი გასვრილი“



ვალერი ნიკოლეიშვილი და ფატიმა იატუევა შვილთან ერთად

ამბავი, რომლის შესახებაც ახლა მოგ-ითხრობთ, ორი წლის წინ, სამტრედიის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მომხდარ საზარელ მკვლელობას ეხება. მსხვერპლი 34 წლის ვალერი ნიკოლეიშვილი გახლავთ. საძინებელ ოთახში საეჭვო ხმაურზე შესულ ოჯახის წევრებს ის თავისივე სანოლზე უგონოდ და მთლად დასისხლიანებული დახვდათ. მკვლელობა, როგორც ამბობენ, ერთ აღუნერელი სისასტიკით იყო ჩადენილი: ვალერი ნიკოლეიშვილი საშინლად იყო დასახინრებული, თავის ქალა — კერძოდ, შუბლი, რამდენიმე ადგილას ჩატეხილი ჰქონდა, კბილები — ჩამსხვრეული, სახა — გახლერილი...

მეზი სანავა

ლოგინი, რომელშიც ის იწვა, სისხლით მთლად წითლად შეღებილიყო, შხეფები კედელსაც ეტყობოდა... ნანახით გაოგნებული ოჯახის წევრები და უკვე მოგროვილი მეზობლები, კიდევ უფრო შეძრწუნდნენ, როდესაც ეზოში, სახლთან ახლოს დავდებული, გასისხლიანებული ჩაქუჩი და რეზინის ხელთათმანი იპოვეს. მკვლელობის სურათი მაშინვე ყველას წარმოუდგა თვალწინ: ხელთათმინანი მკვლელი ჯერ სახლში შეიპარა, შემდეგ ფეხაკრეფით საძინებელში შევიდა და მძინარე კაცს თავში ჩაქუჩი რამდენჯერმე ძლიერად ჩასცხო.

თუმცა, ყველაზე საინტერესო რამ სწორედ მაშინ მოხდა, როცა ხალხი მკვლელობის იარაღს დაჰყურებდა. ოჯახის უფროსმა, მოკლულის მამამ — ნოდარ ნიკოლეიშვილმა თავისი ჩაქუჩი შეიცნო, რომელსაც ის სახლის საკუჭნაოში ინახავდა. ამის შესახებ მან გარემომოყოფთ მაშინვე უთხრა: „ადგილი, სადაც ჩაქუჩს ვინახავდით, მხოლოდ შინაურებმა ვიცოდით“, — დასძინა მოკლულის მამამ. იმავე წუთს, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მკვლელობაში ოჯახის რომელიღაც წევრი იყო გარეული. მოვიანებით, ის თავად მოკლულის ცოლი — 26 წლის ფატიმა იატუევა აღმოჩნდა...

თუმცა, ფატიმა იატუევა, რომელსაც, სხვათა შორის, აწ გარდაცვლილ მეუღლესთან სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავდა და ქმარ-შვილთან 11 წლის მანძილზე ცხოვრობდა, მარტო არ მოქმედებდა.

მომხდართან დაკავშირებით, პროკურატურაში საქმე აღიძრა. როგორც გამოძიების მასალები ცხადყოფს, განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გეგმა მან 22 წლის ბადრი (ვლადიმერ) ჩაჩუასთან ერთად შეადგინა. აღმოჩნდა, რომ ბადრი ჩაჩუა და ფატიმა იატუევა საყვარლები იყვნენ. ინტიმური კავშირი, რასაც არც ერთი უარყოფს და არც მეორე, მათ შორის ერთი წლის მანძილზე გრძელდებოდა.

ბადრი ჩაჩუა ქალაქ სამტრედიის ცხოვრობდა. უცოლშვილო გახლდათ და იმავე ქალაქში, თბილისის საბაზრო ეკონომიკისა და მართვის ინსტიტუტის ფილიალის მესამე კურსზე სწავლობდა. რაიმე დანაშაულში შემჩნეული არასდროს ყოფილა, პირიქით, ახლობლებსა და მეგობრებში თურმე ყოველთვის პატივისცემით სარგებლობდა. ასევე დადებითად ახსნიან მის მშობლებსაც, რომლებიც, როგორც ამბობენ, ერთადერთ ვაჟს თავს ევლებოდნენ.

ქალაქ სამტრედიის ცხოვრობდა ფატიმა იატუევაც თავის ქმარ-შვილთან ერთად. ის ძალიან ახალგაზრდა — 15 წლის გათხოვდა და ცოლად 23 წლის ვალერი ნიკოლეიშვილს გაჰყვა. აწ გარდაცვლილის ნათესავების თქმით, ვალერის, ფატიმა ძალიან უყვარდა, ამიტომაც ოჯახში სერიოზული კონფლიქტი არასდროს ჰქონიათ. „ვალერი მშრომელი, გულმართალი და უწყინარი კაცი იყო. მისგან ხმამაღალი სიტყვა არავის სმენია. ყოველთვის მუშაობდა და ცოლ-შვილს, რაც შეეძლო, ყველაფერს უკეთებდა“, — ამბობენ მეზობლები. თუმცა, თავად

ფატიმა ამას უარყოფს.

ფატიმა იატუევა (წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან): „...ვალერის, ოჯახში საკმარისი ფული ვერ შემოჰქონდა. ამის გამო, მე-ალეები მოვიძირავდნენ. თითქმის ყოველდღე გვაკითხავდნენ და ფულს გვთხოვდნენ. მე ქმრისგან, მუშაობას და ვალეების გადახდას მოვითხოვდი. მან კი, ამის ნაცვლად, სმა დაიწყო. თითქმის სულ მთვრალი იყო, მენახებოდა და მცემდა კიდევ. არაერთხელ ვთხოვე, სმისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ არ მიჯერებდა. ამდენი ჩხუბისგან ბავშვებიც აწიოკებულები მყავდნენ, მასთან ცხოვრება აუტანელი გახდა...“

ფატიმა იატუევას შვილები სკოლაში თავად დაჰყავდა. სწორედ სკოლასთან ახლოს გაიცნო ბადრი ჩაჩუა. მალე ისინი ერთმანეთს დაუახლოვდნენ.

ბადრი ჩაჩუა: „ფატიმასთან ინტიმური ურთიერთობა მქონდა. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, თუმცა სქესობრივი კავშირის დასამყარებლად, მასთან სახლში არასდროს მივსულვართ, ცალკე, სხვაგან დავდიოდით. თავიდან, მისი ოჯახის შესახებ არაფერი ვიცოდი. მხოლოდ რამდენიმე შეხვედრის შემდეგ მითხრა, რომ ქმარი და სამი შვილი ჰყავდა. ჩემთან ურთიერთობის სურვილი თავიდანვე, თვითონ ფატიმამ გამოთქვა და შემდეგაც, ჩვენი შეხვედრები მისი ინიციატივით ხდებოდა. ერთ დღეს მითხრა: ჩემი ქმარი უნდა გავაცნო. ეს 2000 წელს მოხდა, სამტრედიისაში, დისკოთეკაზე, საღამოს ვალერი გა-

იცანი. როგორღაც მე და ვალერი ერთ-მანეთს დაუვახლოვდით. ის მამაჩემის ახლო ნაცნობიც აღმოჩნდა. ფატიმასთან მას ხშირად ჰქონდა უთანხმოება, ვალერი ცოლს სცემდა. ამის შესახებ ერთხელ ჩემთანაც ისაუბრეს, მაშინ, ორივეს ვუთხარი: თქვენი ოჯახის საქმეები უჩემოდ გარკვეით-მეთქი, – და გადავწყვიტე, მათთან სახლში აღარ მივსულიყავი. ფატიმასთანაც შევწყვიტე ურთიერთობა. თუმცა, ის თავად მპოულობდა, მაკითხავდა და მსაყვედურობდა – ჩვენთან რატომ აღარ დადიხარო? იმავეს მეუბნებოდა ვალერიც. ამის შემდეგ, 2001 წლის ნოემბერს, ჩემს დაბადების დღეზე ორივენი, ცოლიც და ქმარიც დავაპატიჟე. ფატიმას ისევ დაუვახლოვდი. ამ კავშირის შესახებ ჩემი ოჯახის წევრებმაც, ნათესავებმაც შეიტყვეს. ყველა, ერთსა და იმავეს მიმორებდა: თავი დაანებე ქმრიან და სამშვილიან ქალს, ახალგაზრდა ბიჭი ხარ, ცოლი უნდა შეირთო და ნორმალური ოჯახი შექმნა, ცხოვრებას ნუ ირთულებო. მეც ვხვდებოდი, რომ ჩემი პირადი საიმოვნების გამო, ფატიმას შესაძლოა, ოჯახი დანერგოდა, მაგრამ თავს ვეღარ ვერეოდი და შეხვედრებს მაინც განვაგრძობდი. ვალერი ჩვენი ურთიერთობის შესახებ ვერაფერს ხვდებოდა. ერთი-ორჯერ თავის სოფელშიც კი წამიყვანა დასახმარებლად...”

2001 წლის 23 მარტს, ფატიმას მამამთილმა – ნოდარ ნიკოლეიშვილმა მასთან სოფელში ჩასვლა და შეილიშვილების ჩაყვანა სთხოვა. ფატიმას დედამთილი და მამამთილი სამტრედიის რაიონის სოფელ გომში ცხოვრობენ. იმ პერიოდში, ვალერი ნიკოლეიშვილი სამტრედიის კავშირგაბმულობის განყოფილებაში მუშაობდა. 2001 წლის მარტში, შევებულება აიღო და გომში გაემგზავრა. მთელი შევებულების მანძილზე იქ ცხოვრობდა, რათა ხანში შესულ მშობლებს სამეურნეო საქმეებში დახმარებოდა. 23 მარტს ცოლ-შვილს ის მოუთმენლად ელოდა.

ნოდარ ნიკოლეიშვილი:

„ფატიმა ბავშვებთან ერთად 5-საათიან ავტობუსს უნდა მოჰყოლოდა. რ საათიც გახდა, მაგრამ არსად ჩანდა. ვალერი ნერვიულობდა: ნეტავ, რატომ იგვიანებენო? მე და ჩემი მეუღლე ვაშ-ვიდედბით: ალბათ ხელი შეეშალა და გვიან წამოვიდა, არა უშავს, 8-საათიანს გამოჰყვება და 9-ისთვის უკვე სახლში იქნება-თქო. მაინც ვერ ისვენებდა, რამ-

დენჯერძე კიდევ შემეკითხა: ხომ ვითხრა, ჩამოვალო და ასე რატომ იგვიანებსო?“

გამოძიების მასალების მიხედვით, იმ დღეს, ფატიმა იატუევა სოფელში წასვლას მართლაც აპირებდა. მაგრამ გამგზავრებამდე, ის ბადრი ჩაჩუას შეხვდა. უთხრა, რომ ქმართან ცხოვრება აღარ შეეძლო, უნდოდა, მუდამ მასთან (ბადრისთან) ყოფილიყო და ამისთვის რამე აუცილებლად უნდა ელნათ. მაშინ მოილაპარაკეს იმაზე, რომ გაპარულიყვნენ. ფატიმამ გადაწყვიტა, ბავშვები ქმართან და დედამთილ-მამამთილთან დაეტოვებინა, იმავე ღამით კი, ბადრისთან ერთად გაქცეულიყო. მისი გეგმის თანახმად, მას ოჯახის წევრები უნდა დაეძინებინა. საამისოდ, ჩანთაში ერთი კოლოფი ფენაზეხაში ჩაიღო, რომელსაც მათ ყავაში ჩაუყრიდა. როცა ყველა დაიძინებდა, საყვარელთან ერთად გაიქცეოდა. ბადრი იმ დროისთვის გომში ჩასული უნდა ყოფილიყო და ფატიმას ჭიშკართან დალოდებოდა.

თუმცა, შესაძლო იყო, რაიმე დაბრკოლებაც შეხვედროდათ. ისინი საამისოდაც მოემზადნენ. ბადრი შინიდან წამოღებული სამედიცინო ხელთათმანებით შეიარაღდა. „ადრე, კარატეზე დავდიოდი, ზუსტად ვიცოდი წერტილები, სადაც უნდა დამერტყა, რომ კაცი გამეთიშა. ისიც ვიცოდი, რომ თუ რუხინის ხელთათმანებით დავარტყამდი, სხეულზე კვალს (ჩალურჯებებს და ა.შ.) არ დავტოვებდი“, – აღნიშნა მოგვინებით ჩაჩუამ. ერთ-ერთი ვერსიით, საყვარლებმა ვალერი ნიკოლეიშვილის მკვლელობაზეც მოილაპარაკეს.

ზაირა ნიკოლეიშვილი, მოკლულის დედა:

„საღამოს 9 საათისთვის, ჭიშკარი გაიღო და ეზოში ფატიმა და ბავშვები შემოვიდნენ. ვალერის მამინვე ვუთხარი: მოვიდა შენი ცოლი-მეთქი. ჩემმა შეილიშვილებმა სახლში შემოსვლისთანავე – გვშაო, – მითხრეს. მოდით, ბებია, ჭამეთ-მეთქი, – და სუფრა მაშინვე გაგშალე. სუფრასთან მეც და ფატიმაც დავსხედით, ვალერი და მამამისი, უკვე ნავახშმენი, წამოწოლილები იყვნენ. ფატიმამ თქვა: ავტობუსი გაფუჭდა, იძულებულები ვავხდით, 8-საათიანს დავლოდებოდით და ამიტომაც დავგავვიანდით. იმ საღამოს, ჩემი რძალი რაღაც განსაკუთრებულ ხასიათზე იყო, თითქოს რაღაც უხაროდა – სულ იცინოდა, კისკისებდა, დაფუსფუსებდა, თვითონ

ტრიალებდა სამზარეულოში. ადრე ასე არ იქცეოდა, ამიტომაც გამიკვირდა. თუმცა, ცუდს რას ვფიქრობდი? მხოლოდ ის გავივლე გულში – ალბათ უბრალოდ, რაღაც უხარია და კარგ ხასიათზე-მეთქი. ჭამას რომ მოვრჩით, მამამთილს შესთავაზა: მამა, ყავა დავლიოთო. ქმარსაც და მეც იგივე გვითხრა. ჩემი ქმარი და შვილი დათანხმდნენ, მე კი ყავა არ მიყვარს, საერთოდ არ ვსვამ და ამიტომაც ვთქვი უარი. ფატიმამ ორი ჭიქა სამზარეულოდან გამოიტანა, მესამე ჭიქისთვის კი იმ ოთახში გავიდა, სადაც თავის ნივთებს დებს ხოლმე. მე ამას ყურადღება მივაქციე და ვუთხარი: შვილო, იქით რას მიდიხარ? – აგერა ჭიქები და აიღე-მეთქი. – არაო, – თავისი არ დაიშალა და მაინც გავიდა. გამიკვირდა, მაგრამ აღარაფერი მითქვამს, დიდი მნიშვნელობა ამისთვის არ მიმინიჭება (როგორც მოგვიანებით გაირკვა, ფატიმა იატუევას მეორე ოთახში ხელჩანთა ჰქონდა, რომელშიც ფენაზეხაში ელო. აბები მან ჭიქაში ჩაყარა და სამზარეულოში გამოიტანა. ამის შემდეგ, წამალი მალულად მამამთილისა და ქმრის ჭიქებში გადაანაწილა. – ავტ.). ქმარს ყავა პატარა ჭიქაში ჩაუსხა. ამის შემდეგ, ვალერიმ და მან კარტის თამაში დაიწყეს. დაახლოებით 10 წუთში, ვალერისაც და მამამისსაც ძილი მოერიათ. ჩემი ქმარი მაშინვე დაწვა ოთახში, ვალერი კი, ფატიმამ საძინებელში გაიყვანა, დააწვინა და ისევ ჩვენთან შემოვიდა. მე, ჩემი ქმარი და შვილიშვილები ერთ ოთახში უნდა დავწოლილიყავით, ფატიმა და ვალერი კი – მეორეში, ცალკე. უკვე 11 საათი იქნებოდა, შუქიც არ იყო და ფატიმას ამიტომაც შევეკითხე: შენ არ წვებიმეთქი? – ჯერ არა, ცოტა ხანში წავალო, – მიპასუხა. ამ ხნის განმავლობაში, სახლიდან ეზოში ორჯერ გავიდა ღამით ხელში – საპირფარეოში გასვლა მოიმიზეხა. მეც და ბავშვებმაც შევთავაზეთ: ამ ღამეში, მარტო რას წახვალ, გამოგვევით-თქო, – მაგრამ იუარა – არ მინდაო. მეორედ გასვლის შემდეგ, შინ რომ შემობრუნდა, ბუხართან დაჯდა და გაზეთის კითხვა დაიწყო. ამ დროს, უფროსმა შვილიშვილმა – ნატომ წამოიყვირა: ბებო, ფანჯარასთან ვიღაცამ გაირბინაო. მე ეს სერიოზულად არ აღვიქვი და ბავშვს ვუთხარი: ვინ იქნება, ბებია, ამ შუაღამეს?! – ალბათ ძაღლმა ჩაირბინა და შენ რაღაც მოგეჩვენა-მეთქი... ეს რომ ვთქვი, ფატიმამ გაზეთი,



მოკლელის მამა ნოდარ ნიკოლეიშვილი

რომელსაც კითხულობდა, ფანჯარაზე ისე დადო, რომ ის მინას მიეფარა. ეს მომენტი შემდეგ აღვიდგინე. რამდენიმე წუთში, საძინებლიდან რაღაც ხმა შემომესმა, ყრუ ღარტყმის ხმას ჰგავდა. ვიფიქრე – ნეტავ, რა არის-მეთქი? – და მძინარე შვილის დასახელად ოთახში შევედი. ფატიმა უკან გამოძვრა. შუქი უკვე მოსული იყო. ოთახში ნათურა ავანთეთ და საშინელება დავინახე – ჩემი შვილი საწოლში, თავგახეხილი, მთლად დასისხლიანებული იწვა. მაშინვე კივილი დავიწვე, ქმარს მოვუხმე: ნოდარ, მიშველე-მეთქი!..“

ნოდარ ნიკოლეიშვილი:

„ცოლის კივილის ხმა გავიგონე, მაგრამ ძილს თავს ვერ ვართმევდი. ვხვდებოდი, რომ რაღაც მოხდა, ადგომა ვცადე, თუმცა, თავბრუ მეხვეოდა და მოძრაობა არ შემიძლო. პირველი, რაც ვიფიქრე, თავის გამოფხიზლება იყო. მაშინვე ჩაიდანს ვსტაცე ხელი და იქიდან წყალი პირდაპირ თავზე დავისხი. მერე ოთახში შევევარი და ის საშინელება რომ დავინახე, ჭკუა კინალამ დაგვარგე. მეზობლები მოცვივდნენ, გაოგნებული ვიხედებოდი აქეთ-იქით და სწორედ მაშინ შევნიშნე ჩემი რძალი. იგი ამ არეულობით სარგებლობდა და ჭიშკრისკენ გარბოდა. უკან დავედევნე: სად მიდიხარ-მეთქი? ექიმის მოსაყვანად უკვე გაგზავნილები იყვნენ და ის სად უნდა წასულიყო?! ამასობაში, მეზობლებმა ეზოში სისხლიანი ჩაქუჩი და ხელთათმანი იპოვეს. ერთ-ერთმა ისიც თქვა: ვიდრე კივილის ხმაზე აქ მოვიდოდი, შევნიშნე, რომ თქვენი ეზოდან ვიღაც მამაკაცი კისრისტეხით გარბოდა, ვიფიქრე – იქნებ, ნოდართან, ოჯახში ვინმე ავად გახდა, ეს კი ალბათ ახლობელია და

ექიმის მოსაყვანად გარბის-მეთქი. თანაც ბნელოდა, რას გაარჩევდი, ვინ იყო?! ყველაფერმა ამან გონება ამირია, მივხვდი, რომ რაღაც ცუდი ამბავი დატრიალდა. ჩემს რძალს ეჭვის თვალთ შევხედე და ვკითხე: რა მოხდა? ჩქარა მითხარი-მეთქი! თავიდან, არაფერს ამბობდა. გამწარებულიმა მის საცემ-

რად გავიწვიე, მაშინ თქვა: ბადრიმ ჩაიძინაო. მაშინვე მოვთხოვე, ყველაფერი ეთქვა და სიმართლე ეღიარებინა. თოკი დავკიდე ხეზე, მარყუჟი გავაკეთე და დავეშუქრე: ახლავე, ამაში გავაყოფინებ თავს და ჩამოგახრჩობ, თუ არ აღიარებ ყველაფერს-მეთქი!.. მაშინ, ტირილი დაიწყო და თქვა: მე და ბადრის უკვე ერთი წელია, ახლო ურთიერთობა გვაქვს, ვალერის ჯერ მე ჩავარტყი ჩაქუჩი, მერე კი ბადრიმო. ძილის წამლის შესახებაც თქვა მაშინვე. ჩანთა გავუწხრიკეთ და ფენაზეპამიც ვიპოვეთ. ორი აბი იყო ღარტყნილი, სამი კი დახარჯული. ისე გავმწარდი, რომ მისი მოკვლა მინდოდა. ლამაზა გავტყეხე და ნავთი თავზე გადავასხი, მინდოდა, ცოცხლად დამეწვა იქვე, მაგრამ ასანთი არავინ მომაწოდა. ამასობაში, პოლიციაც მოვიდა და წაიყვანა...“

ფატიმა იატუევაშვილმა პროკურატურაში, ქმრის მკვლელობა ან მსგავსი განზრახვა უარყო. მან არც ის დაადასტურა, რომ მეზობლებისა და მამამთილის წინაშე, ქმრისთვის ჩაქუჩის ერთხელ ჩართვმა აღიარა. მისი თქმით, იმ მომენტში, ის დედამთილთან და შვილებთან ერთად მეორე ოთახში იყო. ფატიმა იატუევა ირწმუნება, რომ მას და ბადრის მკვლელობის შესახებ საერთოდ არ მოულაპარაკიათ და არც მოელოდა, ასეთი რამ თუ შეიძლებოდა, მომხდარიყო.

პროკურატურამ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრა, რადგან იატუევას ბრალი დადასტურებულიად არ ცნო. დაზარალებულები აცხადებენ, რომ პროკურატურა იატუევას ხელს აფარებს, რადგან მასთან შეკრულია ბადრი ჩაქუჩი კი პოლიციამ მეორე დღესვე, 24 მარტს, თავისივე საცხოვრებელ სახლში დააკავა. ჩაღვნილ მკვლელობას

დღეს ის კატეგორიულად უარყოფს, თავს დამნაშავედ არ ცნობს და ყველაფერში საყვარელს – ფატიმას ადანაშაულებს.

ბადრი ჩაქუჩა:

„იმ საღამოს, როგორც ფატიმას დავპირდი, გომში წავედი. გადაწყვეტილი გვქონდა, დაღესტანში გავქცეულიყავით. საამისოდ, პასპორტებიც გავამზადეთ. გომში წასასვლელად ნაცნობის – თენგიზ სტურუას ტაქსი ვიქირავე. ფატიმას სიგნალით განიშნე, რომ მივუდი. ცოტა ხანში, ისიც გამოვიდა ლამპით ხელში და მითხრა: ქმარი და მამამთილი დავაძინე, მაგრამ დედამთილი და ბავშვები არ იძინებენო. მივხვდი, რომ შეგვაგვიანდებოდა. ამიტომაც, ტაქსის მძღოლს ვუთხარი: წადი, მე აქ ვრჩები-მეთქი. რამდენიმე წუთში, ფატიმა ისევ გამოვიდა ეზოში, მე იქვე ვიმალეობოდი, მითხრა, რომ ჯერ კიდევ არ იძინათ. ვადაეწვიტე, დავლოდებოდი. ცოტა ხანში, სახლიდან კივილის ხმა მომესმა. მივხვდი, რომ რაღაც მოხდა და იქიდან გავიქციე...“

თუმცა, აი, რას წერს ბადრი ჩაქუჩა ადრე, ეჭვიმტანილად დაკითხვისას მიცემულ ჩვენებაში:

„...ფატიმამ მითხრა: დამელოდეთ. ამ დროს, ფანჯრიდან საძინებელში შევიხედე, დავინახე, რომ ვალერისაც გაღვიძებოდა. მაშინ ვიფიქრე, ხელს შეგვიშლის-მეთქი და გადავწვიტე, ოთახში შევსულიყავი და იქვე გამთიშა. ვალერი ჩემზე ძლიერი იყო, მომეროდა. აივანზე ჩაქუჩი დავინახე, ავიღე და თავში, გათიშვის მიზნით, რამდენჯერმე ჩავარტყი. მისი მოკვლა არ მინდოდა... გარეთ რომ გავვარდი, ჩაქუჩი და მარჯვენა ხელის ხელთათმანი იქვე, ეზოში დავავადე, მეორე ხელთათმანი სადღაც, სახლიდან მოშორებით გადავაგდე...“

გარდაცვლილის დედა აცხადებს, რომ რძალმა ძლიერი დამამშვიდებელი წამალი – ფენაზეპამი ჩაიდანში ჩასხმულ წყალშიც ჩაყარა – „იფიქრა, ალბათ – ყავა არ დალია და წყალს მაინც დალევს ჩემი დედამთილიო“, – ამბობს ზაირა ნიკოლეიშვილი. ფენაზეპამს, როგორც ბადრი ჩაქუჩა აღნიშნავს, ფატიმა ადრე თვითონ ხმარობდა. აღნიშნულ წამალს ის ექიმის დანიშნულებისამებრ აფთიაქში იძენდა და სვამდა, რადგან ნერვიული აშლილობა ჰქონდა.

მომხდარი მკვლელობის დეტალები რამდენიმე დღის წინ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა. სასამართლო

არასრულწლოვნება ხანდაზოგული მეზობელი ჯერ გააკოჩას, მერა კი ბალიშით მოგუდას

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, მოსამართლე იური ტაბუცაძის თავმჯდომარეობით, 2002 წლის 19 ივლისს, ბოლნისის რაიონის სოფელ ბოლნისში ჩადენილი მკვლელობის დეტალებს განიხილავს. განსასჯელები არიან კარლენ სუბლარიანი და მისი მეგობარი ვანიკ თემურაზიანი. დანაშაულის ჩადენის დროს, ისინი არასრულწლოვნები იყვნენ.

ბრალდების თანახმად, 2002 წლის 19-20 ივლისის ღამეს, სოფელ ბოლნისის ერთ-ერთ მცხოვრებს – ზორიკ სუბლარიანს, დაყარა მისი მიზნით, თავს დაესხნენ. ზორიკ სუბლარიანი მარტო ცხოვრობდა. არასრულწლოვანმა ბოროტმოქმედებმა წინასწარ მოიმარაგეს ნიღბები და ხელთათმანები, ასევე თოკი, რასაც ისინი სუბლარიანის გასაკოჭად გამოიყენებდნენ. როცა მათ ამ უკანასკნელის სახლში შეაღწიეს, სუბლარიანს ტახტზე გულადმა ეძინა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, თემურაზიანმა მას ორჯერ ჩაართვა სახეში ხელი, გათიშვის მიზნით, შემდეგ კი სუბლარიანს მოსთხოვა, მისთვის თოკი მიეწოდებინა. გათიშული კაცი ზურგზე გადააბრუნეს, თოკით ხელები შეუკრეს, მერე ისევ გულადმა ამოატრიალეს და ზეწრის ნახევით პირი აუკრეს, რათა გრძობაზე მოსვლის შემთხვევაში არ დაევირა. ბოლოს, ბალიშიც დააფარეს თავზე და ბინაში ძვირფასი ნივთების ძებნა დაიწყეს. ბრალდების თანახმად, მათ სუბლარიანი განზრახ გაგუდეს, თუმცა თავად ბრალდებულები დანაშაულის განზრახ ჩადენას უარყოფენ. მათი თქმით, მათ სუბლარიანის დაყარა სურდათ და არა მოკვლა.

სასამართლო სხდომაზე თემურაზიანის ადვოკატმა კოლეგიის წინაშე შუამდგომლობა დააყენა და განსასჯელის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესამოწმებლად ექსპერტიზის დანიშვნა მოითხოვა. გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით კოლეგიამ რამდენიმე დღეში უნდა გამოიტანოს. განსასჯელებს ჩვენება სასამართლოსთვის ვერ არ მიუციათ.

სხდომაზე ფატიმასა და აწ გარდაცვლილი ვალერის უფროსი ქალიშვილი, 12 წლის ნატოც დაიკითხა. ის ერთდერთია მოწმეთაგან, რომელიც აღნიშნავს, რომ დედისა და ბადრი ჩაჩუას ინტიმურ ურთიერთობას ხვდებოდა.

ნატო ნიკოლეიშვილი:

„ბადრი ჩვენთან სახლში, სამტრედიოში ხშირად დადიოდა. როცა მოვიდოდა, მამა შინ არ იყო, ფატიმა კი ოთახიდან გამოშვებდა ხოლმე და მეტყვოდა – დაგიბახებ და მერე შემოდიო. ერთხელ, ბადრიმ მწარედ მიკბინა ლოყაზე, ძალიან მეტკინა და ვიყვირე. ბადრიმ მითხრა: სისხლისმსმელი ვამპირი ვარო. ამაზე ფატიმამ თქვა: ჰო, ვამპირია, მუცელზე დიდი ხალიც აქვსო... ვხვდებოდი, რომ ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. 23 მარტს, სოფელში წამოსვლის წინ, ფატიმა ბადრის შეხვდა, ცალკე გაიყვანა და დიდხანს ელაპარაკებოდა. მამის, ფატიმამ სოფელში მიმავალი ნ-საათიანი ავტობუსი გაუშვა, 8-საათიანს დაველოდოთო, – თქვა...“

სასამართლომ მკვლელობის რამდენიმე ვერსია მოისმინა. დაზარალებულთა და ნოდარ ნიკოლეიშვილის მტკიცებით, ფატიმასა და ბადრის, ვალერის თავიდან მოშორება და მოკვლა წინასწარ ჰქონდათ განზრახული. მათივე თქმით, ისინი ერთად მოქმედებდნენ – ვერ ფატიმამ მოუქნია ქმარს ჩაქუჩი, მაგრამ ქალის დარტყმა ძლიერი არ აღმოჩნდა, ამიტომ მკვლელობის იარაღი მან ბადრის გადასცა, ამ უკანასკნელმა კი ორჯერ ძლიერად ჩაართვა ის თავში, მძინარე ვალერის. თუმცა, კითხვას, რომელიც ამ შემთხვევაში იბადება, მოკლულის მამა თავადვე სვამს: „ვერ გამოვიდა, რაში სჭირდებოდათ ჩემი შვილის მოკვლა, როცა გაქცევაში ხელს არავინ უშლიდათ? მეც მეძინა და ვალერისაც. როცა იქნებოდა, ბავშვები და ჩემი მეუღლეც დაიძინებდნენ...“

დღეს ფატიმა იატუეკას, ბადრი ჩაჩუა აშხელს მკვლელობაში, თუმცა, საქმეში არის ერთი დეტალი, რომელიც ცოლის მიერ ქმრისთვის ჩაქუჩის ჩართვის ფაქტს ეწინააღმდეგება: მოკლულის დედა – ზაირა ნიკოლეიშვილი აღნიშნავს (ამას მისი შვილიშვილი – ნატოც ადასტურებს), რომ იმ მომენტში, როცა მან საძინებლიდან ყრუ დარტყმის ხმა სამჯერ ზედიზედ გაიგონა, ფატიმა მასთან ერთად ოთახში იყო. საძინებელში ისინი ერთად გავიდნენ. აქედან გა-

მომდინარე, არსებობს მეორე ვერსია, რომელიც ბადრი ჩაჩუას მიერ ეჭვმიტანილად დაკითხვისას მიცემულ ჩვენებას ეყრდნობა: როგორც ჩანს, ვალერიმ მართლაც შეიღვიბა და ეს ეზოში დამალულმა ბადრიმ ფანჯრიდან შენიშნა. ამ წინააღმდეგობისთვის ის ფატიმამაც შეამზადა. მამის, როცა ეს უკანასკნელი მეორედ გავიდა ეზოში, საკუჭნაოდან ჩაქუჩი გაიტანა, ბადრისთან მივიდა და უთხრა, რომ თუ საჭირო გახდებოდა, ოთახის კართან ჩაქუჩი იდო და აეღო. ბადრიმ ჩათვალა, რომ იარაღი საჭირო მართლაც გახდა. საძინებლის გარედან შესასვლელ კარამდე რომ მიეღწია, ამისთვის მას იმ ოთახის ფანჯარასთან უნდა გაეგლო, სადაც ბავშვები, ფატიმა და დედამთილი იხსდნენ. ბავშვმა ის ფანჯრიდან შენიშნა და წამოიყვირა. ფატიმა მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ არ განმრეულა, გაზეთი ფანჯარას ააფარა და იმავე ოთახში დარჩა...

ფატიმა იატუეკა სასამართლო პროცესზე არ გამოცხადებულა. როგორც ამბობენ, მას შემდეგ, რაც ის პროკურატურიდან გაათავისუფლეს, არ გამოჩენილა, გადაიკარგა და არც შვილებს დაჰკავშირებია.

უზენაეს სასამართლოში გამართულ სხდომაზე სახელმწიფო ბრალმძებელმა განსასჯელისთვის სასჯელის ზომად 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. ხოლო რაც შეეხება ფატიმა იატუეკას, პროკურორმა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების გაუქმება მოითხოვა. მისი თქმით, იატუეკას ბრალეულობის დასადგენად დამატებითი გამოძიება უნდა ჩატარდეს. უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ლობთერტ კუპატაძემ, ბადრი ჩაჩუას 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მისივე განჩინების თანახმად, ფატიმა იატუეკას საქმეს გენერალური პროკურატურა გამოიძიებს. ■



ბადრი ჩაჩუა

დოსია:

გიგი წერეთელი თბილისში, 1964 წლის 23 თებერვალს დაიბადა. ძალიან მდიდრები არ ყოფილან, მაგრამ გაჭირვებაც არ ახსოვს. მამა — ნუგზარ წერეთელი ყოველთვის მაღალ თანამდებობაზე (მათ შორის, პარტიულ თანამდებობებზეც) მუშაობდა და კარგი შემოსავალი ჰქონდა. გამოსცემდა წიგნებს, რაშიც იმდენად სოლიდური ანაზღაურება ჰქონდა, რომ ერთი წიგნის ჰონორარით (ეს თანხა 5-6 და ზოგჯერ 10.000 მანეთსაც კი შეადგენდა თურმე) კარგი ავტომანქანის ყიდვა შეეძლო. დედა — ქალბატონი აზა ანთელავა წლების მანძილზე, უცხო ენების ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს.

მეუღლე — ეკა კანდელაკი, თბილისში 1966 წლის პირველ იანვარს არის დაბადებული. ეკა და გიგი 1989 წელს სიყვარულით დაქორწინდნენ. პირველი ვაჟი, ბაბუის მოსახელე ნუგზარი — 13 წლისაა, ნკოლოზი კი — 9 თვის. ბატონი გიგი მშობლებთან ერთად ცხოვრობს.



„სანუწუნოდ ნამდვილად არ მაქვს საქმი - არც სოლის მხრივ და არც მზითვის მხრივ“

60600 ჯავახიშვილი

„დავფიქრდი და მივხვდი, რომ მზითვი თურმე საჭირო ყოფილა...“

ვიცე-საიკერი ოჯახთან ერთად ამჟამად ნიკოლაძის ქუჩაზე ცხოვრობს 180.000 ლარად შეფასებულ ბინაში, რომელიც ოჯახის უფროსის („მთლად უფროსს“ — ბატონ ნუგზარს ვეულისხმობ) სახელზეა გაფორმებული. სხვათა შორის, დეკლარაციის სახელზე ჯერჯერობით, არც უძრავი ქონება ირიცხება და არც მოძრავი.

— ბატონო გიგი, იმ უძრავ-მოძრავი ქონებიდან, რაც დეკლარაციაში ჩაგინერიათ, რა არის თქვენი შექმნილი და რა — თქვენი მშობლების? დაფიქროთ იმ სახლიდან, რომელშიც ცხოვრობთ...

— კი, ბატონო. ეს ბინა 1972 წელს, ჩვენმა ოჯახმა მიიღო სახელმწიფოსგან. ძველი ბინა ჩავაბარეთ და სანაცვლოდ მივიღეთ ბინა ნიკოლაძის ქუჩაზე. მას შემდეგ ვცხოვრობთ ყველანი ერთად; ჯერ მშობლებთან ერთად ვცხოვრობდი, მერე — ეკასთან, მერე — ნუგზარსაც გაგვიჩნდა. შარშან კი, ახალი წვერი შემოგვემატა — ჩემი პატარა ბიჭი.

— მხოლოდ ერთადერთი აგარ-

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა ჩვენი საუბრის დასაწყისშივე აღნიშნა, რომ მისი ცხოვრება-ქონება თურმე არაერთხელ გამხდარა მსჯელობისა და ჭკორაობის საგანი. ალბათ იმიტომ, რომ ბატონ გიგის მართლაც, ძალზე „მსუყვე“ დეკლარაცია აქვს. წლების წინ, ექიმობას ბიზნესმენობა რომ ამჯობინა, გვარიანად გამდიდრდა და მაშინდელი ნაშოვნი ფულიცა და უძრავ-მოძრავი ქონებაც დაუფარავად ჩამოწერა დეკლარაციის ფურცლებზე. ატყდა ერთი ამბავი: საიდან და რა გზით დააგროვა პარლამენტარმა ამხელა სომიდიდრეო? საიდან და როგორ იშოვა ბატონმა გიგიმ ფული, რატომ მიჰქონდათ გიგი ექიმისთვის პაციენტებს ფულის მაგივრად ღვინო და კონიაკი და რატომ მიხვდა გვიან, რომ თურმე ცოლმა მზითვი აუცილებლად უნდა მოიტანოს? — ყოველივე ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

აკია თქვენს სახელზე გაფორმებული. აგარაკი დაბა წყნეთში, 100.000 ლარად შეგიფასებიათ. თვითონ შეიძინეთ?

— როგორც იცით, რამდენიმე წლის განმავლობაში, თბილისის მერის მოადგილე ვიყავი. მერიას ჰქონდა თავისი საუწყებო აგარაკები, რომელსაც ჩვენ თვითონ ვუვლიდით. მერე, საკონკურსო წესით შევისყიდეთ აგარაკები, ვისაც გვსურდა. აგარაკი ლამის სულ დანგრეული იყო. ჩემამდე, ხან ვინ ცხოვრობდა იქ და ხან — ვინ. აგარაკს მიწის ნაკვეთიც აქვს და ამიტომაც შევაფასე ძვირად.

— რამდენიმე მიწის ნაკვეთი და არასაცხოვრებელი ფართი გაქვთ თბილისში. რად გინდათ? რაიმეს აშენებას ხომ არ აპირებთ?

— ჯერ კიდევ 50-იან წლებში, ბაბუაჩემმა იყიდა სახლი ქობულეთის ქუჩაზე. ბაბუა კონტრრევოლუციური ლიტერატურის შენახვისთვის დააპატიმრეს და გადაასახლეს. მოკლედ, ვეღარ დაამთავრა სახლის მშენებლობა. ეს არის ძველი სახლი, კარგად აღვილზეა და ტერიტორიაც საკმაოდ დიდია, მაგრამ მარტო მამაჩემის საკუთრება არ არის. ბაბუაჩემმა სახლი სამ შვილს დაუტოვა. ასე რომ, ერთი მესამედია ჩვენი ოჯახის საკუთრება (ამ მიწის ნაკვეთის სადეკლარაციო ღირებულება 80.000 ლარს შეადგენს, ხოლო კიდევ ერთი არასაცხოვრებელი ფართის ღირებულება, რომელიც ასევე ბატონი ნუგზარის საკუთრება ყოფილა, 60.000 ლარი გახლავთ. — ავტ.). რაც შეეხება მიწის ნაკვეთს ბაგებში — დღეაჩემს ეს ნაკვეთი თავისი სამსახური-



დან ერგო (ნაკვეთი სულ 20.000 ლარად უღირს ბატონ გივის. - ავტ.).

— როგორც ჩანს, მინცდამინც არ უნდა იყოთ ანტიკვარიატის მოყვარული: თქვენს ოჯახში მხოლოდ ორი ნივთი — ბუფეტი და საათი გაქვთ ძვირად ღირებული?

— რომ ვითხრათ, სახლი ანტიკვარი-ატით მაქვს გადაჭვდილი-მეთქი, სიმარ-თლე არ იქნება. რაღაც-რაღაცები გვაქვს, მაგრამ ისეთი ძვირად ღირებული, დეკ-ლარაციაში რომ ჩამეწერა — არა (ძველი ბუფეტიც ბატონ ნუგზარს ეკუთვნის და 6.000 ლარად არის შეფასებული, ძველი საათიც 6.000-ზე მეტი არ უღირთ წერ-თელებს. - ავტ.). ბაბუაჩემი — ვალერიან ანთელავა ჩაის ტექნოლოგი ყოფილა და ჩინეთში უშუშავია. ჩინეთიდან ბევრი კარ-გი, ძვირფასი ნივთი ჩამოუტანია, მაგრამ წლების განმავლობაში, რამდენჯერმე გაიქურდა სახლი, ზოგი ნივთი გაყიდეს. საათი კი, ეკას მოჰყვა მზითევში. ცნო-ბილი ფირმისაა, მაგრამ მინცდამინც კარგად არ მუშაობს.

— ბიბლიოთეკა 30.000 ლარად შეგიფასებიათ. ეტყობა, მართლაც ძვირად ღირებული ნივნები გაქვთ...

— წიგნებს, ბაბუაჩემიდან მოყოლებუ-ლი, ვინ აღარ ყიდულობდა — მამაჩემი, მე, ბევრი წიგნი მოიტანა ეკამაც. გვაქვს მარ-თლაც უნიკალური გამოცემები, რომელიც რამდენიმე ათასი დოლარი ღირს.

— ეკამ, საათისა და ნივნების გარდა, არაფერი მოიტანა მზით-ვად?

— რა ვიცი, რაღაცები კი მოიტანა, მაგრამ... ჩამოვთვალო? საძინებელი, ეკას ბებიამ პიანინო გვაჩუქა... რა ვიცი, ბევრი არაფერი გამოუტანებიათ. ალბათ ჩათვალეს, რომ ამ დროში, აღარ იყო საჭირო... მაშინ ამაზე არც ვფიქრობდი. მერე, გვიან დაფიქრდი და მივხვდი, რომ თურმე საჭირო ყოფილა (იცინის)... რაც მთა-ვარია, ეკას სიკეთის, სიყვარულის და მე-გობრობის უნარი მოჰყვა ჩემს ოჯახში და საწუწუნოდ ნამდვილად არ მაქვს საქმე — არც ცოლის მხრივ და არც მზითვის

მხრივ...

— შარშან, „ვაზ 2109“ 1200 დოლარად გაგიყიდიან. შეიძინეთ ახალი თუ ისევ ფეხით გინევთ სიარული?

— კი, ახლა უმანქანოდ ვარ. სამსახ-ურის მანქანაც აღარ მაქვს: რამდენიმე თვის წინ, ტრაგიკულად „გარდაიცვალა“ — ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა. ზოგჯერ მამაჩემს ვეთხოვები ხოლმე მანქანას, ზოგჯერ — სიმამრს და ზოგჯერ — მეგო-ბრებს. აბა, დაიჯერებს ვინმე, რომ პარლა-მენტის თავმჯდომარის მოადგილეს მანქა-ნა არ ჰყავს?!

რა თანხას ინახავენ ნერეთლები ბანკში და რა თანხა აქვთ ხელზე...

ვიცე-სპიკერის ცხოვრებაში ყოფილა ისეთი პერიოდებიც, როდესაც ჯიბეში ბე-რი ფული ჰქონია და ისიც ყოფილა, რომ ცარიელი ჯიბით დარჩენილა. როგორც თვითონ აღნიშნავს, ბედი სწყალობდა და თავის დროზე, ძალზე წარმატებული ბი-ზნესიც ჰქონდა. მაგრამ ბიზნესს, მინც მცირეშემოსავლიანი პარლამენტარის ან თუ ვნებათ, ვიცე-სპიკერის სავარძელი ამჯობინა. რატომ ან რა თანხით წამოვი-და ბიზნესიდან პირდაპირ პოლიტიკაში, როდის იშოვა პირველი ფული და რა რაოდენობის თანხას ინახავს ბანკებში თუ ბანკებს გარეთ ბატონი ვიცე-სპიკერი?

— ინსტიტუტი 21 წლისამ დავამთავრე და მუშაობა რესპუბლიკურ საავადმყო-ვოში დავიწვეე ექიმად. დამწყები ვიყავი და არც მიფიქრია „პონორარების“ აღება-ზე. მერეც, როდესაც უკვე სტაჟიანი ექიმი ვიყავი, მიძნელებოდა ამის გაკეთება. სმა მიყვარდა და ხომ იცით, სახელი რომ გაგიტყდება კაცს... აქაოდა, სმა და ქიფი უყვარსო და ყველას ან ღვინო მოჰქონდა ჩემთვის პატივისცემის ნიშნად, ან — კო-ნიაკი. მაშინ, 120 მანეთი მქონდა ხელფა-სი. ახალგაზრდა კაცისთვის, ასე თუ ისე, საკმარისი იყო. მოკლედ, ბევრი ფულიც მქონია ცხოვრებაში და უფულოდაც ვყო-ფილვარ. ასე რომ, არაფერი მიკვირს...

— ბევრი ფული როდის გქონდათ?

— როცა ვბიზნეს-მეწიდი. 90-იანი წლებ-ის დასაწყისში, ჩემი მეგობრები მოსკოვში მოღვაწეობდნენ — ბი-ზნესს ეწეოდნენ. მაშინ, მეც მოსკოვში ვიყავი, დისერტაციაზე ვმუ-შაობდი და მათთან

ერთად ჩავები მათ საქმიანობაში. ვას-რულებდით საქესპორტო-საიმპორტო ოპ-ერაციებს რუსეთიდან ევროპაში და პირი-ქით. მაშინ ისეთი დრო იყო, რომ ერთი კომპანიის მეორე კომპანიასთან დაკავშირე-ბით, ხალხმა მილიონები იშოვა.

— თქვენც ბევრი იშოვეთ? — ყოველ შემთხვევაში, კარგად ვცხ-ოვრობდი და სხვებსაც ვეხმარებოდი.

— მაშინ რატომღა ნამოხვედით ბიზნესიდან?

— ჯერ ერთი, დაიშალა ჩვენი ჯგუფი, მეორეც — იმ პერიოდში, საქართველოში ახალი ცხოვრება იწყებოდა და ბევრი ჩემი თანატოლი გამოვიდა სახელმწიფო მშენებლობის ასპარეზზე გადაწვეტიტე, აქაც გამოძეცადა საკუთარი თავი. ხელისუ-ფლებას სჭირდებოდა ადამიანები, ვისაც ჰქონდა საქმის კეთების გამოცდილება.

— საუბრისას თქვით, რომ ბი-ზნესმენობის დროს, სეროზული თანხა იშოვეთ. თუმცა, ბანკში არცთუ ისე დიდი თანხა გაქვთ შეტანილი...

— ზოგი ხომ ნაღდი ფულის აღმნიშ-ვნელ გრაფაში მაქვს მითითებული, ზოგიც დავხარჯეთ (თვითონ დეკლარანტი 1.650 დოლარის და 400 ლარის მფლობელია, მისი მეუღლე — 2.200 დოლარის და 500 ლარის, ბატონი ნუგზარი კი — 7.000 დოლარის და 200 ლარის. - ავტ.)... ის თანხა, რაც ახლა ბანკში მაქვს, ბიზნე-სიდან მორჩენილი თანხა ვახლავთ (კაცმა რომ თქვას, არც ისე ბევრია, როგორც ზოგს ჰგონია: ვიგი წერეთლის სახელზე ამერიკაში, „რივს ბანკში“ 400 დოლარი ირიცხება, საიდანაც 100 დოლარი მი-ულა საპროცენტო შემოსავლად; საფრანგე-თის ერთ-ერთ ბანკში — 200 ევრო; საქართველოში, „ინტელექტბანკში“ დეკ-ლარანტის სახელზე 16.000 დოლარი და კიდევ — 2.000 დოლარი ირიცხება, აქედან შემოსავლად, 2.500 დოლარი მიულა. ეკას „აბსოლუტბანკში“ 5.000 დოლარი და 1.800 ლარი ჰქონდა, მაგრამ ანგარიში, ბანკის გაკოტრების გამო, 2001 წლის აპრილში დაიხურა. - ავტ.) მოკლედ, გადაწვეტიტე, რომ ეს თანხა ბანკში დამე-



დო, რადგან პროცენტი დაერიცხებოდა და ეს გარკვეულწილად, შემოსავლის წყაროდ იქცეოდა ოჯახისთვის...

— „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ ბატონ ნუგზარს 23 აქციატ ჰქონდა, თითოეული ლარად ღირებული...

— მამაჩემი დიდ თანხას ყოველთვის შემნახველ ბანკში ინახავდა. დაახლოებით 500.000 მანეთამდე ჰქონდა ბანკში შეტანილი. ფიქრობდა, რომ დანაზოგით მთელი სიცოცხლე გარანტირებული ექნებოდა მშვიდი ცხოვრება, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ეს მანეთი კუპონად გადაიქცა, ხოლო ვისაც ბანკში ჰქონდა შენახული დანაზოგი, აქციონერებად გააფორმეს. აღმოჩნდა, რომ ეს 500.000 მანეთი 23 ერთლარიანი აქციის ტოლფასი გახდა. მამა ძალიან განიცდიდა ამ ამბავს, მაგრამ რას იზამდა?! თავს ზემოთ ძალა არ იყო...

„ისე ეი, ძალიან მიყვარს, ჯიბეში ფული რომ მიდევს...“

წერეთლების ოჯახში ყველაზე უხვ შემოსავლიანი, ბატონი ნუგზარია. ის გახლავთ შპს „თბილისის ექიმ-თერაპევტთა ინსტიტუტის“ მთავარი კონსულტანტი (ყოველწლიურად 5.000 ლარი აქვს შემოსავალი), შპს „ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის“ პარტნიორი, სჯდაც 3.900 ლარს იღებს, საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურული კავშირის — „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე (აქედან 720 ლარს იღებს). გარდა ამისა, სამედიცინო კოლეჯში დირექტორის მოადგილე გახლავთ (920-ლარიანი თანამდებობა უკავია), ხოლო ახალქალაქის კოლეჯში, როგორც კურატორს, 1.280-ლარიანი ხელფასი ეძლევა. მოკლედ, ბატონი ნუგზარი ყოველთვიურად, საკმაოდ სოლიდური თანხით ავსებს ოჯახის ბიუჯეტს. თვითონ დეკლარაციის ყოველთვიური შემოსავალი კი, სულ 720 ლარს აღწევს. ქალბატონი აზა დასავლურ ენათა და კულტურათა უნივერსიტეტში მუშაობს და 158 ლარს სჯერდება. აი, ეკა კანდელაკი კი, გურამიშვილის სახელობის პედაგოგიური კლინიკაში განყოფილების გამგედ მუშაობს და 41 ლარი თავს ემაყოფილებს!

— ბატონო გიგი, გყოფნით თქვენი ხელფასი თუ ფულის სესხება გინვით ხოლმე?

— გაანჩია ცხოვრებას: თუ სულ რესტორანში იქიფებ და ძვირად ღირებულ რაღაცებს შეიძენ, არაფერშიც არ გყოფა. ჩვენ ერთ ოჯახად ვცხოვრობთ.

გყოფნის, რაც გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, ვალები არა მაქვს, ჩემი ვალი კი, სხვებს აქვთ.

— მართლაც უამრავი თანხა გაქვთ გასესხებული, თანაც — ზეპირი ხელშეკრულებით. არ გეშინიათ, უკან რომ ვეღარ დაიბრუნებთ?

— ჩემო კარგო, თუ ვინმეს სჭირდება მევეალესთან ხელშეკრულების გაფორმება, ახლაც შემიძლია, მაგრამ რა საჭიროა? — ფული იმდენად ახლობელ ხალხს ვასესხე, რომ... ახლობელს, მეგობარს, ნათესავს... ეს მაშინ, როცა ბიზნესი მქონდა და შემდეგ სხვისთვის დანხარების გაწევა. ამ თანხით ვითომ რაღაც საქმეები უნდა წამოგვეწყო, მაგრამ ვერ აწეო საქმე და ჩემი ვალი დაეღო. ეს არც ისეთი ასტრონომიული თანხებია (თავად ბატონ ვიგის სულ 40.100 დოლარი გაუსესხებია, მამამის კი — 7.500 დოლარი და აქედან 1.500 დოლარი მისთვის უკვე დაუბრუნებიათ. — ავტ.). პირველად დეკლარაცია რომ შევავსე და იქ ჩავწერე, რა რაოდენობის თანხა მქონდა გასესხებული, დაურეკე ყველას და ვუთხარი: უკვე ოფიციალურად დაფიქსირდა, თქვენ ჩემი ვალი რომ გაქვთ და აბა, ახლა თქვენ იცით, ვალი გადამიხადეთ, თორემ ვიღაცები მოგადგებიან და ფულს ამოიღებენ-მეთქი. ყველაზე არ გაჭრა, მაგრამ ერთი-ორზე — კი... ერთმა 1.400 დოლარი დაიმბრუნა, მეორემ — 5.000. თქვენი მეგაღე თქვენივე ბიძამვილი რომ იყოს და ფულს ვერ გაძღვდეთ, ხომ არ მოკლავთ? როცა ექნებათ, ალბათ დაიმბრუნებენ...

— როგორც ჩანს, ძალიან გულმონწყალე ხართ და უარს ვერავის ეუბნებით ფულის სესხებაზე?

— გულმონწყალე კი ვარ, მაგრამ არა ისეთი, რომ ნებისმიერს თვალდახუჭულმა მივეცე ფული. თუ არა მაქვს საშუალება, რას ვიზამ? ისე კი, რაც გასესხებული მაქვს, იმაზე ორჯერ მეტი მექნება სხვებისთვის ნაჩუქარი. ამას წინათ, ვიღაცამ დამირეკა: წერეთელი ვარ, ბავშვს ოპერაციას ვუკეთებ, ცუდ დღეში ჩავვარდი და თანხა გადმომირიცხეო. რუსეთის ერთ-ერთი ქალაქიდან რეკავდა. გადავამოწმე და აღმოჩნდა, რომ მატყუებდა. ასეთი შემთხვევა ადრეც ყოფილა — სხვისი სახელითა და გვარით ცდილობდნენ, ფული გამოეძალათ ჩემთვის.

— რაში ხარჯავთ ფულს დაუწინებლად?

— წიგნებში და გაგიკვირდებათ, მაგრამ — სურათების ბეჭდვაში. ძალიან მიყვარს ფოტოების გადაღება და რაოდენ



ეკა კანდელაკი ვაჟიშვილთან, ნუგზარ წერეთელთან ერთად

ბევრიც არ უნდა დავროვდეს, მაინც ყველას ვებეჭდავ ხოლმე.

— საერთოდ, მხარჯველი ხართ?

— ფული თუ მაქვს, კი... როცა არა მაქვს, როგორ დავხარჯავ?! —

— ...და როცა ფული არა გაქვთ, როგორ განწყობაზე ხართ მაშინ? ნერვიულობთ?

— თუ არა მაქვს — არა მაქვს და მორჩა... ისე კი, ძალიან მიყვარს, ჯიბეში ფული რომ მიდევს, შემიძლია, დავხარჯო და ვინმეს ამით სიამოვნება მივანიჭო...

— მეუღლეს ძვირად ღირებულ საჩუქრებს უძღვნი ხოლმე?

— ჩემი მეუღლე საჭიროზე მეტად თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანია. მაშინაც კი არ ყოფილა მომთხოვნი და პრეტენზიული, როცა შეძლო, უკეთესად ჩაეცვა და ეცხოვრა. ძვირფასი საჩუქრებით მაინცდამაინც არ ვანებიერებ. იმიტომ კი არა, რომ მუნწი ვარ! პირიქით — თვითონ მოვიკლებ და ცოლ-შვილს გავუნაწილებ, მაგრამ გულწრფელად რომ გითხრა — ჩვენ გარშემო ძალიან ბევრი ადამიანია, ვისაც უნდა დაეხმარო და ძვირად ღირებული საჩუქრებისთვის, უბრალოდ, ვეღარ გაიმეტებ ან სულაც, აღარ დავრჩება ფული...

პოსტსკრიპტუმის მაგიერ:

ჩვენს ტრადიციულ კითხვაზე — ყოველდღიურად რა თანხა ვიღებთ ჯიბეში? — ბატონმა ვიგომ ასე მიპასუხა: დაახლოებით ის თანხა, რაც ახლა მაქვს ჯიბეში, — და ჩემ თვალწინ „ამოისუფთავა“ შარვლის ორივე ჯიბე: ერთიდან, 3 ლარი ამოჰყვა ხელს, მეორიდან კი — 20-ლარიანი. დეკლარანტმა საუბრის დასასრულს ისიც გამომხილა, რომ დილით უფრო დიდი თანხა ჰქონდა, მაგრამ ცოლ-შვილს დაუნაწილებია და ბატონი ვიცე-სპიკერი 23 ლარით გაუშვია პარლამენტში...

ინფორმაციულ-შეხვედრითი კონკრეტი

ეორა დვალის უბის ნიგნაკიდან:

1. ლაზები ბაბუას პაპულის ეძახიან.
2. ერაყში პარასკევი დასვენების დღეა.
3. ცანგალა ჩონგურის მსგავსი საკრავია.
4. ავიცენა სპარსულ და არაბულ ენებზე წერდა.
5. ცარიელ, უნარგავო ადგილს ბალ-ვენაში ან ტყეში ყალთადი ეწოდება.
6. ლიულიაილიაკო მოქმედი ვულკანია არგენტინისა და ჩილეს საზღვარზე.
7. ავიმჩილრა, აძლაგარა და აძლაგარხუქი გულაუთის რაიონის სოფლებია.
8. რემბრანდტისათვის ყველაზე ხელმისაწვდომი ნატურა საკუთარი თავი იყო.
9. დიდმა აისბერგმა შეიძლება ზღვაში ათი წელი იხეტიალოს, სანამ დადნება.
10. ზიგმუნდ ფროიდი რელიგიას აკვირებულ ზოგადსაკაცობრიო ნევროზს ეძახდა.



11. პარიზის ტრიუმფალური თაღის ქვეშ პირველ მსოფლიო ომში დაღუპული უცნობი ჯარისკაცი ასვენია.

12. გერმანელმა კომპოზიტორმა რობერტ

შუმანმა სიცოცხლის ბოლო ორი წელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაატარა.

13. ინგლისელი მხატვარი ჯონ დაბარტსი თავის ნახატებს ზეთის საღებავებით პურის ნაჭრებზე ასრულებს.

14. „ი ტი, კავდატა აკსაკალ, ნა ეტომ სკაკუნე სკაკალ“, – ეს სიტყვები რასულ გამშათოვმა აკენის შესახებ წარმოთქვა.

15. ზურაბ ქაფიანიძეს ჭირის დღესავით სძულს თაფლწასმული პური, რადგან მისი ჭამის დროს უღვაშები ესვრება.

16. ქალაქები: ქერჩი, ფედოსია და სევასტოპოლი ბერძნული კოლონიების ადგილებზე აღმოცენდა.

17. ტანისამოსზე შემოსავლები ოქრომკერდის ფართო ზონარს ბუზმენტს ეწოდება. ბუზმენტის მქონეველ ოსტატს ყაზაზი ჰქვია.

18. კოტე ყუბანეიშვილის მიერ უსინდისო მენეჯერებისადმი მიძღვნილი ლექსი ასე ჟღერს: „ფულს ნუ მომბტებს, მენეჯერ, ამას გიხვავ მერამდენეჯერ“.

19. ოსკარ უაილდის ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი ამბობს: „სულ მალე, ინგლისელებსა და ამერიკელებს მხოლოდ ერთი განმასხვავებელი ნიშანი გვექნება – ენა!“

20. ლეგენდარული ტროას აღმომჩენმა



მეფეხური

ავთო მარბველავილი

არც ამჯერად ვულალატეთ ტრადიციას ძველმა მეგობრებმა და პირველ იანვარს გვარიანად მოუფლხინეთ, ჯიხვის ყანები მკლავებზე შემოვივრინეთ და სასიმღეროდ ყელი მოვიღერეთ. მაგრამ რადგან ბედობის ღამე დგებოდა და მინდოდა, 12 საათისათვის შინ ვყოფილიყავი, კომპანის დროულად გამოვემშვიდობე და გაჩერებაზე მდგომ ერთადერთ ტაქსიში მოვკალათდი.

– ბედობის ღამეს კაცი გამოვა სამუშაოდ? – ბედის ჩივილი დაიბედა მძღოლმა.

– რატომ? – მუშაობა და ფულის აღება დაგებებდათ. მაგას რა სჯობს?!

– ეჰ, ახლა სახლში ყოფნა მირჩევნია ყველაფერს, მაგრამ ცოლი თავს ჩამოიხრჩობს, მეკვლედ რომ მივადგე.

– ასეთი ცუდი ფეხი გაქვთ? – ტაქსიში ჩაჯდომა ვინანე, მაგრამ გვიანი იყო.

– ძალიან კარგი ფეხი მაქვს. ყველა ნათესავი და მეზობელი მე მეძახდა მეკვლედ, მაგრამ წლების წინ, რამდენიმე ისეთი შემთხვევა მოხდა, რომ მეც შემეპარა ეჭვი.

– მაინც, რა მოხდა ასეთი?

– ერთხელ, სოფელში ჩავდი ახალ წელს. მეზობელი – მოხუცი კაცი დამხვდა გარდაცვლილი. ცოლი ადრე მოუკვდა და მარტო ცხოვრობდა.

ერთადერთი შვილი თბილისში იყო წამოსული სამუშაოდ. რადგან ქალაქში დაბრუნება მეორე დღესვე მიწევდა, იმ ბედოვლათისათვის მამის გარდაცვალების ამბის შეტყობინება მე დამავალეს. რა უნდა მექნა? ბედობის დღე იყო, სახლში რომ მივაღქე. ხომ არ მივანხლიდი პირდაპირ? ვუთხარი: შაბათს მამაშენის ქორწილში ხარ დაპატივებული-მეთქი... გაგიჟდა, – რაღა დროს მამაჩემის ცოლია, ეს რას მოვესწარი?! მაგის ნაცვლად რომ გეთქვა – შაბათს მამაშენის ქელეხში ხარ დაპატივებული, უფრო ბედნიერი ვიქნებოდით. – ჰოდა, აგაშენა ღმერთმა, ზუსტად მასეა-მეთქი... დაპატივდა ჩემს ფეხს ყველაფერი, არადა, რა ჩემი ბრალი იყო?! მეორედ, კარის მეზობელმა მთხოვა – უნდა მიშველო... ოთხი ქალიშვილი ჰყავდა და მეხუთე შვილს ელოდა დღე-ღამეზე. რა თქმა უნდა, ბიჭი უნდოდა და ჩემი მეკვლეობის იმედი ჰქონდა. ღამის 12 საათზე მის ოჯახში ფეხი შევდი და ვაჟიანობა ვუსურვე. რამდენიმე ჭიქა გვქონდა დალეული, რომ ცოლს ტკივილები დაეწყო. „შენი ფეხის ჭირიმე! ბიჭი იქნება და შენ უნდა მომინათლო!“ – გაიძახოდა გახარებული. პურმარილი მანქანაში ჩააწყო, ორლულიანი თოფიც დატენილი წამოიღო, გვერდით მომისვა და სამშობიაროსკენ გავექანეთ; მისაღებში ცოლზე ადრე მე შემაღმევეინა ფეხი. მერე კაპოტზე სუფრა გაშალა, თოფი მხარზე გაიღო და მახარობლის მოლოდინში ბოლ-

თის ცემას მოჰყვა. „მანარობელიც“ გამოვიდა და ორი ტყუპი გოგო „უსამძიმრა“... ექვსი ქალის მამამ თოფი მომიღერა და ფეხებს დაგიცხრილა-ვო! – დამემუქრა. ვეუბნები – რას მერჩი? ცხრა თვის წინ „დაწყებულ“ გოგოებს მე რაღას მოგუხერხებდი? თავიდან უნდა გეთქვა-მეთქი! – თავიდან რა, „კეთებისას“ დაგიძახო, შე მათხოვარო?! – შემომიკურთხა და სამუდამოდ დამემღერა. არ გასულა ორი თვე და მეორე ბიჭი შემემძინა. გაგიჟდა – შენთვის სომ კარგად იციო!.. – დღესაც არ მელაპარაკება... ამასობაში ცხოვრებაც აირია და სოფელს დაუბრუნდი. იქ მოხდა ყველაზე მთავარი, რამაც შეკვლეობაზე საბოლოოდ ამაღებინა ხელი... მეზობელ სოფელში ერთი, ბავშვობის დროინდელი ძმაკაცი მყავს, ნადირობის გიფია და ფიშტოს ეძახიან. მთელ რაიონში საუკეთესო ძაღლები ჰყავდა – სუფთა ინგლისური ჯიშის ოთხი სეტერი. შვილებზე მეტად უყვარდა, წინასწარ მომირიგდა – ღამით შეკვლედ მეწვიე, კარგად ვიქეიფოთ და დღით მთაში წავიდეთ სანადიროდო. უარზე ვიდექი, მაგრამ ნადირობის სურვილი მაძლია და ბოლოს დაეთანხმდი. თოფ-იარაღი გავამზადე, მეზობელს სატვირთო მანქანა – „გაზ-ნნ“ გამოვართვი და დამის პირველ საათზე ფიშტოს ჭოშკართან მივაყენე. დავლოცე, ზვავი და ბარაქა ვუსურვე. შუაღამე იყო გადასული, როცა დავიძინეთ. უთენია გამადვიმა, სუფრა განაახლა, „დილის მადლი“ გადაჰკრა და მომიბოდიშა – შენ გააგრძელე, მე კი ძაღლებს ავიყვან მანქანაზე, დავაბამ და შემოგიერთდებიო... ხუთ-ხუთი სახარება კიდევ ვთქვით და მანქანაში ჩავსხედით. 15-20 კილომეტრი

ვიარეთ აღმართში. მერე ფეხით უნდა გვევლო და მანქანაც გავარჩეთ. გადმოვედით და რას ვხედავთ? – ძარა ცარიელია! ფიშტოს მკვდრის ფერი დაეღო – სად არიან ჩემი ძაღლები? „აღბათ აიშვეს და გადმოცვიდნენ. არა უშავს, მანქანის კვალს გამოჰყვებიან და მალე მოვლენ, – ვამშვიდებ ფიშტოს, – იქნებ ცუდად დააბი?“ – „არა, კაცო, სამ-სამჯერ გავნასკვე თითო ქამარი“. – „რაზე მიაბი?“ – „ღუგებზე“, – დაბეჯითებით მიპასუხა მრისხანე მონადირემ. ტვინში სისხლმა ამასხა: „სადა აქვს ამ მანქანას „ღუგები“?“ მივხვდი, რაც მოხდა: ფიშტოს ჭიშკართან გადმოღუნული ტალავური ჰქონდა გაკეთებული, მეც მანქანა მის ქვეშ დავაყენე... – „ჩქარა, მანქანაში!“ – გავეცი ბრძანება და სახლისაკენ გამოვექანეთ. რომ მივუახლოვდით, ვხედავ – ოთხი სეტერი ჩურჩხელებივით კიღია ტალავერზე... რა ჩემი ბრალი იყო? – მაგრამ ისიც ჩემს ფეხს დაჰბრაღდა და მანამ ვერ შევირიგე ფიშტო, სანამ იგივე ჯიშის ლეკვები არ ვუშოვე.

... ამასობაში ჩემს კორპუსამდგ მივაღწიეთ. მხიარულ „ტაქსისტს“ ფული და მადლობა ღიმილით გადავუხადე, დავემშვიდობე და სადარბაზოში შევედი. მიუყვები ჩაბნელებულ კიბეს და ვფიქრობ: „რა კარგი მძღოლი შემხვდა, რამდენი მაციანა! ასეთი კარგი გულის კაცს ფეხიც კარგი ექნება...“

ამის გაფიქრება იყო და სიბნელებში ფეხი რაღაცას წამოვდე, ჯიბეებიდან ხელების ამოღება ვერ მოვასწარი და ბეტონის საფეხურებს პირდაპირ სახით დავენარცხე... მართლა კარგი ფეხი ჰქონია!..

ინფორმაციულ-მედიკალინური კონკრეტული
ეორი დეალი
უბის წიგნაკდან:

არქეოლოგმა ჰაინრიხ შლიმანმა საკუთარ ვაჟს ავამეჩნონი დაარქვა, ქალიშვილს – ანდრომაქე.

21. „ჩემი მუსიკოსი მეგობრები, მიუხედავად მიღებული ჩვეულებისა, ჯანმრთელობის ნაცვლად ყოველთვის ავადმყოფობას მისურვებენ,“ – ამბობდა რუსი კომპოზიტორი ა. პ. ბოროდინი. იგი პროფესორი გახლდათ ქიმიის დარგში და მუსიკას მხოლოდ მაშინ წერდა, როცა შევებულებაში იყო ან ავადმყოფობდა.

22. ლივერპულის ერთ პატარა ქუჩაზე მდებარეობს კაფე სახელწოდებით „სერჟანტ პეპერი“. ამ კაფეს მენიუში, ყველა კერძს ანსამბლ „ბითლზის“ სიმღერების სახელწოდება აქვს.

23. ჰყვებიან, რომ ცნობილი რუსი მსახიობი ფაინა რანევსკაია ცუდად ერკვეოდა ზუსტ მეცნიერებებში. ერთხელ მეგობარმა, რომელიც ცდილობდა, მისთვის ფიზიკის ერთი კანონი აესწა, ასეთი შეკითხვა დაუსვა: „რატომ გადმოდის აბაზანიდან წყალი, როდესაც შიგნით წვები?“ ამ კითხვაზე რანევსკაიამ სრულიად მოულოდნელი, მაგრამ ლოგიკური პასუხი გასცა: „იმიტომ, რომ მე დღი უკანალი მატქს!“

24. იმისათვის, რომ ინგლისის სამეფო ფლოტში თოკებისა და ბაგირების ქურდობა მოეპოოთ, 1776 წელს გამოიცა განკარგულება, რომლის თანახმადაც ყველა თოკსა და ბაგირში წითელი ძაფი უნდა ყოფილიყო ჩაწნული. ამის შემდეგობით აღვივალდ შეიძლებოდა იმის დადგენა, რომ მოპარული თოკი ან ბაგირი სამეფო ფლოტის კუთვნილება იყო. P.S. სწორედ ამ ღონისძიების შედეგად გაჩნდა გამოთქმა: „წითელი ძაფივით (ხაზივით) გასდევს...“.

25. „სამი რამ დავგრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით. რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას. ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის. საზოგადო საკუთრებაა. მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს. დაუდევრელები ვართ ქართველები და კიდევ ვე მოგვიღებს ბოლოს, თუ არ გავსწორდებით როდისმე,“ – წერდა ილია ჭავჭავაძე.



გეონეტი ანტიდუკანალი ანტიდუკანალი
GEONET

გეონეტი სერვისი

- მოწოდებული ინტერნეტ-სერვისები - 1020 ლარი
- ინტერნეტ-სერვისების და მონიტორინგის სერვისი - 771 772
- ბავშვებისთვის სერვისი (სადაც კიდე)

სახელმწიფო

სახელმწიფოს განვითარება

სახელმწიფო სერვისები

მომსახურება სახელმწიფო სერვისებისთვის - 1020 ლარი

- ანტი, ანტი, ანტი - 0.43 ლარი

სახელმწიფო სერვისები: 1 3
47 21 25 92 21 25

www.geonet.ge

შიშსა და სიკვდილზე გამარჯვებული...

ექსკლუზიური ინტერვიუ სოხუმში მცხოვრებ ქართველ ქალბატონთან



არც მე მქონდა სოხუმის დაკარგვის უფლება

აპთო მარბველაშვილი

ცხრა წელი გავიდა სოხუმის დაცემიდან და ამ ხნის მანძილზე, იშვიათად თუ ვინმეს გახსენებია ჩვენი სულის კიდევ ერთი მტკივნეული ნაწილი – იქ დარჩენილი და სასწაულებრივად გადარჩენილი ქართველები.

„მოლაღატეები არიან!“ – დასკვნის ერთნი.

„ალბათ აფხაზებზე დაეწერნენ, თორემ ვინ აცოცხლებდა?!“ – ცეცხლზე ნავთს დაასხამენ მეორენი (იცოცხლე, ასეთები კი გვეხერხება).

მაშ, ვინ არიან ისინი, ვინც აფხაზეთში დარჩა და ათასგვარი დამცირების, ტანჯვისა და შიშის ფასად სიცოცხლე შეინარჩუნა და ეროვნებაც – გმირები, თუ მოლაღატენი?

„ერთი დღითაც არ დამიტოვებია სოხუმი, არც ქართველობა დამიკარგავს – სიამაყით მითხრა ხანდაზმულმა ქალბატონმა, რომლის თვალბეჭდში ჩამდგარ სევდას და წლებს ბევრი ვერაფერი დაეკლო მისი ახალგაზრდული ხიბლისათვის. – თანდათან, ცოტანი ვრჩებით

იქ მცხოვრები ქართველები...“

მან შვილებისა და შვილიშვილების მოსანახულებლად ორი კვირით მოახერხა სოხუმიდან თბილისში ჩამოსვლა.

— **თავის დროზე, როცა სოხუმს ვეკარგავდით, ვერ მოასწარიო წამოსვლა?**

— არც მიფიქრია. საკუთარ სიკვდილზე ხელი მოვაწერე და კატეგორიულად გადაწყვეტიე დარჩენა. ჩემი ორი შვილი იმ დროს თბილისში მოღვაწიობდა, ორიც სოხუმში ცხოვრობდა. მათი გაშვება იყო ჩემთვის მთავარი. ერთი ქალიშვილი, ოჯახთან ერთად, ფეხით გადმოვიდა ჭუბურზე. მეორემ კი ჩემნაირი არჩევანი გააკეთა და გადაწყვეტილება ვერაფრით შევაცვლევინე. ორივენი მედიკოსები ვართ და იმედიც გვქონდა, რომ ხელს არ გვახლებდნენ – ჩვენ ხომ უამრავი კოლეგა და ნაცნობი გვყავდა აფხაზებს შორის. ბევრმა მართლაც გვიერთგულა, ბევრი კი „მგლად გადაიქცა“. არც მიკვირს – იარაღი თვით განუკითხაობას ეპყრა ხელთ და შეიძლებოდა, ჩვენი გამოსარჩლებისთვის ისინიც მოეკლათ.

— **როგორღა გადარჩით?**

— ღვთის ნებითა და ჩემი შვილის ლოცვით (ქალბატონის უმცროსი ვაჟი ბორჯომისა და ახალქალაქის მთავარეპისკოპოსი გახლავთ. – ავტ.), წლების წინ, ჩვენს სახლში ერთი სასწაული მოხდა: მაშინ ჩემი ვაჟი თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა და მივივე ხელით შესრულებული ხატი ჩამოიტანა სოხუმში – მაცხოვარი ეკლის გვირგვინით. ხატი კედელზე დაკიდა, ნაკურთხიც კი არ იყო. ერთხელ, კოკისპირული წვიმის დროს, წყალმა ჩამოქონა. ახლაც ატყვია კედელს ზემოდან ჩამოდინებული წყლის ნაკვალევი. სადაც ხატი კიდა, იქ ორად იყოფა და გვერდებიდან უვლის ისე, რომ წვეთიც არ შეხებია. დედის გულმა ჯერ კიდევ მაშინ იგრძნო, რომ ბიჭს განსაკუთრებული მადლი ჰქონდა.

— **პროფესია ახსენეთ...**

— დიას, სოხუმის ერთ-ერთი ავთიაქის პროვიზორი ვიყავი. არ ვტრიახობ და ავტორიტეტიც მქონდა, ბევრი გამოცდილი ექიმი იღებდა ჩემგან რჩე-

ვას. სოხუმი რომ დაეცა, ჩემი მუშაობაც, როგორც ქართველის, შეუძლებელი გახდა და სახლში ჩავიკეტე. მეზობლებიდან კიდევ რამდენიმე ქართველი ქალი დარჩა, მაგრამ ყველანი ჩემზე მოხუცები იყვნენ და თვითონ საპატრონო, ჰოდა, იმათ ვპატრონობდი. ღამით გამოვიპარებოდი ხოლმე და ზოგთან საჭმელი დამქონდა, ზოგთან – წამალი. საწოლებზეც ვერ ვწევბოდით – ოთახის კუთხეში, იატაკზე მივეყრებოდით, რომ ფანჯარაში შემოვარდნილ ტყვიას არ მოვეკალით. გასროლის ხმითაც კი ვარჩევ იარაღის სისტემას, სროლის ადგილს და მიმართულებას... ვინ იცის, რამდენი ქართველი გვაძი მოგვიპარავს და ღამით თავისივე ეზოში დაგვიმარხავს!

— **ღირდა კი, ამდენ წვალეზად იქ დარჩენა?**

— ბევრჯერ ჩავხედე სიკვდილს თვალბეჭდში, მაგრამ ერთი წამითაც არ მინანია, რომ დავრჩი. ვერ დავუშვებდი, შვილებისათვის მამისეული სახლი დამეკარგა. ჩემი მეუღლე გეოლოგთა მსოფლიო ასოციაციის საპატიო წევრი იყო და უამრავი უნიკალური აღმოჩენის ავტორს, საბჭოთა თუ უცხო ქვეყნების უმაღლესი ჯილდოები ჰქონდა მიღებული. მისი პროფესიიდან გამომდინარე, მიწვევები ჰქონდა და რვა წელიწადი გერმანიაში ვიცხოვრეთ, ექვსი – ჩინეთსა და ვიეტნამში. მოსკოვშიც მიიწვიეს, სამინისტროს გეოლოგიური განყოფილებაზე ჩააბარეს, მაგრამ ყველაფერზე უარი თქვა და სოხუმს დაუბრუნდა... ჰოდა, წლების შემდეგ, არც მე მქონდა სოხუმის დაკარგვის უფლება. სახლში მრავალი საინტერესო ნივთი გვქონდა, რომლითაც სხვადასხვა დროს, უცხოელი კოლეგები ოფიციალური ვიზიტებისას ასარეუებდნენ. ასევე, უნიკალური ბიბლიოთეკაც ამშვენებდა სახლს.

ერთ საღამოს, მეზობელი ქალი მოვიდა და მითხრა, – ამაღამ ჩვენები (ე.ი. აფხაზები) „აბხოლს“ აწყობენ და დარჩენილ ქართველებს გაყრიან, ვინც წინააღმდეგობას გაუწევს, მოკლავენ; ჩემთან დაგმალავო. – რა უნდა მექნა? – მეც დავიმალე... არავითარი „აბხოლი“ არ ყოფილა. დილით რომ დავბ-

რუნდი, სასლი თითქმის ცარიელი დამხვდა. ყველაზე მეტად მეუღლის ორდენებზე მწყდება გული.

— იქნებ, იმ მეზობელმა იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო?

— რა თქმა უნდა, იცოდა და გადაამარჩინა. მძარცველებს სახლში რომ დავხვედროდი, აუცილებლად მომკლავდნენ. ასე, ტანჯვაში გავიდა მოლოდინისა და გაცრუებული იმედების ცხრა წელი და როგორც იქნა, უფლება ავიღე, რომ ცოტა ხნით თბილისში ჩამოვსულიყავი.

— ამას ოფიციალური უფლება სჭირდება?

— თუ უკან დაბრუნებას აპირებ, სჭირდება და თუ სამუდამოდ მოდიხარ და სახლს ტოვებ, სიამოვნებით შეგელევიან. რომ ჩამოვედი, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საპატრიარქოში მიმიწვია, დამლოცა და საჩუქრად გადმომცა გიშრის მძივი და ჯვარი. ეს იყო უძვირფასესი საჩუქარი, რომელმაც ყველა დანაკარგი დაამავიწყა.

— დღეს რა ხდება სოხუმში?

— რაც გასანადგურებელი იყო, განადგურდა და ცხოვრებაც თანდათან დამშვიდდა. ჩემს კოლეგებს გავასხენდი და სამსახურში მიმიწვიეს. დღეს, ისევ აფთიაქში ვმუშაობ. ქუჩაში შემხ-

ვედრი ქართველები სახეზე ვცნობთ ერთმანეთს და ცრემლიანი ღიმილით ვესალმებით. ვერ წარმოიდგენთ, როგორი იმედი ვარ მათთვის. წამალი რომ დასჭირდებოთ, აუცილებლად ჩემთან მოდიან. მეც ვამშვიდებ, რჩევებს ვაძლევ და ვეხმარები. რას ვიზამთ, უნდა გავაძლებინოთ ერთმანეთს?! ბევრი, კარგა ხანია, აღარ დამინახავს, იქნებ... სხვა კი, რა უნდა ხდებოდეს? ქალაქი ისევ ისეთია — დამწვარი შენობებით; მშენებლობები არ მიმდინარეობს, დამსვენებელსაც ცოტას ნახავ ზაფხულში. მოსახლეობა კი იქაც წვრილი ვაჭრობით ირჩენს თავს.

— ქართველების დაბრუნება-არდაბრუნებაზე რა აზრისანი არიან?

— ამ თემაზე ლაპარაკი იქ არცთუ ისე უხიფათოა. საკმაოდ მშვიდად გრძნობენ თავს, რუსეთის იმედი აქვთ და იმიტომ. ერთს კი გეტყვით: უბრალო ადამიანებს, რომლებსაც ომამდე ყოველდღიური ურთიერთობა უწევდათ ქართველებთან, ნოსტალგიას უფრო შეატყობ, ვიდრე შიშს.

— ამ დღეებში, სოხუმში ბრუნდებით. ენგურსგალმელი ქართველების სახელით, რას ეტყობით საქართველოს?

— ღმერთმა ინებოს, რომ დაბრუნება მალე მოხდეს! აუცილებლად უნდა დაბრუნდეთ! იქ დარჩენილი ქართველები მოუთმენლად ელიან ამ დღეს, გესმით? თუნდაც მარტო იმათთვის უნდა დაბრუნდეთ! მე კი გპირდებით, რომ მათ ჯანმრთელობას არაფერს გაუუჭირვებ, ვივლი გასაცოდავებული სოხუმის ქუჩებში, შიშსა და სიკვდილზე გამარჯვებული ქართველი ქალი, დაგელოდებით და გულში ვიამაყებ, რომ ოთხი კარგი შვილი გავუზარდე საქართველოს, მათ შორის — ჩემთვის, თქვენთვის და საქართველოს მთლიანობისთვის მხურვალე მლოცველი მეუფე.

„დედის ლოცვა“

„შეგწიოს უფალი, ღმთისმშობელი მარიამ, წმინდა სალოცავები, რაც ამქვეყნად არიან. რადგან გზა აირჩიე მძიმე და უწმინდესი, ანგელოზი გფარავდეს, წმინდა სერაფიმესი“.

რეაქციისა და რეაქციის



თუ გინდა იყო თავისუფალი, საჭირო საქმე ისწავლე, შვილო, იყავი დინჯი, იკმარე მცირე და მოიშალე მალლა ყურება.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

წიგნებს შევყავართ უკეთეს საზოგადოებაში, გვაცნობენ ყოველი დროის უდიდეს ადამიანებს... გვირჩევენ, გვანუგეშებენ ჭირსა და ღზინში.

სამუელ სმილსი

მსურს ვიქროლო მთად და ბარად და ვაჟღერო მძლავრი ჩანგი, რათა ქვეყნად ქუხდეს მარად სიმართლის და სიბრძნის ჰანგი.

ფრიდერიკე კემპნერი

ადამიანს ესაჭიროება ბედნიერება, მას აქვს საამისო უფლება, უნდა მიაღწიოს ამას, რადაც არ უნდა დაუჯდეს.

ნიკოლაი დობროლიუბოვი

ხელოვნების შექმნაა ხვედრი მხოლოდ რჩეულთა,

ხელოვნების ფასი კი ყველამ უნდა იცოდეს.

ანასტასიუს გრიუნი

ციტატები მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენოთ, როცა სხვისი ავტორიტეტი ნამდვილად აუცილებელია.

არტურ შობენჰაუერი

უგვანოდ დიდთა მძებნელსა, პატარაც დაეკარგება.

დავით გურამიშვილი



ქალბაგონის უმცროსი ვაჟი ბორჯომისა და ახალქალაქის მთავარეპისკოპოსი გახლავთ



მსოფლიო მსახიობი, ჩრდილოეთი კავკასიის მემკვიდრეობის მემკვიდრეობა

კიდევ ერთი სიახლე ქართული მოდის სამყაროში: შეიქმნა ხელით ნაკსოვების კოლექცია, მისი ავტორია თვითნაწარმოებული დიზაინერი — ნანა აბულაძე, რომელსაც სასაუბროდ საკუთარ სალონში ვეწვიეთ.

ნათია ჟივიკი

— როგორც ვიცი, ხელით ქსოვა თქვენი პოზია და არა პროფესია. როდის მიხვდით, რომ ამ საქმით იყავით დაინტერესებული და როდის გადაწყვიტეთ, რომ მისთვის პროფესიულ დონეზე მოგვევიდით ხელი?

— ბავშვობიდან მაინტერესებს ქსოვა და კერვა. რაც შეეხება კოლექციას — ეს საქმე რაღაც წელიწად-ნახევრის წინ დავიწყე. რომ ვითხრათ, ეს ყველაფერი პროფესიულ მინდა გავიხადო და დიდი გეგმები მაქვს დასახული-მეთქი, ტყუილი იქნება. უბრალოდ, რაც შეენით მქონდა დაგუბებული, ძაფებისა და ნაკსოვების მეშვეობით გადმოვეცი და ასე დავიწყე მუშაობა.

— ვინ იყო თქვენი პირველი ქსოვის მასწავლებელი?

— დედა, რომელიც კარგად ქსოვს, თუმცა ახლა, უკვე გავუსწარი, დავხელოვნდი.

— თუ გეხმარებოდათ ამ კოლექციის შექმნაში?

— არა. აბსოლუტურად მარტომ შევქმენი ეს კოლექცია. უბრალოდ, სულიერად, მეუღლე ამომიღდა მხარში. მერე გადავწყვიტე, მქსოველებისთვის მომეყარა თავი. გამოვაქვეყნე განცხადება. 90-მდე ხარი გაისმა. კანდიდატებიდან ათი შევარჩიე. მე ესკიზებს ვქმნიდი, ისინი ქსოვდნენ.

— საკუთარი ესკიზები გაქვთ?

— დიახ, ოღონდ — არაპროფესიულ დონეზე ვხატავ. უბრალო ჩანახატებია,



ნანა აბულაძე

რითაც გოგონებს ვუჩვენებ, თუ რა უნდა მოქსოვონ.

— როგორ გაგიჩნდათ სალონის დაარსების იდეა და რას ნიშნავს მისი სახელწოდება?

— როდესაც მოდელების გარკვეული ნაწილი დაგროვდა, ვიფიქრეთ, რომ აუცილებელი იყო მათი გამოფენა, რათა ხალხს ენახა. რაც შეეხება სახელს — „სარასალი“ სულხან-საბას განმარტებით, ნიშნავს დიდფასისას, თუმცა ხალხში ამის გამო გაუგებრობას აქვს ადგილი — დიდფასიანი ძვირი ჰგონიათ...

— ჩვენთვის ცნობილია, რომ სალონის ბაზაზე, სკოლაც გაიხსნა. ამ სკოლაში ქარგვას ასწავლიან?

— აქ აბსოლუტურად ყველაფერს

ასწავლიან, რაც ხელგარჯილობასთან არის კავშირში: ქსოვას ფაინალით, ჩხირებით, მაკრამეს, ქარგვას, გობელენის ქსოვას... მოსწავლეთა სიმრავლით ვერ ვერ დავიკვეხნით — სულ თორმეტი არიან.

— მყიდველებზე რას გავთვით?

— თავიდან, ვინც ამ სალონში შემოდიოდა, ყველას რატომღაც თავი მუზეუმში ეგონა. ერთხელ, ფეხშიშველი ქალიც კი შემოვიდა — ფეხსაცმელი გარეთ გაუხდია. დავდევი უკან — ქალბატონო, ფეხსაცმელი ჩაიცვით-მეთქი. არაფრით არ ჩაიცვა — მუზეუმში ვარო... მყიდველებს პირობითად, ორ ვჯვუჯად დავყოფი: ერთს ესმის, რომ ეს საქმე ძალიან შრომატევადია და აფასებს, მეორე კი, რაღაც ზედაპირულად უყურებს.

— სულ ცოტა ხნის წინ, პირველი ჩვენება მოაწვევით. შედეგით რამდენად კმაყოფილი ხართ?

— ეს ჩემი პირველი სერიოზული ჩვენება იყო, თორემ, სხვა ჩვენებებშიც მიმიღია მონაწილეობა. აქ მხოლოდ ჩემი ტანსაცმელი იყო გამოფენილი და ძალიან დაბაბული ვიყავი, რადგან არ ვიცოდი, როგორ მიიღებდა საზოგადოება ჩემს ნაკსოვ ტანსაცმელს. ხალხი ბავრობის იაფფასიან საქონელს მიეჩვივა... ჩემი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა.

— თქვენ თვითონ თუ იცვამთ ნაკსოვ ტანსაცმელს და რა სტილის სამოსში გრძნობთ თავს უკეთესად?

— ჩემი ყველაზე საყვარელი ტანსაცმელი ჯინსის შარვალი და შავი პულოვერია. ნაკსოვსაც ვიცვამ, მაგრამ სისტემატურად — არა.


— რა გეგმები გაქვთ უახლოესი მომავლისთვის?

— ვაპირებთ ფეხსაცმლის მოქსოვას. ახლა ვერჯერობით ფეხსაცმლის აქსესუარი — გამაშები გვაქვს მოქსოვილი. გაზაფხულისთვის, მინდა შევქმნა კოლექცია, რომლის ძირითადი ნაწილი ეროვნულ ორნამენტებზე იქნება დაფუძნებული.

— წინასწარ თუ გიკვეთენ ხოლმე ტანსაცმელს და რამდენ ხანში ასრულებთ შეკვეთას?

— გააჩნია შეკვეთას. საშუალოდ, ორ კვირაში ვასრულებთ. ჩვენთან ყველანაირი მოდელის ერთი ნიმუში იქსოვება. ამდენი შრომის შემდეგ, ძალიან მიჭირს ხოლმე, როცა რომელიღაცა იყიდება: ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს შვილს მართმევენ...

ამ ბოლო დროს პრესისა თუ ტელევიზიის საშუალებით საკმაოდ ხშირად გვთავაზობენ ე.წ. ნდობისა თუ ინტიმური ტელეფონის სამსახურს, რომელიც ოცნებების ასდენასა და მრავალ სიამოვნებას გვპირდება. სიამოვნება, ჩვეულებრივ, ქალის ნარნარ და ეროტიკულ ხმასთანაა დაკავშირებული, მაგრამ აი, სულ ახლახან შევიტყვეთ, რომ ვილაცა მშვენიერი სქესის „დამშეული“ წარმომადგენლებისთვისაც უზრუნია და ნდობის ტელეფონს მამაკაციც მისჯდომია. ბუნებრივია, დავინტერესდით, რას გვთავაზობს სექსუალურ-ინტიმური „ადამი“. ვიფიქრე, რომ სიტყვები — „ჟურნალისტი“ და „ინტერვიუ“ გარკვეულწილად ხელს შეუშლიდა გულახდილ საუბარს და სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე, რომ მასთან, როგორც კლიენტ „დებიუტანტს“ ისე მესაუბრა:



სამსი საღაფრონი

შემოსავლიანი ბიზნესია, მაგრამ...

მარიკა მოღვაძე

— იცით, ძალიან ვლელაგ, რადგან პირველად ვრეკავ და ამიტომ, „მოთელვისთვის“, თავდაპირველად, უბრალოდ, ვისაუბროთ.

— კი, ბატონო. აქ მოსარიდეგელი არაფერია, გახსნილად მესაუბრეთ და ნურაფრის მოგერიდებათ. მითხარით — თქვენ ჩემთან სექსი გინდათ?

— ვიდრე სექსს შემომთავაზობ, ჯერ შენი გარეგნობა აღმიწერე...

— ვარ 28 წლის, 180 სანტიმეტრი სიმაღლის, 85 კილოგრამი, შავთმიანი და მწვანეთვალბიანი. საკმაოდ სექსუალური.

— მეჩვენება, რომ გაზეპირებული ფრაზებს მიეუბნები...

— არა. ასე ნუ ფიქრობ. მართლა, იმდენად კარგი გარეგნობა მაქვს, რომ სარკეში შიშველი რომ ვიხელები, საკუთარი თავის დანახვაზე ალვიგზნები ხოლმე...

— კარგი, დაგიჯერებ. ერთი ეს მითხარი — რასაც გთხოვ, ყველაფერს შემისრულებ?

— რა თქმა უნდა!

— მაშინ, გთხოვ: მსურს, რომ დაიყვლო...

— დავიყვებ, მაგრამ შენ ამით რისი მიღწევა გსურს?

— მინდა დაწინაურდე, რომ რასაც შემდგომ გთხოვ, ყველაფერს შემისრულებ. დაიყვებ, თანაც, — რაც შეიძლება სექსუალურად...

— უუაჟ! უუაჟ! (ზუსტად ისეთი ხმა

კამოსცა, როგორც კაკასიური ნაგაზის ყეფისას გამოიონია...)

— ძალიან კარგი. ახლა, რადგან შენ, ჩემგან განსხვავებით, არანაირი კომპლექსი არ გაგაჩნია, მოდი იმ სექსუალური აქტის შესახებ მომიყვიე, რომელიც შენს უდიდეს წარმატებად მიგაჩნია...

— ყველა ის აქტი, რომელსაც მე ვატარებ, განუმეორებელი და ფანტასტიკურია — როგორც ტელეფონით, ასევე რეალურად, ცხოვრებაში. მე ყოველთვის ვაღწევ დასახულ მიზანს, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ჩემი კლიენტი განიცდის ორგაზმს, როცა მე მასთან აქტს ვატარებ. ეს არ არის რაიმე განსაკუთრებული თვისება. ეს არის უბრალოდ, მამაკაციური შესაძლებლობების გამოვლინება.

— ცოლი გყავს?

— ღიას!

— შენი მეუღლე კმაყოფილია შენით?

— რა თქმა უნდა, თუნდაც იმიტომ, რომ მე შემიძლია, ყოველგვარი სტიმულატორის გარეშე, ერთ ღამეში 8 აქტი ჩავატარო. არ მოგატყუებ და ამაზე მეტს ვერ „უქაჩავ“.

— უჩვეულო თხოვნით თუ მოგმართავენ ხოლმე კლიენტები?

— ღიას, ხშირად მთხოვენ, რომ გავაუპატიურო, ან სექსუალური აქტი ჩავატარო გავაუკლმართებული ფორმით. ყოფილა შემთხვევა, რომ მაზოხისტური თხოვნით მოუმართავთ — მცემე, მატკინე, დამაბი...

— ამ დროს როგორ იქცევი?

— კლიენტის სურვილი ჩემთვის კანონია. თუ უნდა, რომ გავაუპატიურო, ასე ვეუბნები ხოლმე: მოდი ჩემთან, რატომ გამირბიხარ? ახლა მე შენ კაბას შემოგახვე, ბიუსტკალტერს ჩამოგაგლეჯ. რატომ მიძლიანდები? მაინც „ვიხმარ“! ოჰ, ეს ქვედა საცვალი ძლივს შემოგახვო... და ა.შ. რაც შეეხება გაუკულმართებულ სექსს — ასეთი თხოვნითაც ბევრჯერ მოუმართავთ ხოლმე ჩემთვის. სხვადასხვა საზოგადოება უთხოვიათ... მეც იმის აღწერას ვიწყებ, რასაც კლიენტი მთხოვს. ის კი, სიამოვნებისგან კენესის და ოხრავს...

— შენ რა განცდა გაქვს, როდესაც კლიენტთან „სექსუალური აქტს ატარებ“?

— დღე-ღამეში დაახლოებით 120-130 კლიენტს ვემსახურები. როგორ ფიქრობთ — რას უნდა განვიცდიდე?.. არის შემთხვევები, როდესაც მეც ალვიგზნები, მიჩნდება დაკმაყოფილების მოთხოვნა. ასეთ დროს კი, გამოსავალი ერთია: ვიტარებ მასტურბაციას და კლიენტთან ერთად ვაღწევ ორგაზმს...

— დღეში რამდენჯერ გიხდება ამის გაკეთება?

— რა ვიცი, გაჩნია, ხან ერთხელ, ხან 5-ჯერ, მაგრამ ვცდილობ, მაქსიმალურად ავარილო თავი...

— მამაკაცები თუ გირეკავენ?

— მირეკავენ. მინდა გითხრათ, რომ ჩემი კლიენტების უმეტეს ნაწილს სწორედ ისინი შეადგენენ, მაგრამ მათთან ურთიერთობისას მე ვერაერთარ სიამოვნებას ვერ ვგრძნობ. ამ დროს, მხოლოდ ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებ და მეტს არაფერს...



— თუ აწუხებთ ასეთ მამაკაცებს რაიმე კომპლექსები და რას გთხოვენ ხოლმე?

— ზოგიერთი დარეკავს და შორიდან მოუვლის ხოლმე, ზოგი პირდაპირ მეტყვის — მიდი ერთი, მაგრად გამჟიმო... მეც, მეტი რა გზა მაქვს?!

— მაინტერესებს, როგორ მდგომარეობაშია შენი ნერვული სისტემა ასეთი დაძაბული სამსახურის პირობებში?

— მინდა თუ არა, თითქმის მთელი დღე გაღიზიანებული და დაძაბული ვარ. სწორედ ამიტომ, 24-საათიანი მორიგობის შემდეგ, 25-ე საათი გამოყოფილი გვაქვს ფსიქოლოგიური ტრენინგისთვის. ჩვენთვის რამდენიმე ფსიქოლოგი მუშაობს და გვიხსნის იმ უარყოფით ემოციებს, დაძაბულობას, რომელიც მთელი დღე-ღამის მორიგეობის განმავლობაში გვიგროვდება.

— ჩვენს საუბარს შენი თანამშრომლები თუ ისმენენ?

— არა, ჩვენ გვაქვს სპეციალური კაბინები, სადაც საუბრის დროს განვმართავდებით ხოლმე. ამიტომ სხვების თვალისა და ყურისგან დაფარულია ის, რაც ჩემს კაბინაში ხდება...

— თანამშრომლები ერთმანეთს თუ იცნობთ?

— რასაკვირველია. ჩემთან ერთად გოგონებიც მუშაობენ და მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს... ვსაუბრობთ და ვერ-

თობით ხოლმე...

— საინტერესოა, კლიენტებთან საუბრის შემდეგ, ალგზნებულები ერთმანეთს არ „დაღერვით“ ხოლმე?

— რა თქმა უნდა, არა. არ გეგონოთ, რადგან ასეთი სამსახური გვაქვს, აქ დაბალი კატეგორიის ხალხი მუშაობს ან ყველანი ბოზები არიან.

— მე რომ გთხოვოთ, მომასმენინოთ ქალისა და მამაკაცის სექსუალური აქტი, რას იზამთ?

— დავუძახებ ჩემს თანამშრომელ გოგონას და მოვასმენინებთ, როგორ გავუძიავ მას...

— ეს სინამდვილეშიც მოხდება თუ მხოლოდ იმიტაცია იქნება?

— არავითარ შემთხვევაში არ გვაქვს კლიენტის მოტყუების უფლება. სწორედ ამიტომაც, ეს არ იქნება იმიტაცია. ეს მოხდება რეალურად და თქვენ ამის მოწმე გახდებით. სწორედ ასეთი თხოვნით წინა მორიგეობის დროს ერთმა მამაკაცმა მოგმართა და ეს სურვილი შეეუსრულეთ... ჩვენ ეს არ გვეკრძალება.

— რა გაიძულებს, იმუშაო ასეთ ადგილას? შრომის ანაზღაურება გიზიდავს?

— პირველ რიგში, ანაზღაურება. თვეში დაახლოებით 800-იდან 1.000 ლარამდე გამოვიძიმევა. მეორე — მე პროფესიით ფსიქოლოგი ვარ და ასე ვთქვათ, „ცოცხალ მასალას“ ვაგროვებ, შემდგომი გაანალიზების მიზნით.

— დარწმუნებული ხარ, რომ ეს მამაკაცისთვის მისაღები სამსახურია?

— ვფიქრობ, რომ არანაირი სამსახური არ არის დასაძრახი... მე სხვაგანაც ვმუშაობ, საკმაოდ პრესტიჟულ ადგილას, მაგრამ ამ სამსახურს თავს არ დავანებებ იმ შემთხვევაშიც, 50 ან 100 ლარიც რომ მქონდეს ანაზღაურება...

— მუდმივი კლიენტები თუ გყავს?

— დიახ, მყავს. როგორც მამაკაცები, ასევე ქალები. ისინი მხოლოდ ჩემი მორიგეობის დროს რეკავენ ხოლმე.

— კლიენტთან შეხვედრა გეკრძალებათ?

— დიახ, მაგრამ თუ მუდმივი აბონენტია და უკვე ერთმანეთს საკმაოდ კარგად ვიცნობთ, დასამაღიც აღარაფერია და შეხვედრაც დასაშვებია.

— მე რომ გთხოვო, შემხედვები?

— არა. ჯერ 3-4-ჯერ უნდა დარეკო, გულითადად ვისაუბროთ და შემდეგ დაგთანხმდებით შეხვედრაზე...

— ეს, ფულის კეთების ხერხია? რაც მეტჯერ დარეკავს კლიენტი და მეტს ისაუბრებთ, მეტიად „გაფცქვნიო“ მას...

— არა, ასე არ არის.

— რამდენია მაქსიმალური დროის ხანგრძლივობა, რომელიც ერთ კლიენტთან საუბრისთვის მოგიწოდებია?

— ყოფილა შემთხვევა, რომ 6 სათი მისაუბრია აბონენტთან, მაგრამ ამდენი ხანი სექსზე კი არა, განსხვავებულ თემებზეც ვლაპარაკობდით...

— საინტერესოა, შენმა მეგობრებმა თუ იციან, სად მუშაობ?

— დიახ. აქ დასამალი არაფერია. მათ ჩვეულებრივად აღიქვენ ეს და ქირქილისა და დაცინვის ობიექტი არასოდეს გაემხდარვარ...

— როგორ ფიქრობ — რა არის იმის მიზეზი, რომ სექსიტელეფონით პოპულარულია?

— იცით, რა?! — ჩვენ, ქალებსა თუ მამაკაცებს ყველა იმ ოცნებებს ვუხდენთ, რასაც ისინი ქმრების, ცოლებისა თუ საყვარლების ლოგინში ვერ ისრულებენ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც დაურეკავს ქალს და უთქვამს: შენ ჩუმაღ იყავი, მე ვილაპარაკებო, და „ორალური სექსის აქტი ჩაუტარებია“ ჩემთვის...

— როგორ ხდება თანამშრომლების შერჩევა?

— ჩამიტარეს სპეციალური ტესტირება, რომელიც წარმატებით გავიარე, გამაცნეს პირობები და ამის შემდგომ, გავაფორმეთ ხელშეკრულება.

— მთელი საუბრის განმავლობაში „თქვენობით“ მომმართავ ყველა კლიენტს ასე ესაუბრები?

— არა, მე მათ „თქვენობით“ ვერ დაველაპარაკები, ხშირად ვხმარებ უწმაწურ სიტყვებს, ვიგინები, თქვენთან კი ეს რაღაც, არ გამომდის...

ჩემს უნებლიე რესპონდენტს დავემვიდობე და მომეჩვენა, რომ ჩემი მადლიერი დარჩა — თითქოს შევებით ამოისუნთქა, რომ მძიმე მოვალეობის შესრულებას ერთხელ მაინც გადაურჩა... მე კი, გადაეწყვიტე „აკლავა“ გამეგრებულბნ

და დამედგინა არსებობს თუ არა რაიმე სტატისტიკური მონაცემები — რამდენი აბონენტი რეკავს „ნდობის ტელეფონზე“, როგორი სიხშირით, ან რა თანხა იხარჯება ყოველთვიურად ამ სიაშოვნებაზე? ამის გასარკვევად თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის პასუხისმგებელ თანამშრომელს ვესტუმრე, რომელმაც მთხოვა, მისი ვინაობა არ გამეხილა, მხოლოდ ერთი მიზეზით: თითქმის ყველა აბონენტი მიცნობს, ბევრი მათგანის ოჯახური ძღვო-მარეობაც კი ვიცი და ამის შემდეგ, შესაძლოა, მათი ნდობა დაგკარგო...

— ქალბატონო მეგი, შეგიძლიათ გვითხრათ — დაახლოებით რამდენი ადამიანი სარგებლობს „ინტიმური ტელეფონის“ მომსახურებით?

— ერთ საინტერესო ამბავს გაგიმხელთ: ამ რამდენიმე წლის წინ, მოდიოდნენ აბონენტები პრეტენზიით, რომ ტელეფონზე ძალიან დიდი გადასახადი ეწერებოდათ. ამტკიცებდნენ, რომ საზღვარგარეთ, ან მობილური ტელეფონების აბონენტებთან იმდენი არ უსაუბრიათ, რამდენიც ქვეთარში ეწერა. ცოტა ხანში, მსგავსი პრეტენზიები გახშირდა. აღმოჩნდა, რომ ყველა ამ აბონენტის ნომრიდან დარეკილი იყო ჰაიტიზე. დავინტერესდით და დავადგინეთ, რომ ეს იყო „ინტიმური ტელეფონის“ ნომერი, რომელიც ჰაიტიზე ფუნქციონირებდა. ეს ნომერი ჩვენი, ქართველი აბონენტებისთვის ცნობილი გახდა და ისინიც სიაშოვნებით სარგებლობდნენ ამ მომსახურებით, ოღონდ — ოჯახის წევრებისგან მალულად. ქართველი კაცის პრაქტიკული გონების ამბავი მოგეხსენებათ, ამიტომ, აქ უცებ აიტაცეს ეს იდეა და გაცილებით იაფად შესთავაზეს იგივე მომსახურება. თუმცა, ამ საქმის პიონერები საქართველოში ბულგარელები იყვნენ... რაც შეეხება თქვენს შეკითხვას — ჩემი დაკვირვებით, 100 აბონენტიდან, 80-85 მაინც სარგებლობს „ნდობის ტელეფონის“ მომსახურებით...

— თუ არის თქვენთვის ცნობილი — რამდენია ყველაზე მაქსიმალური თანხა, რომელიც აბონენტს ამ მომსახურებისთვის გადაუხდია?

— მაქსიმალური თანხა, 1.600 ლარია — ერთი თვის განმავლობაში. ისე კი ხშირია შემთხვევა, როდესაც 1.000-1.200 ლარს იხდიან.

— ამ თანხის ამოღება უმტიკინეულოდ ხდება თუ „ბრძოლა“ გინევთ ხოლმე?

— თანხები, რომელიც ზემოთ დავასახელე, უპრობლემოდ დაფარეს აბონენტებმა. ისინი ყოველ თვეში ერთხელ მოდიან და დავალიანებას უსიტყვოდ ისტუმრებენ. ხშირია შემთხვევა, როდესაც აბონენტის ოჯახის წევრები მოდიან და გვიმტკიცებენ — ამ ნომერზე არ დაგვირეკავსო. ვუბნებით: წაბრძანდით, ოჯახის წევრები გამოჰკითხეთ, კარგად გაარკვიეთ და მერე მოდით პრეტენზიებით-თქო... მასხოვს, ერთხელ, მოვიდა ახალგაზრდა ქალი და ამტკიცებდა: სახლში მე და ჩემი 12 წლის შვილი ვართ, მე არ დამირეკავს, 12 წლის ბავშვი ხომ არ დარეკავდა და რატომ მომივიდა ამხელა გადასახადი? ვურჩიე, რომ ბავშვისთვის გამოეკითხა ყველაფერი დაწვრილებით. თავზე დამამხო ყველაფერი, მაგიდაზე რაც საქალღლები მელაგა, თავზე გადამაყარა და კარი გაიჯახუნა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი, მოვიდა და ბოლიში მომიხადა. აღმოჩნდა, რომ სკოლაში, მასწავლებელს უთქვამს: ამ ბოლო დროს, თქვენი შვილი გათიშული დადის და ყურადღება მიექცეითო. ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, გაარკვია, რომ სწორედ მისი 12 წლის ბიჭი რეკავდა „ნდობის ტელეფონზე“ და ამისგან იყო „გამოდებული“.

— ორგანიზაციებს თუ აქვთ დავალიანება ამ ტელეფონით სარგებლობის გამო?

— დიას, არის ასეთი შემთხვევებიც, მაგრამ დაწესებულებაში ძალიან იოლია იმის დადგენა, თუ ვინ დარეკა, ამიტომ ჩვეულებრივ, თავს არიდებენ ხოლმე სამსახურის ტელეფონით სარგებლობას. ერთხელ, ერთი კაცი მოვიდა (საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა და გვარს ვერ დავასახელებ), რომელსაც საკმაოდ სოლიდური დავალიანება ჰქონდა. ჯერ დავავიწყებო, რომ მას არ დაურეკავს, მერე მოგვიყვანა ის თანამშრომელი, რომელსაც „ინტიმური ხაზით“ უსარგებლია და შემდეგ, დაფარა დავალიანება.

— ალბათ, ოჯახური კონფლიქტის ხშირად მომხდარა ამის ნიადაგზე...

— ბევრს უთქვამს ჩემთვის: რომ დავამტკიცო,


ჩემმა მეუღლემ ისაუბრა ამ ნომერზე, ოჯახს დავანგრევეო...

— იქნებ კურიოზიც გაიხსენოთ?

— კურიოზი საკმაოდ ხშირად ხდება ხოლმე. ერთხელ ჩემი კაბინეტის კარი ასე, 17-18 წლის ბიჭმა შემოაღო. მეგი თქვენ ბრძანდებით? — მკითხა და როდესაც დასტური მიიღო, მაგიდაზე, რაღაც შეფუთული ნივთი დამიდო. გავხსენი და ხელში შემრჩა სუნამო და კონვერტი, რომელშიც რაღაც ნივთი იდო. დავუძახე ჩვენი იურიდიული სამსახურის თანამშრომელს — შემეშინდა, ვინმეს რამე არ „გაეწალიანებინა“ ჩემთვის, — გავხსენით და აღმოჩნდა, რომ შიგ გამხმარი ვარდის კოკორი და წერილი იყო. ვიღაც ლაწირაკი სიყვარულს მისწინდა, თანაც ისეთი სატრფიალო სიტყვებით, რომ კინაღამ გადავირიე. წერილი ბოლომდე ჩავიკითხე და აღმოჩნდა, რომ ეს ბიჭი იყო „ინტიმური ხაზის“ მუდმივი აბონენტი, იმ გოგონას კი, ვისაც ესაუბრებოდა, მეგი ერჭვა და უფიქრია, რომ ის მეგი მე ვიყავი და შეყვარებულს, გრძნობის გამხელა გადაუწყვეტია, — თუმცა ასაკით, შვილად მერგება... დავრეკე წერილში მითითებულ ნომერზე და ჩემთან, სამსახურში დავიბარე. იცოცხლე — მაგრად შევარცხვინე. სულ ბოლიშებს მიხდიდა, რომ მიდიოდა... ბოლოს, ერთს გეტყვით: ძალიან მაშფოთებს ის ამბავი, რომ ჩვენს საზოგადოებაში ბევრი დაავადდა ამ სენით: „სექსი ტელეფონით“ შემოსავლიანი ბიზნესია, მაგრამ რა შედეგს მოგვიტანს ეს გატაცება?..



მოზილური ტელეფონის ხელოსნებმა ყველაზე უკეთ იციან, რომელი აპარატია მოპარული. უფრო მეტიც — ისინი იოლად არჩევენ, თუ რომელი ტელეფონი რომელ ქვეყანაში მოიპარეს. სწორედ ერთ-ერთმა ხელოსანმა გამომხილა: ავსტრიაში ჩვენი ჯიბეების ჯგუფი წავიდა და ახლა, თბილისში მოზილურების ფასი დაგარდებოა. ფასი ნამდვილად არ დაგარდნილა, მე კი, დიდი წვალეების მიუხედავად, ერთ-ერთი ჯიბეების ოჯახში მოგვფი და ქალებთან საერთო ენის გამოხატვაც მოვახერხე. სწორედ მათ დამაკავშირეს ახალგაზრდა ქალთან, რომელმაც მითხრა, სახელი და გვარი შეგიძლია არ შემიცვალო — ინკოგნიტოდ დარჩენას სულაც არ ვცდილობო, — მაგრამ ჩვენ მაინც მოვერიდეთ მისი ვინაობის დასახელებას და პირობითად, თამთას დავარქმევთ.



მეზილურია,

რომ ქურდობის მიზეზი აღარ მექნება...

ლელა ჭანკობაძე

თამთა:

— ნახალკოვკაში ვცხოვრობდი. მეხუთე სკოლა დავამთავრე. სხვებისგან არაფრით გამოვიარჩეოდი, ლამაზი ცისფერი თვალები მქონდა, ეს იყო და ეს. მეათეკლასელი გახლდით, თანაკლასელის ბიძა რომ შემეყვარდა. ჩემზე თორმეტი წლით უფროსი მამაკაცი, მოფერებით პეპის მეძახდა და ლოყებზე დაყრილ ჭორფლებს მითვლიდა. შემეყვარდა და მთელი ცხოვრება მას მივუძღვენი... მაშინ ბავშვი ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, როგორ შეიძლებოდა, რომ მისი ცოლი არ გამგზვდარიყავი. ერთ მშვენიერ დღეს კი, ჩემმა თანაკლასელმა მითხრა: დათო უნიჭიერესი, უგანათლებულესი, მაგრამ ძალიან ღარიბი კაცია; მაგას ისეთი ცოლი უნდა, რომ ჩააცვას, დაახუროს და აცხოვროსო. პირველად ვიგრძენი საშინელი სიმწარე. მივხვდი, რატომ არაფერს მჩუქნიდა, რატომ არსად მპატიჟებდა... რა უნდა მექნა? პატარა გოგოს ისეთი რა უნდა გამეკეთებინა, რომ ცხოვრების ტვირთი მარტოს მეტარებინა? იმ დღიდან დავიწყე ფულის შეგროვება. ჩემი მშობლები ხურდა ფულს რომ მაძლევდნენ, მე ყულაბაში ვყრიდი. ერთ წელიწადში სამასი მანეთი (იმ დროს, ჯერ „მანეთობა“ იყო) მოვაგროვე. როგორც კი სკოლა დავამთავრე, ჩემს მეზობელს თურქეთში გავეყვი.

— მშობლებმა გაგიშვეს?

— დიას. მამაჩემი ახალი დაღუპული

იყო. მარტოხელა დედამ ვერ შეძლო, წინააღმდეგობა გაეწია ჩემთვის. გზაში ჩვენი ავტობუსი დააყჩაღეს და ფული წაგვართვეს. სიმწრით ზორცებს ვივლეჯდი. ის დამე ბათუმის სადგურში გაკათენეთ. იქ სხვა ხალხიც ჩემსავით ვიშვიშებდა. რამდენიმე ადამიანს კი, ტკბილად ეძინა. ერთი კაცი სულ წითელ თუშნიანებს აფრიალებდა. სწორედ მისმა საფულემ მაცდუნა: როგორც კი ჩაეძინა, ჯიბეში ხელი ჩავუცურე და „ლაპატნიკი“ ამოვაცალე. მერე საპირფარეოში შევვარდი და ნადავლი დავთვალე. ასორმოცდაათი მანეთი იყო. ღმერთს მადლობა შევწირე, ფული კი ფეხსაცმელში ჩავიდე. გამთენიისას, იმ კაცმა ყვირილი ატეხა. ჩემზე ეჭვი არავის მიუტანია.

— ეს პირველი ქურდობა იყო?

— პირველი, მაგრამ არა — უკანასკნელი... დაკრძალვაზე წავედი. იქ უამრავი, კარგად ჩაცმული ადამიანი იყო. ერთი შეხედვითაც ემჩნეოდათ, ჩანთებში ფული რომ ექნებოდათ. როცა სუფრას მიუსხდნენ, მასპინძელმა ყველას ხელჩანთა გარდერობში შეინახა, მე კი ვაჭითე. წარმოუდგენლად დიდი თანხა ვიმოვე. ზოგისთვის ეს, შეიძლება, კაპიკები იყო, ჩემთვის კი, ცხრაასი მანეთი მაშინ დიდ ფულს წარმოადგენდა.

— სად შეინახე ეს თანხა?

— მანეთი რომ კუპონით შეიცვალა, ჩემი დანაზოგი გადავახურდავე და სამი ცალი პური ვიყიდე. ფული გაფუჭდა. უამრავი ადამიანივით, მეც დიდი ზარა-

ლი ვნახე. ძალიან გაუჭირდა მას, ვინც მთელ ქვეყანას მერჩივნა. მთელი ღამე პურის რიგში ვიდექი ზოლმე, მშვიერი რომ არ დარჩენილიყო.

— უკვე ერთად ცხოვრობდით?

— მასთან სამშაბათს და პარასკევს მივდიოდი, ღამითაც ვრჩებოდი. სხვა დღეებს ერთ ქალთან ატარებდა, რომელიც მისი შესაფერისი იყო. ისინი ერთად მუშაობდნენ. ის ქალი ყველაფრით მჯობდა, მხოლოდ ერთი მინუსი ჰქონდა — დათოსავით უფულო იყო... მე ფული უნდა მეშოვა, დათო კი ამით უნდა მიმხვდარიყო, რომ მისთვის საჭირო ვიყავი. ყველაფერი უნდა მიმეცა მისთვის: მანქანა, კარგი ტანსაცმელი, ბევრი საჭმელი და დიდი სიყვარული. ამიტომაც წავედი თურქეთში. სამი წელი იქ ვიმუშავე. დათოს კურეკავდი ზოლმე და წელიწადში ორჯერ, ფულს ვუგზავნიდი. მინდოდა, ეგრძნო, როგორი სიამოვნებაა კაცისთვის, ჯიბე სავსე რომ აქვს... თურქეთიდან რომ დავბრუნდი, აეროპორტში დამხვდა. დელოფალივით თავაწეული ჩამოვედი.

— დათომ იცოდა, როგორ ცხოვრებას ეწეოდი?

— თურქეთში არ ვიპარავდი. ვვაჭრობდი — ვყიდულობდი და ვყიდიდი. იქ ისეთი კანონებია, მეელი უნდა იყო, ქურდობა რომ გაბედო. სამაგიეროდ, თბილისში რამდენჯერმე „გავასუფთავე“ მეტროს ვაგონები — ვაგზლის მოედნიდან მარჯანიშვილის მოედნამდე. ბევრს

ვერ ვიპარავდი — ხალხს ფული არ ჰქონდა — მაგრამ იმდენს კი ვშოულობდი, მე და დათოს თავი რომ გვერჩინა.

— თურქეთიდან რაც ჩამოიტანე, იმ ფულს რა უქენი?

— დათოს ვალები ჰქონდა და გადავუხადე. სამაგიეროდ, საცხოვრებლად მასთან გადავედი. ხელი არ მოგვიწერია, მაგრამ ღმერთმა რაც მომცა, იმითაც დავეკმაყოფილდი. ორსულობის დროს, თბილისი კატასავით გავატყავე. შემეძლო, როცა მინდოდა და რამდენიც მინდოდა, იმდენი მომეპარა. ბავშვი როგორც კი გავაჩინე, პოლიციამ ჩამავლო. დათომაც, მაშინ გაიგო, სინამდვილეში ვინ ვიყავი. მეგონა, მიმატოვებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. სამწუხაროდ, ფულის გამო, ადამიანები ბევრ რამეზე სუჭავენ თვალს, არა აქვს მნიშვნელობა — პროფესორები არიან თუ მუშები... ერთი ღამე ვიყავი დაჭერილი. პოლიციამ მთელი ჩემი დანაზოგი წამართვა და გამომიშვა. შინ ბიჭებმა (ჯიბგირებმა) მიმიყვანეს. მათ დათოსი ერიდებოდათ, ამიტომ უნდოდათ, სადარბაზოსთან დამშორებოდნენ. ყველანი გადავკოცნე. ყველას მადლობა გადავუხადე მხარდაჭერისთვის. რამდენიმე წუთის შემდეგ, რატომღაც ეზოში გადმოვიხედე — ისინი ისევ გაუნძრევლად იდგნენ, ალბათ ფიქრობდნენ — ქმარი არ წაეჩხუბოსო. თუ დათო გამომაგლებდა, ქუჩაში არ დამტოვებდნენ, თავშესაფარს მიშოვიდნენ.

— დედასთან ვერ მიხვიდოდე?

— არა. იქ ჩემმა ძმამ ამიკრძალა მისვლა. ის ერთადერთია, ვინც დღემდე ვერ მაპატია, საკუთარ თავზე მეტად, დათო რომ შევიყვარე... მერე, თბილისში ცხოვრება გაძნელდა. პოლიციამ გასაქანი აღარ მოგვცა. მე და ჩემი ბიჭები საფრანგეთში წავედით. დათო დაგვეხმარა — საბუთები გავვიკეთა, დაგვაკვლიანა და ხუთი ქართველი პირდაპირ პარიზში ჩავფრინდით. ეს იყო 1998 წლის 20 მაისს. ეს დღე ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარია. ისეთი მოხიბლული დავრჩი პარიზით, რომ ემოციებისგან თავბრუდახვეულმა, რამდენიმე დღის მანძილზე, ვერაფერი მოვიპარე. ბიჭებმა კარგად იმუშავეს. საერთოდ, იქ ჩემნაირისთვის ცხოვრება ძნელია. მთელი დღე ენაგადმოგდებულმა რომ ირბინო, იმდენს ვერ მოაგროვებ, ხეირიანი ოთახი რომ დაიქირავო და ძილის წინ, ცხელი რძე დალიო. ახალ წელს პარიზში შევხ-

ვდით. უამრავი ქართველი ვნახეთ. უმეტესობა, ჯიბეში ხელის ჩაყოფით ირჩენდა თავს. ბოლოს, ერთ-ერთი ჯიბგირი პოლიციამ დაიჭირა. სანამ გადასახადი გადავიხადეთ, ნერვიულობისგან ჩამოვბერდით. პირადად მე, მთელი ღამე ვტიროდი.

— რატომ?

— მიზეზი საკუთარი თავისთვის არ მიკითხავს. უბრალოდ, არ მეძინებოდა და ტირილი დავიწყე. ბიჭები მაშინვე საწოლზე ჩამომისხდნენ. მათ იციან — მე თუ ვნერვიულობ, ე.ი. საქმე ცუდად არის... უხმოდ მიყურებდნენ. ელოდნენ, რას ვიტყვოდი. მე კი ვთქვი: იმას გამოვიყვანთ და აქედან დავახვევთ-მეთქი. მაგრამ მალე, საშინელი რამ მოხდა. არც მინდა ამის შესახებ საუბარი. ჩვენი ბიჭებიდან ერთ-ერთი გარდაიცვალა. დილით, საწოლში მკვდარი ვნახეთ. ცხადია, გვამი თბილისში გადმოვასვენეთ... დაკრძალვის შემდეგ, მარტო რომ დავრჩი და სარკეში ჩავიხედე, შემეშინდა: მეგელს ვგავდი. მივხვდი, დასვენება მჭირდებოდა. ბიჭებსაც შეეუთვალე — ერთი კვირა აღარ მომაკითხოთ-მეთქი. ბავშვს ჩავეხუტე და გადავწყვიტე, ოჯახური იდილით დავტკბარიყავი. დათო მივიღია. ცივ ნიავეს არ მაკარებდა. საღამოობით, სასეირნოდ მატარებდა, ღამით, საწოლში ცხელ კეცს მიდებდა — არ შეგცივდესო... ყოველ დილით ღმერთს ვევედრებოდი, ეს სიამოვნება დიდხანს გავრძელებულიყო, მაგრამ მეხუთე დღეს, დათომ მითხრა: ფული გველევა, ძვირფასო, ასე თუ გავრძელებდი, არ ვიცი, რა გვეშველებო... ეს იყო მისგან პირველი წყენა. ჩავიცვი და ქუჩაში გამოვედი. ვაგზალზე ბიჭები მოვძებნე. შემატყვევს, ჭკუაზე არ ვიყავი. წავიდეთ, დავლიოთ-მეთქი, — შევთავაზე. მიწის ქვეშ მაგარი სახინკლეა. იქ დავსხედით, ბევრი ესვი. მოულოდნელად, ერთ-ერთმა — ზალიკომ მკითხა: რას გიკეთებს ასეთს შენი ქმარი, დაბრძანებული რომ დადინარო? მივხვდი, რაღაც იცოდა და უნდოდა ეთქვა, მაგრამ პირზე ხელი მივაფარე. მე არ მინდოდა სიმართლის გაგება, მერჩინა, ილუზიებით მეცხოვრა, ვიდრე დათოს ნაკლი დამენახა... ზალიკო არ მომეშვა. მაგარი მთვრალი ვიყავი. მანქანაში ჩამსვა და თავის სახლში წამიყვანა. თურმე მთელი ღამე საწოლთან მეჯდა და მდარაჯობდა, ცუდად რომ არ გავმხდარიყავი. რომ გავიღვიძე და დავინახე, ელდა მეცა. მიყვარხარო, — დაუფარავად მითხრა...

მეტი არაფერი უთქვამს. არც მე ჩავბიებოვარ, ერთმანეთს უსიტყვოდ დავცილდით... მერე, ავსტრიაში წავედით. იქ, სადაც ჩვენნაირებისთვის ცხოვრება იოლია, ოცნებებიც რეალური ხდება... ბინა ვიქირავებ და ბედნიერი ცხოვრება დავიწყებ.

— რატომ არის ავსტრიაში ჯიბგირებისთვის იოლი ცხოვრება?

— თუ დაგიჭერენ, გადასახადი მინიმალურია. თანაც, იქაურ ციხეში გაცილებით კარგი პირობებია, ვიდრე თითოეულ ჩვენგანს აქ გვაქვს. უმეტესობა კაიფობს, ამიტომ, ჯიბეში ხელის ჩაყოფას, რა თქმა უნდა, ვერ იგრძნობს. ვიპარავთ ნივთებს, სამკაულებს, მობილურ ტელეფონებს. მერე, თბილისში ვვზავნი.

— რამდენი ხანი იყავი წასული?

— საახალწლოდ ჩამოვედი. ისევ უნდა წავიდე. რვა თვე ვიმუშავე და პეკინზე ბინა ვიყიდე. მინდა, სიყვარულშიც ისეთივე დამოუკიდებელი ვიყო, როგორც ცხოვრებაში ვარ. მე და დათო ერთმანეთს ვეღარ ვუგებთ. მგონია, რომ შეცდომა დავუშვი.

— ზალიკოს გამოჩენამ ხომ არ შეიტანა ბზარი თქვენს ურთიერთობაში?

— ზალიკო კარგი ბიჭია. შეუძლია, ხელისგულზე დამისვას და ცივი ნიავე არ მომაკაროს. ის ყველაზე უკეთ მიცნობს. მას ისეთი ვუყვარვარ, როგორც ვარ. ავსტრიიდან რომ მოვიდი, ვერ გამომაცილა — დაჭერილი იყო: მაღაზიდან ქურქი მოიპარა, მერე გაყიდა და პოლიციამ მაშინ ჩაავლო. აეროპორტში ვიღაც უცნობები მოვიდნენ, ჩემი მეტსახელი იკითხეს და პატარა ყუთი გადმომცეს. იმ ყუთში კატის კნუტი იყო. ციხიდან ზალიკომ სხვა ვერაფერი გამოიგზავნა. ის კნუტი თვითმფრინავში არ შემაყვანინეს, საბუთები არ ჰქონდა. ამიტომ იმას დავუტოვე, ვინც მაცილებდა... თბილისში რომ ჩამოვფრინდი და ჩემს შვილს ჩავეხუტე, ყველაფერი დამავიწყდა... ჩემი გოგონა ხუთი წლის არის. სევდიანი ბავშვია. უდებოდა ძნელია, სულ ენატრები. მეუბნება: სიხმარში გნახულობო... ახალი წლის შემდეგ, ისევ ავსტრიაში ვაპირებ დაბრუნებას. მეშინია, რომ მიზეზი აღარ მექნება, მიზეზი, რომლის გამოც უნდა მოვიპარო...



ძალიან ღამაში ქალის გულისთვის შათოვდა ახალი წლის ღამეს

**ბატონ გივი ძავითარაძის, შეხვედრაზე ვერ
კიდევ შარშან — 2002 წლის დამლევს შეგუ-
თანხმდი. ბოლო დროს თითქოს ჩრდილში მყოფი
მსახიობი და რეჟისორი ძალზედ მოუცლელი
აღმოჩნდა და ვერა და ვერ მოვიხელთე-მერე,
ორკვირიანი საახალწლო „არდადეგებიც“ დაიწყო...
ინტერვიუ, ბოლოს და ბოლოს, ძველით
„სახალწლევს“ შედგა.**

ნანა ქიბიშაური

— ბატონო გოგი, თქვენთვის
წინასახალწლო დღეებიც შემოქმედებ-
ითად ნაყოფიერი იყო. ახალ წელ-
საც ალბათ კარგი განწყობით შეხ-
ვლით...

— შევხვდი ისე, როგორც ყველა. თუმცა,
სხვადასხვა ხასიათის ადამიანი, განსხ-
ვავებულად აღიქვამს ახალი წლის
დადგომას. პესიმისტი და სევდიანი კაცი
დარდობს, რომ კიდევ ერთი წელი მოაკ-
ლდა, მხიარული კაცი კი ხარობს —
კიდევ ერთ წელს შევხვდი ცოცხალიო...
მაგრამ ახალი წლის დადგომას ისეთი
საზეიმო განწყობილება ახლავს თან, რომ
ყოველი ადამიანი ცდილობს, ამ დღეს
განსაკუთრებულად შეხვდეს. რამდენჯერმე
შევხვდი ახალ წელს ევროპაში. იქ უფრო,
შობას ზეიმობენ და უფრო მასშტაბურა-
დაც აღნიშნავენ. ჩვენში კი, ახალი წლის
დადგომა ოჯახური დღესასწაულია. ზე-
იმსაც ჩვენებურად აღვნიშნავთ და გამ-
ოვზატავთ. მოუხედავად იმისა, რომ არტი-
სტიკური ბუნების ხალხი ვართ, სიხარუ-
ლის დროსაც, მოკრძალებულები და ზომ-
იერები ვართ. არ გვახასიათებს ინფანტი-
ლურობა. ამერიკაში, ევროპაში, თუნდაც
რუსეთში, ხალხი ახერხებს პრობლემებ-
ის დავიწყებას. ჩვენ კი, არტისტიზმი არ
გვეყოფნის იმისათვის, რომ ისე მოვილხი-
ნოთ, როგორც, ვთქვათ, რუსი მხიარუ-
ლობს. მე, მაგალითად, ბოლომდე ხალი-
სიანად ვერ შევხვდებოდი ახალ წელს
თუნდაც იმიტომ, რომ დიდი ხანი არ
არის, რაც კოტე მასარაძე წავიდა ჩვენ-
გან. ეს კაცი თავისი რიტმით, ტონუსით,
ენერჯით, ძალიან უხელოდა ახალ წელს...

— ვფიქრობ, 2002 წელი
თქვენთვის მაინც მნიშვნელოვანი იყო.

ყოველ შემთხვევაში, წლის ბოლოს,
სახელმწიფო პრემიაზე იყავით წარდ-
გენილი.

— წარმადგინეს, როგორც რეჟისორი,
„ჰამლეტის“ დადგმისათვის და როგორც
მსახიობი — მთავარი როლის შესრულებ-
ისთვის, ოტია იოსელიანის პიესაში —
„სანამ ურემი გადაბრუნდება“. ეს ჩემთვის
სასიხარულოა, რადგან მსახიობობა და რე-
ჟისურა არის ის ორი ძირითადი საქმე,
რასაც მთელი ცხოვრება ვემსახურები.
მთელი ცხოვრება, თბილისის გარეთ მიწ-
ვედა მუშაობა — სოხუმი, ბათუმი, ქუთაი-
სი; ახლა, რუსთავის თეატრს ვხელმძღვ-
ანელობ და მხოლოდ ერთ რამეს ვცდი-
ლობდი და ვცდილობ: ყველა ამ პატარა
ქალაქის თეატრი ყოფილიყო კონკურენ-
ტუნარიანი ჩვენი წამყვანი თეატრების
გარემოცვაში — თუნდაც რუსთაველის ან
მარჯანიშვილის თეატრის გვერდით.
ფიქრობ, ის თეატრალური დასი, რომელთ-
ანაც ვმუშაობდი, ამას ახერხებდა კიდევ...
ძალიან სასიხარულო იყო ჩემთვის, როდ-
ესაც კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მე-
ორის აღსაყდრების 25 წლისთავის იუ-
ბილეს ორგანიზება მე დამევალა. ჩემი
ამოცანა იყო ნახევარსაათიანი სანახაობის
დადგმა. თუ გაიხსენებთ იმასაც, რომ პრეზ-
იდენტის ინაუგურაციაც მე გავაკეთე, გამო-
დის, რომ მე კარის რეჟისორი ვარ. შეი-
ძლება, ვინმე მართლა ასე ფიქრობს კიდევ,
მაგრამ ჩემთვის ეს დიდი პატივია...


— თქვენ და ლიკა ქავჭავაძე
მონაწილეობთ მოკლემეტრაჟიანი
ფილმში, რომელიც ახალ წელს
მომხდარ შემთხვევას ეხება. ოდეს-
მე, მართლა ხომ არ აღმოჩენილ-
ართ ღამაში ქალის გამო მსგავს
სიტუაციაში?

— ეს არის ფილმი „სათადარიგო

ბორბალი“. მსგავს სიტუაციაში ვერ
აღმოვჩნდებოდი თუნდაც იმიტომ, რომ მე
საერთოდ არ ვმართავ მანქანას. ბუბა
კიკაბიძე ამის გამო ხშირად მეუბნება
ხოლმე: ორი დეგენერატი თუა დედამი-
წის ზურგზე, მე და შენ ვართ — მანქანის
მართვა ვერ გვისწავლიათ. არადა, 9-10
შოფერი მაქვს ნათამაშები. ამ ფილმზე
როცა ვმუშაობდით, გაჩერებული მანქანის
სცენას ბორჯომში ვიღებდით. გზაზე მან-
ქანები მოძრაობდნენ და თოვლში ჩარჩე-
ნილ უბორბლო მანქანას რომ ხედავდნენ,
სათადარიგო ბორბლით ხელში მობრბო-
დნენ: აი, ძმაო, წაიღე, შენი არაფერი არ
გვინდაო. ძალიან ღამაზად თოვდა ბორ-
ჯომში მაშინ და ძალიან ღამაზი ქალის
გულითვის მათოვდა ახალი წლის ღამეს.
ისე, ეს სცენარი ჩემთვის უცხო არ არის.
სიღამაზის წინაშე ქედს ვიხრი და უან-
გაროდ გამცემი და სიკეთის გამღები
კაციც ვარ. მე ძალიან მიხარია, სხვისი
ნიჭის და სიღამაზის დაფასების უნარი
რომ მაქვს. მშურს მხოლოდ იმ ადამი-
ანების, რომლებიც არც ისე ნიჭიერები
არიან, მაგრამ ძალიან ადვილად აღწევენ
უხარისხო პროდუქციით წარმატებას.

— ბევრს თქვენც შემურებია:
ბოლოს და ბოლოს, პირველი იყავ-
ით, ვინც ქართული კინოს ისტორი-
აში შიშველ ქალს შევსო...

— მართლაც პირველი იყო ქართული
კინოს ისტორიაში ჯერ შიშველი ქალის
ეკრანზე გამოჩენა და მერე ის, რომ ამ
ქალს ვიღაც, თუნდაც თითოთ შეხებოდა.
მე ამით, დიდად არ გამიხარია — გარისკა
გიორგი შენგელაიამ, როცა „მაცი სვი-
ტიაში“ ეს ეპიზოდი ჩართო... ის გოგონა
დიდი ხანია, არ შემხვედრია. არ ვიცი,
ახლა სად არის, როგორ არის. სცენა
კინოსტუდიის პავილიონშია გადაღებუ-



ასე მგონია, ნასტასია კინსკის ვიწრო და ადვილად მოვებნი მასთან საერთო ენას

ლი. გუშინდელივით მასსოვს, როგორ მოიყვანეს ის გოგო...

— როგორც ვიცი, რუსი გოგონა იყო.

— არა, ქართველი იყო.

— ალბათ ძალიან ღელავდით...

— არა, მე სრულებითაც არ ვღელავდი, ის არ ღელავდა და მე რაღა მენადვლებოდა?! რამდენიმე ღუბლი გადავიღეთ...

— განგებ ხომ არ „აფუჭებდით“ დუბლებს?

— გაჭიანურების მიზნით? ჰო, არც უმაგისობა იყო. კოჭოია, ქალს ჯერ ხელი არ დააღო, — მეუბნებოდნენ და მერე უცებ, უნდა წამცდენოდა ხელი. ძალიან ბუნებრივად გამოგვივიდა. პრინციპში, ეს არც იყო თამაში... უარეს სცენაშიც ვარ გადაღებული. ფილმს ჰქვია „რუსეთის გავლით“. იქ ერთ-ერთ მთავარ როლს ვთამაშობ. სცენა იყო ასეთი: მწვემსებმა უნდა ამოიყვანონ წყლიდან და უცებ, რეჟისორი მეუბნება: სანამ შენი ტანსაცმელი გაშრება, სულ შიშველმა უნდა იცეკვო კოცონის გარშემო, რომ გათბეო. ამის თქმის შემდეგ, ცოტა დაეჭვებულმა მკითხა — გაიხდიო? მე ვუთხარი — რა პრობლემაა-მეთქი?! ერთი რამ ვითხოვე — გადასაღებ მოედანზე მხოლოდ მამაკაცები დარჩნენ-მეთქი. მაგრამ საქმე იცით, რაში იყო? მთავარი ოპერატორი, ქალი გახლდათ. ძალიან ცნობილი ოპერატორი იყო — ვერა საველიევა. გადავიღეთ ეს სცენა და თან ისე, რომ შემოქმედებითმა ჯგუფმა ბოლოს, ტაში დამიკრა. მაგრამ სცენა მერე, მაინც ამოჭრა ცენზურამ... სხვათა შორის, არანაირი კომპლექსი არ მქონია, არანაირი! „არ შემიძლია“ არ უნდა თქვას მსახიობმა.

— ალბათ კომპლექსი მაშინ არა აქვს ადამიანს, როდესაც დარწმუნებულია, რომ გახდილიც კარგად გამოიყურება...

— მაშინ, შედარებით უკეთესად გამოვიყურებოდი, იმიტომ, რომ 27 წლის ვიყავი, თუმცა, აბოლონი არც მაშინ ვყოფილვარ, მაგრამ ამაში არ არის საქმე — მე უბრალოდ, ესთეტიკურობაზე არ მიფიქრია. ახლაც სიამოვნებით გავიხდიდი და ეროტიკულ სცენაშიც ვითამაშებდი, თუკი ჩემი პარტნიორი, ნასტასია კინსკი ან დემი მური იქნებოდა. ორივე ძალიან მომწონს. ასე მგონია, ნასტასია კინსკის ვიწრო და ადვილად მოვებნი მასთან საერთო ენას. რა თქმა უნდა, შემოქმედებით ენას ვვულისხმობ, თორემ, სხვა მხრივ, ბუნებრივია, ყველაზე კარგად ჩემს მეუღლესთან ვგრძნობ თავს. მართალია, მას ეს არ სჯერა, მაგრამ ნამდვილად ასეა.

— შეილების შესახებ რას გვეტყვი?

— კარგი შეილები მყავს. უფროსი 40 წლისაა და მხატვარია, გრიბოედოვის თეატრში მუშაობს. უმცროსი 35 წლისაა, ჩემი კოლეგაა — რეჟისორი და მსახიობი. კარგია, რომ მე მამაჩემს არ ვვავარ. ისიც კარგია, რომ ჩემი შეილებიც არ მეგანან. მამა იყო მწერალი, პროზაიკოსი, პოეტი, მთარგმნელი. უკეთესი მწერალი იყო, ვიდრე სახელი დატოვა, იმიტომ, რომ ძალიან მოკრძალებული კაცი იყო. მე მოკრძალებულობაში კი დავემსგავსე, მაგრამ უფრო აქტიური ვარ. ისეთი პროფესიის კაცი ვარ, სადაც პოპულარობა პროფესიის შემადგენელი ნაწილია. მე მამაჩემისგან დამოუკიდებელი ვიყავი და ალბათ ამით მივალწიე ყველაფერ იმას, რაც დღეს მაქვს. ჩემი შეილებიც ჩემგან დამოუკიდებლები არიან, მაგრამ ჩემთან შედარებით, ნაკლებად პროდუქტიულები. 29 წლის ასაკში ბათუმის თეატრის მთავარი რეჟისორი ვიყავი. მათ არ აინტერესებთ კარიერა და არც მსაყვედურობენ, რომ კარიერის შექმნაში ვერ ვეხმარები. მოკლედ, კარგი ბიჭები არიან.

— თქვენი მეუღლე როგორ ეგუება, რომ სულ ქალით მოხიბლული ხართ?

— თქვენ ალბათ ჩემს როლებს გულისხმობთ... ჩემი გმირები ქალით და სილამაზით ადვილად იხიბლებიან, მაგრამ უმეტესწილად, ცოტა მოსულელოები და უცნაურები არიან. ყველგან დაჩაგრული ვარ. „ჩარი-

რამა“ ერთადერთი ფილმია, სადაც კარგად მაცვია. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს, ჩემი როლი არ არის. რაც შეეხება იმას, სულ ქალით მოხიბლული რომ ვარ — ჩემი პირველი მეუღლე ამ ფაქტს ადვილად შეეგუა, მეორეს კი, ჯერ ჩემი მეუღლეობის ძალიან პატარა სტაჟი აქვს...

— თქვენს ძველ კოლეგებს შორის, ვის გაუკვირვებინართ ყველაზე მეტად?

— ჩემთვის განსაკუთრებით დაუვიწყარია დოდო აბაშიძე — ვაჟკაცობით, ინტელექტით და იუმორით სავსე კაცი. ასეთი ნაცნობი და ასეთი უცნობი დოდო... ბათუმში რომ ვმუშაობდი, იქ ჩამომაკითხა. დღეს დაღევა არ მინდა, სანაპიროზე გავისეირნოთო, — მოხვავ. ძალიან სიტყვაძუნწი იყო იმ დღეს. დიდ სევდას დაატარებდა ეს უმშვენიერესი ვაჟკაცი. იმ დღესაც, ზღვას გაჰყურებდა და დროდადრო, გულიდან კენესა აღმოხდებოდა ხოლმე. სადამოს, მაინც ვერ ავცდით ქეიფს. დოდო თავისი ხმაურით, იუმორით, მოლხენის ნიჭით ისევე ყურადღების ცენტრში იყო. ისევე ის წარმართავდა სუფრას, ისევე მასხრობდა და სხვასაც აცინებდა. ვუყურებდი და ვფიქრობდი: არა, ეს არ არის ნამდვილი დოდო — ნამდვილი დოდო, ის სევდიანი კაცი, რომელიც ზღვის პირას იდგა-მეთქი... რა ტკივილის დაფარვას ცდილობდა დოდო აბაშიძე, სად იყო მისი სევდის სათავე, — არ ვიცი. შეიძლება, ამის მიზეზი სიყვარული იყო? არ ვიცი... მე ვერ გავბედავდი, პირადი ცხოვრების შესახებ მეკითხა მისთვის, ვერც სხვები ბედავდნენ. ამიტომ ვამბობ, რომ ჩემი თაობის უმშვენიერესი ვაჟკაცი, ნამდვილი რაინდი — დოდო აბაშიძე, ჩვენთვის უცნობი წავიდა ამ ქვეყნიდან.

მეუღლესთან ერთად





ამბობენ, ყველაზე მყარი ოჯახი ის არის, რომელიც დანგრევის პირასაა მისული. ასეც რომ იყოს, ასეთი ოჯახის ნევრების მდგომარეობას შესაშურს ვერ უწოდებ: აუტანელია გამუდმებული აყალმაყალის სიტუაციაში ცხოვრება! ზოგიერთ წვეილს ამის გაცნობიერების უნარი აქვს და საშველად საოჯახო ფსიქოლოგს მიმართავს. სამწუხაროდ, ჩვენში ეს გზა ჯერჯერობით, პოპულარობით არ სარგებლობს, არც კარგი სპეციალისტის მოძებნაა იოლი საქმე — არადა, სწორი არჩევანის შემთხვევაში, ბევრი ოჯახი გადაურჩებოდა დანგრევას.

როგორ ვიპოვოთ აქიმი «დასნეულავალი ოჯახისთვის»?

თუ მთავარი საკითხი — მიმართოთ თუ არა სპეციალისტს? — დადებითად გადაწყვეტილთ, თქვენ წინაშე ახალი დილემა დადგება:

ფსიქოთერაპევტი გჭირდებათ თუ კონსულტანტი?

საოჯახო ფსიქოლოგიური დახმარება სწორედ ამ ორი ფორმით ხორციელდება ხოლმე. ფსიქოთერაპევტს უპირველეს ყოვლისა, კლიენტის სულიერი მდგომარეობა აინტერესებს: შინაგანი შფოთვა, დეპრესია, სხვადასხვაგვარი ნევროზი და შიში, საკუთარი ძალების ურწმუნობა. მსგავსი პრობლემების ფესვები ხშირად, ბავშვობაში უნდა ვეძებოთ და ჩვეულებრივ, არაფერი აქვს საერთო საკუთრივ მის ოჯახურ ურთიერთობებთან, თუმცა საკმაოდ ართულებს მას. ფსიქოთერაპევტი ან გეხმარებათ ამგვარი სიმძლეების დაძლევაში, ან გასწავლით, როგორ უნდა შევეუთოთ მას ისე, რომ სიტუაციის გამწვავებას აარილოთ თავი. ფსიქოლოგ-კონსულტანტი, პირველისგან განსხვავებით, კონკრეტულ სიტუაციაზე მუშაობს, კერძოდ: გაყრის შემთხვევაში, შეილებთან დაკავშირებული კონფლიქტის დაძლევაზე, მეუღლის ღალატის პრობლემაზე... კლიენტთან ერთად სპეციალისტი მისხალ-მისხალ იკვლევს პრობლემას, ხსნის იმას, თუ რა და რატომ მოხდა, რა

შედეგი შეიძლება მოიტანოს ამა თუ იმ გადაწყვეტილებამ, რა არის კონფლიქტის მიზეზი და როგორ დავაღწიოთ თავი მის გამეორებას. არც ერთი კვალიფიციური ფსიქოლოგი არასდროს ლებულობს გადაწყვეტილებას კლიენტის ნაცვლად! არადა, ადამიანს ხშირად, სწორედ გადაწყვეტი ნაბიჯის გადადგმა (მაგალითად, დაქორწინება, განქორწინება, ცოლსა და საყვარელს შორის არჩევანის გაკეთება) უჭირს ხოლმე ყველაზე მეტად. ასეთ შემთხვევაში, ფსიქოლოგ-კონსულტანტმა უნდა ურჩიოს კლიენტს, გაიაროს ფსიქოკორექციის კურსი, რათა მას გაუადვილდეს მის სულში მიმდინარე კვიდილთან გამკლავება და ერთადერთი, მართებული ნაბიჯის გადადგმა შეძლოს.

სევდიანი ამბის ბედნიერი დასასრული

ახალგაზრდა ქალბატონს (დავარქვათ მას პირობითად, თეონა) კონსულტანტთან მისვლისას, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ქმართან გაყრა. მის მეუღლეს უკვე ერთი წლის განმავლობაში ჰყავდა საყვარელი, მაგრამ ვერც ცოლს ელეოდა. თეონას თხოვნა კონსულტანტისადმი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოგვყალიბოთ: დაქმნარეთ გაყრაში. მას დამოუკიდებლად, ამ ნაბიჯის გადადგმის ძალა არ შესწევდა, ამასთანავე, გულში მცირე

იძელიც უღვიოდა — იქნებ, ქმარმა მეგობარი ქალი მიატოვოსო?... ფსიქოლოგთან სიტუაციის გარჩევის შედეგად თეონა დარწმუნდა, რომ მის მეუღლეს კიდევ დიდხანს შეეძლო ეცხოვრა „ორ ფრონტზე“ — ასეთი მდგომარეობა მას სავსებით აკმაყოფილებდა. ამრიგად, სწორედ თეონას უნდა მიეღო გადამჭრელი ზომები — რასაკვირველია, თუკი მისთვის ეს მდგომარეობა მიუღებელი იყო. მაგრამ ფსიქოლოგთან მუშაობისას, თეონამ მოულოდნელად ისიც აღმოაჩინა, რომ მას თავად დაუშვია რამდენიმე სერიოზული შეცდომა, რომელმაც ქმარს ღალატისკენ უბიძგა. სპეციალისტის რამდენიმე სეანს იმას დაეთმო, რომ ქალს შემდგომში შესძლებოდა, თავი დაეღწია მსგავსი შეცდომების გამეორებისაგან. გარკვეული დრო იმასაც დასჭირდა, რომ თეონა გათავისუფლებულიყო მოღალატე მეუღლისადმი სიძულვილისგან. ფსიქოლოგის დახმარება იმაშიც მდგომარეობდა, რომ ქალმა ღრმად გაიაზრა გაყრის შემდგომი ცხოვრების შესაძლო ვარიანტები. ამავე დროს, მას ბედმა გაუღიმა — თეონამ კარგი სამსახური იშოვა, შემდეგ საკუთარ გარეგნობასაც მიხედა და ბოლოს, სრულიად შეცვლილი, მტკიცე გადაწყვეტილებით შეიარაღებული მივიდა სასამართლოში, სადაც ქმარმა, უხეიროდ ჩაცმული, ბუზღუნა და თავის მომბეზრებული ცოლის ნაცვლად, საკუთარ ძალებში დარ-

ოსური ცეკვა	„... ვარ გლეხის ქალი, სიმონაა ჩემი ქმარი“	კანის ინფექციური დაავადება	მამაკაცი ანუ უბრალოდ...	... ცოცხი კარგად გვის	ყურძნის ჩირი	ან, ბან, ... ღონ...	ადგილი გამოსიპი
გამის ნოტი	ადამიანი, რომელმაც დიდძალი ქონება მოაგროვა	საუბრის მეშვეობით ურთიერთობა	ნოხი	გბა აშშ-ის გერიგორიაზე			

თუ კრიზისს განიცდი

რეაბილიტაციის მოკლე კურსი ქალღმერთის

წმუნებული, მომხიბლავი ქალბატონი იხილა... ამ ამბის ყველა მონაწილე, მისი მოულოდნელი ფინალის მომსწრე გახდა: ქმარი თონას დაუბრუნდა, ცოლმა კი, სასამართლოში შეტანილი განცხადება გამოიტანა და თანაცხოვრების მე-12 წელს, ოჯახს „ახალი სუნთქვა გაეხსნა“.



მთავარია სწორი არჩევანი!

დასავლეთის ქვეყნებში, ფსიქოლოგის პრაქტიკის უფლების მოსაპოვებლად, 10 და მეტი წელია საჭირო: ჯერ უმაღლესი განათლება უნდა მიიღოთ, შემდეგ სტაჟირება გაიაროთ და როცა საკუთარ პრობლემებთან და ცდუნებებთან გამკლავებას ისწავლით, მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებთ შესაბამისი ლიცენზიის მიღებას. ჩვენში, ფსიქოლოგობა და ფსიქოანალიტიკოსობა ბევრმა შეიძლება დაიბრალოს. ზოგი მხოლოდ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების მოხერხებულად გამოყენების წყალობით ახერხებს ადამიანთა ნდობის მოპოვებას. ამგვარი „სპეციალისტის“ სამსახური, საუკეთესო შემთხვევაში, უბრალოდ უშედეგო იქნება და მხოლოდ დროისა და მცირედი თანხის დაკარგვად დაგიჯდებათ, უარესში კი — სერიოზული მორალური ზიანიც შეიძლება მოგადგეთ. გახსოვდეთ: ნამდვილ სპეციალისტს სულ მცირე, საბაზო — ფსიქოლოგის უმაღლესი განათლება მაინც უნდა ჰქონდეს მიღებული!

იმის დადგენა, თუ რამდენად სწორად შეარჩიეთ ფსიქოლოგი, საკმაოდ ადვილია. მთავარია, რომ თქვენსა და იმ ადამიანს შორის, რომლისთვისაც თქვენი პირადი პრობლემების გაზიარება გადაწყვიტეთ, დამყარდეს სულიერი კონტაქტი. კლიენტის ნდობა აუცილებელი წინაპირობაა ფსიქოლოგისთვის და თუ თქვენ, თუნდაც უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთან არაკომფორტულად გრძნობთ თავს, უმჯობესია, შეწყვიტოთ მასთან სიარული, რადგან მაინც არაფერი გამოვა.

ფსიქოლოგთან ურთიერთობა ხშირად, ძალზედ ძნელი, ზოგჯერ მტკივნეულიც კია. ეს ბუნებრივიცაა — სუბანების დროს, თქვენ ხომ ქვეცნობიერში შეღწევას ცდილობთ და ისეთი გრძნობების გამოვლენაც გიწევთ, რომელსაც საკუთარ თავსაც კი უმაღლავდით!..

ნებისმიერი ქალის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ყველაფერი მუქ ფერებში წარმოუდგება: სამსახურშიც არაფერი გამოგდის, პირად ცხოვრებაშიც არეულობაა. ჩაიხედავ სარკეში და... ღმერთო ჩემო — რას ვგაფარო?! — ეუბნები იქიდან მომზირალ უფერულ ორეულს... არ აჩქარდე, ჯვარს ნუ დაუსვამ საკუთარ თავს, პირქით — შეუძახე: სასწრაფოდ, ახალი ცხოვრება უნდა დავიწყოო!..

საამისოდ, რამდენიმე ნაცვადი ხერხი გამოდგება, კერძოდ:

● კარგად გამოიტირე დაშვებული შეცდომები. ეს „წაშლი“ საუცხოოდ ხსნის დაგროვილ ბოლმას. უკეთესია, თუ ამას ხმამაღლა მოახერხებ: განმარტოვდი სადმე, მიყრუებულ ადგილას და იღრიალე შენს გემოზე.

● დაურეკე ახლობელ ადამიანს და ტელეფონით გაარჩიე შექმნილი ვითარება მასთან ერთად, ოღონდ — ისეთი ვინმე აირჩიე, რომელიც თავს შეიკავებს ზედმეტად „ბრძნული“ რჩევებისგან და პირველ რიგში, გულდასმით მოვისმენს და თანაგვიგრძნობს.

● ეცადე, მოძებნო ისეთი ადამიანი, რომელიც ახლა შენზე ცუდად გრძნობს თავს და გაიზიარე მისი ტკივილი. ჯერ ერთი, შენში გაიღვიძებს ადამიანური გრძნობები და ობიექტური აზროვნების უნარი, მეორეც — მცირე ხნით მაინც დაივიწყებ საკუთარ პრობლემებს.

● გაერიდე ქალაქის ხმაურს და ბუნების წიაღში გაისეირნე. შინ რომ დაბრუნდები, აუცილებლად მიიღე ცხელი აბაზანა და კარგად გამოიძინე.

● რაიმე ისეთი იყიდე შენთვის, რაც გულს გაგიხარებს. არა აქვს მნიშვნელობა, ეს ნივთი აუცილებლობას წარმოადგენს შენთვის თუ არა — მთავარია, იყოს ლამაზი და სიამოვნება მოგანიჭოს.

● ახლა, სილამაზის სალონში ვიზიტის დროც დადგა. აირჩიე კვალიფიციური სტილისტი და კოსმეტოლოგი და ოდნავ მაინც შეიცვალე იმიჯი.

● იქნებ, ახალი გატაცებაც გაიჩინო. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს, რაღაც არაჩვეულებრივი იყოს — ამ შემთხვევაში, მთავარი ის არის, რომ უბრალოდ, ახალი მიზანი დაისახო; შესაძლოა, სპორტის რომელიმე სახეობის ანბანის ათვისება სცადო.

● დიდი სიამოვნება და სარგებლობა შეიძლება მოგიტანოს კარგმა წიგნმა. ოღონდ მთავარია, აირჩიო ოპტიმისტური, სიცოცხლის ტრფიალით გამსჭვალული ნაწარმოები.

● ეცადე, ცოტა ხნით მაინც შეიცვალე სიტუაცია. ამის საუკეთესო საშუალება, სადმე გამგზავრებაა, რადგან სწორედ ამგვარადაა შესაძლებელი, მოხერხებული ყოველდღიურობის დავიწყება.

● დაბოლოს: დადექი სარკესთან და უთხარი საკუთარ გამოსახულებას, რომ ულამაზესი, უჭკვიანესი და უნიჭიერესი ქალი ხარ! სარკე აუცილებლად დაგიდასტურებს ამას და შენც, უეჭველად, მთელი გრძნობით გაუღიმებ მას...

სხელოვნება, რომელიც სინამდვილეს ბგერებით ასახავს	უჯრებიანი ავეჯი თეთრეულისათვის	... სხვის ომში ბრძენიაო	არსებითი სახელის კითხვა	... ია, ... თითი	კენტი, მარგოსხელა	თეატრი მუსიკალური სპექტაკლებისათვის	მორებით შეკრული გრანსპორტი
ქურა, რომელიც მის ალს იძლევა	ყაჩაღი ი. ჭავჭავაძის პოემაში	მიღის... გარიე-ლი, მუსევი აქვს ცარიელი	ბარაქა	სპორტული ინვენტარის ფირმა	მასობრივი საწარმო, რომელიც მეპაიეების სახსრებით იქმნება		

შორენა მერკვილაძე

როდესაც ადამიანი ეკლესიურ ცხოვრებას იწყებს, პირველ რიგში ირჩევს სულიერ მოძღვარს... რატომ არის საჭირო სულიერი მოძღვარი? როგორ დამოკიდებულია უნდა იყოს მოძღვარსა და სულიერ შვილს შორის? რა შემთხვევაში უნდა ვკითხოთ როდესაც მოძღვარს?

ამ და სხვა კითხვების განმარტება, სოფელ დიღმის წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის მღვდელს, მამა შიოს (მენაბდე) ვთხოვეთ.

— თვითონ სიტყვა „მოძღვარი“ მიგვანიშნებს მის მნიშვნელობაზე. ე.ი. მოძღვარი არის ის, ვინც მოძღვრავს. მოძღვარმა ადამიანი უნდა დამოძღვროს, დამწყოს, სულიერი ცხოვრების გზაზე სრულყოფისთვის. უფალი ამბობს: „მე ვარ მწყემსი კეთილი“. ე.ი. კაცობრიობის პირველი მოძღვარი თვითონ იესო ქრისტეა, რომელმაც მკვდრეთით აღდგომის შემდგომ, სამწყსო თავის მოციქულებს ჩააბარა. მოციქულთა შემდეგ კი მათ საქმეს (ადამიანების დამოძღვრას) ქრისტეს ეკლესიის მწყემსები — ღვთისმსახურები აგრძელებენ. მოძღვარი შეიძლება იყოს ნებისმიერი სასულიერო პირი, მაგრამ ადამიანმა უნდა შეარჩიოს ისეთი ღვთისმსახური, რომელიც მას სულიერი ცხოვრების სწორად წარმართვაში დაეხმარება. ე.ი. გახდება მისი სულიერი მოძღვარი, ანუ სულიერი მამა. ამასთანავე მორწმუნემ უნდა იცოდეს, რომ ჩვენს სულს აქვს დაავადებები და როგორც ხორციელი დაავადებების მკურნალობას ვერ მოვახერხებთ ექიმის გარეშე, ასევე შეუძლებელია სულიერი დაავადებების მკურნალობა, სულის მკურნალის, მოძღვრის გარეშე. ხორციელი ავადმყოფობის დროს, არ არის მიზანშეწონილი სხვადასხვა ექიმთან ერთდროულად მკურნალობა, მით უმეტეს არ არის სასურველი სულის მკურნალობა ერთდროულად რამდენიმე სასულიერო პირთან. ამიტომ ადამიანმა სულიერი მკურნალობა ერთ მოძღვარს უნდა მიანდოს. ე.ი. სულიერი მოძღვარი ხდება სულიერი მკურნალიც.

— აქედან გამომდინარე, სულიერმა მოძღვარმა, სულიერ შვილს მის ცხოვრებაში წამოჭრილი ნებისმიერი პრობლემა უნდა დააძლევინოს, რასაც სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი და ამავდროულად, მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში კარგად განსწავლული სასულიერო პირიც სჭირდება. ამიტომ სულიერი მოძღვრის ბრმად არჩევას ბევრი ადამიანი ერიდება. რა უნდა გააკეთოს ადამიანმა



მამა შიო (მენაბდე)

რატომ უნდა ჰყავდეს ადამიანს სულიერი მოძღვარი?

ასეთ შემთხვევაში?

— თუ ადამიანი შინაგანმა ეჭვმა შეიპყრო, სულიერ მოძღვარს ვერასოდეს შეარჩევს. როდესაც სულიერი მოძღვრის შერჩევაზე ვზრუნავთ, პირველ რიგში შემწეობა უნდა ვთხოვოთ ღმერთს, ისეთი სულიერი მოძღვარი გვაპოვინოს, რომელიც ქრისტიანული ცხოვრების სწორად წარმართვაში დაგვეხმარება. რამეთუ უფალი ბრძანებს: „ეძიებდით და ჰპოვით, ირეკდით და განვლდით თქვენ“. როდესაც ადამიანი მოულოდნელად ხდება ცუდად, პირველ რიგში, ცდილობს ან მეზობლად მცხოვრებ ექიმს დაუძახოს, ან „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახოს, მაგრამ იმ მომენტში არ ფიქრობს ექიმის პროფესიონალიზმზე, რადგან პირველადი დახმარების გაწევა ნებისმიერ ექიმს შეუძლია. ასევე შეიძლება მოვიქცეთ მოძღვრის არჩევის შემთხვევაშიც. თუ ადამიანი გრძნობს, რომ სულიერი მოძღვარი აუცილებლად სჭირდება, შეუძლია მივიდეს ნებისმიერ სასულიერო პირთან, რადგან სულიერი პრობლემების დაძლევაში პირველად დახმარებას ნებისმიერი სასულიერო პირი გაუწევს. შემდეგ კი, თუ ადამიანი შეატყობს, რომ სულიერ მოძღვართან მისი ურთიერთობები ვერ აწეწო, ღვთის შეწევნით მოძებნის ისეთ სულიერ მოძღვარს, რომელიც მისი სულისთვის მისაღებია.

— რა საკითხზე უნდა ვკითხოთ რჩევა მოძღვარს?

— ბუნებრივია, მოძღვარს რჩევას ვერ ვკითხავთ პოლიტიკურ საკითხებზე, ასევე

ვერ შევეკითხებით, როგორ წარმართოთ ბიზნესი და როგორ მოვიგოთ ფული. სულიერ მოძღვარს პირველ რიგში რჩევა სულიერ საკითხებთან დაკავშირებით უნდა ვთხოვოთ (მაგალითად, როგორ ვიცხოვროთ ქრისტიანულად, როგორ ვილოცოთ, როგორ უნდა ვიმარხულოთ და სხვა). მოძღვარს რჩევა უნდა ვკითხოთ ისეთ ცხოვრებისეულ საკითხებზეც, რომელიც სულიერ საკითხებს უკავშირდება.


— როგორ უნდა წარმართოს ურთიერთობა მოძღვარსა და სულიერ შვილს შორის?

— როდესაც ადამიანს რაიმე საკითხი აქვს მოსავარაუდელი, გადაწყვეტილების მიღებამდე, რჩევა სულიერ მოძღვარს უნდა ჰკითხოთ და მისი მითითებები გაითვალისწინოს. ზოგჯერ ადამიანი სულიერ მოძღვარს ერთი და იმავე საკითხის შესახებ რჩევას რამდენჯერმე ვკითხება და უქმად აკარგვინებს დროს, რომელიც მან შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი საქმისთვის გამოიყენოს. სულიერი შვილი კი ცხოვრებას სულიერი მოძღვრის რჩევა-დარიგების გათვალისწინებით უნდა წარმართავდეს. სულიერი შვილი ასევე უნდა ლოცულობდეს სულიერი მამისთვის, რაც „ღილის ლოცვებშიც“ არის მინიშნებული. იმ შემთხვევაში, თუ სულიერ მამას რაიმე გასაჭირი აქვს, მისთვის ლოცვა უნდა გავაძლიეროთ (ვიკითხოთ სპეციალური „ლოცვები სულიერი მოძღვრისათვის“). ასევე ლოცულობს სულიერი მამა სულიერი შვილებისთვის. როდესაც რომელიმე სულიერი შვილი განსაცდელის წინაშე დადგება, აუცილებლად უნდა გაენდოს სულიერ მოძღვარს, რომელიც იმ სახის დახმარებას გაუწევს, რა სახის დახმარებასაც საჭიროებს, — სპეციალური პარაკლისის გადახდა იქნება ეს, ზეთის ცხება, პირადი ლოცვით შეწვნა თუ სხვა. სულიერ შვილებზე მზრუნველობა, ღვთის წინაშე პასუხისმგებლობაა. „სახარების“ მიხედვით, უფალი გვმოძღვრავს: თუ ასიდან ერთი ცხვარი ორმოშია ჩავარდნილი, 99 დატოვებ და იმ ერთის ამოსაყვანად წადი, იმ ერთი გზაბნეული ცხვრის პოვნა ღიდი სიხარულია. სულიერი მოძღვარიც ასეთივე სიხარულს განიცდის, როდესაც სულიერ შვილს ღვთის შემწეობით განსაცდელს აარიდებს.

P.S. რა შემთხვევაში შეიძლება შევიცვალოთ სულიერი მოძღვარი? როდის უნდა ვთხოვოთ კურთხევა მოძღვარს და რა ძალა აქვს მოძღვრის კურთხევას? როგორ უნდა მოვიქცეთ მოძღვრის გარდაცვალების შემთხვევაში? რომელი ასაკიდან უნდა ჰყავდეს ბავშვს სულიერი მოძღვარი? — ამ კითხვებთან დაკავშირებით, „გზის“ მოძღვრო ნომერში გესაუბრებით.


ბანანებს გადაშენება ემუქება

მეცნიერები შიშობენ, რომ ათი წლის შემდეგ, ბევრისათვის საყვარელი ნუგბარი – ბანანი ქვეყანაზე აღარ იარსებებს. ეს საფრთხე მცენარეს რაღაც სოკოვანი დაავადების ეპიდემიის გავრცელებამ შეუქმნა. დღევანდელი ბანანის ჯიშების დაავადებისადმი ასეთ მასშტაბურ მიდრეკილებას მეცნიერები იმით ხსნიან, რომ 10 ათასი წლის წინ, ეს ხეები ველური, საჭმელად უვარვისი ბანანის მუტაციის შედეგად წარმოიშვა. ეს „მუტანტი“ კი, ახალი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში უძლური აღმოჩნდა. ეპიდემიის გამო უგანდაში (უგანდას, მსოფლიოში ბანანის ექსპორტით მეორე ადგილი უჭირავს) მოსავალი ერთი წლის განმავლობაში 40%-ით შემცირდა. სოკოვანი დაავადება სხვა ქვეყნებშიც ვრცელდება. ბრაზილიელი ბიოლოგის ლუადირ გასპაროტის აზრით, მის სამშობლოში ეპიდემიის გავრცელებამ, შესაძლოა, მოსავალი 70%-ით შეამციროს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ბანანის გადაშენება არა



ჩიპები სულ უფრო კატარავდება

კალიფორნიის უნივერსიტეტში შეიმუშავეს მიკროჩიპები, რომელსაც ბრძებს ჩაუნერგავენ თვალბუბინებში, რათა სამყაროს ხილვა შეძლონ. ამერიკელები იმასაც აპირებენ, რომ მძიმედ დაავადებულ ადამიანებს კანქვეშ ჩაუნერგონ ისეთი მიკროჩიპები, რომელიც საშუალებას მისცემს მედიკოსებს, სრული ინფორმაცია მიიღონ პაციენტთა ორგანიზმისა და მათი ავადმყოფობის ისტორიის შესახებ. ამას ნანოტექნოლოგია ეწოდება – მეცნიერება, რომლის შედეგები ბევრ კითხვას პატივს მიაგნებს. მაგალითად, ზოგი დარწმუნებულია, რომ მისი მეშვეობით სპეცსამსახურებსა და სახელისუფლებო სტრუქტურებს საზოგადოების უმკაცრესი კონტროლის საშუალება მიეცემათ. ადამიანი კიბორგად გადაიქცევა. თავიდან, მას კანქვეშ ჩაუნერგავენ მიკროჩიპს, რომელშიც მთელი ინფორმაცია იქნება თავმოყრილი (არ იქნება საჭირო არც პასპორტი, არც რეგისტრაციის აღმნიშვნელი ჩანაწერი, არც საბანკო ანგარიშის ნომერი); შემდეგ, მინიმოწილობას შეცვლის კომპიუტერი, ტელევიზორი და ტელეფონი; დაბოლოს, მისი მეშვეობით, ადამიანს მიეცემა მთელი ცხოვრების პროგრამა, პოლიტიკური თუ სექსუალური ორიენტაცია და ყოველდღიური გუნება-განწყობაც კი...



მხოლოდ მის მრავალრიცხოვან მოყვარულს დასწყევტს გულს, არამედ ამ ფაქტს, აფრიკის, აზიისა და ცენტრალური ამერიკის მთელ რიგ რეგიონებში საკმაოდ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ძვრები მოჰყვება: ამ ქვეყნების ეკონომიკა ხომ სწორედ ბანანის მოსავალზეა დამოკიდებული, რადგან იგი უმთავრეს საექსპორტო პროდუქტს წარმოადგენს. შექმნილ სიტუაციაში მეცნიერები ერთადერთ გამოსავალს ხედავენ – მათ სათანადოდ უნდა შეისწავლონ ბანანის ველური ჯიშები, რომელსაც ეპიდემიამ ვერაფერი დააკლო.

ყველაზე იდუმალი ზღვის ცხოველი

ფრანგი მეზღვაურები, რომლებიც ყოველ ვერნის პრიზზე დედაბნის გარშემო გამართულ რბოლაში მონაწილეობდნენ, ამტკიცებენ, რომ ერთ-ერთ ყველაზე იდუმალეობით მოცულ ზღვის ცხოველს – გიგანტურ კალმარს შეზღვენენ. იახტსმენ ოლივიე დე კერსუასონის თქმით, კალმარი მათი იახტის კიჩოს, ბრეტანიდან გასვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ მიეკრა. თუმცა, მეზღვაურებმა მათი თანამგზავრი თავფეხოსანი მხოლოდ პორტუგალიის ნაპირებთან შენიშნეს. „თავიდან, ილუმინატორიდან გამოვიხედე და უზარმაზარი საცეცი დავინახე, რომელიც ჩემს ფეხზე ბევრად უფრო მსხვილი იყო. მერე მივხვდი, რომ კალმარი ჩვენს იახტას მთელი ძალით ოკეანის სიღრმისკენ ეწეოდა“, – ამბობს ოლივიე. იახტსმენის თქმით, მისმა კიდევ ორმა საცეცმა გემის საჭის ბლოკირება მოახერხა. თუმცა, როგორც კი იახტა გაჩერდა, კალმარმა მარწუხები მოაღუნა და ცოტა ხანში, ოკეანის სიღრმეში გაუჩინარდა. „ამ სიტუაციაში ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ჩვენ მისი დაფრთხობა არავითარ შედეგს ვერ ვაჩვენებდით, რა უნდა გვექმნა, თავფეხოსანი უფრო აგრესიული რომ ყოფილიყო. ჩვენ ხომ, ვაყვებების გარდა, სხვა იარაღი არც კი გვქონდა“, – ამბობს ოლივიე. ფრანგული იახტის კაპიტნის თქმით, გიგანტური კალმარის სხეულის სიგრძე რვა მეტრს აღწერდა. „მსგავსი არაფერი მინახავს. ზღვაში კი, უნდა მოგასვენოთ, 40 წელი მაქვს გატარებული“, – განაცხადა კაპიტანმა. გიგანტური კალმარი ზღვის უხერხემლოებს შორის, ყველაზე დიდი ცხოველია. ზოგიერთი მათგანის სიგრძე 18 მეტრსაც კი აღწევს. ამ იდუმალეობით მოცული ზღვის ცხოველის შესახებ არაერთი ბელეტრისტი წერდა, მათ შორის, თავად ყოველ ვერნიც. მეცნიერებს გიგანტური კალმარის ცოცხალი ეგზემპლარი არასოდეს უნახავთ, თუმცა თავფეხოსნები არაერთხელ მოხვედრილან თევზსაჭერი ტრალელებების ბადეში. მათი ცხედრები სხვადასხვა ქვეყნის არაერთ სანაპიროზეა ნაპოვნი. მეცნიერებს აღნუსხული აქვთ 250 შემთხვევა, როცა ადამიანებს ამ ცხოველთან ჰქონდათ შეხება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცოცხალი გიგანტური კალმარი მხოლოდ რამდენიმე ადამიანს თუ უნახავს. შარშან იელისში, ავსტრალიის სანაპიროზე აღმოაჩინეს 15-მეტრიანი გიგანტური კალმარი. ერთი წლით ადრე, შოტლანდიის სანაპიროებთან დაჭირეს თავფეხოსანი, რომლის სიგრძეც ზრდასრული მამაკაცის სიმაღლეს უტოლდებოდა.

გაქვით სარკინიო გამოიყურებოდით ლამაზად?!

გთავაზობთ!!!

ნონაში დაქაბას კომპორტული მითოდით 5-დან 12კგ.-მდე ყოველგვარი ვარჯიშისა და პილანის გარეშე.

თქვენ მიღმსახურებაში ქალბატონებში სანაპიროებში

ბად.: 890-20-33-76
მისამართი: 76-66-04
ბ-ნი. კრეა

ეროვნულ ნაჩიბთა უძღუბი ზვიღუბი

ალექსი რეხვიაშვილი

ფეხბურთის გულშემატკივრებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ან ტურნირის მსვლელობისას, ზოგიერთი გუნდის მწვრთნელსა და ამა თუ იმ ფეხბურთელს შორის ურთიერთობის მეტისმეტად დაძაბვამ სკანდალური ხასიათი მიიღო და მსოფლიოს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში მოექცა. იყო შემთხვევა, როდესაც სამუნდიანლო გუნდში სწორედ მთავარმა მწვრთნელმა არ შეიყვანა კარგ სპორტულ ფორმაში მყოფი, მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი, თუმცა კორეა-იაპონიის მოედნებზე

ნის მოედნებზე ამ უკანასკნელის ხილვა სურდა უამრავ გულშემატკივარს მთელი პლანეტის მასშტაბით (რომ აღარაფერი ვთქვათ, თავად ფეხბურთელის თანამემამულეებზე). სხვა შემთხვევებში, გუნდების ლიდერებად მიჩნეულ, უკვე სამუნდიანლო განაცხადში შეყვანილ ფეხბურთელებს მწვრთნელები, ან ტურნირის დაწყებამდე ატოვებინებდნენ ნაკრებს, ანდა — უშუალოდ მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას. მგავსი შემთხვევა წარსულშიც არაერთხელ მომხდარა, მაგრამ ძალიან ხშირად, ფეხბურთელები საკუთარი სურვილით ან ნაკრების ხელმძღვანელთა დაჟინებული თხოვნის შედეგად, მაინც ბრუნდებოდნენ გუნდში ხელმეორედ, ზოგჯერ კი, ეროვნულ ნაკრებში ძველი პოზიციების დაბრუნების მცდელობა მოთამაშეთათვის აუხდენელ ოცნებად რჩებოდა.

შემღარი ღაბრუნება

პაულ ბრაიტნერი (გერმანია)



როდესაც 70-იან წლებში გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, პაულ ბრაიტნერი 22 წლის ასაკში, 1974 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მან ეროვნული ნაკრების დატოვება გადაწყვიტა, თუმცა კარგული ხნის გასვლის შემდეგ მიხვდა, რომ მისი „საფეხბურთო ღირებულება“ მკვეთრად დაეცა. პაულს ეგონა, რომ გერმანიის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა მას

გუნდში დაბრუნებას დაჟინებით სთხოვდა, მაგრამ მისთვის ამგვარი წინადადებით არავის მოუმართავს. ბრაიტნერს ისლა დარჩენილა, რომ გუნდის ხელმძღვანელობისათვის თავად მიემართა თხოვნით, რის შემდეგაც იგი ნაკრებში დააბრუნეს. 1975 წლის 11 ოქტომბერს, როდესაც დასავლეთგერმანელები დიუსელდორფში ბერძნებს ხვდებოდნენ, პაულმა კვლავ უარი განაცხადა თავისი ქვეყნის მთავარ გუნდში თამაშზე. ამის შემდეგ ის თითქმის ექვსი წლით ჩამოშორდა გერმანიის ეროვნულ ნაკრებს. როდესაც ბრაიტნერი ბრწყინვალედ ათამაშა „ბავარიის“ შემადგენლობაში, ფეხბურთის გერმანელ გულშემატკივართა დიდმა ნაწილმა ქვეყნის ნაკრებში მისი დაბრუნება მოითხოვა. მაშინ პაული უკვე 29 წლის იყო და ესმოდა, რომ ნაკრებში დაბრუნებით კიდევ ერთხელ მიეცემოდა მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის შანსი. მართლაც, ბრაიტნერი გუნდს დაუბრუნდა და 1982 წელს ესპანეთში გამართულ მუნდიალზე, ფინალურ მატჩში იტალიელებს გოლიც გაუტანა, თუმცა გერმანიის ნაკრებმა იმ შეხვედრაში მაინც ვერ შეძლო „სკუადრა აძურას“ დამარცხება.

როჟე მილა (კამერუნი)

მიუხედავად იმისა, რომ კამერუნის ეროვნულმა ნაკრებმა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, იმ პერიოდში გუნდის თამაშით მაინც არ იყვნენ კმაყოფილნი მისი გულშემატკივრები. სწორედ ამიტომ, 1990 წლის აპრილში თვით კამერუნის იმპაჩინდელმა პრეზიდენტმა, პოლ ბიამ პირადად სთხოვა 38 წლის როჟე მილას, გუნდში დაბრუნება. ნაკრების წევრ ფეხბურთელთა ერთი ნაწილი, ნაკრებში ვეტერანის თამაშს სკეპტიკურად უყურებდა, ხოლო ნაწილს მაინც, რომ გუნდში მილას ყოფნა, რომელსაც არაერთი მოთამაშე შეილად შეეგვრებოდა, ნეგატიურად იმოქმედებდა ფეხბურთელთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. „მოუთვინიერებელი ლომების“ გამოცდილი რუსი მწვრთნელი, ვალერი ნეპომნიაჟნი კი, აშკარად ამჩნევდა, რომ როჟე მილას თავისი საფეხბურთო თვისებები და პარტნიორებზე ზეგავლენის მოხდენის უნარი არ ჰქონდა დაკარგული, რის გამოც მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. კამერუნელთა მწვრთნელი მოედანზე მის გამოცვლას მატჩების მიწურულს გეგმავდა, როდესაც გუნდის ძირითადი ფეხბურთელები უკვე ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც გადაღლილნი იქნებოდნენ. ნეპომნიაჟნის „საიდუმლო იარაღმა“ ბრწყინვალედ იმუშავა! როჟე მილამ „მოუთვინიერებელ ლომებს“ ორი ზუსტი დარტყმით ჯერ რუმინეთთან გამარჯვებინა, ხოლო შემდეგ, მერვედფინალურ მატჩში, მან ასევე ორი გოლი გაუტანა კოლუმბიის ნაკრებს და თავისი გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანა.



ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ესმოდათ ერთი საინტერესო ეპიზოდი სწორედ კოლუმბია-კამერუნის მატჩისას, როდესაც სამხრეთამერიკელთა ექსტრავაგანტურმა მეკარემ, რენე იგიტამ თავისი საჯარიმოს გარეთ დრიბლინგი წამოიწყო და კამერუნელი მოთამაშეების გვერდის ავლით ცდილობდა წინსვლას, მაგრამ ამ ჟონგლიორობისათვის მილამ იგი მკაცრად დასაჯა — ბურთი ოსტატურად აართვა და კოლუმბიელთა ცარიელ კარში შეაგდო.

დიეგო მარადონა (არგენტინა)

1991 წელს არგენტინელი სუპერ-ვარსკვლავი ნარკოტიკების მოხმარებისთვის გაასამართლეს და ხანგრძლივი სპორტული დისკვალიფიკაციაც მიუსაჯეს. ამ უსიამოვნო ფაქტის შემდეგ, დიეგოს ქომაგთა ღირსი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ ის ნაკრებს ველარასოდეს დაუბრუნდებოდა, მაგრამ მოხდა სასწაული და „მარადონა მკვდრებით აღდგა“. დიეგო ნაკრებშიც შეიყვანეს და 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც წაიყვანეს აშშ-ში, სადაც საბერძნეთთან და ნიგერიასთან ჩატარებულ მატჩებში მან ბრწყინვალედ ითამაშა. მაგრამ ღონ დიეგოსა და თეორიისფერმაისურიათა გუნდის ქომაგთა ზემო დიდხანს არ გაგრძელბოდა. მარადონა დოპინგის მოხმარებაში ამხილეს. არგენტინელთა გუნდის ლიდერი თავის უღანაშაულობას ამტკიცებდა, მას იმედი ჰქონდა, რომ მსოფლიო საფეხბურთო ბოსები დაინდობდნენ და საბოლოოდ არ გაწირავდნენ, მაგრამ ამაოდ... დიეგოს მაშინვე დისკვალიფიკაცია მისცეს, რაც ფაქტობრივად, მისი პროფესიული კარიერის დასასრულის დასაწყისს მოასწავებდა. მოგვიანებით მარადონამ ავტობიოგრაფიული წიგნი გამოუშვა, რომელშიც 1994 წლის მუნდიალზე მომხდარ დოპინგ-სკანდალში მთლიანად ფიფას მაღალჩინოსნები დაადანაშაულა.



კლარენს ზეედორფი (ჰოლანდია)

ჰოლანდიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, კლარენს ზეედორფი არცთუ ისე დიდი ხნის წინ, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, დიკ ადვოკატმა დაუმსახურებლად დაითხოვა გუნდიდან, რის შემდეგაც არც ერთხელ აღარ გამოუძახია შეკრებაზე. „ბევრ ჟურნალისტს ჩემზე უარყოფითი წარმოდგენა სხვათა მონაყოლის საფუძველზე აქვს შექმნილი, თუმცა ამ ამბებში სიცრუის მეტი არაფერია. შეიძლება, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ უკვე დიდი ხანია, რაც საზღვარგარეთ ვთამაშობ“, – უკმაყოფილებას ვერ მალავდა ზეედორფი, რომელსაც ჰოლანდიის ნაკრებში ჩატარებულ 59 მატჩში ათი გოლი ჰქონდა გატანილი. კლარენსს მხოლოდ მაშინდა ეშველა, როცა გუნდის რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო და ადვოკატი იძულებული გახდა, თავისი პრინციპისათვის ელაღებოდა და „შერისხული“ მოთამაშე კვლავ დაებრუნებინა ნაკრებში.



ლოთარ მათეუსი (გერმანია)



1996 წელს, ბულვარულ გაზეთ „ბილდში“ ლოთარ მათეუსმა თავისი დღიური გამოაქვეყნა, რომელშიც არცთუ ისე სახარბიელო ფორმით ჰყავდა წარმოჩენილი ბუნდეს-ნაკრების იმდროინდელი მწვრთნელი, ბერტი ფოგტსი და აგრეთვე, ზოგიერთი თანაგუნდელი. ამ ფაქტმა ლოთარს საკმაოდ გაუფუჭა ურთიერთობა არა მარტო ნაკრების მთავარ მწვრთნელთან, არამედ გუნდის კაპიტან, იურგენ კლინსმანთანაც, რის გამოც მათეუსი ევროპის 1996 წლის პირველობის მიღმა აღმოჩნდა. ამის შემდეგ, გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთი ლეგენდა თითქმის მთელი სამ-ნახევარი წლის მანძილზე აღარ გამოჩენილა ეროვნულ ნაკრებში და ალბათ მას გუნდში დაბრუნება აღარც ეწერა, რომ არა ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევა. 1998 წლის მუნდიალის წინ, ბუნდეს-ნაკრები მოულოდნელად, გამოცდილი ლიბეროს გარეშე დარჩა: ჯერ ზამერი გამოვიდა მწვობრიდან, შემდეგ კი, ტრავმა ტონმაც მიიღო. სწორედ მაშინ ბერტი ფოგტსი იძულებული გახდა, რომ გუნდში მათეუსი მიეწვია, რომელმაც არა მარტო 1998 წლის საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა, არამედ ნაკრებში კიდევ რამდენიმე წელი დარჩა და მხოლოდ 2000 წლის ევროპის პირველობის შემდეგ, 39 წლის ასაკში გამოეთხოვა მას.

ზლატკო ზახოვიჩი (სლოვენია)

2002 წლის კორეა-იაპონიის მუნდიალზე, ესპანეთთან ჩატარებული მატჩის შემდეგ, გასახლელში სლოვენიის ყოფილ მთავარ მწვრთნელ, სრეჩკო კატანეცსა და გუნდის ლიდერ, ზლატკო ზახოვიჩს შორის ცხარე შელაპარაკება მოხდა, რაც შეხვედრის მსვლელობისას კატანეცის მიერ განხორციელებულ ერთ ცვლილებას მოჰყვა. იმ დღიდან, მწვრთნელი და ფეხბურთელი ვარჯიშებზეც კი აღარ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. „ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ სრეჩკო თავიდანვე ცდილობდა ჩემს პროვოცირებას. მას ჩემი წონასწორობიდან გამოყვანა სურდა, რის შემდეგაც გუნდიდან დამითხოვედა. მე მხოლოდ დაფასებას მოვიტხოვ და არ მსურს, რომ ნაკრების შემადგენლობაში გატანილი 32 გოლის შემდეგ, ვინმე აღმაცერად მიყურებდეს“, – შესჩიოდა ჟურნალისტებს ზახოვიჩი, რომელსაც სლოვენიის ნაკრებში 67 შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული. თავად კატანეცმა კი, კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტს ტოვებდა, რის გამოც საქმეში უკვე სლოვენიის ფეხბურთის ფედერაცია ჩაერია, მწვრთნელს დაუჭირა მხარი და ზლატკო გუნდიდან დაითხოვა. მიუხედავად ამისა, სრეჩკო კატანეცმა მაინც დატოვა პოსტი, რამაც ნაკრებში ავტომატურად მოხსნა „ზახოვიჩის პრობლემა“. გუნდის ახალმა თავაკცმა, ბოიან პრანინიკარმა კი, ზლატკოსთან საურთიერთოდ, მშვიდობიანი პოლიტიკა აირჩია და იგი გუნდში, ევროპის ჩემპიონატის პირველი მატჩისთვის – გასული წლის სექტემბერშივე დააბრუნა.

არქაიდგარი დაბრუნება

იოჰან კრუიფი (ჰოლანდია)



რატომ დატოვა 30 წლის ასაკში იოჰან კრუიფმა ნაკრები და რატომ არ მიიღო მონაწილეობა 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში? – ამის გამოკვლევა არაერთმა სპორტულმა მიმომხილველმა თუ სკანდალებზე მონადირე ჟურნალისტმა სცადა, მაგრამ კონკრეტულ, დამაჯერებელ დასკვნამდე ვერავინ მივიდა. ამბობენ, რომ „მფრინავი ჰოლანდიელი“ ეროვნული ნაკრებისთვის მეუღლეს მას შემდეგ ჩამოუშორებია, რაც ამ უკანასკნელს გაზეთში იმის შესახებ წაუკითხავს, თუ როგორ ირთობდა იოჰანი თავს საცურაო აუზში, გერმანელი დელიშობილა ლამაზმანების კომპანიაში, თანაგუნდელებთან ერთად, 1974 წლის მუნდიალის მსვლელობისას ჰიდლბერგის საწვრთნელ ბაზაზე. იმასაც ამბობენ, რომ მგრძობიარე იოჰანს მართლაც შეეძლო ოჯახური სკანდალის შემდეგ ნაკრების დატოვება, მაგრამ გავიდა დრო და 1981 წელს, აშშ-დან დაბრუნებულმა 34 წლის კრუიფმა კვლავ მონიღომა თავისი ქვეყნის ნაკრებში თამაში, ოღონდ – არა უანგაროდ. მან გუნდში დაბრუნებისათვის ჰოლანდიის საფეხბურთო ფედერაციის მესვეურებს საკმაოდ დიდი თანხა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო...

რომარიო (ბრაზილია)

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ბრაზილიაში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ თემად, ეროვნულ ნაკრებში 36 წლის სუპერფორვარდის, სკანდალური რომარიოს დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი იქცა. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონს ცდა არ დაუკლია, რათა ლუიშ ფელიპე სქოლარის გული მოეგო და სანუკვარი სანაკრებო ყვითელი მაისური კიდევ ერთხელ მოერგო. სამუნდიალო განაცხადში რომარიოს შეყვანას დაჟინებით მოითხოვდა ბრაზილიელი გულშემატკივრების დიდი ნაწილიც. გასული წლის მარტში კი, „ფეხბურთის დონ ჟუანმა“ ტელევიზიით, თვალეპატრემლებულმა, სახალხოდ მიმართა ყვითელმაისურიანთა თავკაცს და ყველაფრისათვის პატიება სთხოვა... მაგრამ ნურას უკაცრავად – „დიდმა ფილმმა“ როგორც იტყვიან, ქვა აავდო და თავი შეუშვირა... რომარიოსა და მის ფანებს ისღა დარჩენოდათ, რომ კორეა-იაპონიის მუნდიალზე ბრაზილიელთა მარცხს დალოდებოდნენ, რის გამოც მთელი ერის რისხვა სქოლარის დაატყდებოდა თავს, მაგრამ „ტყავის ბურთის ჯადოქართა“ თავკაცმა ამ შემთხვევაშიც „გააწილა“ თავის მოწინააღმდეგეთა არმია. ბრაზილიელებმა მეხუთედ იზეიმეს მსოფლიო ჩემპიონობა, გამარჯვებულებს კი, როგორც ცნობილია, არასოდეს ასამართლებენ...



პელე (ბრაზილია)

„ფეხბურთის მეფეც“ ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს 30 წლის ასაკში გამოეთხოვა. წლების გასვლის შემდეგ კი, მას საყვარელი გუნდისადმი ნოსტალგია გაუჩნდა და თავისი 10-ნომრიანი ყვითელი მაისურის კვლავ მორგება მოისურვა, თუმცა იმ დროისათვის „ტყავის ბურთის ჯადოქარს“ პროფესიული საფეხბურთო კარიერა კარგა ხნის დასრულებული ჰქონდა, რის გამოც მისი განცხადება მხედველობაში არავენ მიიღო.

სხვათა შორის, პელემ კიდევ ერთხელ – უკვე 45 წლის ასაკში მოისურვა ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში მოთამაშის სტატუსით დაბრუნება და გუნდის იმდროინდელ მთავარ მწვრთნელს, ტელე სანტანას თავისი სამსახური შესთავაზა. ცხადია, ამჯერად, „ჭირვეული მეფის“ განცხადებას ბრაზილიის ფეხბურთის თავკაცები კიდევ უფრო გულგრილად მოეკიდნენ. მაშინ პელეს წინადადება ზოგმა შემლილის ბოღვადაც კი აღიქვა, ზოგმაც – უკბილო ხუმრობად მიიჩნია.



მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია)



1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, მარკო ვან ბასტენს კოჭის ტრავმა ჰქონდა გართულებული და თითქმის ერთი წლის განმავლობაში, ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობა აღარ მიეღო, მაგრამ მას მინდორზე გადაადგილება შეეძლო და ჰოლანდიის ნაკრების ხელმძღვანელობისათვის ეს ფაქტი უკვე საკმარისი აღმოჩნდა სამუნდიალო განაცხადში ვარსკვლავის შეყვანის გადაწყვეტილების მისაღებად. აშშ-ის მოედნებზე თამაში კი, თავად ვან ბასტენსაც ძალიან სურდა, მაგრამ მოულოდნელად საქმეში მისი კლუბის, „მილანის“ ხელმძღვანელობა ჩაერია და კატეგორიულად განაცხადა, რომ თუ ჰოლანდიელი სუპერფორვარდი ოკეანისგაღმა საასპარეზოდ გაემგზავრებოდა, მასთან უმაღლვე გააუქმებდა კონტრაქტს. ასე აღმოჩნდა ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივრის კერპი 1994 წლის მუნდიალის მიღმა.

1980-იანი წლების შუა ხანების ფოტომოდელი რობინ რაიტი, სამსახიობო კარიერის დასაწყისში თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ამ ასპარეზზე არაფერი გამოუვიდოდა და შოუბიზნესის სამყაროდან წასვლაზე სერიოზულად ფიქრობდა. „მე გავიარე ლატაგით, დამცირებთა და ცხოველური კონკურენციით აღსავსე, სულის დამანგრეველი გზა, – აცხადებს დღეს რაიტი-ჰენი. – შოუბიზნესს რაღაც სიგიჟედვე მისული თვისებები ახასიათებს. ამ სამყაროში მოხვედრილი ადამიანი საკუთარი თავის პატივისცემას კარგავს და როგორც პიროვნება, არსებობას წყვეტს. პირადად მე, უამრავი რამ გადამხდა თავს, ვიდრე იმ დასჯანმდე მივიდოდი, რომ წარმატება – არც დიდებაა და არც ფული. წარმატება – ეს არის იმის შესაძლებლობა, რომ აკეთო ის, რაც ხელგონებაში მოგჩონს და გიზიდავს. ამას კი, ვარსკვლავის სტატუსთან საერთო არაფერი აქვს“.

რობინ რაიტი ტეხასის შტატის ქალაქ ლალასში დაიბადა. იგი უმამოდ იზრდებოდა. დედამისი კოსმეტიკური ფირმა – Mary Kay Cosmetics-ის თანამშრომელი გახლდათ და რობინს და მის ძმას, დედის სამსახურის გამო, ხან ლუიზიანაში და ხანაც ლოს-ანჯელესში უზღებოდათ ცხოვრება. ბავშვობაში რობინს სამსახიობო კარიერაზე არ უოცნებია. მას უნდოდა, რომ მედლა გამხდარიყო, ეთიოპიაში წასულიყო და იქ ავადმყოფ ბავშვებს დახმარებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, რაიტს ევროპის მონახულების სურვილი გაუჩნდა და ბილეთის ფულის მოსაგროვებლად, სარეკლამო სააგენტოში ფოტომოდელად დაიწყო მუშაობა. სააგენტოში შექმნილ სიტუაციას რობინმა თავიდანვე აულო აღლო და გააცნობიერა, რომ მოდის სამყაროში 163 სმ-ის სიმაღლის გოგონა სერიოზულ კარიერას ვერ გაიკეთებდა.



რობინ რაიტი-ჰენს

პარსკვლავის იმიჯი ან სიზღავს

„მორალურად საოცრად დამამცირებელი სიტუაცია იყო. მე შევედიოდი გასაუბრებაზე, ისინი მათვალისწინებდნენ და თითქოს იქ არც კი ვყოფილიყავი, ისე აცხადებდნენ: „არა, იგი ტანდაბალია და თანაც საკმაოდ დიდი უკანალი აქვს...“

რაიტმა ევროპაში სამოგზაურო ფულის შეგროვება მაინც შეძლო და ფოტომოდელის საქმიანობა იქაც განაგრძო, თუმცა განსაკუთრებულ წარმატებას ვერც იქ მიაღწია. „ისინი გამუდმებით უკანა რიგში მყენებდნენ, რადგან მეტი სმეტად ამერიკული იერი მქონდა და არც სიმაღლით გამოვიჩნეოდი“, – ამბობდა რაიტი. მოგვიანებით, რობინი აშშ-ში დაბრუნდა და ინერციით კვლავ სააგენტოში მუშაობას განაგრძობდა. თუმცა უფრო იშვიათად პოზირებდა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ დამოუკიდებლად არსებობისათვის შემოსავალი ჰქონოდა. სააგენტოში მომუშავე გოგონები გასაუბრებაზე ხშირად დადიოდნენ, იმ იმედით, რომ კინოში ან ტელევიზიაში მოხვედებოდნენ. ერთხელ რობინი, სრულიად შემთხვევით, მეგობრებს წაჰყვა და ყველასათვის მოულოდნელად, „სანტა-ბარბარაში“ ერთ-ერთი მთავარი გმირის როლი მიიღო. მისმა გმირმა მაყურებლის სიყვარული ძალიან ძალე მოიპოვა და სერიალში შესრულებული როლისათვის ორჯერ „ემის“ ნომინაციაზეც იყო წარდგენილი. რაიტმა რეჟისორ რობ რაინ-

ერის ყურადღებაც მიიპყრო, რომელიც იმხანად „ქვეყნად ყველაზე ლამაზ გოგონას“ ეძებდა „საპატარძლო-პრინცესას“ მთავარი როლისათვის. „სანტა-ბარბარას“ გადამღები ჯგუფი თავის ვარსკვლავს ვერ შეეგნა და სცენარი შეცვალა: მათ რაიტის გმირი პარიზში „გაისტუმრეს დროებით“.

დიდ კინოში მოღვაწეობა რობინს ბევრად უფრო მოეწონა. „მე პირველად მიღებდნენ კინოში და პირველივე დღეს ვიგრძენი ის დიდი სხვაობა, რომელიც კინოსა და ტელევიზიას შორის არსებობს, – ამბობდა რობინი. – მე არა მარტო რეპლიკების სწავლის, არამედ მისი გააზრების დროც მქონდა“. 1990 წლამდე რაიტი „სანტა-ბარბარაში“ თამაშობდა, პარალელურად მას სხვა ფილმებშიც იღებდნენ, მაგრამ როცა შონ პენისაგან დაორსულდა, სერიალში გადაღებაზე უარი განაცხადა.

მათ 1990 წელს, ფილმის – „გააფთრებული მდგომარეობა“ – გადაღებაზე გაიცნეს ერთმანეთი. შონ პენისა და რობინ რაიტის ურთიერთობა კარგა ხნის მანძილზე, პოლიეულისათვის გამოცანად რჩებოდა: მათ ექვსი წელი ოფიციალური ქორწინების გარეშე იცხოვრეს ერთად; ამ ხნის მანძილზე კი, ორი შვილი – გოგონა დილანი და ვაჟი ჰოპერი შეეძინათ. „ფორესტ გამპში“ რაიტის დიდი წარმატების შემდეგ, წყვილს ურთიერთობა დაეძაბა. 1995 წელს შონი არაერთხელ შეამჩნიეს თავისი ყო-

ფილი ცოლის – მადონას კომპანიაში; მოგვიანებით პენი ახალგაზრდა მომღერალს – ჯუელსაც ხვდებოდა და გავრცელდა ხმები, რომ რაიტისა და პენის ურთიერთობა, საბოლოოდ წარსულს ჩაჰბარდა. მაგრამ 1996 წლის მარტში გამართულ „ოსკარების“ ცერემონიაზე (სადაც ამერიკის კინოაკადემიის მიერ, შონ პენიც იყო ნომინაციაზე წარდგენილი) მსახიობი არ გამოჩენილა, რადგან საავადმყოფოში, რობინის გვერდით იმყოფებოდა. კლინიკის ადმინისტრაციის ოფიციალური ვერსიით, რაიტს ნაღვლის ბუშტის სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა; ჰოლივუდში გავრცელებული ხმების თანახმად კი, მსახიობმა თავის მოკვლა სცადა... რამდენიმე კვირის შემდეგ (1996 წლის აპრილში), ჰოლივუდში სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა: რაიტმა და პენმა ჯვარი ყველასაგან ფარულად დაიწერეს და ქორწილში მხოლოდ უახლოესი მეგობრები დაპატიჟეს (მათ შორის: ჯეკ ნიკოლსონი, მარლონ ბრანდო და დენის ჰოპერი).

„დელობაზე ყოველთვის ვოცნებობდი, მაშინაც კი, როცა საამისოდ ძალზედ პატარა ვიყავი, – ამბობს რობინი. – თუმცა, მე და შონი ბავშვების გაჩენას არ ვგეგმავდით, ისინი ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოვევლინენ ქვეყნიერებას“. მიუხედავად იმისა, რომ რობინი თავად უმამოდ გაიზარდა, იგი ირწმუნება, რომ მართლაც დელობას არ აპირებდა. შეკითხვაზე, თუ რატომ გადაიღო ამდენ ხანს მათი ქორწინება? – იგი პასუხობს: „ჩვენ ჯერ ნამდვილი მეგობრები უნდა გაგმხდარიყავით. როცა ორი შვილი შეგვეძინა, ჭეშმარიტ



ჯონ გრავოლტასთან და შონ პენტან ერთად

მეუღლეებად ვიქეცი. იმისათვის, რასაც სხვები ორ კვირაში წყვეტენ, ჩვენ ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესის გავლა დაგვჭირდა. მანამდე მე და შონმა ორჯერ ვცადეთ დაქორწინება, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, რადგან ერთხელ ფოტოგრაფებმა ჩაგვაგულეს, მეორედ კი, რაღაც გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ შეგვიშალა ხელი. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ყოველგვარი ხმაურისა და აჟიოტაჟის გარეშე დაქორწინება მაინც მოვახერხეთ“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კავშირს ბევრი ხანგრძლივ მომავალს არ უწინასწარმეტყველებდა, წყვილი უკვე ექვსი წელია ერთად ცხოვრობს. მათი გოგონა 11 წლისაა, ვაჟი – ცხრის. „დედის როლში თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ, – აცხადებს რაიტ-პენი. – ახალგაზრდობაში ადამიანი ამბიციებითაა შეპყრობილი,

რომელიც ასაკის მატებასთან ერთად, წლებს მიჰყვება. პატივმოყვარეობას კარგა ხანია გამოვეთხოვე. მჯერა, რომ რაც მიწერია, ყველაფერი სწორედ ისე იქნება. ახალგაზრდა მსახიობებთან შედარებით, რომლებიც როლის მისაღებად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვიან, მე სხვა პრიორიტეტები მაქვს. მსახიობობა ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ სამუშაოა და მეტი არაფერი“. ალბათ, სწორედ მისმა ასეთმა განწყობამ განაპირობა ისეთ მომგებიან პროექტებზე უარი, როგორებიცაა: „იურული პერიოდის პარკი“, „ფირმა“, „ბეტმენი სამუდამოდ“, „საბრინა“... თავის დროზე, მას ოლივერ სტოუნმა „ოთხ ივლისს დაბადებულში“ ქალის მთავარი როლი შესთავაზა, მაგრამ რობინმა უარი განაცხადა, რადგან არ სურდა ისეთ რეჟისორთან თანამშრომლობა, რომელსაც გადასაღებ მოედანზე მსახიობებთან ურთიერთობისას, ხშირად ექმნება პრობლემები.

კინოში მოღვაწეობის მანძილზე რობინ რაიტ-პენი მონაწილეობდა შონ პენის მიერ განხორციელებულ ორ პროექტში – „საგუშავო გზაჯვარედინზე“ (1995) და „დაპირება“ (2001). ქმართან ერთად ითამაშა ნიკ კასავეტისის სურათში – „იგი იმდენად მშვენიერია“ (1998). უფრო ხშირად, მას დამოუკიდებელი სტუდიების ფილმებში იღებენ, იშვიათად – მსხვილი კინოკომპანიების დადგმებშიც მონაწილეობს, მაგალითად, „წერილები ბოთლიდან“ (1999) და „უვნებელი“ (2000). რობინი ამბობს, რომ თავისი სამსახიობო კარიერის მან-

კადრი ფილმიდან „თეთრი ოლენდრი“



ძილზე წინასწარ არაფერი დაუგეგმავს. „თუ ვიცე, რომ ამა თუ იმ როლს კარგად ვერ ვითამაშებ, უარს ვამბობ მასზე. როცა ვგრძობ, რომ ყოველივე სათანადოდ გამომივა – ვთანხმდები. აი, მთელი ჩემი სტრატეგია“. კინოკრიტიკოსები ერთხმად აღიარებენ: რაიტ-პენს შესწევდა იმის უნარი, რომ თავისი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობი გამხდარიყო. ამასთან, ისინი გაკვირვებულნი არიან იმით, თუ რატომ არ მოინდომა მან უფრო წარმატებული კარიერის შექმნა. მსგავს გამონათქვამებზე რაიტ-პენი საკმაოდ მშვიდად რეაგირებს: „ღიას, ჰოლივუდური გაგებით, დიდ წარმატებას ვერ მივაღწიე, მაგრამ წარმატებისკენ არც ვილტვი. მათი აზრით, წარმატება დიდებასთანაა დაკავშირებული, მე კი, სწორედ დიდება მაფრთხობს. არ მსურს, რომ ქუჩაში ყველა მცნობდეს, ისიც მაკმაყოფილებს, რაც მაქვს“.

ბედის ირონიაა, მაგრამ მისი მეუღლე, შონ პენი, სწორედ სახელგანთქმულ ადამიანთა რიგს განეკუთვნება. „ოპ, ვერც კი წარმომიდგენია, როგორ ახერხებს იგი ასეთი მძიმე ტვირთით ცხოვრებას, – დიმილით ამბობს რობინი. – ვიცე, მას ეს აღიზიანებს და ცდილობს, რომ თავი აარიდოს ფანატებს. ღიას, მესმის, რომ შონს ორმაგი ცხოვრებით უწევს ცხოვრება, რადგან მისი ფოტოები პოპულარული ჟურნალის ყდებს ამშვენებს და ხშირად, პოლი-

ტიკური განცხადებებითაც უხდება გამოსვლა. თუმცა, ისიც კარგად მომეხსენება, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება მისთვის წამების ტოლფასია. ადამიანებს არ სურთ, შეიგნონ, რომ თუკი იგი ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობია, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მის პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება ნებისმიერ ადამიანს აქვს. მე ვერ ვამტყუნებ მას, როცა ბავშვებთან ერთად სეირნობისას, საიდანღაც მოულოდნელად გამომტყვრალ ფოტოგრაფებს, უხეშად ექცევა. ისინი თავად არიან ამაში დამნაშავენი“. რაიტ-პენს იმედი აქვს, რომ მათი შვილები მშობლების კვალს არ გააჰყვებიან და მსახიობები არ გამოვლენ. „ეს საშინელი ხელობაა, – მიაჩნია რობინს. – არაფერი ღირს იმ დამცირების ფასად, რომელსაც მსახიობები კინოს გულისთვის იტანენ“. თუმცა იმასაც დასძენს, რომ შვილების არჩევანში არასოდეს ჩაერევა.

მთელი ამ წლების მანძილზე, რაიტს პრესასთან იმდენად იშვიათი ურთიერთობა ჰქონდა, რომ ჰოლივუდში ამის შესახებ ალაპარაკდნენ, ეს ყველაფერი კი შონს დაჰბრადა. პენი, რომელიც კომერციული კინოსადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩევა, ვითომდა აიძულებდა ცოლს, რომ მხოლოდ მცირეებუჯრეტთან ფილმებში ეთამაშა და პრესასთან ურთიერთობასაც მორიდებოდა. ამის თაობაზე კი რობინმა განაცხადა: „არ შემიძლია იმის თქმა, რომ შონი ჩემს კარიერაზე გავლენას ახდენს. უბრალოდ, ჩვენ ერთნაირი გემოვნება გვაქვს“.

რაიტ-პენის ბოლო პროექტი „თეთრი ოლენდრი“ გახლდათ. დრამატული ჟანრის ფილმში მან ნარკომანისა და ალკოჰოლიკი ქალის მკაფიოდ გამოხატული სახასიათო როლი შეასრულა. „ალბათ ადრე თუ გვიან, უნდა მეთამაშა ისეთი როლი, რომელსაც ძალზედ ვუფრთხობი ჩემი 15-წლიანი კარიერის მანძილზე, – ამბობს 36 წლის რაიტ-პენი, რომელსაც ზურგს უკან 24 ფილმში მონაწილეობის გამოცდილება აქვს. – ამ შიშმა მაიძულა, შემეღწია იმ ფარულ კუნჭულებში, რომელშიც არასოდეს შემხედავს და რეალური პერსონაჟი შემექმნა“. ძნელი დასაჯერებელია, რომ რობინს არანაირი სამსახიობო განათლება არ მიუღია.



სცაქრსა სცა წაიყვან

ამ უნიკალურ სურათზე აღბეჭდილია მოზარდი გოგონა, ახალი თაობისთვის საბედნიეროდ უცნობი საბჭოთა პიონერის მისალმებისას, პიონერული ვარსკვლავიანი ქუდით შემოსილი (ქვემოთ). გოგონას დედა წარსულში ნაკლებად ცნობილი უკრაინელი მსახიობი ვალინა ლოვინოვაა, მამა კი სერბი ექიმი (მამინლელი იუგოსლავიის მკვდრი), ზრავკო იოვოვიჩი. ღიას! პიონერი გოგონა დღეს, საქვეყნოდ ცნობილი და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი მსახიობი და მოღველი მილა იოვოვიჩია, რომლის ნამდვილი სახელი მილიცაა. ბავშვობაში, რომელიც უკრაინის დედაქალაქ კიევში გაატარა, მას მილკას ეძახდნენ, მოგვიანებით კი, როცა დღასთან ერთად შეროებულ შტატებში გაემგზავრა, თვითონვე მივიწყა რუსულიც და უკრაინულიც. და რაკილა ინგლისურად და ფრანგულად მილიცას წარმოთქმა უჭირდათ, თავად დაირქვა მილა.



დასაწყისი იხ. „გზა“, №40-52, 1-3

ზღვაზე წასვლის წინა დღეს, შინ მობრუნებულ წინის ცოტნე ახალ ამბავს მიახარებს: საფრანგეთში მეპატიჟებიან ერთი წლით, ახალ ფილმს იქ გადავიღებ და შენც მიმყავხარო. წინის ცოტნეს წინადადება ოდნავადაც კი არ აღაფრთოვანებს. ცოტნე წინისთან კამათს ამჯერად უკან დახევას ამჯობინებს და იმასაც სთხოვს — დასვენებისას ჩემს წინადადებაზეც იფიქრე, ყველაფერი ანონ-დანონე და საბოლოო პასუხი ისე მითხარიო.

მეორე დღით, წინი მარის და ნიტას მანქანაში ჩასხამს და ქობულეთისკენ გასწევს. გზად იმ კემპინგშიც შევივლის, სადაც ოდესღაც, დიტოსთან ერთად რამდენიმე ბედნიერი საათი გაატარა.

წინი მთელი გზა რაღაცის მოლოდინშია და მართლაც, როგორც კი რიკოთის უღელტეხილს მიუახლოვდება, სრამში მანქანის გადავარდნის ამბავს შეიტყობს.

მანქანა დიტოს „ჭიამაია“ აღმოჩნდება. თავზარდაცემული წინი, სრულიად შემთხვევით, დიტოს მეგობრის სატელეფონო საუბარს მოჰკრავს ყურს და იმასაც გაიგებს, რომ ის ცოცხალია და მალე თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოშიც გადაიყვანენ.

— კარგი, კარგი, ღათო, დრო აღარ მაქვს, მანქანა უკვე ამოიღეს, — ჩასძახა უცნობმა ყურმილში, — რესპუბლიკურში მიდი, აეთი ნახე... რამ გამოგამტერა, ბიჭო?! ჩვენი ავთო, ცქიტიშვილი... უთხარი, მზად დაგვხვდეს, შეიძლება, ოპერაცია დასჭირდეს. ერეკლე ბიძიას და ნიას ჯერ ნუ გააგებინებ, გულს ნუ გაუხეთქავ... რომ ჩამოვალთ, ორივეს მე თვითონ მივიყვან საავადმყოფოში...


წინიმ უცბად, მხარზე ვილაცის ხელის შეხება იგრძნო და მოიხედა: მის წინ მარი და ატირებული ნიტა იდგნენ.

— დეე, სად იყავი? — სლუკუნებდა ნიტა.

— რა ვქნა, ვეღარ დავაოკე, — თავი იმართლა მარიმ. — რა მოხდა, წინი, რა ფერი გაღვეს? — შეიცხადა მან უცბად. — ვინმე ნაცნობი ხომ არ გადაიჩინა?

— კი... დიტო...

— ვი-ინ? — თვალეები გაუფართოვდა მარის.



რუსულან ბერიძე

ქალური ინსუიკია ანუ ჭიამაიას თვითიღი

— დიტო!
— რა იცი? ნახე?
— არა, მანქანა ვიცანი.
— იქნებ, უბრალოდ, მიამსგავსე?
— არა. მისი მანქანა ათას სხვა მანქანაში არ ამერევა. თანაც, მისი მეგობარი თუ ნათესავი იქვე იყო. დამტვრეულიაო, — ვილაცას მობილურით დაურეკა თბილისში...

— ახლა სად არის?
— სურამის საავადმყოფოში წევს და სასწრაფოდ თბილისში უნდა გადავიყვანოთო...

ამასობაში „ჭიამაია“ თვითმცლელზე შედეს და საღღაც წაიღეს. წინიმ მას ცრემლიანი თვალეები გააყოლა. რამდენიმე წუთში, მოძრაობაც აღდგა, წინი, მარი და ნიტაც მანქანაში ჩასხდნენ და გზა განაგრძეს. მარი წინის გამკაცრებულ პროფილს დამფრთხალი უყურებდა.

— წინი, იქნებ, მივბრუნებულყავით?
— სად?
— თბილისში.

— რისთვის?
— იქნებ, რა უჭირს?!.
— მერე ჩვენ... მე რა შუაში ვარ?!
— მხრები უმწეოდ აიჩინა წინიმ.

მარის ხმა აღარ ამოუღია. წინიმ კი, ამის შემდეგ, სიჩქარეს მოუმატა და სულ მოკლე ხანში, კარგა გკარიანი მანძილიც დაფარა. ერთგან კი, ისე მკვეთრად მოუხვია, რომ მანქანის ბორბლებმა უსიამო ღრჭიალი გაიღო.

— წინი, რას შვრები?! ცოტა ფრთხილად, ჩვენც სადმე არ გადაგვჩეხო! — უყვირა შეშინებულმა მარიმ.

წინიმ სიჩქარეს ნელ-ნელა მოუკლო, ბოლოს მანქანა გზის პირას შეაჩერა. მანქანიდან გადასვლა დააპირა, ფეხები უკვე მიწას დაადგა და მცირე ხნით

ასე უმწეოდ, სავარძელზე მჯდომი დარჩა. იქვე ჭიამაია შენიშნა, თითზე დაისვა და დააკვირდა, საით გაფრინდებოდა. შემდეგ, ნელ-ნელა წამოდგა, მანქანას მოშორდა, იქვე, კუნძივით ამოზრდილ ლოდზე მოწყვეტით დაეშვა და თავი ხელეში ჩარგო. ცოტა ხანს უძრავად იჯდა. შემდეგ უცბად წამოხტა და მარის და ნიტას თითქმის უბრძანა:

— ჩქარა, ჩასხედით მანქანაში, თბილისში ებრუნდებით!..

საჭკეს ჩაფრენილ წინის თბილისამდე ხმა თითქმის არ ამოუღია. მარიმ საუბრის გაბმა ერთი-ორჯერ მაინც სცადა, მაგრამ როცა საკუთარ კითხვებზე პასუხად, მხოლოდ შორისდებულები მოისმინა, მანაც გაჩუმება არჩია. ნიტა კი ისევ ვერ ისვენებდა და მარის ძველებურად აყრიდა კითხვებს. მაგრამ მარი ისე დაბნეულად და ზოგჯერ, უაზროლაც კი პასუხობდა, რომ ბოლოს, საერთო დამაბულობა ბავშვსაც გადაელო, მანქანის უკანა სავარძელზე მიწვა, თვალი ფანჯარას გაუშტერა და მალე, ჩაუბინა კიდეც. მარიმ ის მაშინვე მკლავზე გადაიწვინა და ჩვილივით დაარწია...

საავადმყოფოს ჭიშკარში შესვლისას, წინიმ იქვე მდგარ კარიკაცს ხურდა ფული გაუწოდა, მანქანა ეზოში შეიყვანა და კიბესთან გააჩერა. ნიტას ისევ ეძინა.

— რამე მოაფარე, არ გაგვიცივდეს, — ჩურჩულით გადაულაპარაკა წინიმ მარის და მანქანის კარი გააღო.

— წინი, მოიცა! არ მეტყვი, მაინც, რას აპირებ? — ჩურჩულითვე ჰკითხა მარიმ.

— რას უნდა ვაპირებდე?! — პალატის ნომერს გავიგებ... მერე უბრალოდ, ერთხელ დავხედავ — მინდა, დავრწმუნდე,

რომ ცოცხალია – და მაშინვე გამოვბრუნდები, – უპასუხა ნინი.

– მერე ნიტა?

– ნიტა რაღა შუაშია?

– როგორ?! ბავშვს არ აჩვენებ?

– არა! ჯერ მავის დრო არ არის... შეიძლება, ეგ დრო, არც არასოდეს დადგეს... დაძვლოდე, – ნინი მანქანიდან ფრთხილად გადავიდა და კარი უხმაუროდ მიხურა...

პალატის კარი ოდნავ შეღებული იყო და ვიღაცის ხმამაღალი ლაპარაკი მოისმოდა. ნინიმ ღრიჭოში შეიჭყვია და პალატა ისე მოათვალიერა. იქ, ერთის გარდა, ყველა საწოლი ცარიელი იყო. იმ ერთის დანახვაში კი, რომელზეც, ალბათ, დიღო იწვა, ნინის რიკოთზე ნანახი უცნობის უკვე კარგად ნაცნობი ზურგი უშლიდა ხელს. უცნობი ამჯერადაც მობილურ ტელეფონზე ლაპარაკობდა. „ეტყობა, მობილურს საერთოდ არ იცილებს... იქნებ, ყურზეც კი აქვს უკვე მიზრდილი?..“ – გაიფიქრა ნინიმ და საკუთარ უკბილო ხუმრობაზე გულში თავადვე გაეცინა. შემდეგ ჰაერი ერთი ღრმად ჩაისუნთქა და პალატის კარი შეაღო.

კარმა უსიამო ჭრიალის ხმა გამოსცა. უცნობი სასწრაფოდ შემობრუნდა და ტელეფონზე ლაპარაკიც მაშინვე შეწყვიტა.

– ვინ გნებავთ, ქალბატონო? – ჰკითხა მან ნინის და თავიდან ფეხებამდე გულმოდგინედ შეათვალიერა, – პალატა ხომ არ შეგეშალათ?

უცბად, ნინიმ უცნობის ზურგს უკან დიღოს გაფითრებულ სახეს მოჰკრა თვალი და ადვილზე გაშეშდა. თავად დიღოს კი, მის დანახვაზე თვალეხი ისე გაუფართოვდა, რომ ნინის მართლა შეეშინდა, ბუდეებიდან არ გადმოუცვივდესო...

– მოიცა, გიორგი, – ამოიკენესა უცბად დიღომ და მამაკაცს არამტკივანი ხელით ანიშნა, გვერდზე გადაქიო, – თუ თვალეხი არ მატყუებს, ეს ქალბატონი ჩემთან უნდა იყოს...

– შენთან? – გაკვირვებით იკითხა გიორგიმ, მაგრამ მაშინვე განზე გადასა და ნინიმ ლამის თავიდან ფეხებამდე ოღობანდ შემოხვეული დიღო დაინახა.

– ჰო, ჩემთან... – უპასუხა თვალუბად ქცეულმა დიღომ, – ნინი, შენ... შენ აქ საიდან გაჩნდი?.. – როგორც იქნა, ჰკითხა მან ნინის.

– პირდაპირ ციდან ჩამოვარდი. არ ძელოდი, ხომ? – ზედმეტი ნერვიულობის დასაფარად, თავიდანვე ენაშვრობა მოიშველია ნინიმ და საწოლს მიუახლოვდა.

– შენისთანა ქალები რომ ციდან ცვილიდნენ, მე და გიორგი ასე იაქებოვით ვივლიდით?! – გაღიმება სცადა დიღომ

და შემდეგ მეგობარს მიუბრუნდა: – რას გაშტერებულხარ, ბიჭო? – **Предложи даме сесты!**

გიორგი, როგორც იქნა, გონს მოეგო და ნინის მაშინვე სკამი შესთავაზა.

– დაბრძანდით! – უთხრა მან ნინის და შემდეგ, ისევ დიღოს გადახედა – ახლა რაღა ვქნაო?..

– წადი ახლა და ჩვენები ნახე. ოღონდ, უკან მთლად კისრისტეხით ნუ დაბრუნდები, მე და ნინის სალაპარაკო გვაქვს...

– მე სულ არ მოვბრუნდები, მაგრამ მაშიდაშენს ვინ დააბამს?! არ გესმოდა, ტელეფონში როგორ კიოდა, – ახლავე მაჩვენე ჩემი ძმისშვილი?! მაღლობა თქვი, თუ მარტო მოვიდა და ბიცოლებიც თან არ მოიყოლა... ჰო, მართლა – მამაშენს არ გამოვუარო?

– გამოუარე, – ხელი უმწვოდ ჩაიქნია დიღომ, – ოღონდ, გული წინასწარ არ გაუხეთქო. შენი მობილური დამიბოვებ და როგორც კი მიხვალ, დამირეკე, მე თვითონ დაველაპარაკები...

– არის, უფროსო! – მხედრულად გაეჭიმა გიორგი დიღოს და მობილური საწოლის გვერდით, ტუმბოზე დაუდო. – ნიაც ახლავე მოვებნო? მაშიდაშენმა მითხრა, ვიდაც დაქალთან არის წასულიო...

– ე, ბიჭო, ნუ მოშკალი! ხომ გითხარი, ყველა მოიყვანე-მეთქი. ბარემ ერთად გამომიბირებენ და დავისვენებ...

გიორგის ხმა აღარ ამოუღია, დამშვიდობების ნიშნად, თავი დაუკრა ნინის და კარი გაიხურა. ნინი ისევ ფეხზე იდგა.

– დაჯექი, რა, ნინი... – ბავშვით შეეხვეწა დიღო.

ნინი სკამის კიდეზე ისე უხერხულად ჩამოჯდა, თითქოს წამში, ისევ წამოხტომასა და სადღაც გაქცევას აპირებო. პალატაში ცოტა ხნით უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. დიღო თვალეხით ჭამდა ნინის, ქალი კი მას სევდიანად აკვირდებოდა: საწოლზე ცოტა მობერებული, ცოტა გაჭაღარავებული და სიგანეში გასული, მაგრამ მაინც, მისთვის ისევ ძველებურად სასურველი დიღო იწვა...

– როგორა ხარ, ნინი? – ბოლოს, ისევ დიღომ დაარღვია ღუმლი.

– როგორც მკითხულობ! – ენაშვრობა განაგრძო ნინიმ.

– ჩემი ამბავი ვინ გითხრა? საიდან გაიგე? – არაფერი შეიმჩნია დიღომ.

– ჩიტმა მომიტანა ამბავი.

– მერე იმ ჩიტმა ის არ გითხრა, როგორ უსაშველოდ მომენატრე?

– როგორ არ მითხრა?! მითხრა კი არა, პირდაპირ ყურში ჩამჭიკჭიკა: ისე მოენატრე, ისე უყვარხარ, რომ შენი სიყვარულით ფრთები გამოეხსნა და თავის „ჭიამამასთან“ ერთად, პირდაპირ სრამში გადაფრინდაო...

– შენ რა?.. შენ იქ იყავი?.. დაინახე, როგორ გადავვარდი? – ხმა აუკანკალდა დიღოს და აქამდე გულზე უძრავად დასვენებული, არამტკივანი ხელით საბინის ნერვიული სწორება დაიწყო.

– არა, მე რომ მივედი, შენ უკვე საავადმყოფოში იყავი... მარტო შენი მანქანა ვნახე... გიორგიც იქვე იყო და ვიღაცას თბილისში ურეკავდა – დიღო რიკოთზე გადაიჩხვო... შენი თბილისში გადმოყვანის ამბავიც მისგან გავიგე...

– შენ რაღა გინდოდა რიკოთზე?

– ზღვაზე მივდიოდი...

– მარტო?

– არა.

– გასაგებია... – თვალეხი ჭერს მიაპყრო დიღომ. – მისმინე, ნინი, – განაგრძო შემდეგ, – მე შენთვის ძალიან ბევრი რამე მაქვს მოსაყოლი... როცა ყველაფერი გეცოდინება, თუ ვერ მაპატიებ, იქნებ, გამოვიგო მაინც...

– რა უნდა გავიგო?! განა ისეთი რა შეგემთხვა, რომ აქამდე, ერთხელ მაინც არ მომიკითხე?! არ მომძებნე?!

– ნინი, დამიჯერე – მე შენ გეძებდი... ძალიან დიდხანს გეძებდი... მაგრამ, როცა შენი კვალი ვიპოვე... – სათქმელი აღარ დაასრულა დიღომ.

– მაინც, ისეთი რა მოხდა, როცა ჩემი კვალი იპოვე?

– შენ უკვე ცნობილი ქალი და სხვისი ცოლი იყავი...

– მე არასდროს არავისი ცოლი არ ვყოფილვარ...

– როგორ?! აბა, ცოტნე ცოტაძე ვინ არის?!

– ცოტნე ცოტაძე, ის კაცია, ვინც შენგან მიტოვებული შემიფარა, გვერდში დამიდგა და ცხოვრების გზაზეც დამაყენა!

„უფრო მეტიც! – უნდოდა ეყვირა ნინის. – შენი შვილიც მაგან გაზარდა და დღემდეც ზრდის!“ – მაგრამ ენას კბილი დროზე დააჭირა და წამოხტა.

– რას შვრები? მიდიხარ?! – შეიცხადა დიღომ.

– ჰო, მივდივარ... უბრალოდ, მინდოდა, ერთხელ კიდევ მენახე და იმაშიც დავრწმუნებულიყავი, რომ მართლა გადარჩი... – სხვა არაფერი?

– ნინი, მისმინე, – საწოლიდან წამოწვევა სცადა დიღომ, მაგრამ მაშინვე სახე ტკივილმა დაუმანჭა, – ხომ ხედავ, რა დღეში ვარ? განა წაქცეული კაცის ასე „ცემა“ შეიძლება?!

– თავს სულ ტყუილად მაცოდებ...

– ოღონდ, ახლა არ წახვიდე და თუ გინდა, მართლა მცემე! – არ ცხრებოდა დიღო. – იმდენი მირტყი, სანამ გულს არ მოიჯერებ... სიკვდილის პირამდეც

რომ მიმიყვანო, ჩემი მშველელი ახლა აქ მაინც არაა იქნება...

— სიკვდილის პირას უჩემოდაც უკვე მისული ხარ, მაგრამ ენას მაინც ძველებურად არ აჩერებ... მაშინაც, მაგ ენით დაძაბა...

— მარტო ენით?

— კარგად ბრძანდებოდი! — ახლა კი, მართლა გაწიწმალდა ნინი და წასასვლელად მოემზადა.

— ნინი, არ წახვიდე! — ყვირილზე გადავიდა დიტო. — ერთ წუთს მოდი აქ, ჩემთან... ძალიან გთხოვ... გეხვეწები...

ნინი ერთხანს იცოცხანა, მაგრამ ბოლოს, მაინც მიუახლოვდა. დიტომ მაშინვე მკლავში ხელი ჩაავლო და დაქანა. ნინი ჯერ გაუძალიანდა, მაგრამ შემდეგ, მთელ სხეულში ისეთმა ნანატრმა სითბომ დაურბინა, რომ დიტოს ხელს უსიტყვოდ დაჰყვა და ისევ სკამზე ჩამოჯდა. დიტოს მისთვის ხელი ამის შემდეგაც არ გაუშვია.

— თავის მართლებას ნამდვილად არ ვაპირებ, — დაიწყო მან ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, — ვიცი, ჩემს საქციელს, ჩემს დუმილს გამართლება ძნელად მოეძებნება, მაგრამ ძალიან გთხოვ, ერთხელ კიდევ მოდი... ხვალ, ზევ... როცა მოისურვებ... თუნდაც, ერთი-ორი კვირის შემდეგ. მე აქ კიდევ კარგა ხანს მომიწევს ყოფნა... ყველაფერს მოგიყვები და საბოლოო განაჩენი მერე გამომიტანე... ხომ მოხვალ?..

— რა ვიცი?.. იქნებ, მოვიდე კიდევ... მაგრამ საქმე სახვალად რატომ გადავლოთ?.. გისმენ, ყველაფერი ახლავე მიაბე, — სკამზე შესწორდა და მოსასმენად მოემზადა ნინი, მაგრამ სწორედ იმ წუთში, მობილურმაც დარეკა...

დიტომ მობილურს დახედა, მაგრამ ნინისთვის ხელი მაინც არ უშვია. ტელეფონი კი, არა და არ ჩერდებოდა. ბოლოს, აპარატი ნინიმ აიღო, ჩართო და დიტოს ისე მიაღო ყურზე.

— ჰო, რა იყო? სად უნდა წავსულიყავი?! ისე მეკითხები, თითქოს არ იცოდე, რა დღეშიც ვარ! — შეუღრინა დიტომ ყურმილში ვილაცას. — დამალაპარაკე... ჰო, მამა, მე ვარ... ნუ გეშინია, ცოცხალი ვარ... ჰო, გამაყურებელი ახლახან გამიკეთეს... ნუ ნერვიულობ, უკვე წამოვიდნენ?... ძალიან კარგი... შენ გიორგის წამოჰყევი... ნელ-ნელა იარეთ... არ იჩქარო... რაიმე საგულე დალიე... არ დაგავიწყდეს, იცოდე... კარგი, კარგი, მამა, გელოდები...

დიტომ ნინის თვალით ანიშნა, — საუბარს მოვრჩიო — და მანაც აპარატი ისევ ტუმბოზე დააბრუნა.

— ნინი, მოდი, რა, გადავლოთ ჩვენს საუბარს... — დაიწყო დიტომ. — ახლა აქ,

წუთი-წუთზე, ჩემი ახლობლები გამოჩნდებიან და ისეთი ამბავი ატყდება, რომ...

მართლაც, დიტომ სიტყვის დამთავრებაც ვეღარ მოასწრო, რომ ვილაცამ კარი არ შემოაღო, კინაღამ შემოვლივჯა და პალატაში მაღალი და კარგა გვარიანად მოსული, ასაკოვანი ქალი შემოვარდა:

— დიტო, შვილო, რატომ მაშიდა არ მოგიკვდება!..

ქალს კიდევ ორი, მასზე ბევრად დაბალი და ფაშვამა და ერთი, ძალიან ახალგაზრდა და ძალიან ლამაზი ქალი შემოჰყვნენ. ამ უკანასკნელმა მაშინვე დიტოსთან მიიბრინა და გულზე სლუკუნით დაემხო:

— შენ რომ რამე მოგვლოდა... შენ რომ რამე მოგვლოდა...

დიტო ქალიშვილს შავ, მზნინავ თმაზე ხელს ალერსით უსვამდა და ყურში რაღაცას ეჩურჩულებოდა, თან კუთხეში ობოლი ბავშვივით მიმდგარ ნინის თვალს წამითაც არ აშორებდა... ნინიმ ამ ოჯახურ ვაი-ვიშს ცოტა ხანს კიდევ უცქირა, ფანჯრის რაფას მოსცილდა და პალატის კარი ისე უხმაუროდ მიიხურა, რომ მგონი, ორიოდე წუთის წინ გრიგალივით შემოჭრილ ქალებს არც მისი იქ ყოფნა და არც წასვლა არ შეუძნევიდა...

პალატიდან გამოსულმა ნინიმ დერეფნის ბოლოს ნაცნობ სილუეტებს მოჰკრა თვალი: მარის ნიტასთვის ჩაეჭიდა ხელი და პალატების კარებს აკვირდებოდა — ეტყობოდა, ისიც დიტოს პალატას ეძებდა...

ნიტამ ნინის შორიდანვე მოჰკრა თვალი, მარის ხელიდან გაუსხლტა და დედისკენ გაქანდა, ნინიმაც მაშინვე ჩაიძუხლა და შვილი გულში ჩაიკრა.

— დეე, დღეს სულ მტოვებს და მტოვებს... ახლა სადღა იყავი? — ასლუკუნდა ნიტა.

— აბა, რას ამბობ, ჩემო სიცოცხლე? დედა შენ არასოდეს დაგტოვებს... უბრალოდ, აქ ერთი პატარა საქმე მქონდა...

— ახლა? — სლუკუნს განაგრძობდა ნიტა.

— რა ახლა?

— კიდევ გაქვს საქმე?

— არა, საყვარელო, შეგვიძლია წავიდეთ, — ისევ გულში ჩაიკრა ნინიმ ნიტა. ამასობაში, დედა-შვილს მარიც თავზე წამოადგა:

— რა კვანა, ნინი, გაიღვიძა და რომ ვერ გნახა, იმდენი იტირა, რომ... — ბავშვივით თავი იმართლა მარამ.

— კარგი, კარგი, ჩემი ბრალია ყველაფერი... ეტყობა, ლაპარაკი ძალიან გამიგრძელდა. — დაამშვიდა ის ნინიმ, — წავიდეთ...

ნინიმ და მარამ ნიტა შუაში ჩაიყენეს, აქეთ-იქედან ხელი ჩასჭიდეს, დერეფანი ჩაათავეს და ნელ-ნელა დაუყვნენ კიბეს.

უცბად, ქვედა სართულიდან ფეხის ხმა და მამაკაცების ლაპარაკი მოისმა. შემდეგ ნინიმ კიბეზე ამომავალ გიორგისა და ვილაც ძალიან სიმპათიურ, თოვლივით ქათქათა თმაწვერიან მოხუცს მოჰკრა თვალი. მოხუცს ხელჯოხი ეჭირა და კიბეს სვენებ-სვენებით მოუყვებოდა.

— ნულარ ნერვიულობთ, რა, ერეკლე ბიძია, — ეხვეწებოდა გიორგი მოხუცს, — მთავარია, რომ ცოცხალი გადარჩა, მოტეხილი ხელ-ფეხი კი რა დიდი ტრაგედიაა?... — ორ კვირაში შეუხორცდება...

— შეუხორცდება, აბა, რა... თუ მანამდე კისერიც ზედ არ მიაყოლა... ორმოცი წლის კაცის ასე აღმა-დაღმა ხეტიალი იქნება? — სულს ძლივს ითქვამდა მოხუცი, — რას მობობდა, სად ეჩქარებოდა?

— ჯერ ერთი, დიტო ჯერ ორმოცი წლის არ გამხდარა და ტყუილად აბერებთ, — მეგობრის დაცვა სცადა გიორგიმ, — სირბილით კი, იმიტომ მობობდა, რომ თქვენი გახარება ეჩქარებოდა...

— ხომ გამახარა! ჰოდა, იწვევს ახლა და ხეხოს საავადმყოფოს „კოიკა“, — მოხუცმა, რომელიც აქამდე, თავდახრილი მოუყვებოდა კიბეს, უცბად, მაღლა აიხედა და ადგილზე გაშეშდა.

გიორგიმ კიბეზე ჩამომავალი ნინი მაშინვე იცნო:

— უკვე მიდიხარო? — დანანებით ჰკითხა მან და გზის დათმობა სცადა, მოხუცი კი ისევ უძრავად იდგა და ნიტას მიშტერებოდა.

— რა გქვია, პატარავ? — ჰკითხა მან ბოლოს ბავშვს.

— ნიტა, — უპასუხა დამფრთხალმა ნიტამ და დედის კალთას აეკრა.

ამ სახელის გაგონებაზე მოხუცი უცბად შეტორტმანდა, მაგრამ გიორგიმ დროზე შეაშველა ხელი.

— არა, დღეს ჩემს თავს, მართლაც, უცნაურობა უცნაურობაზე ხდება... — თავისთვის ჩაილაპარაკა მოხუცმა. ბოლოს, როგორც იქნა, განზე გადაა და ნიტას და ქალებს გზა მისცა. თუმცა მანამდე, ნიტას თავზე ხელი ალერსიანად გადაუსვა:

— არ შეგეშინდეს, ბაბუ...

გაოცებულმა ნინიმ გიორგის გადახედა — რა ხდებაო? — მაგრამ ამ უკანასკნელმა პასუხად მხოლოდ მხრები აიჩენა, თუმცა, ნიტას თვალი ვეღარც მან მოსწვივია. ბოლოს, კიბეზე ამსვლელ-ჩამოსვლელელებმა, როგორც იქნა, ერთმანეთს გვერდი აუქციეს და თავ-თავიანთი გზა განაგრძეს.

— ესენი ვინდა იყვნენ? — ჰკითხა მარამ ნინის, როგორც კი მამაკაცების ფეხის ხმა მიწყდა.

— ახალგაზრდა, დიტოს მეგობარია, მოხუცს კი, მეც პირველად ვხედავ... თუმ-



ცა... მოიცა... მივხვდი, ვინც არის... ერეკლე ბიძიაო - ასე უთხრა, ხომ, ახალგაზრდამ?

- მგონი, - უპასუხა მარიმ.
- ღიჯოს მამაა...
- სიმპათიური მამა ჰყოლია... - თავისთვის ჩაილაპარაკა მარიმ, - მაგრამ ცოტა უცნაურიც... დაინახე, ნიტას როგორ დააშტერდა? თითქოს, რაღაცას იხსენებსო... ა-ა-ა, მივხვდი, მივხვდი, ვისაც მიამსგავსა...

უცბად, ენად გაკრეფილ მარის ნინიმ ხელი წაჰკრა და ნიტაზე ანიშნა - ბავშვი გვისმენსო...

ნიტა, მართლაც, სმენად ქცეულიყო:
- დე-ე, ის ბაბუა თოვლის ბაბუა იყო? - ჰკითხა მან ნინის.

- ჰო, შეილო... თოვლის ბაბუა იყო...
- მერე, საჩუქრები რატომ არ მომცა? დაავიწყდა?..

- ალბათ, ჩემო პატარავ, ალბათ...
- აბა, როდისღა მომცემს?
- ახალ წელს.

- ახალი წელი მალე იქნება?
- ზამთარში.

- ა-უ-უ, მანამდე ხომ მაგ ბაბუას ისევე ყველაფერი დაავიწყდება... - დანანებით წამოიძახა ნიტამ.

- არ დაავიწყდება. მაგ ბაბუას დღევანდელი დღე კიდევ კარგა ხანს არ დაავიწყდება. არა, მარი? - თვალი ეშმაკურად ჩაუკრა ნინიმ მარის და შემდეგ, სამივენი კიბეზე ხმაურით დაეშენენ...

- ახლა რაღას აპირებ? სად წავიდეთ? - ჰკითხა მარიმ ნინის, მანქანაში რომ ჩასხდნენ.

- სად და სახლში, - მანქანის გასაღები

გადაატრიალა ნინიმ.

- კი, მაგრამ... ცოტნე რომ დაგვხვდეს, რას ეტყვი - რატომ დავბრუნდითო?

- არ დაგვხვდება.

- რა იცი?

- ვიცი და მორჩა! - ნინიმ მანქანა ადგილიდან დაძრა, საავადმყოფოს ჰკისკრიდან ნელ-ნელა გაიყვანა და ქუჩაში გასვლისთანავე, სიქარეს მოუმატა...

ცოტნე შინ მართლაც, არ დახვედრიათ. ნინი მაშინვე ტელეფონს ეცა და კარგა ხანს, საღდაც უშედეგოდ რეკა. ბოლოს, ყურმილი

გაბრაზებულმა დაახეთქა:

- ზემოთ ავალ და ცოტას დავისვენებ... დღეს ძალიან მძიმე დღე მქონდა...

- ძალიან მძიმე დღე კი გქონდა, მაგრამ მაინც მინდა შეგახსენო, რომ შუადღის შემდეგ ნიტას პირში ლუკმა არ ჩასვლია... - დაადევნა მარიმ. - რაც არ უნდა იყოს, ბავშვია და...

- მგონი, შენც გვარიანად უნდა იყო მოშივებული, ხომ? - გააწყვეტინა ნინიმ.
- იქნებ, მაცივარში იყოს რამე... თუ არა და, ჩემი ჩანთიდან ფული ამოიღე და რაც გინდა, ის იყიდე...

ამ სიტყვების შემდეგ, ნინი მეორე სართულზე ამავე კიბეს აუყვა და ის იყო, საკუთარ საძინებელში უნდა გაუჩინარებულყო, რომ ტელეფონმაც დარეკა.

- ავიღო? - ასძახა მარიმ.
- არა! თუმცა... ჯანდაბას, აიღე!
- ცოტნე რომ იყოს, რა ვუთხრა?
- ცოტნე არ იქნება!
- ასე დარწმუნებული მაინც, რატომ ხარ?

- მართლა და მართლა, რა მოგდის, მარი?! ასე რამ დაგაბნია? - ხმას აუწია ნინიმ. - ცოტნემ იცის, რომ სახლში არავინაა და კედლებს ხომ არ დაურეკავს?!

- მართალი ხარ. მგონი, სულ მთლად გამოვშტერდი! - შუბლზე ხელი იტკიცა შეწუხებულმა მარიმ და ტელეფონის ყურმილს დასწვდა:

- გისმენი!
- ვინც არ უნდა იყოს, მე სახლში არა ვარ, - ჩამოსძახა ნინიმ, შემდეგ სა-

წოლ ოთახში შევიდა და კარი მოიხურა.

ამასობაში, მარის ჯერ სახე შეეცვალა, შემდეგ ყურმილიც ხელში გაუშეშდა და ერთხანს მღუმარედ იდგა. შემდეგ, როგორც იქნა, ამოღერდა:

- არა, არა, რას ბრძანებ?!.. ტყუილი რა საკადრისია?.. უბრალოდ, დღეს წასვლა არ მოგვიხერხდა... ნინის რაღაც გადაუღებელი საქმე გამოუჩნდა... ხვალ დღით ნამდვილად მივედიართ... ახლა?.. ახლა, ალბათ, ვერ შევძლებ... ნინი ისვენებს, მე კი ბავშვს ვანშამი უნდა მოვუშზადო... გპირდებით... რომ დავბრუნდებით, აუცილებლად შეგხვდებით... დიახ, დიახ... ნახვამდის...

გაოგნებულმა მარიმ, როგორც იქნა, ყურმილი დადო და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- მაინც, რა უნდა ამ კაცს ჩემგან?.. რას გადამიკიდა?..

ვანშამის შემდეგ, როცა ნიტას უკვე ტკბილად ეძინა, ნინი და მარი კი ტელევიზორში რომელიღაც უცხოურ ფილმს უყურებდნენ და თან წვეს წრუპავდნენ, ნინიმ მარის უცბად ჰკითხა:

- ჰო, მართლა, წედან ვინ რეკავდა? მარის წვენი სასულეში გადასცდა და ხველა აუტყდა.

- ალალი, ალალი! - ზურგზე ხელი მეგობრულად წაუტყაპუნა ნინიმ, - რამ დაგაფთა? შეყვარებული გაიჩინე და მე არაფერს მიმხელ?

- შეყვარებული არა, კიდევ ის... ვითომ არ იცი, რომ არავინ მყავს... - იწყინა მარიმ.

- აბა, ვინ იყო?

- ვინ და ანი.

- ანი?.. რა მოელანდა? ხომ იცოდა, რომ უკვე წასული ვიყავით?..

- უბრალოდ გადავამოწმე, მართლა წახვედით თუ არაო...

- მეტი არაფერი?

- არა, არაფერი... ანის ამბის კითხვას, გირჩევნია, დიტოზე მიამბო, როგორ შეგხვდა, რაზე ილაპარაკეთ? - საუბრის თემა სასწრაფოდ შეცვალა მარიმ.

- არაფერზე.

- როგორ თუ არაფერზე?

- ვერ მოვასწართ. ნათესავები მოვიდნენ და ხელი შეგვიშალეს.

- კიდევ როდის უნდა ნახო?

- რა ვიცი... შეიძლება, არც არასოდეს...

- რატომ?

- იმიტომ, რომ ქალი ჰყავს...

- ქალი?

- ჰო... და თანაც, ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი...



ბარონესა კარენ ბლიკსენ-ფინეკს ლიტერატურული ფსევდონიმი, ისააკ დინისენი გახლდათ. მას ცხოვრებაში ერთხელ უყვარდა... წერდა ორ ენაზე. დაიბადა დანიაში და ცხოვრობდა აფრიკაში. მისი წიგნები, როგორც ძველი, ისე ახალი, სამყაროსათვის აღმოჩენად იქცა. მისი ბიოგრაფიის მიხედვით გადაღებულმა ამერიკულმა ფილმმა, ყველა შესაძლო ნომინაციაში „ოსკარის“ პრემია დაიმსახურა. მისი ცხოვრება კი მითად, ლეგენდად და გამოცანად დარჩა...

სიყვარულის ენაზე წერდა

ქალი, რომელიც

კარენ კრისტინე დინისენი ბავშვობიდანვე ნიჭიერებით გამოირჩეოდა. მან ფრიად ადრეულ ასაკში გამოაქვინა ენებისადმი მიდრეკილება, ამასთან შესანიშნავად ხატავდა და ბევრს კითხულობდა. კარენის ბებია ნახევრად ინგლისელი გახლდათ და გოგონას პატარაობიდანვე ასწავლიდა თავის მშობლიურ ენას. კარენმა იმდენად კარგად აითვისა ინგლისური, რომ ჯერ კიდევ ბავშვი, შექსპირს დედანში კითხულობდა. მამამისი ვილჰელმ დინისენი, გადამღვარი კაპიტანი გახლდათ, რომელიც თავის დროზე, რამდენიმე ომის მონაწილე იყო; ამასთან იგი ხანგრძლივი დროის მანძილზე ამერიკის ინდიელთა ტომებთან ერთად ცხოვრობდა და საოცრად საინტერესო და თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი. ავანტიურების მოყვარული ვილჰელმი სამხედრო სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ, მშობლიურ რუნგსტენდლუნდის მამულს დაუბრუნდა და ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი: ამ ასპარეზზე მან საკმაო წარმატებასაც მიაღწია. იგი საოცარი მთხრობელიც გახლდათ და ახალგაზრდობის დროინდელი საკუთარი თავგადასავლების მოყოლით, შეილებს ფანტაზიას უღვივებდა. კარენის ლიტერატურული მიდრეკილებები, საკმაოდ გვიან გამოვლინდა, რასაც, უნდა ვივარაუდოთ, ხელი შეუწყო ოჯახში დატრიალებულმა ტრაველიამ: გოგონას საყვარელმა



მამიკომ თავი მოიკლა. მომხდართ შეძრწუნებულ კარენს, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა გონზე მოსასვლელად. ოჯახის სხვა წევრებისაგან განსხვავებით, მას არასოდეს გაუკიცხავს და დაუდანაშაულებია მამა ამ ნაბიჯისათვის. იგი მომხდარს არაბავშვური გაგებით შეხვდა; თუმცა ეს ფაქტი, მის სულს მოუშუშებელ იარაღ მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა და შესაძლოა, უნებლიეთ მისი შემდგომი ბედობალი განსაზღვრა კიდევ.

ცამეტი წლის კარენი სამშობლოდან შვეიცარიაში გაემგზავრა სასწავლებლად. ერთი წლის შემდეგ, სამხატვრო სკოლაში შევიდა, მოგვიანებით კი, კოპენჰაგენის სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა. კარენი მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული: იგი ერთნაირად კარგად ხატავდა, წერდა ლექსებს და პიესებს. იმ პერიოდში, საბავშვო ურჩაღში, ოსკოლას ფსევდონიმით, მისი სამი მოთხრობაც გამოქვეყნდა (ოსკოლა მამამისის საყვარელი ძაღლის სახელი გახლდათ).

თხელი, დახვეწილი ნაკვთების მქონე მომხიბლავი გოგონა, 1913 წელს ცოლად გაჰყვა საკუთარ ბიძაშვილს – ბარონ ბრორ ბლიკსენ-ფინეკს. 1914 წელს, ცოლ-ქმარი საცხოვრებლად კენიაში გადავიდა, სადაც მათ ნაირობის მახლობლად ფერმა და ყავის პლანტაციები შეიძინეს. მოგვიანებით, როცა კარენმა აფრიკაში გატარებული წლების მოგონებების წერას მიჰყო ხელი, აფრიკასთან პირველი მიახლების შთაბეჭდილებებს ასე აღწერდა: „წარმოიდგინეთ, რომ ცხოველებზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, რომელსაც ეს ვრცობა დაბადებიდან დაჰყვა, გაიზარდა ისეთ გარემოში, სადაც არ იყვნენ ცხოველები და იგი მათ მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ შეხვდა; რომ ვიღაც, ოცი წლის ასაკში პირველად მოხვდა ტყეში; ან მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, რომელმაც მუსიკა მხოლოდ მოწიფულ ასაკში მოისმინა. ყველაფერი ეს, შესაძლოა, შეჯადოო ჩემს იმეამინდელ მფორმარეობას, როცა პირველად შევხვდი აფრიკას და აფრიკელებს და მთელი ჩემი ცხოვრების რიტმის შეცვლა მომიხდა“.

აფრიკაში კარენის მთვლემარე შინაგანი ძალები ამოქმედდა. მას აქტიური მოღვაწეობის დაუძლეველი სურვილი მოებალა, მისმა გონებამ კი გაათმაგებელი ენერგიით დაიწყო მუშაობა. კარენმა ინგლისის პრემიერ-მინისტრს, ლოიდ ჯორჯს მისწერა წერილი, სადაც ჩამოაყალიბა კენიის, როგორც ბრიტანეთის კოლონიის შემდგომი განვითარების პროგრამა და დაწვრილებით აღწერა ის რეფორმები, რომელიც ქვეყნის უკეთ მოსაწყობად იყო

გასატარებელი. ლოიდ ჯორჯმა თავშეკავებული, ზრდილობიანი ტონით აღსავსე პასუხი გაუგზავნა, სადაც მადლობას მოახსენებდა „ქვეყანაში სიკეთისა და წესრიგის დამყარების სურვილისათვის“. ამ ამბავს არანაირი ქმედება არ მოჰყოლია. მხოლოდ 30 წლის შემდეგ, კარენ ბლიკსენი ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთში გამოქვეყნებულ „კოლონიების ნაციონალურ თანხმობის გეგმას“ წააწყდა, რომლის ჩამონათვალშიც მისი ყველა წინადადება იყო გათვალისწინებული. მან სოციალურ-პოლიტიკური მოღვაწეობით, წინ გაუსწრო თანამედროვეობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი იდეები არ განხორციელდა. აფრიკული კოლონიების ცხოვრება ძველი ბრიტანული კანონების გათვალისწინებით მიმდინარეობდა, რამეთუ ქალების თუნდაც პრაქტიკულ რჩევებს მამაკაცები იმხანად აინუნშიაც კი არ აგლებდნენ.

კენიაში დამკვიდრებულ კარენსა და მის მეუღლეს ურთიერთობა ძირძველ ინგლისელ არისტოკრატებთან უნდებოდათ, რომელთა წინამძღოლიც ლორდი დელამერი გახლდათ. კარენი მოხიბლული იყო ამ ადამიანების აღზრდითა და კულტურით, მათი უზადოდ დასვენებით. სულ მალე, კარენი ამ საზოგადოების განუყოფელ ნაწილად იქცა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პირად ცხოვრებაში კარენი ბედნიერი არ გახლდათ: ცოლ-ქმრის ურთიერთობა ვერა და ვერ აეწყო. ვენერიულმა სნეულებამ კი, რომელიც კარენს ქმარმა გადასდო, ყველაფერი კიდევ უფრო გაამწვავა. ამ დაავადებამ მას საშუალოდ წართვა შეილის ყოლის ბედნიერება...

გამოჯანმრთელებას საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდა. 1922 წელს ცოლ-ქმარი გაიყარა. განქორწინების შემდეგ, ახალგაზრდა ქალს ფერმასა და იქ მომუშავე შაკანთან მოსახლეობაზე ზრუნვა დააწვა მხრებზე. თავისი ხასიათის წყალობით, მან



მერილ სტრიპი ფილმში „აფრიკიდან“

იოლად გამოიჩინა საერთო ენა ადგილობრივ მოსახლეობასთან. მათ შორის, საოცარმა ნდობამ და ურთიერთპატივისცემამ დაისადგურა. კარენ ბლიკსენი მათთან ერთად მუშაობდა, დაეისა და გაუგებრობის შემთხვევაში კი, არბიტრის ფუნქციას საკუთარ თავზე იღებდა და მოდავე მხარეებს ერთმანეთთან არიგებდა. ბლიკსენი ადგილობრივი მოსახლეობის სასიყვარულო ამბების მიმართაც არ იჩენდა გულოვრილობას და რთიცი შეეძლო, ენმარებოდა მათ. ისინიც, თავის მხრივ, ერთგულებდნენ თავიანთ ქალბატონს, რომელსაც საკმაოდ დიდი სიმტკიცის გამოჩენა დასჭირდა, რათა სათანადოდ შეესწავლა ფერმის საქმეები. მიუხედავად უდიდესი წინააღმდეგობებისა, რომელიც საკუთარი გამოუცდელობითა თუ

უამინდობით გამოწვეული ზარალით იყო მიყენებული, კარენი აფრიკაში გატარებულ წლებს საკუთარი ცხოვრების უბედნიერეს ხანად მიიჩნევდა. თავისი დიდი და ჭეშმარიტი სიყვარულიც მან სწორედ აფრიკაში იპოვა.

მისი რჩეული, ძველი ინგლისური არისტოკრატის წარმომადგენელი, მოგზაური, მონადირე, ბუნების მკვლევარი და მფრინავი დენის ფინჩ ჰეტონი გახლდათ. კარენსა და დენისს ჰქონდათ ყველაფერი: დაუოკებელი ვნება, ყოვლისმომცველი სიყვარული, მეგობრობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი არ დაქორწინებულან. ორივე მათგანს საოცარი ნებისყოფა და მამაკაცური ხასიათი ჰქონდა, რაც ხელის შეწყველი პირობა აღმოჩნდა მათი შეუღლები-სათვის.

როცა 1985 წელს, კარენ ბლიკსენის ასი წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი მისი ბიოგრაფიული ფილმი – „აფრიკიდან“ გადაიღეს, ამერიკელმა რეჟისორმა – სიდნი პოლაკმა ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრა მსახიობი, რომელსაც მთავარი როლი უნდა შეესრულებინა. მერილ სტრიპის ნაზი, თხელი, ქალური ნაკეთებისა და ჰეროვანი ფიგურის მიღმა, საოცარი ძალა, ენერგია და ნებისყოფა იგრძნობოდა. კარენ ბლიკსენი ნამდვილი ამორძალი გახლდათ, რომელმაც იგემა თავისუფლება და ველარ



ისააკ დინისენად ქცეული კარენ ბლიკსენი. 1934 წ.

შეელია მას. „ცხენის ჭენება, მშვილდიდან სროლა და სიმართლის თქმა“ – ასეთი ეპიგრაფი წაუძმღვარა ბლიკსენმა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნს – „აფრიკიდან“.

კარენი და ღენისი, მისი ორადგილიანი თვითმფრინავით ხშირად დაფრინავდნენ აფრიკის უკიდევანო ზეცაში. ეს თვითმფრინავი მათი სიყვარულის ჭეშმარიტ სიმბოლოს წარმოადგენდა. მისი მეშვეობით ისინი სწყდებოდნენ რეალობას, ყოფას, მოვალეობებსა და ურთიერთპრეტენზიებს. ისინი დასრიალებდნენ იმ ვიწრო ზღვარზე, სადაც აფრიკის ცხელი მიწის სუნთქვა და უკიდევანო ზეცის სიგრილე ერწყმოდა ერთმანეთს. ზოგჯერ ღენისი მარტო მიფრინავდა, კარენი კი ელოდა მას. „მაშინ, როცა აფრიკაში დამბლობით მარტო ვრჩებოდი, ლამის გარშემო ჩრდილები იწყებდა თამაშს, კრთოდა სახეები, ისმოდა ხმები... სწორედ მაშინ შევთხზე და ჩავიწერე „შვიდი ფანტასტიკური მოთხრობის“ პირველი ორი ამბავი. როცა ღენისი ბრუნდებოდა, მეკითხებოდა: „დაასრულე თუ არა ახალი ზღაპარი?“ ერთხელ კი, ის აღარ დაბრუნდა“.

შესადლოა, სწორედ ამ ტრაგიკული ფაქტით იყო განპირობებული მისი შემდგომი ლიტერატურული მოღვაწეობა. რაღა თქმა უნდა, თუ კარენისა და ღენისის ურთიერთობები გაგრძელდებოდა, ბლიკსენი საყვარლისთვის ზღაპრების შეთხზვას კვლავაც განაგრძობდა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი შემოქმედებითი შემკვიდრეობა ერთი ან ორი წიგნით შემოიფარგლებოდა... თუმცა ბედმა სხვაგვარად განსაჯა: 1931 წელს ღენისი ავიაკატასტროფაში დაიღუპა; იმავე წელს, ხანძარმა კარენის ყავის პლანტაციები გაანადგურა. ამქვეყნად

მოპოვებული სამოთხის ნაცვლად, ღენის-ენს ხელში გადაბეგული მიწა და გაუსადღისი ტკივილი შერჩა. წრე შეიკრა: მან თავისი ცხოვრების გზაზე მეორე მამაკაცი და მეორე სამშობლო ერთდროულად დაკარგა. მეგობრები კარენს ფერძის გაყიდვას ურჩევდნენ და მანაც დაუჯერა, რადგან აფრიკაში აღარაფერი დარჩენილია.

იგი სამშობლოში, საგვარეულო მამულ – რუნგსტენდლუნდში, გაკოტრებული და მარტოხელა დაბრუნდა. „დანიამი ყველაფერი ძველებურად შესანიშნავად იყო: ძველი სახლი, ბაღი, მუსიკა, მოსიყვარულე დედა და ძმა. ერთი სიტყვით, აქ იდლია სუფევდა, მაგრამ მე არ მქონდა მომავალი და არც საარსებო სახსარი გამაჩნდა“. სხვის ხარჯზე ცხოვრება კი, კარენს არ სურდა, რადგან მას არ შეეძლო, ვინმეზე ყოფილიყო დამოკიდებული. ორმოცდაშვიდი წლის ქალი ბედის სიმუხთლემ აიძულა, სრულიად შეეცვალა თავისი ცხოვრება. აფრიკაში მოძრაობაში მოვიდა მისი სულიერი ძალები და გრძობები, დანიაში კი მას ტალანტის გამოვლინების საშუალება მიეცა. კარენ ბლიკსენი სამყაროს, მწერალ ისააკ ღინისენად მოეკვლინა.

მისი შემოქმედების მკვლევარნი დღემდე არკვევენ იმას, თუ რატომ დაიწყო კარენმა წერა ინგლისურად და არა მშობლიურ დანიურზე. პასუხი მარტივია: იგი თავისი სიყვარულის ენაზე წერდა. წერდა ისე, რომ გაეგო მას, ვისაც იგი უსიტყვოდ მიმართავდა. საინტერესოა ისიც, თუ რატომ აიღო მან ფსევდონიმად მამაკაცის სახელი? რატომ გახდა ისააკ ღინისენი? სავარაუდოა, რომ კარენმა ქალიშვილობის გვარს, მამამისის – უზადო მოხრობელის პატივსაცემად წაუძმღვარა წინ მამაკაცის სახელი. იგიც ხომ მამამისივით ფეერიული მოხრობელი აღმოჩნდა.

მისი ფანტასტიკური და საბედისწერო მოთხრობები აწმყოსა და წარსულს შერწყმით გამოირჩეოდა. მის მიერ აღწერილ სიტუაციებში თითქმის ყოველთვის უკიდურესობები უკავშირდებოდა ერთმანეთს: სიცოცხლე და სიკვდილი, სიყვარული და ღალატი, ყოფა და პოეზია. ისააკ ღენისენის პროზა მამაკაცურად ნათელი და ძლიერი იყო, ამასთანავე, ქალურად ნათივი და დახვეწილი. მისი ნაწარმოებების გმირები არისტოკრატები და უბრალო ადამიანები იყვნენ, ავტორი კი ყოველ მათგანში სიმამაცესა და სიბრძნეს, ძალასა და სინაზეს, სიყვარულსა და სიმტკიცეს ეძიებდა. ღინისენის პირველი წიგნი, „შვიდი ფანტასტიკური ამბავი“, 1934 წელს ინგლისსა და ამერიკაში ერთდროულად გამოვიდა და ბესტსელერად იქცა. კრიტიკა აღფრთოვანებით წერდა ახალი ტალანტის აღმოჩენის შესახებ. სამი წლის შემდეგ კარენმა აფრიკული მოგონებების წერა დაასრულა, რომელშიც ერთი თავი – „ფრთები“ ღენისის მიუძღვნა. მან კიდევ მოთხრობების რამდენიმე კრებული გამოსცა: „ზამთრის ზღაპრები“, „საბედისწერო ამბავი“, „ბედის ანეკდოტები“. კრიტიკოსებმა მას „დანიური ლიტერატურის მარტოხელა ქალბატონი“ უწოდეს და ამით ხაზი გაუსვეს მისი მწერლობის უნიკალურ მხარეს. ერნესტ ჰემინგუემ კი, 1954 წელს, ნობელის პრემიით დაჯილდოებისას აღნიშნა, რომ ეს ჯილდო მასზე ადრე, „შესანიშნავი მწერლისთვის, ისააკ ღინისენისთვის უნდა გადაეცათ“.

სიკვდილის წინ კარენმა კიდევ ერთი წიგნი – „ჩრდილები ბალახში“ გამოსცა. აფრიკიდან დანიამი დაბრუნებული ბლიკსენი დიდხანს და მძიმედ ავადმყოფობდა, მაგრამ იგი არ ეპუებოდა გაუსადღის ტკივილებს და მაინც წერდა. უკანასკნელ ხანებში კი, როცა ლოგინში მწოლიარეს წერა აღარ შეეძლო, თავის მდივანს – კლარა სვენდსონს ჰკარნახობდა და ისე წერდა. კარენ ბლიკსენი 1962 წელს, ოთხმოცი წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი უკვე საქვეყნოდ აღიარებული მწერალი და არაერთი ლიტერატურული პრემიის მფლობელი გახლდათ; ამასთან, იგი დანიის სიტყვიერების აკადემიის წევრი და ამერიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის აკადემიის საპატიო წევრიც იყო. თუმცა, ყოველივე ეს მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა... მზის ჩასვლისას, ყოველ საღამოს, იგი საკუთარი სახლის პარმალზე გამოდიოდა; დიდხანს იყურებოდა სამხრეთის მიმართულებით, იქ, სადაც აფრიკა ეგულებოდა და სადაც ნობელის მთის ძირას ღენისი განისვენებდა. მარტოხელა სულს კი ერთი ლეგენდა უთბობდა, რომლისაც კარენს გულწრფელად სჯეროდა. გადმოცემის თანახმად, მისი შეყვარებულის საფლავზე ყოველდღე მზის ჩასვლისას ლომების წყვილი მიდიოდა და სამარის ქვასთან ისვენებდა.

აფრიკის სიყვარული მწერალ ქალს სიციხის ბოლომდე გაჰყვა



მეჩაღთანისა და ხულიგნის ჩაუტასიის მქონა ჯორჯ ყოყონი პოლიტიკაში მოსვლაზე უანს აგზოგს

გასული წლის ერთ-ერთი ყველაზე უცნაური ფილმის – „საშიში ადამიანის აღსარება“ – დამდგმელ რეჟისორად ჯორჯ კლუნის გამოჩენა, გასაოცარი და ამასთან, ლოგიკურიც იყო: ერთი მხრივ, ამ სურათით მისი სარეჟისორო დებიუტი შედგა; მეორე მხრივ, იგი ინტინქტის დონეზეც კი, კარგად გრძობდა სცენარს, რადგან ტელევიზიის ატმოსფერო მისთვის საოცრად ნაცნობი და მშობლიური იყო. თუ „ას-ალბედას ილბალიც“ მის მხარეს აღმოჩნდება, იქნებ, ბატონ რეჟისორს, რაღაც არაშაბლონური ფილმიც კი გამოუვიდეს. თავად კლუნი ირწმუნება, რომ კამერის მეორე მხარეს მუშაობა სულაც არ მოეწონა და „საშიში ადამიანის აღსარება“ მისი სარეჟისორო პრაქტიკის ერთადერთ ნიმუშად დარჩება.

„როცა რეჟისორი ხდება, იმის გაკეთება გიწევს, რის გამოც არ გიყვარს რეჟისორები. შენ მსახიობებით მანიპულირებ და ითხოვ მათგან, გააკეთონ ის, რისი კეთებაც მსახიობის ამპლუაში თავად არ გსიამოვნებს“... შესაძლოა, კლუნი ამ შეფასებისას, ცოტა არ იყოს, აჭარბებდეს კიდევ, მაგრამ სერიოზულადაც ასე რომ ფიქრობდეს და რეჟისურა მისთვის მხოლოდ ეპიზოდური თავშესაქცევი აღმოჩნდეს, როგორც მსახიობს, სამუშაო მაინც არ მოაკლდება. ამჟამად კლუნი, ისევე, როგორც ყოველთვის, არაერთ პროექტში მონაწილეობს. წლეულს, ჩვენ მას ვინილავთ ძმები კონენების ახალ, რომანტიკულ კომედიაში – „აუტანელი სიმკაცრე“, სადაც მის პარტნიორად კეტრინ ზეტა-ჯონსი მოგვევლინება. ჯორჯის გეგმებში ირიცხება სიქველი – „ოუშენის თორმეტი მეგობარი“, რომლის



სცენარი თითქმის უკვე მზად არის. დაბოლოს, კლუნი თავის ყოფილ შეყვარებულ რენე ზელვეგერთან ერთად, „ბრიჯიტ ჯონსის დღიურების“ მეორე სერიამიც ითამაშებს. ამ ფილმში კლუნის საკუთარი თავის – ცნობილი მსახიობის გასახიერება მოუწევს, რომლისგანაც ბრიჯიტი ინტერვიუს იღებს.

მეგობრების ხათრით, ჯორჯი ხშირად, მეორეხარისხოვანი როლების შესრულებაზეც თანხმდება ხოლმე, რითიც შოკში ავლებს პოლიუდის სხვა ვარსკვლავებს.

იგი არასოდეს ითხოვს მრავალმილიონიან ჰონორარს და რასაც რეჟისორები ან პროდიუსერები სთავაზობენ, იმაზეც თანახმა ხოლმე. ასეთმა პოლიტიკამ დივიდენდებიც მოუტანა მსახიობს: მან ორჯერ – „სამ მეფესა“ და „იდეალურ შტორში“ – ცხვირწინ ააცალა შთამბეჭდავი როლები თავად მელ გიბსონს. ორჯერვე, გიბსონი 20-მილიონიან ანაზღაურებას ითხოვდა, კლუნი კი – ორსაც დასჯერდა.

ამ კინოსურათებმა მსახიობის პოპულარობა კიდევ უფრო გაზარდა და არნახული შემოსავალი მოუტანა სტუდიებს. მაშინ კი, როცა მსახიობს მრავალმილიონიან ჰონორარზე აღარავინ ეტყოდა უარს, ყველასათვის მოულოდნელად ჯორჯმა რეჟისურას მოჰკიდა ხელი! პრემიერის წინ, იგი თავისი სარეჟისორო ნამუშევრის შეფასებისაგან თავს იკავებს. კლუნი ხვდება, რომ ამერიკელები მას კინემატოგრაფისტად კი არა, ძველებურად, სექს-სიმბოლოდ აღიქვამენ. ის სომ კვლავაც „ყველაზე სექსუალურ“, „ყველაზე ლამაზ“, „ყველაზე პრესტიჟულ სასიძოდ“ და ა.შ. ევლინება თანამემამულეთ. ამას წინათ, მას ჰკითხეს, პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობას ხომ არ აპირებთო? „არასოდეს! – უპასუხა კლუნი. – მე მექალთანისა და ხულიგნის რეპუტაციით ვსარგებლობ, ასეთი იმიჯით, მუშაობა კი მხოლოდ კინოშია მომგებიანი!“

კვიც მისი გათხტეუმას აპიტრემს

ცნობილი ვახდა, რომ გამოძე-მელი ჯეფერსონ ჰეკი თავის სატრფოს – 28 წლის ინგლისელ სუპერმოდელ კეიტ მოსს სიურპრიზს უმზადებს: ტაილანდში რომანტიკულ მოგზაურობაში გამგზავრებადღე, კეიტის დაბადების დღეს, ის აპირებს, რომ ოფიციალურად სთხოვოს მას ხელი. ჯეფერსონს იმედი აქვს, რომ ჭირვეული კეიტი ამჯერად მაინც მიიღებს მის წინადადებას. მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულის გამო კეიტმა შოუბიზნის საწყაროში მოღვაწეობაზე თქვა უარი და თავის რჩეულს შარ-

შან ოქტომბერში გოგონა – ლილა გრეისი აჩუქა, აქამდე მასთან ერთად ოჯახის შექმნისაგან რატომღაც თავს იკავებდა. ჯეფერსონის მეგობრის თქმით, „ჰეკი, კეიტთან ქორწინებაზე მისი დანახვის დღიდანვე ოცნებობდა. ისინი უკვე ორი წელია ერთად არიან და კვლავ საოცრად უყვართ ერთმანეთი. ასე რომ, ყველაფერი უცლობლად ქორწინებით დამთავრდება“. ჯეფერსონმა კეიტი მაშინ გაიცნო, როცა მასთან ინტერვიუს ასაღებად მივიდა (იმხანად ჰეკი ჟურნალში მუშაობდა).



ჯტრსკტ მტრდნს მსტლტდ სკტნის მტლტს დტმტრნდრტმტ

ალბატ ფეხბურტის გულშემტკივრებ- ისტვის ცნობილიტ, რომ „მოდენსტან“ გამ- არტულ მტრწმი, მილანის „ინტერის“ არ- გენტინელმტ ფორვარდმტ, ერნან კრესკომ ბარმტყის მყესის ტრტვმტ მიილო, რის გამოც იგი ორ-ნახევარი ტვის მანძილზე ველარ შეძლებს ტამაშს. „სამედციწო ტესტის შედეგი უფრო დამაიმედებელი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო“, – ნატქვამია „ინტერის“ პრესსამსახურის განცხადებ- ში. ტავიდან შიშობდნენ, რომ არგენტინე- ლი ვარსკვლავი მტელი 5 ტვით გამომეშ- ვილობებოდა საფეხბურტო მოედანს, რაც, ცხადია, მილანური კლუბისტვის დიდი



დანაკლისი იქნებოდა, ტუმცა კუპერსა და კომპანის მანც გტუჭირდებოტ ორტვე-ნახ- ევრის განმავლობტში გუნდში ერნანის არყოფნის გამო. „ამჯერად „ინტერი“ „რე- ალტან“ აწარმოებს მოლაპარტკებას სანტი- ავო სოლარის გდმოყვანსტან დტკვმტრებოტ, მტგრამ ტუ კუპერს სხვტ ტავდამსხმელი დტსჭირდებტ, ჩვენ ამ შემოტხვევტშიც არ დტვიხებოტ უკან“, – განაცხადტ ამტს წინტო „ინტერის“ პრეზიდენტმტ, მტსიმო მორტტმ. მკოტხველს კი შევტსენებოტ, რომ კრესკო ჩემპიწნოტა ლიგის მიმდინარე სეზონის ერთ- ერთი საუკეთესო ბომბარდირია და რვტ მტრწმი 9 გოლი აქვს გტტანილი. ■

ნისცვლტტი – 2002 წლის სტუკოტსტ თტტვტტტი



„მანჩესტერ იუნ- აიტედის“ ფორვარდი, რუდ ვან ნისტელროი, საფეხბურტო ის- ტორიისტა და სტატის- ტიკის საერთაშორისო ფედერტციამ 2002 წლის პლანეტის საუ- კეთესო ტავდამსხ- მელად დაასახელტ.

გასულ სეზონში ჰოლანდიელმტ ვარსკვლავმტ საერთაშორისო შესხვედრებში 14 გოლი გაიტანტ. რეიტინგში მეორე ადგილზე 13 გოლიტ გერმანელი მიროსლავ კლოზე გავიდა, ხოლო მესამეზე, იმტვე შედეგოტ დანიელი იონ დელ ტომტსონი (მტს- ტან შედარებოტ გერმანელ ტავდამსხმელს გასვლიტ მტტრებში უფრო მეტი გტტანილი გოლის გამო მიენიჭტ უპირატესობტ). რაც შეეხებტ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიწნატის საუკეთესო ბომბარდირსტა და მსოფლიოსტა და ევროპის საუკეთესო მოტტ- მამედ აღიარებულ რონალდოს, იგი ამ რეიტინგში მხოლოდ მეოტხე ადგილზე აღმოჩნდა. ■

„დიდი თილი“ – 2002 წლის სტუკოტსტ მწუტტნელი

საფეხბურტო ისტორიისტა და სტატისტიკის საერთა- შორისო ასოციტციამ 2002 წლის პლანეტის საუკეთესო მწვრტნელად პენტტკამ- პეწნოტა ყოფილი ტავკაცი (ამ- ჟამად კი, პორტუგალიის ეროვნული ნაკრების დამ- რიგებელი), ლუიშ ფელიპე სქოლარი მიიჩნია. რეიტინგ- ში მეორე ადგილზე ჰოლან- დიელი გუს ჰიდინგი გავიდა, რომელმაც სამხრეტ კორეის ეროვნულ ნაკრებს 2002 წლის მუნდიალზე მეოტხე ადგილი მოტპოვებინტ. რეიტინგის პირველ ხუტუეულში მოხვდნენ აგრეტვე ტურქეთის ნაკრების ტავკაცი გიუნეში, გერმანიის ნაკრების მწვრტნელი ფიოლერი და ფრანგი სპეციტლისტი მეციუ, რომელმაც ბოლო მსოფლიო ჩემპიწნატზე სენეგალის ნაკრებტან ერთად სენსტციური შედე- გები აჩვენტ. ■



მტტმტნ ნტუიცი სტუკოტსტ იცტ იჯტტპტში

NBA-ს კლუბ „დტლასს მტვერიკზში“ მოტამაშე და გერმანიის ეროვნული ნა- კრების წვერი, დირკ ნოვიციკი იტტალი- ური La Gazzetta dello Sport-ის მიერ ჩატარებული ტრადიციული გამოკოტხ- ვის შედეგების მიხედვოტ, 2002 წლის ევროპის საუკეთესო კალატბურტელად დასახელდა. გამოკოტხვტში, რომელშიც ევროპის ცნობილი სტკალატბურტო სპე- ციტლისტები და მწვრტნელები მონაწი- ლეობდნენ, ნოვიციკმ 104 ტულტა დატგრო- ვტ დტუგოსლავიელებს, დეიან ბოდროგსტ (54 ტულტა) და პრედრტგ სტოტტკოვიჩს (50 ტულტა) გაუსწრო. La Gazzetta dello

Sport-მტ უკვე 24-ჯერ გამოვტლინტ ევრო- პის საუკეთესო კალატბურტელი. ამ მხრივ რეკორდსმენად არვიდას საბონისი იტუ- ლებტ, რომელიც კონტინენტის საუკეთესო მოტამაშედ რ-ჯერ დასახელდა. სტინ-



ტერესოტ, რომ საბონისი, რომელმაც მტე- ლი 2001-2002 წლის სეზონი გატციდინტ, შეუმწნეველი მანც არ დარჩენიოტ ბოლო გამოკოტხვტში. 2002 წლის რეიტინგში მან მერვე ადგილი დაიკავტ. ანალოგიურ გამოკოტხვტში, რომელიც ტტლოტ კალატ- ბურტის ეხებოდა, ზედიზედ მეორედ პირველ- ობტ არავის დაუტმო გოგონოტოტა NBA-ს კლუბის, „კლივლენდ როკერზის“ ფრანგმტ ტავდამსხმელმტ ენი ვოტტერსმტ (49 ტულტა). მეორე და მესამე ადგილებზე კი, შესტბამისად რუსეთის ნაკრების წვერები, ილონტ კორსტინტა და ელენტ ბარანოვტ (17-17 ტულტა) გავიდნენ. ■



Smart-ი სამოდელო ჰაიბრიდს აფასიოებს

ამ ორი მანქანის ოფიციალური პრემიერა შარშან შემოდგომაზე, პარიზის ავტოსალონზე შედგა. როდესტერიცა და კუპეც მინიატურული „სმარტის“ ტრადიციის შესაბამისი მოდელებია, თუმცა საგრძობლად გაზრდილი: თუ ორადგილიან საქალაქო ავტომობილს სიგრძე 2,5 მ ჰქონდა, ახალი „სმარტებისა“ – 3,42 მ-ს აღწევს. ძრავა

უცვლელად დარჩა – 3-ცილინდრიანი, ბენზინის, ტურბოდაბერვით აღჭურვილი. მხოლოდ მისი სამუშაო მოცულობა შეიცვალა – უწინდელი 600 კუბ.სმ-ის ნაცვლად, ახლა – 700 აქვს, მაგრამ სიმძლავრე კვლავ 82 ცხ.ძ-ს შეადგენს. ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარეა 175 კმ/სთ, 100 კმ/სთ-ის განვითარების დრო – 10,9 წმ,

საწვავის ხარჯი – 5,5 ლ, ყოველ 100 კმ-ზე.

ორივე მანქანა აღჭურვილია 6-საფეხურიანი, ავტომატური გადაცემათა კოლოფით, მუხრუჭების ანტიბლოკირებისა და კურსის მდგრადობის სისტემებით, უსაფრთხოების 2 ბალიშით. როდესტერს რბილი, ასაკეცი სახურავი აქვს, კუპეს კი – მყარი და გამჭვირვალე.

Ford-ის მინიაბზიოდები

ამერიკული კორპორაცია, თავისი სახელგანთქმული სუპერკომპაქტური მოდელის Ka-ს ბაზაზე შექმნილი, ორადგილიანი, ღია ავტომობილის სერიული წარმოებისთვის ემზადება. მანქანას Streetka ეწოდება. პირველად ის ჯერ კიდევ 2 წლის წინ, ტურინის ავტოსალონზე წარმოადგინეს, სადაც ავტომოყვარულთა და სპეციალისტთა აღტაცებული შეფასებები ხვდა წილად. ცოტა ხნის წინ კი გამოაცხადეს, რომ სარეალიზაციო ქსელში ის გაზაფხულზე გამოჩნდება.

„ნამცევას“ დიზაინი „ფორდის“ წარმომადგენლებმა, სახელგანთქმული იტალიური ატელიეს – Pinin-

farina-ს სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავეს. Streetka და კიდევ ერთი, მისი მსგავსი მოდელი – Sportka, 95 ცხ.ძ. სიმძლავრის, 1,6 ლ მოცულობის ძრავითაა აღჭურვილი. მისი მაქსიმალური სიჩქარე 173 კმ/სთ იქნება. სახურავი ხელით დაიკეცება და „ფორდის“ მესვეურთა თქმით, ამ პროცესს სულ რაღაც 30 წმ დასჭირდება. მინიატურული ავტო-



მობილის საბაზო კომპლექტაციში შევა: მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, უსაფრთხოების 4 ბალიში, დისტანციური მართვით აღჭურვილი ცენტრალური საკეტი და მინის ელექტროამწეები.

აქვე გაცნობთ, რომ Ford Ka 1996 წლიდანაა წარმოებაში. შარშან ივნისში, ამ მანქანის საერთო ტირაჟმა 1 მლნ-ს მიაღწია. როგორც ვარაუდობენ, ამ სახით, აღნიშნული მოდელი 2004 წლამდე დარჩება წარმოებაში. ამჟამად კი, ეს მოდელი განსაკუთრებული პოპულარობით ქალებში სარგებლობს. მაგალითად, გერმანიაში მის მყიდველთა 74%-ს სწორედ მშენიერი სქესის წარმომადგენლები შეადგენენ.



"ჩვენი თავზანისმცემლები პატარა გოგონები არიან"

ნათია ქვიცია

სულ შვიდი თვეა, რაც ჯგუფი „ისინი“ შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდა და უკვე მიიზღო ტინეიჯერთა ყურადღება. ჯგუფი ახალ კლიპზე მუშაობს და შემოდგომისთვის ალბომის გამოშვებასაც გეპირდება.

მის წევრებთან დათქმულ შეხვედრაზე მისულს, ხუთიდან სამი დამხვდა — აჩიკო ცანკაშვილმა და დიმა თეიმურაზოვმა ერთმანეთს „სოლიდარობა გამოუცხადეს“ — ორივე გაცივებულია და მაღალი სიცხე ჰქონია.

— საიდან გაჩნდა ჯგუფი „ისინი“ ჩამოყალიბების იდეა?

პაილინა:

— ეს იდეა გაუჩნდა კომპანიას — „ფაიფ ლაინს პროდაქშენს“. მათ სურდათ, ჩამოეყალიბებინათ მამაკაცთა ჯგუფი, რომელიც რაღაც ახალს შემოიტანდა თანამედროვე ქართულ მუსიკაში.

— რა კრიტერიუმებით მოხდა თქვენი შერჩევა?

დაპი:

— ჩატარდა სიმღერის კონკურსი, რის მიხედვითაც ჩვენ შეგვარჩიეს.

— „ისინი“ სულ ახალი ჩამოყალიბებულია, მაგრამ თქვენმა ერთ-ერთმა წევრმა — გიორგი სოლოლაშვილმა უკვე დაგტოვათ. რა იყო ამის მიზეზი?

გობა:

— მას ჰყავს ცოლი, ახლა შვილსაც ელოდება. ამის გამო, მუშაობა დაიწყო, სხვა საქმეს მოჰკიდა ხელი და ჩვენგან წავიდა.

პაილინა:

მინიფოსტა:

— დათო მჭედლიშვილი (დავი), 20 წლის. სწავლობს საავიაციო ინსტიტუტის თვითმფრინავ-მშენებლობის ფაკულტეტზე, თუმცა დამთავრებული აქვს კონსერვატორიასთან არსებული ნიჭიერთა სამუსიკო ათნლედი.

— მიშა ბედინაშვილი (ბედინა), 26 წლის. მისივე თქმით, დამთავრა ე.წ. „ქუჩის აკადემია“.

— გოგა მოძმაშვილი, 26 წლის. დამთავრა შოთა მილორავას სახელობის საესკრადო სასწავლებელი, ასევე თეატრალური ინსტიტუტის მუსიკალური თეატრის ფაკულტეტი.

— აჩიკო ცანკაშვილი (ცანკა), 21 წლის. დამთავრა თეატრალური ინსტიტუტის მუსიკალური თეატრის ფაკულტეტი.

— დიმა თეიმურაზოვი, 19 წლის.

— პირადი პრობლემები გაუჩნდა, რის გამოც სიმღერისთვის ვეღარ იცლიდა. მის მაგივრად დიმა მოვიდა.

— თქვენი პირველი სიმღერა გამოვიდა თუ არა, მაშინვე პოპულარულები გახდით. როგორ ახსნით ამ ფაქტს?

დაპი:

— სულ შვიდი თვეა, რაც ჩამოყალიბდით, ამიტომ პოპულარობაზე ცოტა ძნელია ლაპარაკი. უბრალოდ, ხალხმა კარგად მიგვიღო.

— ვინ არიან თქვენი სიმღერების ავტორები?

გობა:

— პირველი სიმღერა — „ისინი“ ეკუთვნის პეკეს (მაშუკა ბეგაშვილი. — ავტ.), მეორე სიმღერის ავტორია ზაზა წურწუშია, მესამისა კი — თვით აწ განსვენებული ბობ მარლი.

— ახლა თუ იწერთ სიმღერებს?

— გვაქვს იდეები, მაგრამ ეს ჯერჯერობით საიდუმლოა. მხოლოდ ერთს გაგიმხელთ, რომ ვაპირებთ თამთა გოგუამესთან ერთად სიმღერის ჩაწერას.

— როდესაც თქვენ ახალ სიმღერას გთავაზობენ, თქვენს მოსაზრებებსაც იზიარებენ, თუ რასაც გეუბნებიან, იმას მღერით?

პაილინა:

— ჯგუფი იმდენად შეზღუდული არ არის, რომ რაც არ გვინდა, ის გვამღერონ. ვინც აქ ვართ, ყველანი ერთობლივად ვამუშავებთ და ვარჩევთ

დაპი და გოგა

ახალ სიმღერას. ყველას მოსაზრებაა გათვალისწინებული.

— ვინ ზრუნავს თქვენს იმიჯზე?

— პირველ რიგში, საკუთარი გემოვნება. შემდეგ — ჩვენი პროდიუსერი, მენეჯერი და ა.შ. თუმცა ყველაზე მეტად, ეს ჩვენს იმიჯმეიკერს — გიორგი გაგოშიძეს აქვს დაკისრებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაც გიორგის უნდა, მხოლოდ იმას ვიცვამთ. თუმცა, უპირატესობას მაინც გიორგის აზრს ვანიჭებთ ხოლმე, რადგან ამ საქმეში გამოცდილია.

— გულახდილად მითხარით, ფონოგრამით მღერით?

პაილინა:

— გულახდილად ვამბობ, რომ ყოველთვის ცოცხლად ვმღერო, რადგან რუპერი ვარ.

დაპი:

— ფონოგრამით ვმღერით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცოცხლად სიმღერა არ შეგვიძლია. ჩვენს ნიჭში არავის შეეპაროს ეჭვი.

პაილინა:

— საქმე ის არის, რომ ბიჭები ჯაზიდან და სოულიდან კი არ წამოსულან — „ისინი“ მოლიან ეროვნულიდან, ხალხურიდან. ესენი რომ დათვრებიან და სუფრასთან ქართულ სიმღერებს მღერიან, ისე ბევრი ვერ იმღერებს. მე ამ დროს, „აფსაიდში“ ვდგავარ ხოლმე.

— რა აზრის ხართ ფონოგრამით სიმღერაზე?

— ზოგ-ზოგიერთივე ტირილს არ დაეწეებ — აპარატურა ხელს არ გვიწყობს-მეთქი. ცოცხლად უნდა იმღერო, გენაცვალე — სიმღერაში ადამიანის სულიერი მუხტი უნდა იგრძნობოდეს, რომელსაც კომპიუტერი





გოგა და აჩიკო

ვერ გააკეთებს.

— ვიცი, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გასტროლები გქონდათ. კიდევ თუ გაქვთ მინვეციები?

— დაგემილი გვაქვს კავკასიის რეგიონში მოგზაურობა, მაგრამ შევეფერხდით, რადგან ალბომი არ გვაქვს გამოშვებული, რის გამოც, თავები გვაქვს ჩალუნული და ალბომზე ვმუშაობთ, რომელსაც ალბათ გაისად, შემოღობვამაზე გამოვუშვებთ.

— ვიცი, რომ ერთ-ერთ კლუბში მღერით ხოლმე. თუ გაქვთ სხვა კლუბებიდანაც მინვეცია?

— სადაც კი ახალგაზრდული მუსიკა ტრიალებს, ყველა იმ კლუბიდან გვაქვს მიწვევა. მტერი არავინ გვაყვს, ყველას უუყვარვართ.

— ვიცი, რომ სტუდენტურ ფესტივალში მონაწილეობდით. ჯილდო მიიღეთ?

— „სტრანნი“ პრიზი მოგვცეს.

დავით:

— „სტუდენტური პაემნის“ „საუკეთესო მეგობარი ჯგუფი“. ე.ი. ჩვენ ვართ წლის საუკეთესო მეგობრები.

— თქვენი ჯგუფის წევრების უმეტესობას მეტსახელი აქვს. ვინ არის ამის ნამომწევი?

— თვითმარქვია ვარ. იმის გამო, რომ დღეს საქართველოში ძალიან ბევრი დათოა და გვარიც გრძელი მაქვს, დავითი შევამოკლე და დავირქვი ცოტა ევროპული სახელი — დავი.

გაბინა:

— მეტსახელი ქუჩაში შემარქვეს. ბევრს დღესაც ჰკონია, რომ ბედინა ნიშნავს იტალიური ფორმის მაკარონს, ან რაღაც ამის მაგვარს. არავითარ შემთხვევაში. ბედინა ჩემი გვარიდან გამოძინარე შემარქვეს. ჩემი გვარის ისტორია მაქვს წაკითხული, ჩემი წინაპრების გვარი ბედინა ყოფილა, შემდეგ დაემატა — „შვილი“.

— თაყვანისმცემელმა ქალმა როგორ უნდა მიიპყროს თქვენი ყურადღება?

— სანტერესო შეკითხვაა. ჩვენი თაყვანისმცემლები ქალები არ არიან, ისინი პატარა გოგონები არიან. უპირატესობას ზრდასრულ, ჩამოყალიბებულ, ოცდაათ წლამდე ქალებს ვანიჭებ. ისე, იცი? — ტინეიჯერები

ერთხელ მოტაცებას მიპირებდნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ. მოდი, მოგიყვები: ტელეფონით დამირეკეს და გამაფრთხილეს, უნდა მოგიტაცონო. გაფრთხილებიდან ერთი კვირის შემდეგ, სახლის წინ გაჩერდა მანქანა, სადაც ოთხი გოგო იჯდა. გაზის პისტოლეტით იყვნენ შეიარაღებულები და მელოდებოდნენ. ბედად, სახლში ახალი ვიდეოკასეტა მქონდა და იმ დღეს სახლიდან საერთოდ არ გავსულვარ. ის საცოდავები მოკვდნენ ჩემი ლოდინით.

— შენ ეს ინფორმაცია ვინ მოგანოდა?

— იმ ოთხი გოგოდან ერთ-ერთი ჩემი „აგენტი“ იყო. უიშე, ბედინა, რას გიპირებდნენო!.. — მითხრა... ჩვენი გულები როგორ უნდა დაიპყრონ, არ ვიცი. ბევრი ფულიც რომ გვაყარონ თავზე და ძვირად ღირებული სუნამოები გვაჩუქონ, მაინც ვერაფერს გასხდებინ. ალბათ ჩვენი შემოქმედება უნდა უყვარდეთ.

დავით:

— თუ მახინჯი იქნება, თავს ვერ შემავარებს. ქალმა თვითონ უნდა იცოდეს, რა გააკეთოს ჩემი გულის დასაწყობად.

— პირად ცხოვრებაზე რას

გაბინა:

გაბინა:

— ყველანი თავისუფლები ვართ — არც შეყვარებულები გვაყვს და არც ცოლები. დათოზე კი იყო ადრე ლაპარაკი, თითქოს ვიღაც უყვარდა, მაგრამ ტყუილია, არავინაც არ უყვარს. შეყვარებულები არა, მაგრამ თითოეულს რვა საყვარელი მაინც გვაყვს...

დავით:

— დიმა რაც შეეხება, ქალებისთვის არ სცალია — კომპიუტერი და მუსიკალური აპარატურა მაგის საქმე. ჯერ პატარაა.

— თაყვანისმცემლები ხშირად განუხებენ?



დიმა

გაბინა:

— ვერ მაწუხებენ, რადგან თავს არ ვაწუხებინებ. ტელეფონით მირეკავენ, მაგრამ არ ვეჭვორავები. თუ რაიმე კონკრეტულს მკითხავენ, ზრდილობიანად ვპასუხობ.

— ქუჩაში გცნობენ?

— მე, საერთოდ, ყველგან მცნობენ. ფიზიონომია მაქვს ასეთი — ზოგისთვის ცუდი, ზოგისთვის — კარგი. აი, გოგას, მამაკაცები აწუხებენ.

გოგა:

— უფრო მეტად, სპექტაკლებთან დაკავშირებით მაწუხებენ.

— მაშინ უფრო ვრცლად მომიყევი შენი სამსახიობო კარიერის შესახებ.

— მუსიკალურ თეატრში ვთამაშობ, სპექტაკლში „მონატრება“, რომელიც ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსის“ მიხედვით არის აგებული. ჯემალის როლს ვასრულებ. სპექტაკლის შემდეგ გოგონები ხან გასახდელში მივარდებიან, ხან გარეთ მხვდებიან... თუმცა, არ მიმანია, რომ ამას შეწუხება ჰქვია.

— როდესაც ცუდ გუნებაზე ხართ, შეგძლიათ თუ არა სცენაზე გასვლა?

გაბინა:

— მე რეპერი ვარ, რეპი კი ისეთი მუსიკაა, რომლისთვისაც გუნება-განწყობას მნიშვნელობა არა აქვს. თანაც, თითქმის ყოველთვის კარგ ხასიათზე ვარ.

დავით:

— ჩემთვის მუსიკა იშველა რაღაცას ნიშნავს, რომ კარგ ხასიათზე როცა ვარ, ხომ გმღერი და ცუდ ხასიათზე თუ ვარ, სცენაზე დგომითა და სიმღერით გამოვდივარ მღერობრივობიდან.

გოგა:

— როგორც კი სცენაზე ფეხს შევდგამ, ის ცუდი ხასიათი იშლება და ყველაფერი კარგი მახსენდება.



მიმა

ჯენიტორმა მტრის ცეცხლზე ნაუთი დაუხსნა

წლებულს ბრედ პიტი ორმოცი წლის ხდება, იგი მოუთმენლად ელოდება მემკვიდრის დაბადებას, რომელიც არა და არ ეღირსა. ახალგაზრდა მეუღლემ – ჯენიფერ ენისტონმა კი, ქმარს ცეცხლზე ნავ-



თი დაუსხა: იგი კომედიური ხასიათის ტელესერიალ „მეგობრებში“ ჩვილი ბავშვის დედად მოველინა მაყურებელს. ამან განსაკუთრებით ბრედი გააღიზიანა, რადგან იგი ოცნებობს, რომ რეალურ ცხოვრებაში ჰყავდეს შვილი. თავისი გულისტკივილი პიტმა ჟურნალისტებს გაუმჟღავნა და განაცხადა: „მე ვკეთებ: „ჯენი, როდის ვიყოლიებთ შვილებს?“ ის კი მპასუხობს: „მალე“. მე მიყვარს ჩემი მეუღლე და მოუთმენლად ველოდები მასთან ერთად ჰემშიმარიტი ოჯახური თანაცხოვრების დაწყებას!“ პიტს პრესის მუშაკებისთვის არც ის დაუმაღავს, რომ შესაძლოა, ენისტონს საკუთარ დედასთან ცუდი ურთიერთობის გამო ეშინოდეს დელობის. „შეიძლება, ამას არც უნდა ვამბობდე, მაგრამ მე არ მსურს დიდხანს ლოდინი. ჯენიმ იცის ეს და ალბათ ჩემს სურვილს ანგარიშს გაუწევს“, – განაცხადა პიტმა.



პაუაბტფის სისაბტული და მწუხსაბტუა ებთაფ ეწუია

იტალიის საინფორმაციო სააგენტო ANSA-ს ცნობით, ოპერის მსოფლიო ვარსკვლავს – ლუჩანო პავაროტის ტყუპი შეეძინა. მის მეუღლეს, ნიკოლეტა მანტოვანის, რომელთანაც მომღერალი სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფება, სასწრაფო საკეისრო ოპერაცია გაუკეთეს. ბოლონის კლინიკაში მიყვანისას, ექიმებმა მანტოვანის აღმოუჩინეს, რომ ჟანგბადი ნაყოფს არასაკმარისად მიეწოდებოდა, ამას კი, ნაყოფისათვის ტრავმატული შედეგი შეიძლებოდა მოეტანა. მათ სასწრაფო საკეისრო კვეთა გაუკეთეს ნიკოლეტას, მაგრამ ერთ-ერთი ბავშვის გადარჩენა მაინც ვერ შეძლეს – ბიჭუნა მკვდარი დაიბადა, გოგონა კი, თავს მშვენივრად გრძნობს.

უის დაბრტუა გუიფსის მილიაბტრუმი?

პლანეტის უმდიდრეს ადამიანს მოსვენება აქვს დაკარგული თავისი ქონების გამო: მოუხედავად იმისა, რომ ის სრულიად ჯანმრთელია და არც ასაკის გამო ემუქრება რაიმე, საზოგადოება ხშირად სვამს კითხვას: რა წერია მის ანდერძში? მას იმდენად დაჟინებით ეკითხებიან ხოლმე ამის შესახებ, რომ დროდადრო, ლამისაა თავიც კი იმართლოს. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ, „მაიკროსოფტის“ თავკაცმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მუდამ მზადაა, სხვებსაც უწილალოს თავისი სიმდიდრე და შეასენა საზოგადოებრიობას, რომ უზარმაზარ თანხებს ახმარს ქველმოქმედებას. ზოგმა მაინც დააყვედრა: ანდერძის თანახმად, მთელ სიმდიდრეს საკუთარ შვილებს უტოვებთ და თქვენი სიკვდილის შემდეგ, თქვენ მიერ დაწყებული საქველმოქმედო პროგრამები შეიძლება დაიხუროსო! – რაზეც გეიტსმა უპასუხა: „მე რომ მთელი ქონება ჩემს შვილებს დავუტოვო, ეს არც მათ მოუტანს სიკეთეს და არც საზოგადოებას...“ – თუმცა დასძინა, რომ სამივე შვილზე იზრუნა და მომავალში კომფორტულად ცხოვრებისთვისაც ყველა პირობა შეუქმნა.



პელტბტუ ახალი ბრტულის მბბმბნბმას ცდის



გვინეტ პელტროუს შეყვარებულები ეტყობა, ბენიერ გამონაკლისებს წარმოადგენენ და იშვიათი მოთმინების უნარით გამოირჩევიან. ჯერ იყო და, ფოტოგრაფებს არაერთხელ დაუფიქსირებიათ მალაზიაში მშვიდად მდგარი ბრედ პიტი, მაშინ, როცა მისი იმჟამინდელი რჩეული დასლებთან საკმაოდ ხანგრძლივად ყოვნიდებოდა და მისთვის სასურველ ნივთებს გული-სყურით არჩევდა. გვინეტის ახალი შეყვარებუ-ლი – კრის მარტინი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო დიდი მოთმინებითაა აღჭურვილი: იგი საშობაო ბაზრობებზე სიამოვნებითაც კი დაჰყვებოდა პელტროუს და მსახიობის ლოს-ანჯელესში მდებარე, ახალი სახლისთვის უამრავ წვრილმანსა თუ მსხვილმანს მასთან ერთად არჩევდა. ამჟამად, პელტროუს ბრიტანელი რჩეული ჰყავს და იგი მსახიობი კი არა, მუსიკოსია. მსახიობის ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებით, მოკლე ხანში, გვინეტი გადასალბე მოედანს დაუბრუნდება, სადაც მას ბიოგრაფიული ჟანრის ფილმში ცნობილი პოეტის – სილვია პლატის როლი ელის.

ჰტლიუდის დიდების სიყვანს კიდევ ერთი ვახსკლავი შეემატა



მსახიობ ნიკოლ კიდმანს ჰოლივუდის დიდების სიყვანში საკუთარი ვარსკვლავის ქონის პატივი ხვდა წილად. 35 წლის მსახიობის თქმით, იმის შეგრძნება, რომ ამიერიდან, „შენზე გამუდმებით ვილაც ივლის“, ძალზედ ამაღელვებელია. კიდმანის ვარსკვლავი 2211-ე ნომრით აღინიშნა და იგი „ჰოლივუდის ყველაზე მთავარი პიროვნების“ – სტივენ სპილბერგის ვარსკვლავის მეზობლად მდებარეობს, რომელსაც ნიკოლისა არ იყოს, ეს პატივი სულ ცოტა ხნის წინ ხვდა წილად. მსახიობის ყოფილი ქმრის, ტომ კრუზის სახელი ბევრად უფრო ადრე უკვდავყვეს და ამიტომ, მისი სახელობის ვარსკვლავი ერთ-ნახევარი კვარტალის მოშორებით მდებარეობს. როგორც ამბობენ, წლეულს, კიდმანს კიდევ ერთი სიხარული ელის: მას „ოსკარის“ ნომინაციაზე წარადგენენ ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ფილმში – „სათაი“, სადაც მსახიობმა მწერლის – ვირჯინია ვულფის შთაბეჭდავი სახე შექმნა. კიდმანმა ამ როლისათვის „ოსკარების“ რეპეტიციად წოდებულ დაჯილდოების ცერემონიაზე „ოქროს გლობუსი“ მოიპოვა.

მსაჯამ თუით მატმის შემდმნელომი მთხიმლა

მომღერლის ცნობილი კლიპიდან – Objection (Tango) ბევრი მსმენელის მეხსიერებაში ღრმად ატეხილი მისი იერი არა მარტო შაკირას მრავალრიცხოვან თავყანისმცემელს ხიბლავს, არამედ მასობრივი წარმოების ერთ-ერთი გიგანტის მესვეურთა ყურადღებაც მიიპყრო: თოჯინა ბარბის მწარმოებელი კომპანია Mattel-ის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, სწორედ მისი სათამაშო ასლი დაამზადოს. შაკირა ზომით, ბარბისხელა იქნება, ის ზუსტად იმგვარად იქნება შემოსილი, როგორც აღნიშნულ კლიპში: ტყავის ტანსაცმელში, უამრავი ბეჭდითა და სამაჯურით მორთული. კომპანიის მესვეურებმა აღნიშნეს, რომ ამ მიზნით ლათინურამერიკელი მომღერლის არჩევა, თოჯინების ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის განზრახვით გადაწყვიტეს და დასძინეს: თუ ამ თოჯინას მოწონება ხვდა წილად, მის ახალ პარტიას „მატელი“ სააღდგომოდ გამოუშვებს.




დაუნი-რემცტისმა თტრის მეფტოქტმა ურტ გაუწია

ჰოლივუდელი მსახიობი რობერტ დაუნი-რემცროსი აცხადებს, რომ თავის შეყვარებულთან განშორების შემდეგ, თავს ძალზედ ცუდად გრძნობს. უკანასკნელ ხანებამდე, მას იმედი ჰქონდა, რომ კალისტა ფლოკჰარდტი დაუბრუნდებოდა, მაგრამ მისი მოლოდინი არ გამართლდა: ამას წინათ, „ემილი მაკბილის“ ვარსკვლავი ჰარისონ ფორდზე დაინიშნა. რობერტი და კალისტა სერიალის გადაღებებზე 2001 წლის აპრილში შეხვდნენ ერთმანეთს. მათი რომანი კი მას შემდეგ შეწყდა, რაც დაუნის, ნარკოტიკების მოხმარებაში დასდეს ბრალი და გადაღებებსაც ჩამოაშორეს. ერთადერთი, რაც შექმნილ სიტუაციაში უიღბლო შეყვარებულს ასე თუ ისე, ამშვიდებს – მისი მეტოქის სახელია. ჰარისონ ფორდთან მეტოქეობას ხომ ბევრი ვერ დაიტრიალებსო, – აცხადებს მსახიობი, რომლის კარიერაც ამ ბოლო ხანებში კვლავინდებურად წარმატებით ვითარდება. მალე მას მელ გიბსონთან ერთად შემოიღილი მაქსის თავგადასავლების ამსახველ ახალ პროექტში ვიხილავთ.

ტომ კრუზმა სასამართლოში დაამტყვიცა, ტომ ის ჰტმთსეცსუალისცი ატ ატის

თანამედროვე ჰოლივუდის ყველაზე ძვირად ღირებულმა ვარსკვლავმა, ტომ კრუზმა მოიგო სასამართლო პროცესი, რომელიც პორნოვარსკვლავ ჩად სლეიდერის წინააღმდეგ მისმა ადვოკატებმა ადრეს. ერთ-ერთი ჟურნალისათვის მიცემულ ინტერვიუში სლეიტერმა განაცხადა, რომ ის კრუზის საყვარელი იყო ხანგრძლივი დროის მანძილზე და იმასაც ამტკიცებდა, რომ სწორედ ეს გახდა კრუზისა და ნიკოლ კიდმანის ოჯახის დანგრევის მიზეზი. 2001 წლის მაისში, კრუზის ადვოკატებმა ლოს-ანჯელესის უმაღლეს სასამართლოში სლეიტერის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს. მათ ის ცილისწამებაში დაადანაშაულეს და მათი კლიენტისათვის მიყენებული მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 10-მილიონიანი კომპენსაცია მოითხოვეს. საქმის დეტალურად განხილვის შემდეგ, სასამართლომ დაადგინა: „ტომ კრუზი არასოდეს ყოფილა ჰომოსექსუალისტი“. გამოძიებამ ისიც დაადასტურა, რომ სლეიტერი და კრუზი ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან. მოსარჩელე მხარეს ეჭვი ეპარება, რომ სასამართლო ხარჯების მთლიანად დაფარვის შემდეგ, ჩად სლეიტერმა სასამართლოს მიერ დადგენილი 10-მილიონიანი კომპენსაციის გადახდა შეძლოს.



კვივის ანჯანი

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამასაშვილი

ჩვენს დროში, დაავადებათა უმეტესი ნაწილი არასწორი კვებითაა გამოწვეული – მიიჩნევენ ექიმი-დიეტოლოგები.

მაგალითად, თეთრი, გამტკიცული პური და ბრინჯი არ შეიცავს კუჭ-ნაწლავისთვის სასარგებლო ნივთიერებებს (მცენარეულ ბოჭკოებს), რაც იწვევს თრომბოფლებიტის, მსხვილი ნაწლავის კიბოს, ბუასილის განვითარებას. XIII-XIV საუკუნეებში, ადამიანები კალორიის 40%-ს იღებდნენ ხილიდან, მწვანილიდან და მარცვლეული პროდუქტებიდან, ღღეს კი იმის ნახევარსაც არ ჭამენ.

იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ ზოგიერთ დაავადებას, ექიმი-დიეტოლოგები გვირჩევენ:

ოსტეოპოროზი (ძვლების გამოფიტვა) რომ არ დაგვემართოს, კვირაში 3-ჯერ უნდა ვსვათ სამ ჩ/ჭ-მდე უცხიმო რძე. მივირთვათ ნუში, ბრინჯა, სკუმბრია, ხილის წვენი, თევზის ქონი, კვერცხი. შევზღუდოთ ფოსფორით მდიდარი საკვების მიღება, რადგან ის ხელს უშლის კალციუმის ათვისებას. ნაკლებად მიირთვიოთ ძროხის, ცხვრის, ღორის ხორცი, ტკბილი გაზიანი სასმელები, მარილი. უარი

თქვით სიგარეტზე, ყავაზე, ალკოჰოლზე. ფერისმკვამლეები ჩნდება A და C ვიტამინების უკმარისობის დროს. მენიუში უნდა შეიტანოთ კვერცხი, რძე, კარაქი, გარგარი, თევზი, თევზის ქონი, კარტოფილი, ღვიძლი, სიმინდი, ღორის ხორცი, ბრინჯი, ტომატი, რძე.

ანემიას (სისხლნაკლებობას) იწვევს ფოლიუმის მკაფის ნაკლებობა. ეს ვიტამინი ბევრია ოხრახუშში, ისპანახში, გოგრაში, საზამთროში, ნუში, ხორბალში, ჭვავში. გახსოვდეთ – არ უნდა მოაშხადოთ კერძი სპილენძის ჭურჭელში, რადგან სპილენძი აჩქარებს ფოლიუმის მკაფის დაშლას.

სიმძიმის შეგრძნებას კუჭის არეში იწვევს ორგანიზმში მცენარეული ბოჭკოების უკმარისობა. მიეძლეეთ კომბოსტოს, სტაფილოს, ლობიოს, შვრას, მოხარშულ კარტოფილს, ჩაძიხს, ქლიავს, კაკალს. მიიღეთ დღეში 2 ლ-მდე სითხე.

შაკიკის დროს შეზღუდეთ ღორის ხორცის, სიმინდის, ნივრის, კაკლის, რძის, კაკაოს, „კოკა-კოლის“ მიღება. თავი შეიკავეთ ფერმენტული საკვებისგან: შოკოლადის, ძეხვის, საფურცისა და ლუდისაგან.

უძილობის დროს მიირთვიეთ დამამშვიდებელი ეფექტის მქონე პროდუქტი: ფორთოხლის ქერქი, სალბი, მიხაკი, კვლია-



ვი, შაქარი, თაფლი.

წყლულის დროს მიირთვიეთ კომბოსტო, ბანანი, ჩაი, ლეღვი, ძირტკბილას ფესვები.

ფადარათს შევლის: ჩაი, ბრინჯი, მუსკატის კაკალი, ძირტკბილას ფესვები, ღარიჩინი, გამხმარი მოცვი.

წნევას დაბლა სწევს: ზეთუნის ზეთი (აფართოებს სისხლძარღვებს), ნიორი, ნიახური, გრეიპფრუტი.

მიკრობებს სპობს ნიორი, ხახვი, იოჯურტი, ძირტკბილას ფესვები, ცაცხვის ყვავილი, კომბოსტო, სტაფილო, ვაშლი, ბანანი, ჭარხალი, ყავა, შტოში, თაფლი.

აპკარგინანი ნაყოფი

როგორ გამოვიყენოთ ასკილი სხვადასხვა დაავადების დროს

ასკილისა და ცაცხვის ჩაი

გრიპის ეპიდემიასთან გამკლავებაში დაგეხმარებათ ასკილისა და ცაცხვის ყვავილებისაგან დამზადებული ჩაი. კომპონენტები თანაბარი რაოდენობით უნდა ავიღოთ. 2 ჩ/კ ნარევს დასხით 1/4 ლ ცივი წყალი, ადუღეთ 5 წთ. სვით ჩაი დღეში რამდენჯერმე და თქვენი იმუნური სისტემის თავდაცვისუნარიანობა გაორმაგდება.

თირკმლისა და შარდის გუშტის დაავადებების დროს

ასკილის გამხმარ, დანამცეცებულ ნაყოფს (25 გ) დასხით 0,5 ლ მზლარე წყალი თერმოსში. დადგით 8-10 სთ. შემდეგ გადაწურეთ.



მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ, 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ეს ნაყენი შარდმდენი, ანთების საწინააღმდეგო და ზოგადი გამაჯანსაღებელი თვისებებით ხასიათდება.

დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის დროს

ასკილის 1 ს/კ გამხმარი ნაყოფი კარგად გარეცხეთ, დასხით 1 ჩ/ჭ მზლარე წყალი, დააყოფეთ 12 საათი. გადაწურეთ (ნაყოფიც გამოწურეთ). დალიეთ ნაყენი ჭამამდე 30 წთ-ით

ადრე, 1/2 ჩ/ჭ 2-ჯერ დღეში. ერთი კვირის შემდეგ, თქვენი თვით-შეგრძნება საგრძნობლად გაუმჯობესდება.

გათვალისწინეთ: თრომბოფლებიტის, ენდოკარდიტის და კანის ზოგიერთი დაავადების დროს, ასკილით მკურნალობა არ შეიძლება! არც ჯანმრთელებისთვისაა სასურველი ასკილით გატაცება, რადგან შესაძლოა, ამით ჰეპატიტის პროვოცირება გამოიწვიოს.

და კიდევ: ნაყენის მიღების შემდეგ, პირი კარგად გამოირეცხეთ თბილი წყლით (უმჯობესია – სოდიანით), რადგანაც ნაყენში შემავალი ასკორბინის მჟავა (C ვიტამინი) აფუჭებს კბილის მინანქარს.

ჰიპერტონიის (მაღალი წნევის) დროს

ასკილის გამხმარ, დანამცეცებულ ფესვებს (40 გ) დასხით 200 მლ წყალი და ადუღეთ 15-30 წთ. დააყოფეთ 5 სთ და გადაწურეთ. მიიღეთ 200 მლ, 3-ჯერ დღეში, 7-10 დღის განმავლობაში. ეს ნახარში არა მარტო დაბლა სწევს წნევას, არამედ ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობასაც. აუმჯობესებს გონების მუშაობას, აძლიერებს მხედველობას და სმენას.

პარგინიანობა და შენახვის წაღ

ასკილი 2 წლის განმავლობაში ინახება, მაგრამ მუქი-წითელი – ეი. გადამწიფებული ნაყოფი არ ვარგა: ის ადვილად იჭმუნება და იგლისება, მასში ვიტამინიც ნაკლებია.

ასკილის კრეფისას ნუ მოაგლეჯთ გვირგვინის ფურცლების ფიალას, რადგან მის გარეშე ნაყოფი მალე ფუჭდება.

შეიძლება ოდნავ მოყინული ნაყოფის მოგროვებაც.

შეტვის თავიდან ასაცილებლად

რა არის სტენოკარდია?

გულის კუნთს, ისევე, როგორც ყველა ორგანოსა და ქსოვილს, აქვს თავისი მკვებავი წვრილი სისხლძარღვები – კორონარები. სხვადასხვა პათოლოგიური პროცესის დროს, კორონარული სისხლძარღვები შეიძლება, შევიწროვდეს. ასე ხდება, მაგალითად, მათი სკლეროზირების (ათეროსკლეროზული გადაგვარების) დროს, აგრეთვე ნერვული დაძაბულობისას, რასაც კორონარების სპაზმი (შევიწროება) მოსდევს თან.

სისხლძარღვის შევიწროებულ სანათურში სისხლი საჭირო რაოდენობით ვეღარ მიედინება და გულის კუნთის სისხლმომარაგება ქვეითდება. ამას გულის კუნთის იშემიას (სისხლნაკლებობას) უწოდებენ. ვინაიდან სისხლი წარმოადგენს ქსოვილებამდე ჟანგბადის მიწოდებულ სისტემას, იშემიურ უბანში ჟანგბადის ნაკლებობა ანუ ჰიპოქსია ვითარდება, რაც ტკივილს იწვევს. სწორედ გულის არეში ტკივილის პერიოდულ შეტევებს უწოდებენ სტენოკარდიას.

ახლა უკვე შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ ის მაპროვოცირებელი ფაქტორები, რომელიც ხელს უწყობს სტენოკარდიის განვითარებას:

გადლიერებული ფიზიკური დატვირთვის დროს, გულის კუნთს უფრო მეტი მუშაობა უწევს და ამიტომ, იზრდება მისი მოთხოვნა ჟანგბადზეც, მაგრამ შევიწროებული კორონარები ვერ უზრუნველყოფს

მას სათანადოდ, რაც სტენოკარდიული ტკივილის შეტევით მთავრდება.


მაღალი არტერიული წნევის დროს გულს ასევე უხდება გაძლიერებული მუშაობა სისხლის მიმოქცევის სისტემაში მომატებული წნევის დასაძლევად. ამიტომაც, რომ წნევის მატება ხშირად, სტენოკარდიული შეტევის მიზეზი ხდება.

ნერვული სტრესის ან გადაცივების დროს, თავად კორონარები განიცდის სპაზმს და ისედაც სისხლნაკლებ გულის კუნთს, კიდევ უფრო აკლდება სისხლის მიწოდება, რაც ჰიპოქსიის გაღრმავებას და სტენოკარდიული შეტევის განვითარებას იწვევს.

როცა ავადმყოფი ერკვევა თავისი დაავადების განვითარების ზოგად მექანიზმში, მისთვის უფრო იოლი ხდება პროფილაქტიკური ზომების მიღება და მკურნალობის გააზრებულად ჩატარება. ასე რომ, რადგანაც უკვე გავცანით სტენოკარდიის განვითარების მექანიზმს, თქვენთვის ალბათ ნათელი გახდა, რომ შეტევის თავიდან აცილების მიზნით, უნდა მოერიდოთ გულის კუნთის გადაძაბვას და

კორონარების სპაზმის გამოწვევ ფაქტორებს (ემოციებს, სიცივეს და ა.შ.). სტენოკარდიის სამკურნალოდ კი გამოიყენება კორონარების გამაფართოებელი საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფს მიოკარდიუმის (გულის კუნთის) იშემიური (სისხლნაკლებული) უბნის სისხლმომარაგების გაუმჯობესებას.

სტენოკარდიული შეტევის დროს შეწყვიტეთ ყოველგვარი მოძრაობა, წამოწკაოთ, ან დაჯექით მაინც. ენის ქვეშ ამოიდეთ ნიტროგლიცერინის აბი. თუ წნევა მაღალია, აუცილებლად მიიღეთ წნევის დამწვევი საშუალებები. თუ 5 წთ-ში ნიტროგლიცერინმა შეტევა არ მოხსნა, მიიღეთ მეორე აბი. თუ ტკივილის შეტევა 15-20 წთ-ზე მეტხანს გაგრძელდა, დაუყოვნებლივ გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება“, რადგან ასეთი გახანგრძლივებული ტკივილი ინფარქტის განვითარების წინაპირობაა.



პროფილაქტიკა



მოქმედებს თუ არა სიმთვრალე ჩანასახის სიჯანსაღეზე

ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სადღესასწაულო დღეებში. დღემდე არსებული აზრი, რომ ჩანასახის მომენტში მიღებული სპირტიანი სასმელი ცუდად მოქმედებს შთამომავლობაზე, მთლად არ შეესაბამება სინამდვილეს. გენეტიკურ დარღვევათა უმეტესი ნაწილი ალკოჰოლის რეგულარული მოხმარებისას ვითარდება. სხვა შემთხვევაში კი უბრალოდ, გარკვეული წესების დაცვა საჭირო.

მამაკაცის სპერმა 2 თვის განმავლობაში მწიფდება, ამიტომ, ვთქვათ, ახალწლის დამეს მიღებული სასმელი მხოლოდ 8 მარტისათვის პოვებს გამოძახილს. თუ მამაკაცმა სპირტიანი სასმელზე უარი თქვა ნოემბერში, ახალი წლის დამეს ჩანასახული ბავშვი სრულიად ჯანმრთელი დაიბადება: პირველი იანვრის დამეს აწეული ჭიკა მომავალ მემკვიდრეზე გავლენას არ მოახდენს.

ქალისათვის კი, ალკოჰოლი აკრძალულია კერძოხეგრედის მომწიფების პერიოდში – ე.ი. ბოლო მენსტრუაციის დასაწყისიდან, ხოლო უშუალოდ ჩანასახის წინ, მასაც შეუძლია ცოტა დალიოს საყვარელ ადამიანთან ერთად...

„საყმაწვილო სანი“

ენურების შესახებ

რა ასაკამდე შეიძლება არ ვიდეღვ-
ოთ დასველებული ლოგინი გამო?

ჩვილი ბავშვები ჩვეულებრივ, ხშირ-
ად შარდავენ. მათი შარდის ბუშტი პა-
ტარა და ბევრ სითხეს ვერ იტევს, მა-
გრამ ერთი წლის ასაკისთვის, ბუშტის
მოცულობა იზრდება და პატარაც უკვე
დღე-ღამეში 10-ჯერ შარდავს.

4 წლის ბავშვმა უკვე მშვიდად უნდა
იძინოს დღიამდე. თუ იგი ღამდამობით
განაგრძობს ჩასველებას, ეს უკვე მშობ-
ლის ყურადღებას საჭიროებს.

მიზეზები

ენურებს მრავალგვარი მიზეზი შეი-
ძლება ჰქონდეს. შემთხვევათა 70-80%-
ში „დამნაშავეა“ უროლოგიური პათო-
ლოგია. საჭიროა თირკმლების, შარდ-
საწვეთების და შარდის ბუშტის ულ-
ტრაბგერითი გამოკვლევა, დღის განმავ-
ლობაში შარდვის რიტმზე დაკვირვება.

გამოიკვლიეთ კუჭ-ნაწლავიც: ხომ არ
არის ანთებითი პროცესი, ყაზოზა (შეკ-
რულობა) ან პირიქით – ფაღარათი (კუ-
ჭის აშლა).

არსებობს ე.წ. ნევროლოგიური ენ-
ურებიც. შესაძლოა, იგი იყოს ასფიქსი-
ის (მოგუდვის) გამომწვევი მიზეზი მშო-
ბიარობის შედეგი. ასევე შეიძლება გან-
ვითარდეს ენურები წარუმატებლად
ჩატარებული საკეისრო კვეთის შემდგომ,
თუ ოპერაციის დროს კისრის ხერხემ-
ლის ნაწილი დაზიანდა. საკმაოდ ხშირად
შარდის შეუკავებლობა 1 წლამდე ასაკში
განვითარებული ენცეფალოპათიის (ტვი-
ნის ჰიპოქსიის შედეგად განვითარებუ-
ლი პათოლოგია), მომატებული თავის
ქალის შიდა წნევის შედეგად ვითარდება.

ზოგჯერ წელის მალეობის
არასწორი განვითარება ხდება
ისეთი ენურების მიზეზი, რომელ-
იც მკურნალობას არ ექვემდებ-
არება, რადგან წელის მალეობი
შარდის ბუშტის ფუნქციონირე-
ბას არეგულირებს. აღნიშნული
დეფექტი წელის მალეობის რენტ-
გენოგრაფიით შეიძლება დადგ-
ინდეს და შემდგომ გადაწყდება
ხერხემლის ოპერაციის საკითხი.


ღამის ენურებისა და ნერ-
ვული სისტემის მდგომარეობის
მიხედვით, განასხვავებენ შარდის
შეუკავებლობის ორ ტიპს:

ნევროზული ენურები ვითარდება
ემოციური სტრესის, ფსიქოტრავმული
ზემოქმედების შემდგომ. ასეთ ენურებს
ხშირად, თან ახლავს ნევროზის სხვა
გამოვლინებებიც: ენაბლუობა, თვალების
უნებლიე ხამხამი, სახის კუნთების სწრაფი
კუმშვადობით გამოწვეული მიმიკის ცვ-
ლილებები.

რაც უფრო „ახალბედა“ ნევროზუ-
ლი ენურები, მით უფრო იოლია მასთან
ბრძოლა: საკმარისია, შიშის ფაქტორის
მოხსნა, საკუთარ ძალებსა და იმაში დარ-
წმუნება, რომ იგი იწყებს თავის გაკონ-
ტროლებას ძილში.

ნევროზის მსგავსი ენურები ტვინის
დისფუნქციის (ფუნქციის დარღვევის)
დროს ვითარდება ან დაკავშირებულია
შარდვის ნერვული რეგულაციის დარ-
ღვევასთან, ინფექციების, მოწამვლის, ტვინ-
ისა და სხვა ორგანოთა დაავადებების
დროს.

ზოგჯერ ენურები მეძვედრული ხა-
სიათისაა. ასეთი „მეძვედრეობა“ ყვე-
ლაზე რთული სამკურნალოა. ამასთან,



ხშირად მშობლებს ჰგონიათ, რომ თუკი
ბაბუას და მამას ასეთი რამ 10 წლამდე
ჰქონდათ, არ ღირს ადრინად განგაშის
ატეხა.

ენურების დროს, მშობლები ხშირად
უზღუდავენ ბავშვს სითხეს და ნაკლებ
წყალს ასმევენ, რაც არასწორია, რადგან
შარდის ბუშტის განვითარებისათვის
საჭიროა საკმარის რაოდენობის სითხის
მიღება. რაც შეეხება ექსტრასენსებს, ნემ-
სთერაპიას და სხვა მსგავს მეთოდებს
– უნდა ვიცოდეთ, რომ არის შემთხ-
ვევები, როცა „ნემსებით“ ღამის ენ-
ურების მკურნალობისას, დღის ენურებ-
იც ვითარდება ხოლმე. ამიტომ სათანა-
დო გამოკვლევების გარეშე არ გირჩევთ
ამ საკმაოდ სერიოზულ სფეროში ჩა-
რევას.

თუ სლოკინმა შეგაწუხათ

სლოკინის მიზეზი ხშირ შემთხვევა-
ში, კუჭ-ნაწლავის გაღიზიანებაა, რასაც
გადაჭარბებული ჭამა-სმა იწვევს. ამ
პრობლემამ სადღესასწაულო ნადიმის
შემდეგ შესაძლოა, ბევრი თქვენგანი შეა-
წუხოს. გარდა ამისა, სლოკინის მიზეზი
შეიძლება გახდეს გაცივება ან ნერვიუ-
ლობა.

ფსიქოთერაპევტები ამ უსიამოვნო
მდგომარეობიდან თავის დაღწევის რამ-
დენიმე საშუალებას გვთავაზობენ:



- გადაყლაპეთ ყინულის რამდენიმე ნატეხი.
- ყურებზე ხელები მიიჭირეთ და დალიეთ ცოტა ცივი წყალი.
- ძმარში დაასველეთ შაქრის რამდენიმე ნატეხი და სწრაფად შეჭამეთ.
- თუ ნერვიულობის გამო გასლოკინებთ, რამდენჯერმე სწრაფად და ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ.
- თუ არაფერმა არ გიმშველათ, კუჭის არეზე დაიღეთ მდოგვის კომპრესი.

რეკომენდაციები

წნევა რომ სწორად გავიზომოთ

- შენობაში უნდა თბილოდეს.
 - ჭამის, ყავის დალევის ან სიგარეტის მოწევის შემდეგ, ნახევარი საათი მაინც უნდა დავიცალოთ.
 - დავედეთ მოხერხებულად, მოვლენდეთ, ზურგით სკამის საზურგეს მივეყრდნოთ.
 - მანუეტის ხელი არ უნდა ეკიდოს ჰაერში. არ არის რეკომენდებული მანუეტის დადება ტანსაცმლის ზემოდან.
 - მანუეტის შუა ნაწილი უნდა ემთხვეოდეს გულის დონეს. უფრო დაბალი ან მაღალი მდებარეობისას ვლებულობთ მცდარ შედეგს.
 - ჰაერის ჩატუმბვა არ არის საჭირო ხელში ტკივილის წარმოქმნამდე. ჩვეულებრივ ჩატუმბვისას, ისარი 30 მმ-ით უნდა გადასცდეს ჩვეული წნევის ზედა მაჩვენებელს.
 - ცაციები მანუეტს მარჯვენა ხელზე იკეთებენ, ხოლო მემარჯვენეები – მარცხენაზე.
- თუ გაზომვისას ფონენდოსკოპს ვიყენებთ, პულსაციის დასაწყისი ემთხვევა წნევის ზედა მაჩვენებელს, ხოლო შეწყვეტა – ქვედას, ელექტრონულ საზომზე კი, ტონომეტრი ნიშანს გვაძლევს ზედა მაჩვენებელზე და ჩერდება ქვედაზე.
- წნევის მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა

დამოკიდებული გარემოსა და აპარატზე. ექიმის კაბინეტში იგი დაახლოებით 20%-ით მაღალია. ასეთი მატება სახლშიც ხდება ხოლმე; პირველი გაზომვისას წნევა უფრო მაღალია, ვიდრე მეორე ან მესამე გაზომვისას. ამიტომ ყოველთვის უნდა გავიზომოთ წნევა 2-ჯერ მაინც. ვიდრე სზვაობა მაჩვენებლებს შორის 5 მმ არ იქნება. მაგალითად, პირველი გაზომვისას – 140-90-ზე, ხოლო მეორე – 145-92-ზე გვაქვს. თუ წნევის მაჩვენებელი გაზომვისას მნიშვნელოვნად იცვლება, უნდა გავიზომოთ 4-ჯერ, 1-2 წუთის ინტერვალით და ბოლო ორი შედეგის საშუალო მაჩვენებელი უნდა ჩაეთვალოთ რეალურად.


წნევიანები წნევას დღეში 2-ჯერ მაინც უნდა იზომავდნენ – დილით, გაღვიძებისას და საღამოს, 10 საათისათვის. თუ დღის განმავლობაში თავს შეუძლოდ იგრძნობთ, საჭიროა, დამატებითი კონტროლი დააწესოთ.

მამაკაცებმა და ქალებმა 40 წლის ასაკის შემდგომ, რეგულარულად უნდა შეიმოწმონ წნევა მაშინაც კი, თუ საკუთარ ჯანმრთელობაში ეჭვი არ ეპარებათ.

ბევრს ჰგონია, რომ თუ ფიზიკური დატვირთვისას გული არ აწუხებს, მაშასადამე, ჯანმრთელია, სინამდვილეში კი, მთავარი ის გახლავთ, თუ რამდენად სწრაფად აღიღგენს გული დატვირთვის შემდეგ გულის ცემის საწყის სიხშირეს.

ჰიპერტონიის თანამედროვე დიაგნოსტიკა ხდება მისი მონიტორირებით, სპეციალური ხელსაწყოთა გამოყენებით. პაციენტს ექიმთან ელექტრონული ფოსტით აქვს კავშირი. ექიმისა და პაციენტის პირველი შეხვედრა ნამდვილია, ხოლო შემდგომი – ვირტუალური. ტონომეტრი უერთდება კომპიუტერს და სპეციალური პროგრამა იწერს წნევის რხევებს. ექიმი რეგულარულად იღებს ინფორმაციას პაციენტის შესახებ და აძლევს ახალ რეკომენდაციებს.

ვიდრე დიაგნოსტიკის მსგავსი ულტრათანამედროვე მეთოდი ჩვენამდე მოაღწევს, გირჩევთ, ძველებური საშუალებებით რეგულარულად იკონტროლოთ წნევა.



მედიცინის სიახლეები


ტომატი საუზმეზე, სადილად და ვახშმად

ახალზელანდიელი მედიკოსები 7 თვის განმავლობაში აკვირდებოდნენ პაციენტებს, რომელთაც წინამდებარე ჯირკვლის დაავადებები ჰქონდათ. გამოკვლევების შედეგებმა უჩვენა, რომ მამაკაცებს, რომელთა კვების რაციონში ყოველდღიურად შედის ტომატი, 18%-ით იშვიათად ემართებათ წინამდებარე ჯირკვ-

ლის სიმსივნე. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ პამიდორში შემავალი ანტიოქსიდანტები ორგანიზმს კიბოს უჯვრედებისაგან იცავს. ამიტომ ყველას გირჩევთ, იკვებოთ ამ მცენარის ნაყოფით, რაც შეიძლება ხშირად და ნებისმიერი სახით: წვნიანში, სალათებში, წვენიანსა თუ ტომატის სახით.

ნახევარი მენ, ნახევარი მე

ნოტინჰემის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოიკვლიეს 8 ათასი ოჯახური წევრი და დაადგინეს, რომ თუ ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჰიპერტონიული დაავადება ან მეტკვირული ხასიათის ქოლესტერინის მატება სისხლში, გარკვეული დროის შემდეგ, მისი „მეორე ნახევარიც“ ხდება ამ დაავადებათაგან ერთ-ერთის ან ორივეს მატარებელი. ოჯახურ დაავადებათა სიაში ხვდება ბრონქული ასთმა (მეუღლეებზე ერთი და იგივე ალერგენი ზემოქმედებს), წყლულოვანი დაავადება (მსგავსი კვება და სტრესები). თუ ჩამოთვლილ დაავადებათაგან ადამიანს რომელიმე აღმოაჩნდება, სპეციალისტები მის მეუღლესაც ურჩევენ, ჩაიტაროს გამოკვლევები დაავადების ადრეულ სტადიაზე გამოსავლენად.





ბოხიზე ამხერხებური აცამიანი ანუ უბრალოდ ფიტბოლი



როგორი უნდა იყოს ბურთი

1963 წელს, რეზინის სათამაშოების მწარმოებელი, მცირე საოჯახო ფირმის მეტატრონემ – იტალიელმა აკველინო კოსანიმ, დიდი დიამეტრისა და ზემყარი ბურთების დამზადების ახალი ტექნოლოგია შემოიღო. ახალ ხაზს გიმნასტიკა-ბოლის სახელი მიანიჭეს, მომდევნო 20 წლის განმავლობაში კი, ასორტიმენტი შეივსო ისეთი სახეობებით, როგორებიცაა ე.წ. ფიზიოროლა (გაერთიანებული, წყვილი ბურთი, რომელიც მყარ ოვალურ კონსტრუქციას წარმოადგენს), ბურთი-სკამი (ოთხი მოკლე ფეხით), სახელურებიანი, სახტუნაო ბურთი „ჰოპ“ და, ბოლოს, Fit-ball-ის მარკის დაძლიანი ბურთი.

ტექნოლოგიის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ბურთი დამზადებული

ეს, შედარებით ახალი სავარჯიშო სისტემა ჩვენში ჯერჯერობით შემოსული არ არის, მაგრამ როგორც ყველაფერი პროგრესული ბოლოს და ბოლოს, ფეხს იკიდებს, ალბათ საქართველოშიც შემოაღწევს. არადა, დასაბამი მას ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში მისცემია, როდესაც შვეიცარიის ქალაქ ბაზელის ერთ-ერთი კლინიკის ექიმმა-ფიზიოთერაპევტმა, სიუზან კლაინ-ფოგელბახმა გამოიყენა ბურთი უმძიმესი დაავადებით – ცერებრალური დამბლით დასნეულებული ადამიანების ვარჯიშის დროს. მან იმდენად შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია, რომ მოგვიანებით, ბურთი ბევრ ფიტნეს-კლუბში შეიტანეს, თანდათან კი, ფიტბოლი მსოფლიოს მოედო.

უნდა იყოს ზეგამძლე, ელასტიკური მასალისაგან – პოლიეთილქლორიდისაგან და, რაც მთავარია, იმდენად გამძლე უნდა იყოს, რომ 150 კგ სიმძიმის ადამიანის მასზე დაჯდომის დროსაც კი, არ უნდა გასკდეს. ბურთის დიამეტრი 45-სა და 85 სმ-ს შორის მერყეობს; მას ადამიანის სიმაღლის მიხედვით არჩევენ. სისწორის კრიტერიუმს, ბურთზე ამხედრებული ადამიანის ბარძეგსა და მუხლს შორის წარმოქმნილი კუთხე წარმოადგენს, რომელიც 95-110 გრადუსს უნდა შეადგენდეს.


რა სარგებლობა მოაქვს ფიტბოლს

თანამედროვე ფიტბოლის სფერო, გარკვეული თვალსაზრისით, სპორტისა და მედიცინის გადაკვეთაზეა. მას სამკურნალო

გიმნასტიკაც კი შეიძლება ვუწოდოთ. ის განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც ხანგრძლივად ჯდომა უწევს, სამსახურში თუ შინ. მოგეხსენებათ, ამის შედეგი, ზურგისა და წელის არეში გაჩენილი ტკივილებია. ბუნებრივია, ასეთ დროს ბევრი ადამიანი სპორტულ დარბაზს მიაშურებს ხოლმე. არადა, ჩვეულებრივი ვარჯიშის არაერთ სახეობას, რომლის დროსაც დიდი დატვირთვა მოდის ზურგის კუნთებზე, ზიანიც კი შეუძლია მოგაყენოს. ფიტბოლი ამგვარი სავარჯიშოების კატეგორიას არ განეკუთვნება. მასში შემაჯალი ვარჯიშების კომპლექსი სხეულის სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის ზურგის კუნთების ტონუსის ამაღლებას განაპირობებს. დიდი ზომის ბურთები ხელს უწყობს იმას, რომ მოეხსნათ ხერხემალს სტრესი და, როგორც ექიმები ამბობენ, „მისი ფიზიოლოგიურად კომპენსირებული ძღვო-მარეობა აღვადგინოთ“.

ფიტბოლის ერთ-ერთ დადებით ფაქტორად იმასაც ასახელებენ, რომ ის არ ითვალისწინებს ე.წ. დარტყმით დატვირთვებს ფეხებისათვის და აქედან გამომდინარე, სასარგებლოა ჭარბწონიანი ადამიანებისთვისაც, მათთვისაც, ვისაც ვენების ვარიკოზული გაგანიერება აწუხებს და მათთვისაც, ვისთვისაც რეკომენდებული არ არის ჩვეულებრივი აერობიკა. საინტერესოა, რომ ბევრ ქვეყანაში არსებობს ფიტბოლის სპეციალური ჯგუფები ორსულთათვის.

ცხადია, გარეგნულად, ფიტბოლი დიდად არ განსხვავდება აერობიკის ან ჩვეულებრივი გიმნასტიკისაგან. რასაკვირველია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ბავშვურ სიხალისეს, რომელსაც ბურთზე ბუქნისას განიცდის ნებისმიერი ასაკის ადამიანი. დაამატეთ ამას მუსიკის თანხლებით მარტივი ვარჯიშების შესრულებით მოგვირილი სიამოვნება და დარწმუნდებით, რომ ფიტბოლი – მართლაც, სარგებლობის და სიამოვნების ურთიერთმერწყმის საუცხოო ნიმუშია, რომლით სარგებლობის საშუალებაც იმედია, ჩვენც მაღე მოგვეცემა.



	საუბარი ჟურნალ- ისტთან	ერთადერ- თი, ძალიან იმეათი რამ		ამერი- კული ქარბორ- ბალა	ატმოს- ფერული განმუხტვა		ევროპელი მოსახლე	კლუბტო- მანის პობი
	სიმებიანი საკრავი						ზარისნი, თანრფი, სპეციალური წოდებულება	კანსაკუ- თრებით გემრიელი საჭმელი
	ლორ- მუცელა							
								დამცველი ფეხბურთ- ში (ძვ. ტერმინი)
გუსტავ ფლობერის პერსონაჟი ... ბოვარი					გადა- შენებული ქვეწარ- მავალი			
						იუვისლა- ვის ყოფილი პრეზიდენტი		
ერთად აკინძული საწერი ფურცლები		ამერიკელი მსახიობი და მაცურვე „ტარზანი“	მილიარდი ფრანგუ- ლად		ყურის ანთება			ვალიკო მიზანდა- რის მეტსახელი
						თანხმობა იტალი- ურად	30,5 სმ	
კეტბურ- თი								„ქალი და მამაკაცი“ (მსახიობი)
მთ. როლის შემსრულებ. „ქარაღვლე- ბულებში“		სოკრატე, ჰეგელი ან კანტი		ლღავი				
					ბრავილილი ვეტერანი ფეხბურ- თელი			
სახელმწ. რელივის მიმდევარი ირანში	მანჯ- გალაძე	მოგება ნარდში მისი ღვრთი ძვ. კვაზუმ						
ფულადი ჯილდო სამსა- ხურში								
					2 წლამდე წინა გამართული ფესტივლი			
			ყვავილი		სხეული	ქალაქი მტკვარზე		
ფრანგი ფერმწერი								
ბარბატო, გარდნერი, ფეროუ (ქმარი)	თმის საღებავი			მძარე ჯილდოს მფლობელი სხე- ლწოდება	შეადგინა რამაზ ალანიამ			

მე-9 გვერდზე გამოქვეყნებული ტექსტის პასუხები: 1-გ; 2-ბ; 3-ა.

კვირის (27 იანვარი - 2 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი

მერკურე - 21/1-19/1



წარმოუდგენლად ბევრს ლაპარაკობთ და, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ საინტერესო იდეებს აფრქვევთ, შესაძლოა, გარშემოყოფთ თავი მოაბეზროთ. გაითვალისწინეთ ეს და ეცადეთ, ხალხს ინფორმაცია იმგვარად მიაწოდოთ, რომ თანამოსაუბრეებს არ ჩამოეძინოთ და არ გაღიზიანდნენ. და კიდევ: ნუ დაიშურებთ ფულს და ასიაშოვნეთ ის ადამიანები, რომლებიც გიყვართ – ეს აუცილებლად დაგიფასდებათ!

თევზები - 20/11-20/11



არაჩვეულებრივი დღეები გელით წინ. წესით, ამ კვირაში ყველა თქვენი საუკეთესო თვისება უნდა გამოვლინდეს და ნებისმიერ ასპარეზზე ბრწყინვალე შედეგს უნდა მიაღწიოთ. თუ ეს არ მოხდა, ისევ საკუთარ თავს დააბრალოთ, რადგან ვარსკვლავები ყოველივე საუკეთესოს გაბრუნებენ.

მშვიტი - 21/11-20/11



ხალხში უნდა გახვიდეთ! ტახტზე წამოგორებით, წიგნის კითხვით, ტელევიზორთან ჯდომით ან კომპიუტერთან თამაშით ვერაფერს გახდებით. საქმეში წარმატებას მხოლოდ კოლეგებთან ურთიერთ-თანამშრომლობის გზით მიაღწევთ, ხოლო კარგად დასვენებას მხოლოდ საყვარელი ადამიანების წრეში შეძლებთ.

კურო - 21/11-21/11



ამ კვირაში ყველაზე მეტად ხანმოკლე შევბუღება გარგებდათ... მაგრამ თუ ამის საშუალება არა გაქვთ – თქვენს საქმეებს სხვას ნუ გადააბრებთ. დიდად, ტელეფონებსა და ფაქსებსაც ნუ ენდობით. რაც უფრო მეტ საქმიან მოლაპარაკებას და შეხვედრას ჩაატარებთ, მით უკეთესი იქნება.

მარსი - 22/11-21/11




მოვლენები ისე სწრაფად განვითარდება, რომ რეაგირებას ვერც მოსწრებთ. არც არის საჭირო: ახლა თქვენ საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ ხართ. ჩვენი რჩევა იქნება, უფრო მოძომენი იყოთ და დასახმარებლად, თხოვნას არ მოერიდოთ. ოღონდ გახსოვდეთ: საშველად ხელმძღვანელობასა და კოლეგებს არ მიმართოთ – თქვენთვის გამოსადევი რჩევის მოცემას მხოლოდ მეგობრები და ოჯახის წევრები თუ შეძლებენ.

პირნი - 22/11-22/11



შესაძლოა, სიყვარული გეწვიოთ. თქვენს ყურადღებას მიიპყრობს საწინააღმდეგო სექსის ის წარმომადგენელი, რომელიც რადიკალურად განსხვავდება თქვენგან, როგორც ხასიათით, ისე შეხეულობებით. ასეთ ადამიანთან ურთიერთობა უფრო დაგაინტერესებთ, რადგან ახლა სიახლის ძიებაში ხართ. ხოლო ვინც ეძებს, ის პოულობს კიდევ.

ლომი - 23/11-23/11



არსებობს საშიშროება, რომ ამ კვირაში მთელი თქვენი ძველი თუ ახალი საქმეების გადაკეთ-გადმოკეთება დაიწყოთ. რა თქმა უნდა, ეს არ გამოგივით და ტყუილუბრალოდ გუნებას ნუ გაიფუჭებთ: უკეთესია, მოდუნდეთ და პრობლემები ნელ-ნელა, თანდათანობით გადაჭრათ. მით უმეტეს, რომ ისინი არც ისე რთულია, როგორც ახლა გეჩვენებათ.

ქალწული - 24/11-23/11



თუკი იგრძნობთ, რომ საქმეები მთლად რიგიანად არ გამოგდით, უმჯობესია, თავი დაანებოთ და მოთმინებით დაელოდოთ მომავალს. უკეთესი იქნება, თუ სახლს მიაღებთ, სამუშაო ადგილს მოაწესრიგებთ და უქმეებს ოჯახის წევრებთან ერთად გაატარებთ.

სასწორი - 24/11-23/11



ერთნაირი წარმატებით უძღვებით როგორც სამინაო, ისე საგარეო საქმეებს. ყველგან ლიდერის ამპლუაში აღმონდებით – სამსახურში თქვენი შესაძლებლობებით ყველას გააკვირვებთ, ხოლო შინ, რომ იტყვიან, ყველა თქვენს დაკრულზე იცეკვებს. გამოიყენეთ ეს დრო – ოჯახის წევრებთან ერთად ისიამოვნეთ, ხოლო სამუშაოზე დაწინაურება მოითხოვეთ.

ღრიანკალი - 24/11-22/11



ყველა საქმე გვერდზე გადადეთ და გეგმებზე იფიქრეთ. კროსვორდების შესებასა და კომპიუტერულ თამაშებზე დროს ნუ დაკარგავთ: შესაძლოა, ამ საქმიანობამ ძალზედ გაგიტაცოთ და დაგროვილი ინტელექტუალური ენერგია ტყუილუბრალოდ დახარჯოთ.

მშვილდოსანი - 23/11-21/11



კვირის დევიზია – სიმშვიდე და დასვენება. თქვენთვის ჩვეული აქტიურობა დაივიწყეთ და მეტროლოგი სული ცოტა ხნით დაიოკეთ. რადგან, ფიზიკის კანონის თანახმად, ნებისმიერი თქვენი ქმედება ძალიან დიდ უკუქმედებას გამოიწვევს.

თხის რქა - 22/11-20/11



შესრულებული სამუშაო და მიღებული შედეგები ძალზედ დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. თქვენს საქმიანობაში ახალ-ახალ პერსპექტივებს დაინახავთ და ესეც კარგ გუნებაზე დაგაყენებთ. მაგრამ სამწუხაროდ, შესაძლოა, საყვარელ ადამიანთან უთანხმოებამ კარგი განწყობა ძალიან გაგიფუჭოთ.

როგორი დედა ხართ?

1) როლი მიღწევა გიჭიროთ ყველაზე მეტად თქვენს შვილთან?

- ა) იმის, რომ შინ დროულად დაბრუნდეს - 2;
- ბ) დაიცვას სისუფთავე და წესრიგი - 3;
- გ) იყოს ზრდილობიანი - 4;
- დ) არ მოიტყუოს - 6.

2) როგორ მორთულობას შეარჩევდით თქვენი პატარის ოთახისთვის?

- ა) ვარდისფერ, ღრუბლებიან შპალერს - 1;
- ბ) მძიმე, მუქ იისფერ ფარდებს - 2;
- გ) მოყვითალო შპალერს - 4;
- დ) მხოლოდ ნათელ ფერებს გამოიყენებდით - 5.

3) როგორ მოიქცევით, თუ შეამჩნევთ, რომ თქვენი 8 წლის შვილი არ გიფერებთ და ხშირად გეპასუხებათ?

- ა) ჭკუას დაარიგებთ - 1;
- ბ) ჰკითხავთ, რატომ იქცევა ასე - 2;
- გ) შეეცდებით ჩასწვლეთ მისი ქცევის აზრს - 4;
- დ) მოსყიდვის მიზნით, რაიმეს აჩუქებთ - 6.

4) ნარმოიდგინეთ, რომ შვილი დიდ მალაზიაში დაკარგეთ. პირველ რიგში სად მოძებნით?

- ა) ტკბილეულობის სექციასთან - 1;
- ბ) სათამაშოებთან - 4;
- გ) იქ, სადაც ნაყინი იყიდება - 5;
- დ) შესასვლელთან - 6.

5) როგორ მოიქცევით, თუ თქვენი 10 წლის ვაჟი საუბროსას ხშირად იყენებს უცნაურად...

უხეშ სიტყვებს?

- ა) წაეჩხუბებით - 1;
- ბ) სცემთ - 2;
- გ) აუხსნით, რომ ასეთი ლაპარაკი არ შეიძლება - 4;
- დ) შეეცდებით გაიგოთ, ვისგან ისწავლა ასეთი ლაპარაკი - 6.

6) ნარმოიდგინეთ, რომ თქვენი მერვეკლასელი შვილი ხშირად გთხოვთ ფულს. როგორ მოიქცევით?

- ა) ჰკითხავთ, რაში სჭირდება მას ფული - 2;
- ბ) მისცემთ, ოღონდ აგრძობინებთ, რომ ეს არ გსიამოვნებთ - 3;
- გ) ფულის მიცემაზე უარს ეტყვიით - 5;
- დ) ჩაახედებთ საფულეში და უჩვენებთ, რომ ფული ცოტა გაქვთ - 6.

7) როგორ წამოგიდგენიათ თქვენი შვილის მომავალი?

- ა) მთავარია, იყოს ჯანმრთელი და ბედნიერი - 1;
- ბ) მიაღწიოს იმ მიზანს, რასაც თქვენ დაუსახავთ - 2;
- გ) ყველა საქმეში იყოს პირველი - 4;
- დ) განახორციელოს თავისი ჩანაფიქრი - 6.

8) თქვენი აზრით, რა უმთავრესი წესი უნდა დაიცვან თქვენმა შვილებმა?

- ა) მხარში დაუდგნენ ერთმანეთს - 1;
- ბ) ყველაფერი უამბონ ერთმანეთს - 2;
- გ) არ შეაწუხონ ერთმანეთი თავიანთი პრობლემებით - 4;
- დ) არ ეჩხუბონ ერთმანეთს - 5.

9) რას ჩაუთვლიდით ყველაზე...



საშინელ ქცევად თქვენს შვილს?

- ა) სიგარეტის მოწევას - 1;
- ბ) მართვის უფლების გარეშე მანქანის ტარებას - 2;
- გ) ბარებში ღამეების გატარებას - 3;
- დ) ქურდობას - 6.

10) როგორ მოიქცევით, თუ უცრად მოისმენთ, რომ თქვენი შვილი მეგობართან საუბროსას მოხუცს გინოდებს?

- ა) შეასხენებთ, რომ თქვენც იყავით ასაღვარდა და იმდროინდელ ფოტოებს უჩვენებთ - 1;
- ბ) ისე მოიქცევით, თითქოს ვერაფერი გაიგოთ - 2;
- გ) გაიტყვიით და სარკეში ჩაიხედავთ - 3;
- დ) დიდი ხნით გაეუბლებით - 5.

დააჯავამით ქულები

28 ქულაზე ნაკლები:

მზრუნველი დედა ხართ, მაგრამ საკუთარ ავტორიტეტს ყოველთვის სწორად როდი იყენებთ. ძალიან გიყვართ რჩევების მიცემა და ამის შანსს არ უშვებთ ხელიდან, თანაც არა მარტო შვილებთან. თუმცა როცა საქმე რთულად არის სოლმე, მაშინ უკვე გიჭიროთ გადამწყვეტილების მიღება. შეიძლება, მხოლოდ რჩევა-დარიგებით შვილებს თავი მოაბეზროთ და როცა გაიზრდებიან, თქვენთან ერთად ცხოვრება აღარ მოიხურვონ.

29-40 ქულა:

თქვენს შვილს აიდეალებთ, მიგაჩნიათ, რომ ის ყველაზე უკეთესია; ყველგან აქებთ მის ნიჭსა და გარეგნობას. თუმცა შინ დაბრუნებულს, ხშირად იდეალური სურათი ნამდვილად არ გხვდებათ სოლმე.

როგორც აღმზრდელი, შედარებით სუსტი ხართ და ამის გამო შეიძლება შვილი გაგიტამამდე, თანაც მის პირად პრობლემებსა და ემოციებზე საუბარი არ გიყვართ. ეს ყველაფერი კი შეიძლება მომავალში უარყოფითად აისახოს თქვენი უკვე გაზრდილი შვილის ხასიათზე.

41-57 ქულა:

იდეალური დედა ხართ — საკუთარ თავში დაჯერებული და მტკიცე. არასოდეს დაგიჩივლიათ იმაზე, რომ ოჯახში ყველაზე ადრე დგებით და ყველაზე გვიან იძინებთ. მხარული განწყობის შენარჩუნებასაც ახერხებთ და ამიტომაც შვილები გაღმერთებენ. არასოდეს გავიწყდებათ ბავშვების მცირედი პრობლემები და მათთვის მიცემული დაპირებები. თუმცა, იმის სურვილი კი ნამდვილად გაქვთ, რომ შვილების ცხოვრებაში მომავალშიც ისევე აქტიურად იყოთ ჩაბმული, როგორც ახლა.

ადამიანის თვალის ბადეხით ამომცნობი სისტემა სასაფლაოში დამონტაჟდება

ბრიტანეთში, სანდერლენდის ერთ-ერთი სკოლის სასაფლაოში, ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის, თვალის ბადეხით ადამიანის იდენტიფიცირების სისტემის დამონტაჟებას გეგმავენ. ამ აპარატურის მეშვეობით, სკოლის ხელმძღვანელობა აპირებს, ერთმანეთისგან გაარჩიოს ის მოსწავლეები, ვინც კვების საფასური უნდა გადაიხადოს და ისინი, ვისაც ხელმოკლეობის გამო, სადილი უფასოდ ეკუთვნის. სკოლის დირექტორის, ედ ატსის თქმით, მას არ სურს, მოსწავლეებმა კვების საფასური უშუალოდ სასაფლაოში გადაიხადონ, რადგან შიშობს, რომ შეძლებული ოჯახების შვილებმა შესაძლოა, ამის გამო, აბუჩად აივღონ ხელმოკლეები. ადმინისტრაცია, სასაფლაოს გარდა, იდენტიფიცირების ასეთივე სისტემის დამონტაჟებას, სკოლის ბიბლიოთეკაშიც აპირებს.

გეხმანედ გენშემატეივითა „დანაშაულებივი“ აზახტელობა



გერმანელი ფეხბურთის ფანატები უზომოდ აზარტულები ყოფილან, რისი წყალგაღობითაც, ამ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში თურმე არალეგალური ტოტალიზატორები ყვავის. ამის გამო, ცოტა ხნის წინ, ქვეყნის სამართალდამცავებმა ჩაატარეს ფართომასშტაბიანი ოპერაცია: პოლიციისა და პროკურატურის 800-მდე თანამშრომელს მიზნად დაუსახეს ერთ-ერთი მსხვილი დანაშაულებრივი ორგანიზაციის გამოსეკარავება, რომელიც არალეგალური ტოტალიზატორის წარმატებული მოქმედების წყალობით, დიდძალ ფულს შოულობდა. მისი ყოველთვიური ბრუნვა 1 მლნ ევროს აღწევდა, მასში მინიმალური ფსონი 5 ევროს, მაქსიმალური კი – 2.000-ს შეადგენდა. არალეგალური საფეხბურთო ბიზნესი თურმე 2000 წლის გაზაფხულიდან ყვაოდა და მთელი ამ ხნის მანძილზე, სახელმწიფოს ხაზინაში იქიდან, ბუნებრივია, არც ერთი ცენტი არ შესულა. თაღლითები ძალზედ მოხერხებულად მოქმედებდნენ: ოპერაციის შედეგად, სამართალდამცავებმა ფსონების მისაღები 50-მდე არალეგალური პუნქტი აღმოაჩინეს.

მძახცველთა ნახმატება ქვედა საცვადმა განაპიხობა


სინგაპურში უცნაურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი – სპორტულ მაისურებსა და საცურაო ტრუსებში გამოწვობილი დანაშაულები ანგლო-ამერიკელთა ოჯახში შეიჭრნენ და ცოლ-ქმარს ხელფეხი თოკით შეუკრეს. ამის შემდეგ,



35 წუთის განმავლობაში, ისინი მშვიდად „ასუფთავებდნენ“ სახლს ფულის, ძვირფასეულობისა და ელექტროტექნიკისაგან. ამ დროს კი, თოკით გაკოჭილი, სახლის მეპატრონეები თავთავიანთ საწოლზე იხსდნენ და თვალს ადევნებდნენ ნახევრად შიშველი მძარცველების მოქმედებას. მათი თქმით, სახლში შეჭრიდან რამდენიმე წუთში, დანაშაულებმა, ყოველი შემთხვევისათვის, შენიღბა გადაწყვიტეს. ერთმა ქურდბაცამ იქვე გადაფენილ ბავშვის სასკოლო ფორმას წამოავლო ხელი და სახეზე ჩამოიფარა, მეორემ კი ბავშვის შლაპა ჩამოიფარა. როგორც ჩანს, მძარცველები იმდენად კომიკურად გამოიყურებოდნენ, რომ დაზარალებულებმა სიცილი ვერ შეიკავეს... ადგილობრივი პოლიცია დანაშაულს იძიებს, მაგრამ როგორც ამბობენ, ხელმოსაჭიდი ჯერჯერობით ვერაფერი აღმოაჩინა.

ფხანგები იუმოხის გიძნობას ეახგავენ

ფრანგები თურმე სულ უფრო ნაკლებად იცინიან: სტატისტიკის თანახმად, XX საუკუნის 50-იან წლებში, ფრანგები საშუალოდ, დღეში 18 წუთს იცინოდნენ, ახლა კი – 6-საც კი „ვერ ქაჩვენ“! ეს სიცილიც, ამბობს ქალაქ მიულუზის მცხოვრები, დენიელ კიფელერი, რაღაცნაირი, ძალდატანებითია. დენიელმა სიცილის მთელი კლასიფიკაცია შეიმუშავა, რომელშიც კერძოდ, არსებობს: „გორილის სიცილი“, „ვარსკვლავთა დამჭერის სიცილი“, „ნიჩბის სიცილი“, „ბორბოტი გოლიათის სიცილი“ და სხვა ამგვარი. თანამემამულეთა სახეებზე სიცილიდობის დასაბრუნებლად, კიფელერმა, საფრანგეთში პირველი, სიცილის კლუბი დააარსა, რომელშიც სისტემატურად ტარდება სიცილის თერაპიის 45-წუთიანი სეანსები.



ფოტოკუჩიონები



შანახ რეპუღი

№2(36) 23/11-5/12-2003.

თქსხის

მკურნალი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თ.

მთავარი თემა
მეხსიერების
ფენოგენი

ვიზიტი
კარდიოლოგთან

როგორ
გავიუმჯოვოვო
მეხსიერება

რეზუს
კონფლიქტი

შაქრიანი
დიაბეტი

მენიუ ერთ წლამდე
ბავშვებისათვის

გისურვებთ

ჯანმრთელობას!